114
1952/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

11

ნოემბერი

1952

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

~~140863~~ 5119

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხრე

11

Библиотека

★

ნოემბერი

19 სახელგამი 52
თბილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული მასალების
გაცვლა უკრაინულ ჟურნალ

„ЖОВТЕНЬ"-თან (ქოვეენთან)

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

★

ლენინურ-სტალინურმა ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მტკიცე და ურღვევი საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას, ერთიანობას, ურთიერთშორის ძმური სიყვარულისა და პატივისცემის მაღალ გრძნობას. ხალხთა ეს სტალინური მეგობრობა მრავალმხრივ გამოვლინებას პოულობს ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამ მეგობრობის მკაფიო გამოხატულებაა აგრეთვე ის მჭიდრო ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთობა, რაც დამყარდა და ყოველდღიურად მტკიცდება მოძმე საბჭოთა ხალხებს შორის.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ვბეჭდავთ მოძმე უკრაინელი მწერლების შემოქმედების რამდენიმე ნიმუშს როგორც პოეზიის, ისე მხატვრული პროზის დარგიდან. აქ წარმოდგენილი არიან დასავლეთ უკრაინის თანამედროვე წამყვანი შემოქმედებითი ძალები. ჩვენი მკითხველი იქ ნახავს მიკოლა ნაგნიბედას ლექსებს „გორის ბალადა", „ქართლი", „არწივი გორის თავზე", რომლებშიც ავტორი უდიდესი სიყვარულის გრძნობით უმღერის ხალხთა ბრძენ ბელადს, მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ სტალინს. იგი უმღერის მზეს, რომელიც ქართლში აღმობრწყინდა, ხოლო ამჟამად კრემლიდან გვინათ.ებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იაროსლავ გალანის ორი ნაწარმოები „მე და პაპი" და „მეორე ახალგაზრდობა". ამ მგზნებარე სტრიქონებში ჰქუხს ვაჟკაცური ხმა იაროსლავ გალანისა, რომელიც თავის საბრძოლო პოსტზე, საწერ მაგიდასთან, ნაჯახით ვერაგულად მოკლეს ვატიკანის საზიზღარმა აგენტებმა. მაგრამ თავისი შემოქმედებით მუდამ იცოცხლებს სიმართლისათვის დიდი მებრძოლი, რომელიც ახლაც ჩვენს გვერდით დგას როგორც მსოფლიო ავაზაკების წინააღმდეგ აბჯარასხმული გმირი ჯარისკაცი.

კომუნიზმის დიად მშენებლობისადმია მიძღვნილი ბუკოვინის სახალხო პოეტი ქალის პარასკა ამბროსის „სიმღერა კახოვკაზე". იგი შთამაგონებლად უმღერის საბჭოთა ქვეყანას.

ხალხთა ბრძენი ბელადისადმი, ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილი დიდების ჰიმნია კოსტ დროკის მგზნებარე ლექსი „ვადიდებ ბელადს".

ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა შორის განუყრელ მეგობრულ კავშირს, რაც კიდევ უფრო განმტკიცდა დიდ სამამულო ომში უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით, გვიხატავს ანტონ შმიგელსკი თავის ლექსებში.

სამამულო ომის მონაწილე ტანკისტის გმირობას აგვიწერს მისი საფრონტო ბალადა „ტანკისტი". მშვიდობისათვის ბრძოლის დიად თემას ეხება მისივე ლექსი „მშვიდობის დამცველი".

სოციალისტური სამშობლოს ხვავი და ბარაქა, მისი განუზომელი მატერიალური დოვლათი მხატვრული სახეებით არის ასახული ვასილ გლოტოვის სიუჟეტიან ლექსში „სტუმრები".

ამავე თემას ეხება ალექსანდრე გინევსკის მხატვრული ნარკვევი „იმიერკარპატის კოლმეურნეობებში".

როსტისლავ ბრატუნის ლექსებიდან განსაკუთრებული პოეტური სითბოთი გამოირჩევა ლექსები „უახლოესი მეგობარი" და „ილიჩის ნათურა".

ოლეს გონჩარის „მეზობლები", პეტრო კოზლანიუკის „ივანე კლიონის ნაამბობი" და ირინა ვილდეს „ქათმები" მხატვრულად აგვიწერენ იმ ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც მათ შეუქმნა საბჭოთა ხელისუფლებამ, საკოლმეურნეო წყობილებამ.

ეს ბედნიერი ცხოვრება, რა თქმა უნდა, გმირული შრომისა და ბრძოლის ნაყოფია. ამ შრომისა და ბრძოლის გზაზე ლენინ-სტალინის უკვდავი იდეებით, კომუნიზმის ძლევამოსილი დროშით მხარდამხარ მიდის, საბჭოთა უკრაინელ ხალხთან ერთად, ქართველი ხალხიც — დიდი მოძმე რუსი ხალხის ხელმძღვანელობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკოლა ნაგნიბედა

ლექსები საქართველოზე

★

ქართლი

ჩემი გულწრფელი სალამი, მხარევ,
ბუმბერაზ მთებში თვალად ჩასმულო,
სადაც არ ქრება დროების ქარი,
სალამი შენდა სახლო ზღაპრულო.
ო, წმინდა ქართლო, დიდება შენდა,
უკვდავო დედავ დიდი გონების, —
ბედნიერება ვინც გამოსჭედა,
ვინც არის მხსნელი მილიონების.
შენი დიდება სამყაროს წვდება,
რადგან ურწევდი აკვანს გენიოსს,
სალამი შენდა, სიცოცხლე შენდა,
შენზე სიმღერა არ დაგველიოს.
ჩვენ ნათელივით გვინთია მარად
შუქი მაგ მთების, ცის და წყაროთა,
ვინც გინახულა, ვინ არ ამაღლდა,
„დიდება შენდა“! ვინ არ წარმოთქვა.
სიმღერის ხმები ტალღებად მიდის,
ჩაესმის ყველა ქვეყნის ბინადრებს:
საქართველოში მზე იშვა დიდი,
რომელიც ახლა კრემლში გვინათებს.

გორის ბალადა

★

ჩინელმა ხალხმა ანდაზა იცის,
ბრძნულია აზრი ამ ანდაზისა.
„მებრძოლს მხნეობა ფრთებს მიანიჭებს,
ხალხისთვის ღვაწლი—ფხას
ალმასისას“.
სწორი ნათქვამი — შობილი ომში
განა ჩინეთში მაქვს გაგონილი?
ეს მოვისმინე ჩემს სამშობლოში,
სადაც მთებია ცად ასროლილი.
ეს მოვისმინე ზღაპრულ მხარეში,
სად ქარი ფანტავს ღრუბლებს
მთებიდან,
სად ნაკადები თამაშ-თამაშით
მტკვარს აზვირთებულს უერთდებიან.
ეს მოვისმინე ჯუღაანთ სახლში,
სადაც გულწრფელი სალმით შევედით,
როგორც ოჯახში იქ დამხვდნენ მაშინ
კორეელები და ჩინელები.
ჩინელ ჯარისკაცს, კორეელ ასულს
მთელი ხმელეთი შემოუვლიათ
და შეჰყურებენ ჩარჩოში ჩასმულ
ჭაბუკ მასპინძელს ნათელ შუბლიანს.
იმ საზეიმო სიჩუმეს მხოლოდ
ლიახვის ჩქერთა ჩქეფა არღვევდა,
ჩინელ ჯარისკაცს, კორეელ მქსოველს
ნაცნობი სახის მზერა ალხენდა.
ჩინელმა მზერა მიმართა ძმისკენ
და უთხრა უცებ თანამგზავრს მისას:
„მებრძოლს მხნეობა ფრთებს მიანიჭებს,
ხალხისთვის ღვაწლი — ფხას
ალმასისას“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არწივი გორის თავზე

★

გორის ცაზე მზით გამსჭვალულ
მქროლავ არწივს რომ შევხედე,
ის ფრინველი და ის დილა
მეჩვენება ხოლმე დღემდე.
ვხედავ, სახლი ბელადისა
სიჩუმეში გასცქერს ქედებს,
ის სითეთრე, ის სიწმინდე
მეჩვენება ასე დღემდე.
ვხედავ სკოლას, სადაც ბავშვი
ჩანს ქამარში წიგნგაჩრილი,
და სიზმარშიც თვალწინ მიდგას
სახე სოსო ჯუღაშვილის.
ელვა ქართლის მდინარეთა,
მთაგრეხილზე შუქი ელვის,
წმინდა მიწის ყვავილები...
მახსენდება დღეს ყოველი.
გორის ცაზე მზით გამსჭვალულ
მქროლავ არწივს რომ შევხედე,
ის ფრინველი და ის დილა
მახსენდება ხოლმე დღემდე.

თარგმანი **ოთარ ჭელიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლეს გონჩარი

მეზობლები

★

„ჩერვონი ლანის“ კოლმეურნეებს დღემდე ახსოვთ, თუ როგორ ქუხდა შარშან ტრიბუნაზე მათი თავმჯდომარე ონისიმ არტემოვიჩი.

— არ მივცემ, არ მივცემ, სანამ თვითონ არ წავალ მათთან, სანამ თვითონ არ გავსინჯავ მათ მაჩვენებლებს!..

მაგრამ კომისიის წევრები უკვე მაგიდას უსხდნენ. მაჩვენებლები თითოეული მათგანისათვის კარგად იყო ცნობილი და ონისიმ არტემოვიჩი იძულებული იყო დროშა გადაეცა. დროშა მიიღო ტანადმა, მკვირცხლმა ჭაბუკმა, თადარიგის ოფიცერმა, „დნიპრელსტანის“ თავმჯდომარემ პეტრო გასანჩუკმა. უნდა გენახათ, გამარჯვებულის რა სიამაყით გაატარა მან ეს დროშა მთელს კლუბში სცენიდან კარებამდე. იგი კოხტა, მკვეთრი ნაბიჯით მიუძღოდა თავის ბრიგადირებს და მერგოლურებს. და მერე რა თვალით აცილებდა მათ ონისიმ არტემოვიჩი! იგი სვავივით მობუზული იდგა, ტრიბუნაზე ორივე ხელით მძიმედ დაყრდნობილი.

„დნიპრელსტანში“ ონისიმ არტემოვიჩი მაინც არ წასულა, თუმცა ის იქვე მეზობლად იყო. კოლმეურნეობების მიწები ერთმანეთის გვერდით მდებარეობდა. გასანჩუკი თვითონ ეწვია მას მეორეჯერ. იგი მოვიდა ახალი ტაჩანკით, ტაჩანკას რეზინის გაბერილი სალტეები ჰქონდა. მხიარული და თამამი, ორდენებით მკერდდაჯინჯლული შემოვიდა იგი კანტორაში. ხელში რაღაც თეთრი ტომსიკა ეჭირა.

— გამარჯობა, ონისიმ არტემოვიჩ!

ონისიმ არტემოვიჩმა შუბლზე ქუდი ჩამოიწია.

— გაგიმარჯოს!

— აი, საჩუქარი მოგიტანეთ, — გასანჩუკმა ყალამქარის ტომსიკა შუა მაგიდაზე დადო. — როგორც ვიცი, თქვენ ამ კულტურას ჯერ არ იწევთ, ჩვენთან კი ლელიანში გაიხარა. ვიფიქრე, მოდი, მეზობელს საფაფედ წავუღებ-მეთქი.

გასანჩუკმა ენერგიული, ზუსტი მოძრაობით ტომსიკას ზონარი მოხსნა.

— ბრინჯი!

ონისიმ არტემოვიჩი შურით დაიწვა.

კანტორის მოსამსახურენი იღებდნენ თეთრ მარცვლებს, კბილით სინჯავდნენ და უსირცხვილოდ აქებდნენ.

მას აქეთ ონისიმ არტემოვიჩს ჭირივით შესძულდა ბრინჯის ფაფა.

— არ ვიცი, რა დაემართა ჩემს ონისიმს, — შესჩიოდა რამდენიმე თვის შემდეგ თავმჯდომარის ცოლი მეზობლებს. — ამ დილით მაგიდაზე ფაფა დავუდგი, არ დაიჯერებთ, — ხელიც არ უხლია. კოვზი მაგიდაზე დაანარცხა. დამძიმულრულივით წამოვარდა და ისე გაიჭრა გარეთ, სიტყვა არ უთქვამს... ფაფა კი ბრინჯისა იყო, თეთრი...

გაზაფხულზე „ჩერვონი ლანის“ ლელიანში ბრინჯის პირველი პლანტაციების გაშენებას შეუდგნენ. ონისიმ არტემოვიჩმა, რომელსაც საერთოდ ბუნებასთან საკმაოდ აგრესიული დამოკი

დებულება ჰქონდა, გადაწყვიტა მისგან ამჯერადაც ორმაგი სარგებლობა მიეღო: წყლით სავსე ბრინჯის თხრილებში კობრი ჩაუშვეს.

გასანჩუკმა შეიტყო თუ არა ასეთი რაციონალიზაციის ამბავი, ქარიგით მოიჭრა „ჩერვონი ლანის“ ბრინჯის პლანტაციაში.

ონისიმ არტემოვიჩი სწორედ „ქ დაუხვდა. იგი წელამდე სველი წყლიდან ამოვიდა და გაწითლებული და კმაყოფილი ონჯარზე შედგა:

— ახლა კი ასვით მაგას გატყვრომამდე! — უყვიროდა არტემიჩი სარწყავ სისტემაზე მომუშავე ქალებს. — მიეცით დნეპრის ანკარა წყალი, მაგას ეგ უყვარს... საუზმედ კი — მზე, მზე და მზე!..

ონისიმის შემყურე იფიქრებდით, რომ მას არა მარტო კოლმეურნეობის წყალსატუმბი, არამედ თვით ცის მნათობიც კი ემორჩილებაო.

ეტყობოდა, „დნიპრელსტანის“ თავმჯდომარე დღეს ყველაზე კარგი სურვილებით მოვიდა. ამას, თუ გნებავთ, ისიც მოწმობდა, რომ მან თავისი ტაჩანკა შორს ტირიფნარში დატოვა და ონისიმ არტემოვიჩს მიუახლოვდა. გასანჩუკმა კარგად იცოდა, რომ მეზობელი მისი სწრაფი ტაჩანკის დანახვას ვერ იტანდა.

— აი, სემინარზე მოვედი თქვენთან, ონისიმ არტემოვიჩ, — უთხრა გასანჩუკმა მისალმების შემდეგ. — მინდა თქვენგან ზოგი რამ გადავიღო. ეს ხომ იდეაა, ნამდვილი იდეა!

— რა იდეებზე მელაპარაკები! — შეაწყვეტინა სიტყვა არტემიჩმა. — უფრო კონკრეტულად თქვი.

— თითქოს ვერ ხვდებით, რაზე გელაპარაკებით... ჩვენც გვინდა მოვაშენოთ კობრი...

— აი, თურმე რა ყოფილა... გესმით, გოგოებო? — მიუბრუნდა არტემიჩი თავის კოლმეურნე ქალებს. — კურსანტები მოვიდნენ! ერთი ამათ ლექცია წაუკითხეთ. ასწავლეთ, როგორ უნდა გააკეთონ ცარიელი ფაფა კი არა, არამედ ნახევრად თევზიანი!

— საიდან გამოტყვრნენ ეს კურსანტები? — გესლიანად ეკითხებოდნენ თავმჯდომარეს ქალები. ისინი თითქოს მართლა ვერ სცნობდნენ პეტრო გასანჩუკს.

— მეზობლები არიან, ჩვენი „დნიპრელსტანელები“, — მხიარულად მიუგო მათ არტემიჩმა, ზურგი შეაქცია გასანჩუკს და იდაყვამდე ლამით მოსვრილი ხელით სიგარის შეხვევა დაიწყო..

სტუმარი მოთმინებით ელიმებოდა.

2

მაგრამ ბრინჯი ორივე კოლმეურნეობისათვის ჯერ კიდევ პირველი ცდა, პირველი მოსინჯვა იყო. მისი პატარა პლანტაციები მორცხვად ეკვროდა ლელიანებს. პლანტაციები არ ჩანდა ჰორიზონტამდე მოელვარე ზღვასავით გადაჭიმული ხორბლის ძლიერ, ოქროსფერ მასივებში.

ამ ხორბლის გამო ონისიმ არტემოვიჩი საბოლოოდ წაეკიდა გასანჩუკს. ეს მოხდა გუშინ, ღამის ორ საათზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში თათბირის შემდეგ. უნდა ითქვას, რომ, თუ რომელიმე თათბირზე ონისიმ არტემოვიჩი არ გამოცხადდებოდა, ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრძნობდა უმისობას. განსაკუთრებით მოიწყენდნენ ისინი, ვისაც უყვარდა დაცინვისა და ხუმრობის სამიზნო თვალწინ ჰყოლოდა. ონისიმ არტემოვიჩის მოთმინებიდან გამოყვანა იოლი საქმე გახლდათ. ამისათვის საკმარისი იყო გაეკრიტიკებინათ მისი ძველი, გაქონილი კარტუზი, სწორედ ის, რომლითაც ეს ორი წელიწადია ონისიმ არტემოვიჩი აბრეშგად კოპწიაობდა ყველა თათბირზე, სამუშაო და უქმე დღეებში. კარტუზის შემდეგ ხუმრობა გადადიოდა შარშანდელ ჭერამზე. ეს კი ნამდვილი ამბავი იყო. მისი უარყოფა ონისიმ არტემო-

ვიჩს სამწუხაროდ ვერაფრით შეეძლო. დიახ, მოხდა ასეთი რამ!

შარშან ონისიმ არტემოვიჩს მინდორში რაიკომის მდივანი ეწვია. მანქანიდან სავსე პარკი გადმოიღო და მას და ბრიგადირებს გაუმასპინძლდა.

— აი, — ამბობდა იგი, — ბაღებს ჩავუარე, გოგონებმა მითავაზეს.

— ვინ გოგონებმა? — დაინტერესდნენ ბრიგადირები.

— დნიპრელსტანელმა გოგონებმა, —უპასუხა მდივანმა.

გაიგონა თუ არა ეს ონისიმ არტემოვიჩმა, ფურთხება დაიწყო: განა ეს ხილია? მჟავეა, მწკლარტე, საიქიოში ბებიას დაგანახვებს.

თავმჯდომარეს ბრიგადირებიც აყვნენ: „ჩვენი ბაღის ჭერამს ვერ შეედრება. არა, ისეთი ვერ არის!“

— აი, სწორედ თქვენი ჭერამიც მაქვს, — მოაგონდა უცებ მდივანს და შოფერს დაუძახა: — იაშკო, აბა, ერთი ის მომეცი, „ჩერვონი ლანის“ მებაღემ რომ გამოგვიტანა.

— აი, ეს კი მესმის! — კმაყოფილებით ჩაკბიჩა ონისიმ არტემოვიჩმა მეორე პარკიდან ამოღებული ჭერამი, — მაშინვე იგრძნობ, საქმე კულტურულ ხილთან რომ გაქვს და არა რაღაც ველურ კენკრასთან.

ბრიგადირებმაც გასინჯეს თავიანთი ბაღის ჭერამი და ყველამ ერთხმად დაუწყო მას ქება. ამ დროს მანქანას ამოფარებული შოფერი წელში სამად მოხრილიყო და სიცილისაგან იფხრიწებოდა. ნეტავ რა აცინებდა? —მდივანი კი დინჯად იჯდა, უსმენდა ბრიგადირების გულუხვ ქებას და კვერს უკრავდა. როცა ჭერამის ჭამა მოათავეს, უცებ მან განაცხადა:

— ერთი არასასიამოვნო ამბავი უნდა გითხრათ, ონისიმ არტემოვიჩ. აი, ეს-ესაა ჭამდით და აქებდით დნიპრელსტანურ ჭერამს. პირველი ჭერამი კი, რომლის გამო იფურთხებოდით და ილმიჭებოდით, თქვენი საკუთარი ბაღისაა... რომ არ შეგვშლოდა, პარკებს იაშკომ სათანადო ნიშნები გაუკეთა... აი...

მას აქეთ, როგორც კი შეიკრიბები.-და კოლმეურნეობის რამდენიმე თავმჯდომარე, მაშინვე ჭერამზე ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს. „განა ეს ხილია? მჟავეა, მწკლარტე, საჭიროა ოკულირება, ჯიშის გაუმჯობესება“. გასაგებია, რომ ასეთი ლაპარაკის ტონის მიმცემი გასანჩუკი იყო. ამით იგი გულს იფხანდა.

სამაგიეროდ გუშინ ონისიმ არტემოვიჩმა მოიფხანა გული.

მტს-დან ღამით დაბრუნდა, გახარებულმა მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა. დიახ! მისი ცოლი რომანოვნა, შვილიც. ტრაქტორისტი გრიშა და ქალიშვილი ოლიანკა, ძმასთან გადამბმელად რომ მუშაობს, ყველა გააღვიძა. ყველას უნდოდა გაეგო, როგორ წაართვა გასანჩუკს კომბაინი. ვახშმობდა და ტრაბახობდა:

— „სტალინეცი“ წავართვი!.. ადგეს ახლა და პირველი გამოშვების „კომუნარით“ ჩიჩქნოს... სცადოს, როგორც შეპირებულია, ხუთ დღეში მოათავოს მკა! ეჰ, გასანჩუკ, კიდევ დიდხანს დაგჭირდება შენს ყანებში კალიების დევნა, სანამ მომკიდე!

— პეტრო სათიბ-სამკელებს გაუშვებს, — გამოელაპარაკა საწოლიდან გრიშა. — მას მთელი ბატარეა ჰყავს გამზადებული.

— იძინე მანდ! — დაუტატანა არტემიჩმა შვილს. — შენ არავინ გეკითხება.

— აბა, ვის ეკითხება? — ჩაიკისკისა ქალიშვილმა ბალიშში. — გააღვიძა ყველა და ახლა უნდა გავჩუმდეთ!

— ჰო, გაჩუმდი და უსმინე! თქვენ როდი გეუბნებით. ძალიან დაჭკვიანდით ყველანი.. რასაკვირველია, ჩვენ ისეთი სწავლულები და გამოჯეკილები არა ვართ. როგორც გასანჩუკი.

ჩვენთან ყველას შეუძლია ლაქლაქი. ოფიცრული დისციპლინა ჩვენ არა გვაქვს, არც კაბინეტები, ჩვენთან კარზე დაუკაკუნებლად შემოდიან. არა, ერთი თქვენ მის ხელში ჩაგაგდოთ, გაჩვენებდათ სეირს!

— ეჰე, დაიწყო ისევ! — თქვა ოლიანკამ და გააზმორა. — გათენებამდე სლოკინი არ მოასვენებს პეტროს.

— უყურე, ვის იცოდებს! — შეესჩივლა ცოლს განაწყენებულმა ონისიმ არტემოვიჩმა. — იქნებ „სტალინეციც“ დავუბრუნოთ გასანჩუკს, რომ მალე მოათავოს მკა, პური მთელს რაიონში პირველმა ჩააბაროს სახელმწიფოს და შენს მამილოს ჩამორჩენილებში ამოაყოფინოს თავი?! იმასაც მოვესწარი, რომ ჩემს ოჯახში მაკრიტიკებენ!.. მაშ იმისათვისაც გამაკრიტიკეთ, რომ ტაჩანკითა და ორთვალათი არ დავსეირნობ, რადგან ჩემი ცხენები მინდვრებზე მუშაობენ. გამაკრიტიკეთ იმისათვის, რომ გაჭაღარავდა და გამოხუნდა თქვენი მამილო თოთხმეტი წელიწადი „ჩერვონი ლანის“ თავმჯდომარედ ყოფნაში. ყველაფრისათვის გამაკრიტიკეთ! იმისთვისაც, რომ სულ გამოუძინებელი ვარ, ძღომაზე ჭამასაც ვერ ვასწრებ, იმისათვის, რომ ჩვენს არტელს წელს მილიონერს გავხდი!.. საღ შემიძლია მე გასანჩუკს გავუტოლდე! მას ყველაფერი უკეთესი აქვს! მას ორდენებიც სხვანაირი აქვს, ვიდრე მე, და მედლებიც...

— სწორედ მედლები ერთნაირი გაქვთ, — შენიშნა ქალიშვილმა.—პეტროსაც „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ აქვს.

მაგრამ ონისიმ არტემოვიჩი ისე გაცხარდა, რომ ძნელი იყო მისი დამშვიდება.

— გვარდიის ოფიცერი „კატიუშაზე“ იჯდა! მე რა? მესანგრე ვიყავი, ორი ნიშანი მაქვს. ხიდებს ვუგებდი მას — და მეტი არაფერი, მდინარეზე გადასასვლელებს ვუმართავდი, — და ეს იყო! იგი ახლაც წითელი კანტებით ბრწყინავს, ყოველ დღე ახალ ქვესაყელოს იკერებს. მე კი კარტუზის საყიდლად ვერ მომიცლია... გაქონილი, ომამდელი მახურავს, არ ვდაობ, ომამდელია ჩემი კარტუზი!.. მაგრამ ჩვენს ყანაში რომ ვისროლო, თავთავებზე გარჩება, გასანჩუკის ყანაში კი — მიწაზე დაეცემა.

— თქვენ, მამა, დიდი ხანია, რაც მისი ყანა ნახეთ? — ჰკითხა შვილმა, იგი საბნის ქვეშ იცინოდა.

— ჩემზე ნუ სწუხარ: მე კარგად ვხედავ, სად რა კეთდება მასთან. წინასწარ ვიტყვი, რამდენი ცენტნერი მოვა თითოეულ მის ნაკვეთზე.

— მისი შემოდგომის ნათესი ჩვენსას არ ჩამოუვარდება, — დარწმუნებით თქვა ოლიანკამ. — ისინი საშუალოდ ოცდაათ ცენტნერს ელიან.

— მიიღებენ კიდევაც, —მხარი დაუჭირა დას გრიშამ.

ონისიმ არტემოვიჩი რამდენიმე წუთს ჩუმად იჯდა. შემდეგ წამოდგა თმააბურძგვნილი, გამწყრალი და მრისხანედ შეხედა ცოლს. ქალს ისე შეეშინდა, რომ ღუმელისაკენ დაიხია.

— შენ იცი, მოტრია, რატომ მოუვიდა მას წელს ასეთი ხორბალი? ჩვენმა დარგულმა ტყემ მას თოვლი შეუჩერა. გასაგებია? ყველა ქარს ჩვენი ტყე აკავებდა.

„განა დნიპრელსტანელების ტყის ნარგავმა არ დაიცვა ჩვენი ჭვავი?“ — უნდოდა ეთქვა ცოლს, მაგრამ არტემიჩის მძიმე სუნთქვა შეესმა და გაჩუმება ამჯობინა.

3

ქარები...

რამდენიმე დღეა მძვინვარებდა ქარები. დნეპრის მეთევზეები აფრების მაგივრად თავიანთ ნავებზე მწვანე ტოტებს დგამდნენ. და ეს საკმარისი იყო, რომ ნავს მაღალ ტალღებში სწრაფად

ეცურა წყალიმა. სამკალი მანქანები, რომლებსაც თავისი საქმე მოეთავებინათ და მომავალ წლამდე დასასვენებლად იდგნენ კოლმეურნეობის ეზოში, ახლა თვითონ აქნევდნენ ფრთებს. მათი ფრთები ცხელი ქარის შემოტევისაგან მაღალი ხმით გუგუნებდნენ. შარაზე ამდგარი მტვერი მშრალ ღრუბლებად ადგა მინდვრებს. ველის ფრინველები გაჭაღარავდნენ ამ მტვერისგან. ქარი ბულულებიდან მშვენიერ ოქროსფერ ქუდებს გლეჯდა და მონამკალზე მიაგორებდა..

პირქარის გამო წელში მოხრილი ონისიმ არტემოვიჩი კალოზე მიიჩქაროდა. უფერული და მკრთალი მზე ნელა ჩადიოდა, ეტყობოდა, ხვალ პაპანაქება სიცხე იქნებოდა..

კალოდან შუა გზაზე ტრაქტორები მუშაობდა. ტრაქტორებს ახლა ფართო არე ჰქონდათ მოსაბრუნებლად და მათი ძლიერი გუთნები ლაღად ხნავდნენ. ონისიმ არტემოვიჩის მიერ სტაციონარზე დაყენებული „სტალინეცი“ დღე და ღამე ლეწავდა პურს. ყოველდღე სულ უფრო მეტი და მეტი ფართობი თავისუფლდებოდა ზვინებისაგან.

ახლა რატომღაც ორივე ტრაქტორი იდგა.

„რა დაემართათ? ეს რა მიტინგი გაუმართავთ?“ — ფიქრობდა შეშფოთებული ონისიმ არტემოვიჩი და თან ტრაქტორებს უახლოვდებოდა. ტრაქტორისტებს აგრეგატები გაეჩერებინათ მოსახვევში და გადამბმელებთან ერთად მაღალ ყორღანზე ხის კოშკურთან შეგროვილიყვნენ. ყველა სამხრეთისაკენ იცქირებოდა და რაღაცაზე შეშფოთებით კამათობდა, ხელებს იქნევდა. მათი ხმები ქარს მიჰქონდა. ჯგუფს შუაგულში აღელვებული ოლიანკა იდგა. ხელში წითელი თავსაფარი ეჭირა. გრიშამ მამა დაინახა და მოუთმენლად დაუწყო ძახილი.

ფხვიერ ნახნავზე ფართო ნაბიჯებით მიდიოდა ონისიმ არტემოვიჩი. იგი უკვე ყოველი მხრიდან გადახნულ ყორღანზე ავიდა.

სამხრეთით რაღაც იწვოდა.

ტალღისებური ცეცხლის ზოლი ნელა ლივლივებდა ჩამობნელებულ ჰორიზონტზე. იგი ხან მიწას გაეკვროდა, ხან ყალყზე დგებოდა და ალაგ-ალაგ შემზარავად ამოიბურცებოდა ცეცხლის დიდ ბურთებად. ტრაქტორისტები და გადამბმელები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ. მაგრამ თითქმის ყველა ფიქრობდა, რომ ცეცხლი შორს იყო — კოლმეურნეობა „ხუთწლედში“, ან საბჭოთა მეურნეობა „ავანგარდში“.

— ალბათ ისევ ნაწვერალს წვავენ... მათმა კომბაინებმა წელს ძლიერ მაღლა გადამკა..

— ჰო, მაგრამ ასეთ ქარში ნაწვერალს ვინ წაუკიდებს?

— და რა არის, ასე განუწყვეტლად რომ ბრიალებს?

— ალბათ კომბაინის მიერ მიტოვებული ნამჯაა. ისინი ნამჯას ადგილზე წვავენ.

— გახსოვს? ასე იწვოდა ორმოცდაერთში დნეპრის გაღმა, როცა ნოვოკამენელები თავის პურს წვავდნენ!

— შეხედე, თითქოს ნელდება ცეცხლი.

— არა, ისევ ძლიერდება.

— ნამჯაა!

ყველას უნდოდა ცეცხლი შორს ყოფილიყო და მხოლოდ ნაწვერალს და ნამჯას ჰკიდებოდა. მაგრამ შეშფოთება თანდათან ძლიერდებოდა და გულში იჭრებოდა. ვაითუ ცეცხლი ნაწვერალს არ უკიდია და ბულულები იწვისო.

ონისიმ არტემოვიჩი მოღუშული გასცქეროდა ცეცხლს.

— დიდი ხანია წაეკიდა? — იკითხა მან.

— ვინ იცის... ჩვენ ახლახან შევნიშნეთ.

— აბა, გრიშა, გაიხადე ფეხზე და

კოშკურაზე ადი! — უბრძანა ონისიმ არტემოვიჩმა შვილს. — სწრაფად!

გრიშამ ხმისამოუღებლად გაიძრო ჯარისკაცის გამტვერიანებული ფეხსაცმელები, შედგა ამხანაგების მხრებზე და კატასავით ახოხდა მაღლა. ქვევით ყველა გაჩუმდა ამბის მოლოდინში. იდგნენ თავაწეული და დაძაბული ყურადღებით შესცქეროდნენ გრიშას.

— აბა?

— მგონი „დნიპრელსტანში“ იწვის.

— პეტროსთან! — შეკივლა ოლიანკამ და თავზარდაცემულმა მამას შეხედა.

ონისიმ არტემოვიჩმა ყურადღება არ მიაქცია ქალიშვილს და გააფთრებულმა გრიშას შესძახა:

— კარგად დაუკვირდი! სად, სახელდობრ?

— მლაშე ხევს იქით... მხოლოდ ვერ ვარჩევ: იქ, სადაც კომბაინი მუშაობდა, თუ მარცხნივ, მეორე ბრიგადაში... არა, მეორე ბრიგადაში იწვის!

ონისიმ არტემოვიჩი ისე შექანდა, თითქოს ხელი ჰკრესო.

— რას უდგახართ? — მიუბრუნდა ის ტრაქტორისტებს, თავის ქალიშვილს, ყველას. — დაყრუვდით? მეორე ბრიგადაში პური ჯერ კიდევ ბულულებად უდგათ.

ტრაქტორისტები დუმდნენ, თითქოს თვითონ იყვნენ დამნაშავენი ხანძრის გაჩენაში. კოშკურიდან ჩამოსულ გრიშას ფეხსაცმელები ეჭირა ხელში და მძიმედ სუნთქავდა.

— მამა!..

— ჩუმად!.. აგრეგატებზე! — მოკუმა მუშტები და მთელი ხმით შეჰყვირა ონისიმ არტემოვიჩმა.

ხუთი წუთიც კი არ გასულა, რომ ორივე ტრაქტორი გუთნებიანად მიგრუხუნებდა მძვინვარე ცეცხლისაკენ. წინა ტრაქტორი გრიშას მიჰყავდა. მის უკან მამა და ოლიანკა იდგნენ. მათ შეუბრალებლად ანაღრევდა ტრაქტორი. ტრაქტორები მაქსიმალური სისწრაფით მიდიოდნენ. მაგრამ ახლა ონისიმ არტემოვიჩს ყოველგვარი სიჩქარე არასაკმარისად ეჩვენებოდა. ქარს, რომ არ წაეგლიჯა, კარტუზი ხელით ეჭირა და შვილს ზედ ყურთან ჩასძახოდა:

— მოუმატე, მოუმატე გაზს! მაგრად დააწექი პედალს!

მის ქვევით, მტვრის კორიანტელში გრუხუნით ხტოდნენ გაშმაგებული გუთნები.

4

ნარგავებმა მყის გზა დაუთმეს, მიჯნები გაჰქრა. არა მარტო თავისი არტელის მიწა, რომელიც ტყის ნარგავის აქეთა მხარეს თავდებოდა, „დნიპრელსტანის“ მიწებიც, „ხუთწლედის“ და „ავანგარდის“ მიწებიც ონისიმ არტემოვიჩის წინ იდო, როგორც მშობლიური, ახლობელი, თავისი. საშიშროება, რომელიც მეზობელ მინდვრებს ემუქრებოდა, თითქოს აერთიანებდა მათ. თითქოს ისინი ონისიმ არტემოვიჩს მფარველობას შესთხოვდნენ. „ჩერვონი ლანის“ თავმჯდომარემ თავი უცებ მთელი ველის დარაჯად და ბატონპატრონად იგრძნო.

ტრაქტორები როგორც კი გასცდნენ ტყის ნარგავს და „დნიპრელსტანელების“ მინდვრებზე გაიჭრნენ, ყველაფერი ნათელი გახდა. ქარისაგან აბრიალებული ცეცხლი დაკლაკნილი, გრძელი კვალივით მოიწევდა მახლობელ ფერდობიდან. იქ, სადაც ცეცხლი გაივლიდა, სიბნელე ეფინებოდა მიწას, შავი უდაბნო რჩებოდა უკან, რომელზედაც აქა-იქ მიფერფლილი ცეცხლის ლაქები ჩანდა.

ხალხი ებრძოდა ცეცხლს. მომცრო ალის შუქზე ნათლად მოჩანდა, როგორ უტევდნენ ისინი—ცოცხალ ჯაჭვად გაჭიმულნი—როგორ ეცემოდნენ ცეცხლს მკერდით, რომელზედაც ვარსკვლავებივით ეყრებოდათ ნაპერწკლები. ხმარობდნენ ნიჩბებს, ფიწლებს, ცარიელ ტომრებს, ბრეზენტის ნაჭრებს.

ქარი კი სულ უფრო და უფრო აბრიალებდა ალს, ცეცხლის ეხები გველებივით ძვრებოდხენ ადამიანთა შორის, წინ მიიწევდნენ, სწრაფად ერთდებოდნენ და გააფრთებულნი აცხრებოდნენ ნაწვერალს, რომელიც თითქოს თვითონ ეგებებოდა სიკვდილს. ჯერ მხოლოდ კომბაინის მიერ მომკილი მინდვრები იწვოდა, იფერფლებოდა ცარიელი ნამჯა, მაგრამ ბულულები უკვე ახლოს იყვნენ. ასობით იდგნენ ისინი— მძიმენი, უმწეონი, ცეცხლის ალით განათებულნი, გავარვარებული ჰაერის ნაკადში გახვეულნი.

ცეცხლი გასაოცარი სისწრაფით უახლოვდებოდა მათ. ხანდახან ალი უზარმაზარ ბოლქვებად გაიჭრებოდა წინ და ცეცხლის ახალ-ახალ კერებს აჩენდა, ახლა უკვე ხევის მთელი ფერდობი იწოდა. მარცხნივ ბულულები იყო. მანქანებს, რომლითაც დნიპრელსტანელები კალოდან აქ მოვიდნენ, ცეცხლი ემუქრებოდა და შოფრებს ისინი შორს მიჰყავდათ.

უცბ ყურთასმენის წამღები, ფრინველის ხმისებური კივილი გაისმა მთელ ველზე. კიოდა ფეხშიშველა, მთლად გაწეწილი გოგონა, იგი ბულულიდან გამოვარდა. მას ხელში აბრიალებული ძნა ეჭირა.

ცეცხლი პურს მოედო.

ამ დროს ონისიმ არტემოვიჩი თავისი ტრაქტორებით ხევის ფერდობზე ჩამოვიდა და ბრძანა გაეჩერებინათ ტრაქტორები და ისე ჩაეშვათ გუთნები მიწაში. ტრაქტორები ერთიმეორეს გაჰყვნენ, რომ ცეცხლისათვის გზა გადაეჭრათ, ახლადმოხნული მიწის ფართო ზოლი გაჰყვა მათ უკან..

წინა ტრაქტორზე მდგომი ონისიმ არტემოვიჩი უთითებდა შვილს, საით გაევლო ავალი.

რადიატორებში წყალი ადუღდა, აგლიჯა საცობები და ამოხეთქა.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას! — სულშეგუბებით შესძახა ტრაქტორისტებს ონისიმ არტემოვიჩმა. — გასწით!

ქუდებზე წამოცმულ ბრეზენტ-სათვალეებიან ტრაქტორისტებს თავიანთ აგრეგატები ბულულების გასწვრივ მიჰყავდათ. ახლადგადახნული მიწის დაკლაკნილი ბარიერი ცეცხლის წინ წვებოდა და გზას უჭრიდა მას. ტრაქტორისტებს ხანდახან აბრიალებულ ბულულებისათვის უნდა შემოევლოთ და დამწვარი ხორბლის სუნზე ონისიმ არტემოვიჩს ბრაზი ერეოდა. იგი შვილს საყელოში სტაცებდა ხელს, მზად იყო სული ამოეხადა მისთვის.

— იჩქარე, შენ გეუბნები, გაინძერიმეთქი!

ონისიმ არტემოვიჩს დაავიწყდა, რომ მის ქვეშ დნიპრელსტანელების მიწა იდო, გასანჩუკის მიწა!.. ეს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც წინ დნიპრელსტანელების ტრაქტორები შემოეფეთნენ. ისინი მეორე მხრიდან მოდიოდნენ, რომ ცეცხლისათვის გზა გადაეჭრათ!

აგრეგატები მოტორების შეწყობილი გუგუნით თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს გაუთანასწორდნენ. ონისიმ არტემოვიჩმა გასანჩუკი რომ შეიცნო, ხმამაღლა შეიგინა, გასანჩუკი. დნიპრელსტანელების წინა ტრაქტორზე მდგომი, გამურული, შავი, გაწეწილი, რაღაცას ეძახოდა ონისიმ არტემოვიჩს და ბრინჯივით თეთრ კბილებს აელვებდა. ალბათ მადლობას უხდიდა. არ უნდა გადაეხადა მადლობა თუ?!. ახლად გადახნული მიწის ფართო სარტყელმა გზა გადაუჭრა ცეცხლს და მტკიცედ შემოევლო ირგვლივ დნიპრელსტანელთა მოსავალს. მხოლოდ რამდენიმე ბულული დაიწვა.

ტრაქტორებმა ერთმანეთს ჩაუარეს და ცოტა კიდევ წინ წაიწიეს, ვიდრე ონისიმ არტემოვიჩი გონს არ მოეგო.

— კმარა! ჩვენ რა, აქ იმისათვის მოვედით, რომ დნიპრელსტანელებს მზრალად მოვუხნათ? ჩვენი სამუშაოც გვეყოფა, შემოაბრუნე!

ქარი შესამჩნევად ნელდებოდა. ცეცხლი მრავალგან წააწყდა მიწის ბარიერს და სწრაფად ცხრებოდა. ხალხი ფეხით აქრობდა მას, უქრობდნენ ერთმანეთს ტანსაცმელზე მოკიდებულ ცეცხლს.

მეორედ, როცა გაუთანასწორდა გასანჩუკს, ონისიმ არტემოვიჩმა ტრაქტორიდან ჩამოუსვლელად პროკურორის კილოთი ჰკითხა მას ცეცხლის გაჩენის მიზეზი.

— ამბობენ, ვითომ მწყემსი ქალები გზისპირზე შამბნარს წვავდნენო, — მორჩილად აუხსნა გასანჩუკმა. — სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს, ქარს ცეცხლი მოუტაცია...

— თქვენ ხომ ყველაფერი მოუწესრიგებელი გაქვთ, — საყვედურით შენიშნა ონისიმ არტემოვიჩმა. — საქმეს მოვლა უნდა!

თქვა ეს არტემიჩმა და ზურგი შეაქცია გასანჩუკს.

— წავიდეთ! — უბრძანა თავისიანებს.

გრიშას ისე აუძაგძაგდა ხელში საჭე, როგორც გახურებული ტყვიამფრქვევი.

მამის უკან მდგომი ოლიანკა ალერსიანად უღიმოდა გასანჩუკს. ქალიშვილი თავიდან ფეხებამდე პროექტორით იყო განათებული. კმაყოფილებით შესცქეროდა დნიპრალსტანელების ბულუ-ლებს, რომლებიც დაუსრულებლად მოჩანდა მოლურჯო ბინდში ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე. ისინი ჰორიზონტამდე იდგნენ, როგორც გოლიათების უზარმაზარი მუზარადები.

თარგმანი **გრიგოლ ჩიქოვანისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანგრონ შმიგელსკი

სამი ლექსი

★

სამშობლო

სასტიკ ბრძოლების და ჯაფის
გზა გაიარე ხანგრძლივი,
ფრთებს მაფარებდი პატარას,
ვით მართვეს დედა-არწივი.

სამშობლოვ, ახლა მემკვიდრე
მე ვარ, — მებრძოლი, შენი ძე,
რაც გადმომეცი, მის დაცვას
სამარადისოდ შევიძლებ.

ვფიცავ, ჩვენს ზღვაზე, მიწაზე,
ცაში თუ მტერი შემხვდება,
ვანანებ, მწარედ ვანანებ
უწმინდურს ხელის შეხებას.
ვერას დააკლებს გულშავი
სახალხო ბედნიერებას!

მშვიდობის მცველი

★

მთელი ჩვენი არსებით
მამულს ვუვლით, ვევლებით,
გვიყვარს შავნიადაგა
მისი ვრცელი ველები.
გვიყვარს უზარმაზარი,
დაბინდული მუხნარი,
გვიყვარს წყალვარდნილები
კლდიდან გადმომქუხარი...
მდინარენი უვრცესი,
სათიბები უვალი,
კარპატების ნაძვნარი,
ქედი ძველი ურალის.

ყველა შენ გაბარია:
ჩვენი მიწა, ჩვენი ცა.
საბჭოთა ჯარისკაცო,
დღეს ყველაფერს შენ იცავ.
ვუვლით წიაღს ქვეყნისას
დონბასში თუ ხიბინში,
გაზი გაგვყავს დაშავის,
ოქროს ვეძებთ ციმბირში.
თავს ვევლებით დიდ დროშას,
რითაც მტერი შევძარით,
ქვეყნებში რომ დაგვქონდა
ამონთებულ მზესავით.

მისი შუქის კაშკაშით
გული სკდება დუშმანთა,
წმინდა დროშა ფრიალებს
დღეს მშვიდობის გუშაგად.
ყველა ბრძოლას, მიღწევას
მისი შუქი ანათებს,
დროშა ძლევამოსილი
რაიხსტაგზე აღვმართეთ.
დე, ახსოვდეს ზღვისგაღმელ
მეატომე ავაზაკს,
რომ მშვიდობის ალალმა
ომის გზები ჩარაზა.
დე, ახსოვდეს მყეფარებს
წარსულ ომის გრიალი,
რაიხსტაგის გუმბათზე
ჩვენი დროშის ფრიალი.
საბჭოთა ჯარისკაცო,
გესმის ყეფა მტრებისა?
დღეს მშვიდობის დიდ დროშას,
წმინდა დროშას შენ იცავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანკისტი

ფრონტული ბალადა

★

ხვალ ამ ტანკისტზე მრავალ
ლეგენდას,
მრავალ თქმულებას შექმნის თაობა,
გამოკვეთავენ მაღალ ძეგლებად
მის ვაჟკაცობას, გამბედაობას.
ველზე ნალმების ხმა გრიალებდა,
იდგა გრუხუნი გასაოცარი,
თითქოს სამყაროს მთელი პლანეტა
გასცდა ცთომილის მსგავსად
მომწყდარი.
ტანკს მიჰყვებოდნენ უკან ქვეითნი, —
შურისძიების ძალად ქცეულნი.
ტანკი მიჰქროდა. უცბად მთელი ხმით
აქუხდა რვალი ახანძრებული.
გაწვნენ ქვეითნი.
ჰეი, ვინა ხართ,
ნახეთ ვაჟკაცი გალომებული.
დამწვარ ტანკიდან ცოცხალ
ჩირაღდნად
რომ ამოვარდა ალმოდებული.
ტანისამოსზე ცეცხლი ეკიდა,
მტერი მოჩანდა ბექის გადაღმა,
ხანძრადქცეულმა კაცმა ბექიდან
გამომყევითო, — ქვევითს გასძახა.
ტანკისტმა მტრების ზარბაზნებისკენ
გასწია, გაჰყვნენ ძმები ასობით.
ჯარს მიუძღოდა გამარჯვებისკენ
დროშა ცოცხალი, ცეცხლით ნაქსოვი.

თარგმანი **ოთარ ჭელიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრო კოზლანიუკი

ივანე კლიონის ნაამბობი

★

I

იმას ნუ უყურებთ, რომ ქოჩორი თრთვილივით თეთრი მაქვს, ახლა მე კიდევ, ეჰე... ცოლსაც შევირთავდი, ბებერი დედაკაცი და შვილები რომ არა მყავდეს. გეცინებათ განა? ეჰ, რასაკვირველია, ვხუმრობ, — რათ არ ვიხუმროთ ჩვენ დღეს? ბატონები არა გვყავს და კულაკებსაც თანდათან ილაჯი უწყდებათ, როგორც ბაღლინჯოებს ყინვაში. დაე, ჩვენმა მტრებმა იდარდონ!

ახალგაზრდა როდი ვარ. მაგრამ სიკვდილს ახლა არ ვაპირებ. აბა ერთი გამოჰყოს თავისი ცხვირი სიკვდილმა, კეტით დავუმტვრევ ბებერ ძვლებს, გასწი, წყეულო, ჩვენი კუთხიდან! ახლა ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ და ვიცოცხლოთ, — მაშასადამე, დაიკარგე აქედან, დამთხვეულო, ცხრა მთას იქით! აი რას გეტყვი.

ეს წინათ იყო, რომ ივანე სიკვდილს ნატრობდა. დიახ, სად არის ის ივანე, რომელიც წინათ ძმას ეჩხუბებოდა მიწის გამო. გადახნულია ის მიწა ახლა თავისი ყორღანიანად საკოლმეურნეო მინდორზე. ისე გადავხანით, რომ არასოდეს არ იქნება სოფელში ის კლიონი და მისი მიწა.

ახლანდელი კლიონი კი, მე, სულ ახალი ადამიანი გახლავართ და მეოთხე წელიწადია, რაც კოლმეურნეობაში ვარ. კარგად ვარ, ბავშვებიც კარგად არიან, არ ვიცით — რა არის გაჭირვება, ძმაც ისევ ღვიძლ ძმად გადამექცა, უკვე მტერი არაა და სიბერის ქამს მე მზად ვარ შევებრძოლო ყველას, ვინც გაიფიქრებს, რომ ძველი ცხოვრება დამიბრუნოს. მართალს მოგახსენებთ.

არ მინდა მე ეს ძველი ცხოვრება ასი მორგის[1] სიახლოვეზეც, მერწმუნეთ. იმიტომ კი არა, რომ არ მიყვარდეს ან მიწა ან მისი დამუშავება, — რა ბრძანებაა! მე მიყვარს მშობელი დედამიწა, როგორც ის უყვარს ხორბლის მარცვალს, რომელიც შიგ გაღვივდება, ძალას მოიკრებს და მშვენიერ ყლორტად, უხვ თავთავად გაიზრდება. იმიტომ რომ ჩვენც, პურის მომყვანებს, შეგვიძლია ვიზარდოთ მასზე, ავიწიოთ სულ მაღლა და მაღლა, მზისაკენ. წინათ როგორ იყო: გლეხად დაიბადებოდი — გლეხადვე ამოგძვრებოდა სული. ახლა ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია. შეგვიძლია ვთესოთ ჭვავი და ხორბალი, შეგვიძლია თუნდაც ვარსკვლავებს ვადევნოთ თვალყური, ადამიანებს ვასწავლოთ, წიგნები ვწეროთ, ჯარის მეთაურობა გავწიოთ. არაფერი გვაკავებს, როგორც გაზაფხულის ნაკადულებს.

იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ ბატონ-პატრონები ვართ. იმიტომ რომ მთელი მიწა-წყალი გარშემო ჩვენია, გესმით? არც ჩემია, არც შენია, არც პანისა, არც ივანესია — ჩვენია! ჩვენია საუკუნოდ — ჩვენ ხომ მიწაზე დავიბადეთ, მიწაზე ვმუშაობთ, საუკუნეების მანძილზე ჩვენ მას ჩვენი ოფლითა და სისხლით ვრწყავდით.

[1] მორგი — მიწის ზომა, დასავლეთ უკრაინაში, ოცდაათ ნახევარ დესეტინას.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრებაც მიყვარს მე ადამიანურად. მერე რა? ვის არ უყვარს, რომ მაძღარი იყოს და ისე მუშაობდეს, ღამითაც მშვიდად ეძინოს, არ ფიქრობდეს, თუ როგორ დაასრულოს სიცოცხლის დღენი, არ აწუხებდეს ფიქრი იმაზე, თუ რა გაატანოს ქალიშვილსა თუ ვაჟიშვილს მზითვად, არ ეშინოდეს, რომ ღვიძლი შვილები დაუწყევლიან საფლავში ჩასულ ძვლებს? აღარ არიან ისეთები! თითოეულს ადამიანური ცხოვრება უნდა, და არა უღელში შებმული ხარივით ცხოვრება. ქვეყანაზე მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობთ.

მაგრამ... მაგრამ ის არის, რომ ძველებური განწყობილებით შეუძლებელია კაცმა კარგად იცხოვროს. ამას უკვე მე თვითონაც კარგად ვხედავ მას შემდეგ, რაც თვალთაგან ბისტი მომცილდა. ეს ბისტი კი ჩვენს თვალებს მამა-პაპათაგან გამოყვა. სულელური ბისტი! ასე მგონია ყველაფერს ვხედავთ შორიდან, ნამდვილად კი შენს ყორღანს ხედავ და ძველ უბედურებას ოჯახში. ეს ჩემი ყორღანია, ეს ჩემი უბედურებაა, — მე ისინი მამამ დამიტოვა სამემკვიდრეოდ. არ მომაცილოთ ბისტი თვალთაგან, თორემ როგორ უნდა ვიცხოვრო თუ ყორღანებზე ძველ უბედურებას არ დავინახავ?

შევეჩვიეთ სოფელში ძველს და გვეშინია ყოველივე სიახლისა, როგორც ბრიყვ ხბოს რძით სავსე საწველელისა, ყურით უნდა ათრიო იგი ვედროსკენ. როცა გემოს გაუსინჯავს, დალევს, მერე კუდითაც რომ ათრიო, ვერ მოაშორებ. ასე გვემართება ჩვენც..

არ ვიტყვი, თითქოს ჭკუის კოლოფი ვიყო და კოლმეურნეობისა არ მშინებოდეს, — მეშინოდა! თვალი დაუდგეს ამ შიშს, ახლა სასაცილოდაც არ მყოფნის, ხოლო მაშინ მთვარეულივით დავდიოდი ეს ბებერი ჯირკი. ჩავეწერე და მთელი ღამეები არ მძინებია, მთელი ზამთარი, ხანდახან ვნანობდი კიდეც ჩემთვის. თითქოს ძველი ქერქი გშორდება და ახალს ჯერ კიდევ არ ხედავ. მაგრამ მივდიოდი და ვფიქრობდი — მემუშავა მთელი ჩემი ოჯახით, როგორც საკუთარ მიწაზე, ხოლო ბრიყვ შიშს, თავს რომ მიყრუებდა მაშინ, ვამშვიდებდი ასეთი აზრით:

„შენ, ივანე, ძალით ხომ არ შეგათრიეს კოლმეურნეობაში? თუ ჯაჭვებით დაგაბეს იქ? ხომ არა! მაშ გაჩუმდი და გააკეთე, რაც საჭიროა. ჰა დღეს და ჰა ხვალეო. შენ ნებაყოფლობით წახვედი — და ბატონის სასახლეში კი არ წასულხარ, არამედ კოლმეურნეობაში“.

ვიმუშავე კოლმეურნეობაში შვილებიანად მთელი ზაფხული. და მერე როგორ ფიქრობთ? მხოლოდ ახლა დავინახე, თუ რა მძიმე და უაზრო იყო ჩვენში წინანდელი ცხოვრება სოფლად: ისე მგლური, მხეცური, რომ პირდაპირ სამარცხვინო. როგორ შეიძლება ისე იცხოვროს ადამიანმა მომავალში და ეშინოდეს იმ ახალი, ბრწყინვალე, ადამიანური ცხოვრებისა, რომლისაკენ ჩვენ მოგვიწოდებენ კომუნისტები! აი, გაიგონეთ.

II

მთელი ხუთი წელი იტანჯებოდა მამაჩვენი ცხრა მთას იქით, სადღაც ინდიანის შტატში.

ჩინელებთან და იტალიელებთან ერთად იწვებოდა ის ფოლადის ჩამომსხმელ ქარხანაში, როგორც ჯოჯოხეთში. ცეცხლიან ღუმელებს იქით სინათლე არ დაუნახავს, ნახევრად მშიერი იყო, ძილი აკლდებოდა, ან როგორც იტყვიან, არც ცოცხლებში ეწერა, არც მკვდრებში, სამაგიეროდ ჩვენი სახლი და მიწა საჯაროდ გაყიდვას გადაარჩინა.

მიწა ცოტა გვქონდა — სამი მორგი, მაგრამ რას წარმოადგენდა მაშინ ჩვე-

ნი გლეხი უმიწოდ? ფრინველს! არა, არა! ფრინველზე უარესი იყო — იმათ ფრთები მაინც გააჩნიათ, ფრენა შეუძლიათ და იქ დაჯდომა, სადაც მოესურვებათ, ჩვენს გლეხს კი სად შეეძლო მაშინ უმიწოდ დაჯდომა? ცხადია, სად — ბატონის სასახლეში მეჯინიბედ, კუბოს კარამდე.

ეშინოდა მამას ბატონის პურისა. თავის თავზე როდი ფიქრობდა, ჩვენზე დარდობდა, — შვილებზე, სისხლით გამოზრდილებზე. ჩვენი ბრალია — ჩვენ გამოვაგდეთ ის სოფლიდან და ცხრა მთას იქით გადავკარგეთ. ჩვენ, ბალღები, ვაიძულებდით მას ოფლი ეღვარა ორ ცვლაში მუშაობის დროს იმ წყეულ ღუმელებთან. ჩვენ, ბავშვებმა, დავაბრუნეთ ის მშობლიურ ბუდეში განშორების შემდეგ.

ორი-ღა ვყავდით მამას — მე და სერგეი. როდესაც მამა ამერიკიდან დაბრუნდა, სერგეი მეთექვსმეტე წელში იყო, მე მეთოთხმეტეში. მარწყვივით ბიჭები ვიყავით. მუშაობაც გვიყვარდა, გულმოდგინენიც ვიყავით, უჩვენოდ, ალბათ, დედაც ვერ გადაიტანდა თავის უბედურებას, გაჭირვებულნი ვიყავით, მაგრამ, სამაგიეროდ, მეგობრულად ვცხოვრობდით.

— შვილებო! თანხმობა აშენებს, უთანხმოება არღვევს, — გვასწავლიდა დედა, როდესაც ჩვენ, ვინ იცის—რად, ერთმანეთს ქოჩორში ვწვდებოდით.

ვიზრდებოდით შეხმატკბილებულად, და მამამ შეგვაქო ამისთვის. დაისვენა და გვითხრა:

— აბა, შვილებო, მადლობა ღმერთს, ვალები გავისტუმრეთ, მიწა და სახლი გადავარჩინეთ გაყიდვას. მეც, ცხრა მთას იქით გადაკარგული, დავბერდი, დედაც მე თეთრი ნამცხვრებით არა მკვებავდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ხმა ჩავაკმენდინეთ ბანკსა და ყველა მღლეტელს სოფლად. მაგრამ ამით ძალიან ნუ გაიხარებთ.

— რათა? — ვკითხე მამას.

— იმიტომ, რომ გასახარელი მე და თქვენ არაფერი გვაქვს. მე მამამ მთელი მინდორი და სახლი დაძლიტოვა, მაგრამ ჩვენ, როგორც იცით, ძლივსძლივობით დავაღწიეთ თავი უბედურებას. აბა რა გამოვა, მე რომ ეს მინდორი გაგიყოთ, როგორ უნდა იცხოვროთ?

— მე ამერიკაში წავალ, — ჩაურთო სერგეიმ, მაგრამ მამამ ამაზე ხელი ჩაიქნია.

— არც ისე ადვილია, შვილო, ცხრა მთას იქით გამგზავრება. წყეული იყოს ეს ამერიკა, მეყო, რაც იქ განვიცადე.

— სერგეი სასწავლებელში უნდა მივცეთ, — ურჩია მამას დედამ — თუნდაც ფეიქარ კლიმს. პურის ფულს მაინც იშოვნის, ხოლო პატარა ივანეც მას მიბაძავს.

— რაო? რა უნდა მივცეთ ფეიქარს სწავლის ქირად? — ხელები გაშალა მამამ.

დედამ გამოიღო რამდენიმე გამჭვარტლული ამერიკული ბანკნოტი.

— აი, მაქსიმე, — თქვა მან, — მე გადავარჩინე ვალებსა და საკუთარ პირს, იქნებ მივცეთ ფეიქარს შვილისათვის. ბედ ეყოფა, დანარჩენს როგორმე შევაგროვებთ.

თითქოს უფრო გაგვინათლდა სახლი. იმავე კვირას სერგეი კლიმთან წავიდა, ხოლო მთელი ოჯახი შეუდგა საფეიქრო დაზგისათვის ფულის შეკრებას.

— მე გამოვიმუშავებ და ყველაფერს გადაგიხდით,—აღგვითქვა აღელვებულმა და გახარებულმა სერგეიმ.

და მართლაც ორი წლის შემდეგ ჩვენს სახლში უკვე იჯდა ფეიქარი. ნელ-ნელა დაიწყო სერგეიმ ცოტა რამის გადადება სახლისათვის და თავისთვისაც მიმალვა გამომუშავებული ფულიდან. სოფელში კი ძმას ურჩევდნენ — ცოლი შეირთეო.

— რა მოგვიდა, —ეუბნებოდნენ,— მუშაობ მამისა და ოჯახისათვის? ოსტატობა შენს ხელშია, — ითხოვე ცო-

ლი და იცხოვრე შენთვის, და არა ნათესავებისათვის.

— არა, მოითმინე, შვილო, ჯერ ნუ ირთავ ცოლს. ჩვენ ხომ ფეიქაი გაგხადეთ ყველამ, მთელმა ოჯახმა. ხომ მართალია? ასევე საჭიროა, რომ ივანეც მისცეს მთელმა ოჯახმა სამჭედლოში. ერთად გაჭამეთ შენ პური, ერთადვე უნდა ვაჭამოთ პური ივანესაც, ხომ ასეა, ჩემო ცოლო?

— ნუ გამაგონებთ ნურაფერს რძლის შესახებ, სანამ ჩვენი ივანე აგრე დადის, — თქვა დედამ.

მე კი ძალიან მიზიდავდა სამჭედლო, მეტისმეტად!

— აბა, სერგო, მოგვეხმარები? — ვკითხე ძმას.

— მოგეხმარები, ძმაო, მხოლოდ მოითმინე ცოტა.

— მოდი, ჯერ ვიშოვო რამე სადღესასწაულო ჩექმებისა და ტანისამოსისათვის, თორემ მრცხვენია გოგოებს ასე დავენახვო.

მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, იქნება ძმა ძმად გამომდგომოდა, ძგლად კი არ გამხდარიყო ჩემთვის წლების მანძილზე. ისე კი ბედმა არ გამიღიმა, მჭედელი ვერ გავხდი, ახლა ეს უბედურებად არ ითვლება, ვინაიდან ჩვენში საბჭოთა ხელისუფლებაა და ჩვენთვის და შვილებისათვის ვჭედავთ ოქროვან ბედს, რომელიც წინათ არც ერთ მჭედელს არ დასიზმრებია. მაგრამ მაშინ, მრავალი წლის განმავლობაში განვიცდიდი მწარე ბედს, ოჰ, რა მწარე ბედს!

აგრე დავობლდი მე მიწის მუშა, ხელდაკორძებული და გაჭირვებული. ამერიკიდან მოიტანა მამამ მძიმე ხველება: ისეთი მშრალი და სულისშემხუთავი, რომ ღამღამობით ჩვენ არ გვაძინებდა. ჰაი და ჰაი, ისმოდა საღამოდან დილამდე. ჯერ მხოლოდ ღამღამობით, შემდეგ დღისითაც დაეწყო მას სულის შეხუთვა. რას არ აკეთებდა, რომ თავი დაეღწია ამ ტანჯვისათვის. სვამდა ფიჭვის ქერქის ნახარშს, მაჩვისა და ძაღლის ქონს, და ყოველნაირ წვეთებს. არაფერი შველოდა. შემდეგ მამას წოლაც კი არ შეეძლო ღამით.

შემოდგომისათვის ჩვენ ცოტაოდენი ფული ვიშოვეთ, რომ მჭედლისათვის ბედ მიგვეცა. მაგრამ სწორედ ამ ბურუსიან დღეებში ჩაწვა მამა, ჩაწვა სერიოზულად. სულ გაყვითლდა და გახმა, როგორც ქერქი, და იწვა, როგორც გამხმარი ფარგა, გაფითრებული. არც კი ახველებდა, მკერდიდან ხიხინი და სტვენა ისმოდა.

ვეღარ წავედი სამჭედლოში, წავედი ქალაქში და ექიმი მოვიყვანე. გასინჯა ავადმყოფი და უიმედოდ ხელი ჩაიქნია.

— ოოო, მას ფილტვები სრულებით არა აქვს! — თქვა ჩუმად. — მოკვდება თქვენი მამა.

ეს იყო ოთხშაბათს. ხოლო პარასკევს საღამოს მამამ დაავალა დედას — მიეცა მისთვის თეთრი პერანგი და მოეხმო მწერალი და მეზობლები.

— ო, საწყალო ჩემო თავო, ეს რა ქენი, მაქსიმე? — თითქოს არც კი სჯეროდა დედას.

— ვგრძნობ, რომ აღსასრული დგება, — ხრიალით თქვა მან.

— იქნება მღვდელს დავუძახოთ, აღსარებას გათქმევინებს? — თქვა დედამ ტირილით.

— თავი დაანებე, ჩემო ცოლო, — ხელი გააქნია ავადმყოფმა, — არ არის საჭირო... მე ამერიკაში ვნახე თუ რა არის ჯოჯოხეთი... არ მეშინია...

მოვიყვანე მწერალი, მოვიდნენ მეზობლები. მამაჩემი ნიდაყვს დაყრდნობოდა, შესაბრალისი თვალები მოგვავლო მისი საწოლის გარშემო მდგომთ.

— ვკვდები, შვილებო, — თქვა მან, — და აქვე მოწმეებთან გიტოვებთ ანდერძს. ჩაწერეთ, ბატონო მწერალო... სახლს ვუტოვებ ორივე შვილს— ნახევარ ნახევარს. მაგრამ უფრო მეტ

ნახევარში იცხოვროს იმან, ვისთანაც ბოესურვება დაამთავროს თავისი სიცოცხლე ჩემს ცოლს, ხოლო თქვენს დედას — ნასტიას. ასევე თანასწორად გაიყავით ორივემ ეზო, ბაღი და ბოსტანი სახლის მახლობლად. მხოლოდ იცხოვრეთ, — მამამ ღრმად ამოიოხრა, — თანხმობით, არ იჩხუბოთ, არ იდავიდარაბოთ, როგორც იმ ტურბეებმა ყორღანისათვის, ქვეყნის სამასხროდ, იცოდეთ, დედათქვენს ახლა მშვიდი მოხუცებულობა უნდა ჰქონდეს და არა ცრემლები სამარემდის...

მამას ცრემლები მოერია და რამდენიმე ხანს ვერ მოახერხა ლაპარაკი. მწერალმა კიდევაც მოაგონა:

— თქვენს მინდორს რა ვუყოთ, მაქსიმ?

— ჰო, მინდორს... — თითქოს ახლა გაახსენდა მამას და ამოიოხრა. — იქ სამი მორგია... ერთ მორგს ნასტიას ვუანდერძებ მის სიკვდილამდე, ერთს — უფროს შვილს, ხოლო კიდევ ერთს — უმცროსს. მაგრამ ნასტიას სიკვდილის შემდეგ დედის მორგი უნდა გადავიდეს უმცროს შვილზე, ვინაიდან მე...

აქ ჩემმა ძმამ ვერ მოითმინა.

— ეს, — თქვა მან, — თანასწორად რომ არ არის, მამიკო? არ მინდა... განა მე...

ის ჩააჩუმეს, ხოლო მამამ კვნესა დაიწყო და მძიმედ სუნთქავდა.

— არა, არა, სერგეი, მე არ მიწყენინებია შენთვის, ეს ხალხმაც იცის, — თითქოს თავს იმართლებდა ყველას წინაშე, — შენ, შვილო, დაზგა გაქვს, მე შენ ლუკმაპური მოგეცი, ხოლო უმცროს შვილს, ივანეს... მე უკვე... ოჰ, შვილებო, ჩემო შვილებო...

ამ სიტყვებით კედლისაკენ გადაბრუნდა მამა და მისი სიცოცხლე დამთავრდა.

III

ჯერ კიდევ ლოგინზე იწვა მამა, გარშემო სანთლები ენთო; როდესაც ჩვენ ჩხუბი დავიწყეთ, დედამ თქვა:

— ჩვენ გვმართებს, შვილებო, ადამიანურად დავმარხოთ მამა, ფულები კი ტყუილა-უბრალოდ დავკარგეთ ეკლესიაზე. იქნებ შენ, სერგეი, ცოტას მოგკცემ იმ ფულებიდან, რომლებიც შენ ტყაპუჭისა და ჩექმებისათვის შეაგროვე?

— არა, დედა, — მოუჭრა სიტყვა ჩვენმა სერგეიმ, — ამისათვის მე ფული არა მაქვს. დამარხეთ, როგორც გინდათ, შენ და ივანემ, — მას მეტი ერგო. მე კი დიდი ხანია, ვფიქრობდი, ფული შემეგროვებინა და ცოლი შემერთო.

ესეც ასე. ახლა მოგონებისაც კი რცხვენია, მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო. ასეთი მხეცური ცხოვრება გვქონდა მაშინ, — მამა მამად არ მიაჩნდათ, დედა — დედად, ძმა — ძმად, — თითოეული თავისთვის იტაცებდა, გლეჯა-ძარცვაზე იყო გამწარებული.

დედა ატირდა, ხოლო მე სოფელში გავიქეცი, რომ მამის დასაკრძალავად ფული მესესხა. დავმარხეთ, როგორც იქნა, ქელეხიც გადავუხადეთ, თუმცა მუშაობისაგან ოფლის ღვარი მდიოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ულვაშები ამომდიოდა“, და ხელებსაც ბავშვობიდანვე არ ეშინოდათ კორძებისა. მხოლოდ ძმის მოქმედება მტანჯავდა. ისე მტანჯავდა, რომ სახლიდან გაქცევასაც კი ვაპირებდი. ის კი, არც მე და არც დედას, თვალებში არ გვიყურებდა, მხოლოდ ალმაცერად გვიბღვეროდა, თითქოს ღვიძლი ძმა კი არ იყო, არამედ მტერი.

პირველად ასე ვუთხარი დედას:

— იცით რა, დედა, ძალიან მწყინს, რომ სერგეი მგელივით გვიყურებს. იქნებ საჭიროა ნოტარიუსთან წავიდე თქვენთან ერთად და მას გავუყო თქვენი წილი? მიწა იმდენი არაფერია, რამდენიც მტრობა იქნება ჩვენ შორის.

— რაც გინდა, ის ქენი, ივანკო, — არ მეწინააღმდეგებოდა განსვენებული.

ხალხისგან კი მესმოდა, ძმა გაძაგებს სოფელშიო, ასეთიაო და ისეთიაო.

კისერზე მაზისო, და ძაღლის შვილმა, სიკვდილის წინ მამაც კი აამხედრა ჩემს წინააღმდეგო.

მწყინდა ძალიან, მაგრამ ვდუმდი. მაგრამ აი როგორღაც ზაფხულში სერგეი აცხადებს:

— შემოდგომაზე ცოლის შერთვა მინდა, დედა. ვისთან ფიქრობთ თქვენ ცხოვრებას: ჩემთან თუ ივანესთან?

— დედამ მოუჭრა:

— რა მინდა შენთან, სერგეი... შენ, — ეუბნება, — ახლაც კი სიამოვნებით ჩამიშვებ საფლავში.

— ჰა... კარგი, რაკი ასეა, გავიყრებით, — წარმოთქვა დაღვრემილმა. — რაც ჩემია — ჩემია, რაც თქვენია — თქვენ გქონდეთ.

რა სასიამოვნო იყო ჩემთვის ეს გაყრა მშობლიურ სახლში, მაგრამ რა უნდა მექნა? ჩვენ ერთად უნდა დაგვეძლია მოჯამაგირული ხელმოკლეობა, ჩვენ კი გაყრა დავიწყეთ. ვჩხუბობდით ქვაბებისა და ფეხსახვევებისათვის, ხოლო მდიდრები გვიყურებდნენ და ხითხითებდნენ. ყველაზე ცუდი ამბავი ძროხის გარშემო დატრიალდა. შუაზე ხომ ვერ გავგლეჯდით მას, დედას კი ვერ გააგონებდი, რომ ის სერგეისთვის მიეცა. „ძროხა ჩემია, მე მიყიდია და მომივლიაო“. მაშინ ძმამ სასამართლოში უჩივლა მშობელ დედას. მთელ სამ წელიწადს ვდაობდით სასამართლოებში და ვექილებს ვუთვლიდით გაჭირვებით ნაშოვნ კაპეიკებს. თხებივით გამოგვწველეს ამ სასამართლოებმა.

ამ პროცესის ფასად სამ ძროხას იყიდიდა კაცი ბაზარში. მადლობა ღმერთს, ახლა აღარ არის ასეთი სასამართლოები. არ უჩივიან ადამიანები ერთმანეთს წყეული ყორღანებისა და ფეხსახვევებისათვის. მაშინ კი ნახევარი სოფელი სასამართლოებში დარბოდა. ბატონები ხელებს ითბობდნენ ამ სულელურ პროცესებზე, ჩვენ კი ვიწვებოდით სასამართლოებში, როგორც მუმლები ჭრაქზე. სამართალს ვეძებდით იქ, სადაც ყველაფერი უკეთ ლმართობაზე იყო დამყარებული.

მხოლოდ ქურდსა და ავაზაკებს შეეძლო ეყბედა, თითქოს წინათ უკეთესი ცხოვრება იყო. მე მაშინ კი არ ვცხოვრობდი, რაღაც ბურუსში ვხეტიალობდი. სახლმაც დიდი უბედურება დამითია. აქამომდე ჩვენ, მთელი ოჯახი, სახლის მცირე ნახევარში ვცხოვრობდით, მეორე ნახევარი კი აივანს იქით, ჩემი და დედაჩემის საკუჭნაოდ გვქონდა გამოყენებული. გაყრის შემდეგ მე სასწრაფოდ მომიხდა მისი გადაკეთება ზამთრისათვის: უნდა ჩამესვა ფანჯრები, გამეკეთებინა კარები, ღუმელი, ოჰ, როგორ დამიკორძდა ხელები ამ სახლის კეთებისას! მაგრამ, როგორც იქნა, მე და დედამ ვზიდეთ ეს ტვირთი საკუთარი ზურგით.

ჩემმა ძმამ ცოლი შეირთო. ცოტახნის შემდეგ მეც შევირთე ცოლი. დედა დატანჯა ამ ავადმყოფობამ და დავიდარაბამ. საჭირო იყო მუშა-ქალი სახლში. რაღას გაგვამდიდრებდა ცოლის შერთვა, რა მზითევი უნდა მოჰყოლოდა ცოლს?

ნახევარი მორგი მიწა, ერთი მორგი... დიდი, დიდი... მორგნახევარი.

ქორწილი კი არ გადაგვიხდია, — უბედურება და გაჭირვება გადავიხადეთ.

შვილები გაგვიჩნდა სერგეისაც და მეც. კიდევ მეტი შევიწროება ვიგრძენით ქვეყანაზე, თავი ვერ დავაღწიეთ სიღატაკეს ვერც მე, ვერც ძმამ. მაგრამ ეს კიდევ ნახევარი უბედურება იქნებოდა, ერთ ჭერქვეშ მცხოვრებთ შორის მშვიდობა რომ დამკვიდრებულიყო. თორემ ვცხოვრობდით მე და ჩემი ძმა ერთიმეორის გვერდით, როგორც აღრენილი ძაღლები. ბოროტებით და შურით ვიყავით აღსავსენი, ცეცხლივით ვედებოდით ერთიმეორეს.

ცოლებიც წარამარა ნაწნავებში სწვდებოდნენ ერთმანეთს.

ყველაზე მეტი დავიდარაბა ბავშვებს

დაატყდა. ისინი ერთიმეორეს ეტანებიან, გამუდმებით ჟრიამულობენ და უნდათ ერთმანეთთან თამაში დერეფანშიაც, ეზოშიც, ქუჩაშიც. დედები კი მათ ბეგვავდნენ ამისათვის. ხან ჩემი ცოლი მისდევს სერგეის ბავშვებს კეტით, ხან სერგეის ცოლი ჩემს ბავშვებს ჭინჭარით. იდგა დღედაღამე ერთი აურზაური, ხმაურობა, კაცი მიწაში მოინდომებდა ჩაძრომას.

და ყოველწლიურად უფრო და უფრომ მატულობდა ჩვენ შორის შუღლი.

დღემდე კიდევ გვიდგას ეზოში ძველი მსხლის ხე, ალბათ პაპამ დარგო ან პაპის მამამ. ბევრ მსხალს ისხამდა, გვყოფნიდა ჩვენცა და იმათაც. მერე რა, ადგებოდა დილაადრიანად ჩემი ცოლი და კალთაში იყრიდა მსხლებს, სერგეის ცოლი ატყდებოდა, მთელ სოფელს მოსდებდა ამ ამბავს, ხოლო როდესაც სერგეის ცოლი დაარხევდა მსხალს, ჩემი ცოლი გაილესავდა ენას. დაუსრულებელი ჩხუბი გვქონდა, დაუსრულებელი ყვირილი ისმოდა.

— მოდი,—ვუთხარი ერთხელ ძმას,— ჯანდაბას, მოვჭრათ ეს მსხალი, ჩხუბსა და შფოთს ბოლო მოეღება.

სერგეიმ კი ამაზე მიპასუხა:

— მსხალი ჩემია. შენ ნუ მასწავლი, რა უნდა გავაკეთო.

— როგორ თუ შენი? ის ხომ შუა ეზოში დგას, და შეიძლება ითქვას: შენიც არის და ჩემიც, ჩვენი მსხალია.

— ვერ მოგართვი, — მედავებოდა ძმა, — ხე ჩემი ეზოს მხარეზეა, წინკარში გასასვლელის პირდაპირ.

— წინკარი მერე ვისია?

— ჩემია წინკარი!

— რატომ შენი?

— იმიტომ, — მითხრა, — რომ შენ ეშმაკურად შეძვერი დიდ ნახევარში, მე კი ვცხოვრობ პატარაში. მამამ კი სახლი შუაზე გაგვიყო. ასე რომ წინკარი ჩემია.

— ერთი შეხედეთ! იქნებ სახლში შესვლაც ამიკრძალო შენ, — გაგშალე ხელები.

— იარე, მე რას დავეძებ, — ჩაიბუზღუნა მან, — მაგრამ მე, იცი, ჩემს წინკარსა და ჩემს მსხალს ღობით გადავღობავ ჩემთვის. არ მინდა ყოველდღე შენ და შენს მყვირალა ცოლს გიყუროთ, გესმით?

— რა მოგივიდა, ძმაო, — ვეკითხები. — ჭკუიდან ხომ არ შეიშალე?

— შევიშალე თუ არა, იცოდე: შენთვის უნდა გაიკეთო წინკარი, ივანე.

თფუ! ჯერ ვიფიქრე, ასეთი რამ ჩემმა ძმამ სიბრაზისაგან წამოაყრანტალა-მეთქი, მაგრამ მერე დავინახე, რომ მესრებს ასობდა ეზოში და წინკარში გასასვლელამდე მოიყვანა ღობე.

განსვენებულმა დედამ ძლივს მოახერხა სახლიდან გამოსვლა.

— სერგეი, — ემუდარებოდა მას, — ნუ გააუწმინდურებ ჩვენს სახლს, ნუ შეარცხვენ ჩემს მოხუცებულობას და შენს თავსაც ხალხში.

როგორ ფიქრობთ, ეშველა საქმეს? თქვენც არ მომიკვდეთ!

— იჯექით, დედი, ღუმელზე, — უთხრა, — და ხელს ნუ მიშლით.

რა დამრჩენოდა: სასამართლოებში ხეტიალი? არა, მინდოდა თუ არა, სასწრაფოდ უნდა გამომეჭრა კედელში გასასვლელი და უნდა ამეშენებინა ახალი წინკარი.

აი ასე დაგვაშორა ჩვენ, ღვიძლი ძმები, მაღალმა ღობემ.

ოცდაათიან წლებში ხალხს ტანჯავდნენ და ციხეებში ყრიდნენ იმიტომ რომ ბატონებს ებრძოდნენ თავისუფლებისათვის. ჩვენ კი, სულელები, მე და ჩემი ძმა, ერთმანეთს ვებრძოდით მიწის ნაკვეთისათვის. დედა გარდაიცვალა, სერგეიმ ერთბაშად გადაწყვიტა წაეღო მისი ქონების ნახევარი. გაიყვანა გუთანი და დაიწყო ჩემს მიწაზე ხვნა.

მე უკვე ხუთი შვილი მყავდა. ცოლი

აქვითინდა. მე გავიქეცი, თითქოს ცეცხლი გაჩნდაო.

— არა-მეთქი, — ვუთხარი, — ეს ჩემია. შენ თვითონ იცი, არ მოგცემ. ძმურად რომ ცხოვრობდე ჩემთან, თვითონ მოგცემდი ნახევარს. ასე კი არ მოგცემ, ძე შვილები მყავს.

— მე კი ლეკვები მყავს? — აენთო სერგეი.

— შენთვის მე არაფერი წამირთმევია. ეს მე მეკუთვნის, უფლება მაქვს.

— მე კი თვითონ მოვიპოვებ უფლებას!

— არ მოგცემ.

— გამეცალე აქედან!

სიტყვას სიტყვა მოჰყვა, და ჩვენ ერთმანეთს ვწვდით ქოჩორში. უცბად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუშტი ცხვირის ძვალზე დამკრა. ღმერთო, მაშ ასე! ავიღე და ერთი მაგრად ვუთაქე თავში კეტი.

მოვარდა ხალხი. მე და სერგეი კი სისხლით ვრწყავდით იმ წყეულ მიწას. სად წაგვიყვანდნენ ორივეს? ცხადია, ქალაქში. ციხეში გაგვგზავნეს ჩვენი გასივებული ცხვირებით. რა სიხარული შეექნათ მდიდრებს!

— ეჰ, რა სულელები ხართ, სულელები, — მეუბნებოდა ხალხი ციხეში, — არ გრცხვენიათ, რომ ასეთ დროს ძმები ერთმანეთს თავ-პირს უმტვრევთ!

— მე თვითონ ვხედავ, რომ სულელები ვართ, — თვალი მოვარიდე ხალხს, — ღმერთმა დალახვროს, ბნელია ჩვენი ცხოვრება.

— უფრო ნათელი უნდა გავხადოთ, — მეუბნებიან.

— კი, მაგრამ როგორ გავხადოთ, როდესაც თვალებში ბნელა?

საბედნიეროდ, დიდხანს არ ვმჯდარვარ. ერთიც ვნახოთ, ბატონები მეძახიან დასაკითხავად.

— დაარტყი კეტი? — მეკითხებიან.

— დიახ, დავარტყი, — ვეუბნები, — ძეხი კი დაეცეს.

— თავში?

— თავში.

— ღვიძლ ძმას?

— მერე რა, — ვეუბნები, — ბატონებმა, — დაიქცეს ისეთი ცხოვრება და ისეთი წესები, როდესაც ძმაც ძმის მტერია.

— შენი ბედი, — მითხრეს ბატონებმა, — რომ მხოლოდ ძმას სცემე თორემ ახლა თქვენ ბატონებთან ბრძოლა გიყვართ. სხვა ვინმესთვის რომ გეცემა, აგრე კი არ დაგიწყებდით ლაპარაკს.

სამსამი კვირით პატიმრობა გადაგვიწყვიტეს. მოვიხადეთ სასჯელი. გამოვედი გარეთ, ხალხს ვერ ვუყურებდი სახეში, მრცხვენოდა. მიწაც შემძულდა. შემძულდა კი არა, საშინელი შეიქნა ჩემთვის ეგ მიწა. მინდვრისკენ რომ ვიხედები, სისხლსა ვხედავ. შევხედავ სახნავ მიწას — ადამიანი კი არა, მიწის პატრონი, პატიოსანი მამის შვილი, არამედ კაენი, ღვიძლი ძმის წინააღმდეგ დანით ამხედრებული!

ფუი, სჯობს, არ მოვიგონო!

მიწაზე ფიქრმა ისევ ციხის კარამდე მიმიყვანა. მხოლოდ ახლა ძმასთან კი არ მიჩხუბია, არა. ვეჩხუბე მაზრის სტაროსტას, პოლიციელებს, რომლებსაც სურდათ უკან დავებრუნებინეთ ჩვენ — ბატონის ბეგარისაკენ. ვერ მოგართვით, ვერ დაგვაბრუნებთ!

ციხიდან იმ სექტემბერმა გამათავისუფლა, რომელსაც გალიციაში ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს.

მე არ მინახავს, როგორ წაიქცა საზღვრის სვეტი ზბრუჩში. სამაგიეროდ, ვნახე, როგორ დაინგრა ჩვენი ღობე ეზოში.

იმავე შემოდგომაზე ორი დღით გაჩერდნენ ჩვენთან ტანკისტი წითელარმიელები, ოხუნჯები, მხიარულები, ისეთი ალერსიანები და შინაურები, რომ სულ გინდოდა — მოხვეოდი და გეკოცნა მთელი არმიისათვის. ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ეზო-ეზო, ჩვენი ცხოვრება აინტერესებდათ და თავიანთ

ცხოვრებაზედაც ბევრს მოგვითხრობდნენ. სოფელში ისმოდა საუბარი, ხუმრობა, სიმღერები. გვიკვირდა, როგორც ბავშვებს. იმათაც უკვირდათ ჩვენი ცხოვრება.

მკითხეს:

— ვინ ცხოვრობს აი, იმ ღობის იქით?

— ჩემი ძმა, — ვუპასუხე.

— ძმა? მერე ეს ღობე რაღად გინდათ?

— ისეთი საქმე მოგვივიდა, — ვუპასუხე მე, — რომ სხვისთვის თქმისა მრცხვენია, — ვჩხუბობთ მე და ჩემი ძმა.

— რისთვის ჩხუბობთ?

— მიწისათვის.

— რომელი მიწისათვის?

— მამისეული მიწისათვის. ასე გაგვიყო განსვენებულმა მამამ.

ყველაფერი ვუამბე, როგორც მოხდა, — იმათ კი ხარხარი დაიწყეს.

— სისულელეა!.. — ახმაურდნენ გარშემო, — ამისათვის უნდა მტრობდეთ ერთმანეთს?.. აღარ არსებობს ეს განხეთქილების ვაშლი თქვენს შორის. ახლა თქვენში საბჭოთა ხელისუფლება მყარდება. ხოლო საბჭოთა ხელისუფლება თქვენ გაძლევთ ბატონების მიწას საუკუნოდ. გესმით? იყავით პატრონები თავისუფალ უკრაინაში მიწაზე. ახლა მიწაც თქვენია მთლიანად, ტყეებიც, ქარხნებიც, ფაბრიკებიც, ყველაფერი თქვენია, სახალხოა!

ღობის იქით, მესმის, ამაზევეა საუბარი.

— ბიჭებო, — იძახიან იქიდან, — როგორაა თქვენთან, „საზღვარგარეთ“, საქმე, დიდი სიმდიდრე გაქვთ?

— იმდენივე, რამდენიც თქვენა, — იყო ჩვენგან პასუხი.

— რას იტყვით, რომ ეს საზღვარი წავაქციოთ საერთო ძალ-ღონით? დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევთ?

— ალბათ არავითარს, — იყო პასუხი, — ჩვენ ყველა საბჭოთა ადამიანები ვართ, ხოლო საბჭოთა ადამიანებს ძმობა და მეგობრობა უყვართ. თქვენ?

— ჩვენც ყველანი საბჭოთა ადამიანები ვართ.

ასეთ ხუმრობასა და ოხუნჯობაში ტკაცუნი დაიწყო ჩვენმა ღობემ, ტკაც, ტკაც... შემდეგ იქიდან მოაწვნენ და ღობეც მოისპო ჩვენს შორის სამუდამოდ.

— ვაშა! — გაიძახოდნენ წითელარმიელები და ქუდებს მაღლა ისროდნენ.

ვუყურებ, სერგეი დგას და იღიმება. მხიარულია, როგორც მზე, ახლო მივედი და ვეუბნები:

— რას ფიქრობ, ძმაო? იქნება მივულოცოთ ერთმანეთს თავისუფლება?

მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ პირველად გადავეხვიეთ ერთმანეთს და ვაკოცეთ, როგორც ღვიძლმა ძმებმა და, მერწმუნეთ, იქვე, ხალხში, ავტირდით. ჩვენი ცოლებიც გადაეხვივნენ ერთმანეთს და ქვითინებდნენ. სამხედროებს კი სადღაც არაყი ეშოვათ და ჩვენ ახალ ცხოვრებას გვილოცავდნენ.

მე და სერგეი კი არ ვიყავით მარტო მსხლის ძირას — მთელი ქეიფი იყო გამართული. ჩვენი შვილებიც თითქოს ახლა დაიბადნენ..

ჯერ კიდევ მაშინ, შემოდგომაზე, გავიყავით სოფელში ბატონის მიწა, — ორი ათასამდე დესეტინა. მზიანი დღე გაგვითენდა, ნათელი ცხოვრება დაგვიდგა.

გავიგონე, აქაც, იქაც კოლმეურნეობები ჩამოყალიბდაო, ხოლო საბჭოთა როსტოკებში პირველი საბჭოთა შემოდგომიდანვე არტელებში მუშაობენო. გაზაფხულზე წავედი ამბების გასაგებად. დავდივარ, ვუყურებ, ყველაფერს ვკითხულობ გამომძიებელივით.. ოჰო, მართლაც-და თურმე ადამიანები უფრო კარგად ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენ ჩვენს ნაგავზე. მე რა? მიჯაჭვული ხომ არა ვარ ამ დაუსრულებელ ტანჯვაზე?

ხალხმა გაიგო, რომ ჩვენს სოფელში ასზე მეტი აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც სულ კოლმეურნეობაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ... ჩამოწვა შავი ღრუბელი, ომი დაიწყო.

ჩემს დღეში არა ერთი ხელისუფლება გამომიცდია. ვიგემე სხვადასხვაგვარი „კონსტიტუცია". ყელამდე მაძღრები ვიყავით ფრანცისებური კეისარის, კოსტია ლევიცკის „უკრაინის" და პილსუცკის სეიმის „თავისუფლებით". გერმანელებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ისინი ისე გაგვიმასპინძლდნენ თავიანთი ახალი „წესებით", რომ საფლავშიაც არ დაგვავიწყდება.

ბევრი არმია გვინახავს, ბევრი ხელისუფლება, ადამიანს შეეძლო გაეგო, ვინ რას წარმოადგენდა, და მივხვდით, რომ მხოლოდ ერთ ხელისუფლებას სურს გულწრფელად ჩვენთვის სიკეთე—საბჭოთა ხელისუფლებას, ვიტყვი, კი არ სურს მარტო, არამედ ახორციელებს ამ სიკეთეს ყველგან — სოფელშიაც და ქალაქშიაც. ის ამბობს: „დღემდე შენ, გლეხო და მუშავ, კი არ ცხოვრობდი, არამედ იტანჯებოდი. აი ჩაიბარე მიწა, ჩაიბარე ფაბრიკა, ჩაიბარე ყველა ტყე და წყალი, იმუშავე და იცხოვრე ადამიანურად და არა ისე, როგორც უღელში შებმული ხარი ცხოვრობს". ამიტომ მე ვუთხარი ჩემს თავს პირველსავე კრებაზე: „ნუ გეშინია, ივანე, ახალი ცხოვრებისა. მართალია, ჯერ არაფერი იცი, მაგრამ ერთი რამ კარგად შეიგნე: რომ კოლმეურნეობა ხალხია, საზოგადოებაა, ხოლო საზოგადოება დიდი ადამიანია, ამას ყველა ამბობს. რაც ყველას, ის შენც. შენ ხომ არ შეგიძლია ყველა საბჭოთა გლეხზე მეტი ჭკუა დაიკვეხო და განზე გადგე, როგორც ცხვარი ბალახში. ხომ ხედავ, ყველა საბჭოთა სოფელში კოლმეურნეობაა". აი როგორ ვფიქრობდი. და მე მარტო როდი ვიყავი სოფელში. ახლა არ ვნანობ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც დღესაც ფიქრობენ: „ჩემს მიწაზე მე პატრონი ვარ. როცა მინდა — ვჭამ, როცა მინდა — ზურგზე ხელებს დავიწყობ და ვუსტვენო".

ჯერ კიდევ არიან ასეთები! მაგრამ მაჩვენეთ ერთი ეს „პატრონი". მე ამას პირში ვეტყვი: „ტყუი, ძმობილო, ვერ მომატყუებ, რადგან მე ასეთ „პატრონობაში" დავბერდი. ეშმაკმა დალახვროს ასეთი „პატრონობა"! არც სჭამ, ძმაო, როგორც წესია, არც გძინავს, საითაც გაიხედავ, ყველგან უბედურება გელის".

ეს მე უკვე ვიცი.

ძველი უბედურება — გლეხის ძველისძველი საზრუნავი გიღრღნის გულს დღე და ღამე. ვთქვათ, ხუთი მორგი მიწა გაქვს და სამი შვილი გყავს. შენ თვითონ ვითომ პატრონი ხარ და ძალღონე შეგწევს ასე თუ ისე თავი გაართვა გაჭირვებას. მაგრამ შვილები იზრდებიან, მიწა კი არ იზრდება. შეგიძლია განა დამშვიდებულად გეძინოს, როდესაც იცი, რომ შვილებს მალე არც საჭმელი ექნებათ და არც დასაძინებელი ადგილი? მე ვიტყვი—არა! აი რატომ ვამბობ, რომ ჩემთვის უკეთესია კოლმეურნეობა, აქ მე საზრუნავი არ მიღრღნის გულს. მიწა კოლმეურნეობაში აუარებელია, და სულ ჩემია, ჩვენი, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მდიდარი მზითევი. გარჯით, სურვილი თუ გაქვს, საზოგადოებრივი გონებით და ძალ-ღონით — არ დაიკარგები ამ მიწაზე. თუ ხანდახან რაიმე მოუწესრიგებელი ადგილია კოლმეურნეობაში — ეს მარტო შენი საზრუნავი კი არ არის, არამედ მთელი საზოგადოების საზრუნავია. ეს კი გვიმსუბუქებს მდგომარეობას.

მე პატრონი ვარო ჩემს მიწაზე... ჰო, ვიცი, ვიცი: ასეთ „მეურნეობაში" სულ იმაზე ფიქრობ, თუ სად შეიძინო თუნდა მიწის ნაჭერი, რომ სულ მათხოვარის

ხალთა არ გელანდებოდეს. ის კი საფლავის კარამდე სულ გელანდება. აქ დაგეწვება ყანა გვალვისაგან, იქ ნიაღვარი წალეკავს, სხვაგან სეტყვა გაგიფუჭებს... სიხარულს მოკლებული ხარ მზისაგან, ღრუბლისაგან, გაზაფხულისა და ზაფხულისაგან, — ყველაფერი მხოლოდ შენს წინააღმდეგაა ამხედრებული. მეზობლებს უხარიათ კიდევაც, როცა რაიმე უბედურება შეგემთხვევა: მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ არ შეგვემთხვაო.

ახლა, ერთი შეხედეთ კოლმეურნეობას! იქ არა მარტო ერთად ვმუშაობთ, არა მარტო ერთად ვიბრძვით უკეთესი ცხოვრებისათვის, არამედ ერთადვე სიკეთე გვსურს ერთიმეორისათვის, ერთადვე ვუწევთ დახმარებას, ვისთვისაც ამ დახმარების გაწევა საჭიროა.

აბა ნახეთ ასეთი რამ ძველ სოფელში!

არ ჰქონდა ლუკა ვასილევს საკუთარი სახლი? მერე რა, კოლმეურნეობამ დაადგინა და გაზაფხულზე დაუდგეს. ავად გახდა ქვრივი ქალი პარანია! ჩვენ ზას ექიმი ჩამოვუყვანეთ ქალაქიდან და საგზურიც კი ვუყიდეთ მთებში წასასვლელად. არც მისი შვილები დავტოვეთ მშივრები. ჩემს შუათანა შვილს ძალიან უნდოდა ტრაქტორისტობა, კოლმეურნეობა აქაც დამეხმარა. აი სად არის კარგი ცხოვრება! ამიტომაც სასაცილოდ მეჩვენება, როდესაც ვინმე შემეკითხება — გვაქვს თუ არა პური და გეყოფა თუ არა ის ახალ მოსავლამდე კოლმეურნეობაშიო. თითქოს მე ბრიგადირი არ ვიყო არტელში, არამედ ბატონის სასახლეში ვმსახურობდე რვა ჩამჩა ქატოსა და ორი გუდურა წნელისათვის წელიწადში.

არა, მადლობა ღმერთს, პურზე აღარ ვფიქრობ. პური ჩვენ უკვე ყოველთვის გვექნება. და როდესაც სულ პურზე არ ფიქრობ, მაშინ ნება-უნებლიეთ სხვა რამეზე მოგინდება ფიქრი. რაზე?

ვიტყვით, როგორ გავაკეთოთ ეს ერთად. როგორ გავაკეთოთ კიდევ ის, რომ კიდევ უკეთესად ვიცხოვროთ, რომ ჩვენმა შვილებმა კიდევ უკეთესად იცხოვრონ, — რომ ყოველმა ადამიანმა კარგად იცხოვროს ქვეყანაზე.

თარგმანი უკრაინულიდან **მ. კინწურაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ გლოგოვი

სტუმრები

★

1

დილით სოფლის შარაგზით
მიჰქრის ავტომობილი,
მხიარული, ლამაზი
ეგებება სოფელი.

წინ უსაზღვრო ზღვა არი,
უხვი და ოქროსფერი,
— ოქროა, მაშ, რა არი,
იტყვის ჟურბა შოფერი.
ისევ ზღვა და კორდები,
უმზერ და ვერ შორდები.

მოდუდუნე წყლის პირად
სვია ჰყვავის ცისფერად.
ბაღში ხილნარებია,
გზისპირ ჩინარებია.
ისევ გზა და ხიდია,
პურის ზღვა და ბეღლები.
ჩვენთან სტუმრად მოდიან
რუმინელი გლეხები.

უკვირს, უკვირს პეტრუ ბეჟს:
რა არ ხარობს ამ ცის ქვეშ,
მიჯნაც ჩაუქოლიათ,
უქმად არ უბრძოლიათ,
არც ჩვენ ვართ უცხოელი,
მივბაძავთ ამ ქვეყანას,
ისეთ ხორბალს მოელის
რუმინეთი ჩვენგანაც
მთელი ღონით და ძალით
დავძლევთ... ჟამი დადგება:
არხის წყალით დატკბება
ჩვენი მიწა ნაკრძალი.

მას მიუგებს შოფერი:
სხვაა თქვენი სოფელიც,
მიწის მიჯნა არც არი,
გასწი, გადაასწარი,

მაშინ ოქროს მარაგად
შინ გეწვევა ბარაქა.
იქაც, — სვია წყლის პირად
აყვავდება ცისფერად,
ხეხილების ფანტელიც...
მიჰქრის ავტომობილი.
სტუმრებს ელის „ფრონტელი“,
კოლექტივი ცნობილი.

2

იცდის ლუკა შუგაი,
ბრიგადირი ცალხელა,
დგას შეღებილ ჭიშკართან,
სწევს პაპიროსს და ღელავს.

კმაყოფილი, ლაღია,
წინ არტელის ბაღია.
თავს ვეღარ სწევს ხეხილი
წელში გადაგრეხილი.
მიდის იურკო ბაბუა,
მას რძე მიაქვს არტელის,
არხევს წვერებს ღაბუას,
ტკბილი და უდარდელი:
— ლუკას დილა-მშვიდობის,
— გაგიმარჯოს, ბაბუა,
— სტუმრებს უცდი?
— ნამდვილად.
— სოჭს მივალ, აქითობას
რა ვიყიდო ამ დილას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუმცა: საჭმელ-სასმელი
მაქვს ზედმეტი ულუფა,
წამოიღე ნამყენი,
რამე ტკბილეულობა...

ლუკა სად არ ყოფილა,
რუმინეთშიც ყოფილა,
წინ ასეულს უძღოდა,
ჰკაფა ურდო უცხოთა.

ახსოვს ერთი სოფელი,
ნაცარტუტად ქცეული,
იხსნა ჭირში მყოფელი,
ბერიკაცი სნეული.
მოხუცი თვალს გაახელს
მხსნელის დასანახავად.
— რა გვარი ხარ!?
და ლუკამ:
— საბჭოელი გახლავარ!
შემდეგ, სოფლის ბოლოში
მოხვდა სასტიკ ბრძოლაში,
მტერს ანანა გაჩენა..
იქ დატოვა მარჯვენა...

3

ლუკას თეთრი, მაღალი
სახლი უდგას ახალი.
მსხლის ხეხილთა ტოტები
ფანჯარაში შემოდის.
— კარგებია?
— მოწყვიტე,
თვით შეიტყობ გემოთი!

ბაღში ვარდის კრებული
მოჩანს გაცისკრებული,
თრთიან, შარიშურობენ
სიოს ნელი შეხებით...
დღეს ლუკასთან სტუმრობენ
დუნაელი გლეხები.

ინახულეს ბავშვები,
მოისმინეს ლექსებიც,
შემდეგ ბავშვებს დაშორდნენ
ტკბილი მოალერსებით.

ნახეს ბაკი ნახირის,
ტბის ქათქათა ნაპირიც,
აქ ბატების კრებულით
დარჩნენ განცვიფრებული.
დატკბნენ პირველ დღესავე,
ცოტაც წაითევზავეს.
აი, ძველი სამჭედლო
კვამლი ჰბოლავს ხეებსაც,
შიგ შედიან:
— რას ჭედავთ!?
— ვჭედავთ შრომადღეებსა!
სტუმრებს ჰკითხავს პანასი:
— მოგწონთ ამ ქვეყანაში?
ბეჟამ არეს გახედა:
— მიმძიმს წასვლა აქედან!

ახლა ლუკას ისინი
სხვა გზით მიჰყავს, სხვა მხარეს,
უხარია, იცინის,
და სტუმრებსაც ახარებს.
წისქვილებთან დგებიან,
და სურნელით ტკბებიან.
ხან ტყედატყე მიდიან,
ხან წყალს გავლენ ხიდიანს,
პურის... პურის ყანები
ფშვინავს აღაღანებით.

ლუკა დაფშვნის თავთავებს,
პეტრუ ხელს ასავსავებს:
— რა ბრჭყვიალა, დიდია,
მართლაც მარგალიტია!

— თავთავებით იბრძოდა
ჩვენი ალექსეევნაც.
რომ ვთქვა, გაგიკვირდებათ,
იმან რაც დაიქადა:
ორმოც ცენტნერს გვპირდება
წრეულს მისი ბრიგადა.
გამრჯე და მებრძოლია...
— ის ვინ არის?
— ცოლია!

4

ბაღში ხილნარებია,
გზისპირ ჩინარებია.

უქმად არ უბრძოლიათ,
მიჯნა ჩაუქოლიათ,
უხვი და ულეველი
ოქრო ამოეყვანათ...
ასეთ ხორბალს მოელის
რუმინეთის ქვეყანაც.

უხარია პეტრუ ბეჟს:
— ჩვენს მშობლიურ მიწამდის
მოდის თქვენი სახელი...
ალბათ, გიმძიმთ ცალხელით...
სად დატოვეთ!?

— იასსთან.
ერთ დროს მე თქვენ გეცავდით!

ასე დგანან ერთ მზის ქვეშ,
გრძნობით განაშუქარნი:
კოლმეურნე პეტრუ ბეჟს
ძმობას ჰფიცავს შუგაიც.
პურის ზღვა და კორდები...
უმზერ და ვერ შორდები.
სიო არხევს ყანასა,
მღერის იავ-ნანასა!

თარგმანი **ალიო მირცხულავასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინა ვილდე

ქათმები

მოთხრობა

★

... აიღებ ერთ მუჭა თესლს, დაჰყრი მოხნულ მიწაზე და არ იცი, სად რომელი მარცვალი დავარდება. ასევე შენც, ივანე, არ იცი, როდის რა აზრი მოგივა თავში. განა ფიქრობდი შენ ამაზე თავდაპირველად, როდესაც ანა დაინახე მუხის მორზე?

როგორ იყო ეს მაინც, როგორ?

მიდიოდა ის ურმით. მორზე დაედო ერთი იღლია თივა, მამაკაცური დიდი თექის ჩექმები, სასაცილო უთითო ხელთათმანი ეცვა და ქალის ხმა რომ არ ჰქონოდა, რომლითაც ცხენს ერეკებოდა, შეგეძლო გეფიქრა — მამაკაციაო.

— ცხენებიც ხომ შენიშნე, ივანე, — თავს ხშირად მოაბრუნებდნენ ხოლმე და თითქოს სწყინდათ, რომ ქალის ხელი მართავდა მათ, შენ ხომ მაშინ ესეც შენიშნე?

და იფიქრე კიდევ, რომ მას შემდეგ, რაც აქ, ამ ტყის პირას, ცხოვრობ, არ გინახავს, რომ ქალებს თვითონ წაექციათ მუხა. ხომ მართალია, ეს გაიფიქრე მაშინ?

მაგრამ, მოითმინე! ხუთი თუ ექვსი ქვრივი ქალი მიჰყვებოდა ურმებით ამ მორებს, შენ კი მხოლოდ მარტო ანა დაგამახსოვრდა. ისიც, თუ რა ეჭირა ხელში, რა ეცვა ფეხებზე, და როგორ ერეკებოდა ცხენებს... ხომ?

მართალია, მართალი, შეგეცოდა საწყალი ქვრივი ქალი. მაგრამ იმ ხუთ თუ ექვს ქალსაც არ გაჰყოლიან ტყეში ქმრები, ისინი არ შეგეცოდნენ? ან იქნებ მათ უფრო პატარა ბავშვები ჰყავთ, ვიდრე ანას? იქნება ისინი ანაზე უფრო სუსტები არიან? რად არ იფიქრე ამაზე, ივანე?

ან იქნება ამ მუხებით დატვირთულმა მარხილებმა, შენს ფანჯარასთან რომ თოვლი აჰყარა, რაიმე გაგახსენა? იქნებ მოგაგონა ზამთრის ერთი ღამე, როდესაც ასეთივე კორიანტელი იყო გარეთ, თვალებში ადამიანს ქარი ცივ ნამქერს აყრიდა და ისეთი ქარბუქი იდგა, რომ ადამიანი ფეხზე ვერ დგებოდა? გახსოვს? მაშინ თქვენ ყველანი ბიცოლა იავდოხის სახლიდან გამოცვივდით. ყოველი თქვენგანი აღტყინებული იყო (ახალგაზრდული სისხლის ბრალია, ივანე!) ისე, რომ ცხენების მსგავსად ოხშივარი აგდიოდათ.

შუაღამემდე დარჩი. კიდევ ერთი საათი უნდა მოგეთმინა, რომ ანა გაგეცილებინა სახლში.

შენ კი შეგეშინდა, ივანე, რომ ამ ერთ საათში თოვლი სულ დაფარავდა გზებს და, სანამ დილით პირველი მარხილი შეგეჩეხებოდა, შენი სული ღმერთთან დაიწყებდა საუბარს...

შეიძლება თვითონ ანასაც არ გაეშვი ასეთ ქარბუქში? იქნებ თქვა, რომ ფეხზე გაგეხადა წინკარში და ფეხშიშველი გაჰყოლოდი უკან, რომ მოხუცებულები არ გაგეღვიძებინათ? მაგრამ არა! შენ ამაში არ იყა-

ვი დარწმუნებული და ამიტომაც მინდორში ქარიშხალი არჩია.

მაგრამ რა მოხდა: თედორემ „გიშველა“ შენ, ივანკო! ქალიშვილი გააცილა მაშინ, და თითქმის გათენებისას დაბრუნდა სახლში, როდესაც ქარბუქი ჩადგა.

ახლა კი თედორე მოკლეს ომში, შენი ცოლი გარდაიცვალა. ის ზამთარი დიდიხანია გავიდა, და კიდევ თხუთმეტი ზამთარი თან გაიყოლია.

ახალგაზრდობაც წავიდა, ივანე. თითქოს ვიღაც ნაჭერ-ნაჭერ ეზიდება ჩვენს ცხოვრებას ერთი ნაპირიდან მეორეზე. ხომ ასეა?

ყველაფერმა განვლო, როგორც სიზმარმა ზაფხულის ღამეში!.. ჰო, გვეყო, შემოცვივდნენ სახლში ქათმები, აკენკეს ღომი... აი შენც საზრუნავი გაგიჩნდა, ივანე.. შენც იტყვი კარგი ვინმე ვარო, ყველაფერი ეს იმ..ტომ ხდება, რომ ყველაზე ბრიყვი ადამიანივით ცხოვრობ! ტყუილა კი არ დადის შენზე ხალხში ამდენი მითქმა-მოთქმა. ოთხი წელიწადია, რაც უდიასახლისოდ ცხოვრობ, ოთხი წელიწადია, რაც შენ თვითონ იმზადებ ღომს და დღემდე არ იცი, რომ, როცა საჭმელს ამოიღებ, ტილო უნდა გადააფარო.

შენ კი როგორ მოიქეცი? ამოყარე ღომი, რომ გაციებულიყო, ხოლო თვითონ უგრეხელის დასაცხვად წახვედი... და სულ დაგავიწყდა სადილობა!

ქათმებმა დაინახეს ღია კარი, დაინახეს, რომ არავინ იყო, შეწუხდნენ, იატაკზე ნისკარტი გაიწმინდეს, ფრთა ფრთას შემოკრეს, აფრინდნენ მაგიდაზე და დაიწყეს ახლადგაცივებული ღომის კენკვა.

რა სასაცილო იყავი, ივანე, როდესაც სახლში შემოვარდი საცეხველი კეტით! ღმერთო ჩემო! სად გაგონილა, რომ საცეხველით ქათმებს დაეროს კაცი? სწორედ ისევე, როგორც ის ზღაპრული გლეხი, ცოლს რომ გაუცვალა სამუშაო... ქათმებს თავაზიანად უნდა მოექცე, შენ კი ყვირილი და ხმაური ატეხე... იყავი ახლა: რძით სავსე სურა დამტვრეულია, სუფრა წაბილწულია ქათმებისაგან, სადილიც აღარ გაქვს

იდექი ცოტა ხანს სურის ნამტვრევებთან, დაფიქრდი და... ანა გაგახსენდა.

მერე-და რატომ ახლა გაგახსენდა ანა? იქნებ აზრად მოგივ და, რომ მისი ეზო უმამაკაცოდ ისევე გამოიყურება, როგორც შენი სახლი უდედაკაცოდ?

ჰო, შეგეცოდა ხომ ანა... ისე მოლბებოდა შენი გული, რომ შენივე თავი შეგეცოდა: განა ეს ცხოვრებაა მამაკაცისათვის, როდესაც თვითონვე უნდა რეცხოს ჭურჭელი და ქათმებს სდიოს? და განა ეს ცხოვრებაა დედაკაცისათვის, როდესაც თვითონ უხდება ტყიდან შეშის მოტანა? ეს-ღა აკლდა მას, რომ მორზე მჯდარიყო და ყალიონი მოეწია!

აი, ხალხი ამბობდა, რომ სახლის სახურავი ვერა აქვს წესრიგშიო. მერედა, რატომ შენთან არ მოვიდა და არა გთხოვა? შენ ხომ უარს არ ეტყოდი დახმარებაზე?

განა ბევრი თხოვნა დაგჭირდებოდა? აბა, გამოტყდი, ივანე!

... ფუთფუთებ სახურავზე მილის ახლოს და სახლის სასიამოვნო კვამლი ნესტოებში გიღიტინებს. ზიხარ შენთვის სახურავზე და იცი, რომ იქ, ქვემოთ, ვიღაცას ხელები შენთვის ზრუნავს, ის-ის იყო გაიფიქრე ეს, და უცბად, ერთი შევხედოთ, გამოდის ფილაქურასთან გახურებული ახალგაზრდა ქალი, ხელისგულს გვერდულად შუბლზე მიიდებს და გთხოვს:

— შემოდი ერთი, ივანკო, სახლში, ვისადილოთ... როგორც იტყვიან, რაც გაგვაჩნია...

შენ კი არც ძალიან ჩქარობ. იმიტომ კი არა, რომ არ გშია ძალიან, არა! მაგრამ გინდა დაიცვა შენი მამაკაცური ღირსება, ჩამოხვიდე აუჩქარებლად, დინჯად, ახალგაზრდა ქალიც შეწუხდეს მოუთმენლობისაგან.

მერე? ჭამე, სვი, დანაყრდი, შეიძლება წახვიდე... თითქოს ქუდსაც ეძებ.

— სად დაიკარგა ჩემი თავიო? — ხუმრობ.

ის-ის იყო წასვლა დააპირე, — უცბად ქალი შენსკენ გამოემართა, თვალები დახარა, ნაბიჯს მოუკლო, ხელები გულზე დაიკრიფა.

— ხომ არ შეიხედავ, ივანკო, ჩემს საცეხველში? იქ კუთხეში თითქოს წვიმა ჩამოდის. და თუ შეღამების გამო სახლში წასვლა არ გინდა, შეგიძლია იქ გაათიო ღამე...

განა შენ უარს იტყოდი მზრუნველი თვალით დაგეთვალიერებინა ქვრივი ქალის საცეხველი?

დილით კი ჯერ კიდევ მძინარესთან მოაქვს მას შენთან რძე, ჯერ კიდევ თბილი. მოსვამ — და ულვაშებზე თხელი თეთრი ზოლი გრჩება. ერთად გეცინებათ, რომ ულვაშები რძით მოსვრილია. შენ კიდევ ერთი ხელით ულვაშებს იწმენდა და მეორით კი ცდილობ ახალგაზრდა ქალს მოეხვიო...

უჰ, გეყოფა, ივანე, თორემ ძალიან შორს შესტოპე...

გესმის, ივანე: რა იქნება, რომ შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც გააკეთო კეთილი საქმე, ა? რომ ცოლი ტვირთია, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ დაფიქრდი თვითონ: შვილები შენ არ გაგიზრდია, ობლები სახლში არ შეგიყვანია, ასე უნდა მოკვდე?

ეჰ, რა ჭკუის კოლოფი ხარ, ივანე? ქვრივი ქალის ბავშვებისა გეშინია!

აბა, ბევრს ნუღარ ფიქრობ! შეაგროვე, საცოდავო, სურის ნამტვრევები, გოჭს გადაუგდე დარჩენილი ლომი, ცატას დაუძახე, რომ რძე ამოსღოს, და წადი სოფელში! დროა, ივანე, დრო, რომ რამე კარგზედაც იფიქრო... გიძნელდება ცხოვრება, საბრალოვ.

— ეჰ, ვისთვისაა ცხოვრება ადვილი ომის შემდეგ? კიდევ ცოტახანს მოითმინე — ყველანი მოვჩიტდებით...

— ვხედავ, ობოლო, სახლი უკვე შეგიკეთებია. ძვირად დაგიჯდა ალბათ!

— არა, არც ისე ძვირად... მართალი უნდა ითქვას, სულ მთელი ხარჯი ის არის, რომ ერთი ბოთლი არაყი მიართვი ოსტატებს და ქათამი დაუკალი... მოვიდნენ ჩვენი კოლმეურნეები და შუადღემდე ყველაფერი დაამთავრეს... დიდი საქმეა, ივანე, კოლმეურნეობა!

— ოჰო, კოლმეურნეებიო! როდესაც თქვენ, ქალები, შეიძლება ითქვას, საცოდავი ქვრივი ქალები ტყიდან მორებს ეზიდებოდით, სად იყვნენ მაშინ თქვენი კოლმეურნეები? ჩანს, არაყი და ქათამი არ მიართვით.

ძალიან აწყენინე ამ ქალს კოლმეურნეებზე ლაპარაკით?..

ოი, ასე რად ხითხითებს?

— მორების საქმე აი როგორ იყო, ივანე. ჩვენ ვთხოვეთ სოფლსაბჭოს მდინარეზე ხიდი გაეკეთებინა, რათა ზაფხულობით ფონზე არ გვევლო, ხოლო ზამთრობით, როცა ყინვები არაა, შორიდან არ შემოგვევლო. იმათ უარი გვითხრეს: ხიდი აქ არასოდეს არ ყოფილაო, მაშასადამე, არც ახლაო საჭირო.. „რაო, — ვეუბნებით, — რა ვუყოთ, რომ წინათ არ იყო საჭირო, ახლა საჭიროა... გააკეთებთ თუ არა ხიდს?“.

— „არაო“, — გვიპასუხეს. „არა?— მაშ ჩვენ თვითონ, ქალები, გავაკეთებთ მას“...

შევკრიბეთ ქალები, გავგზავნეთ ერთი ჩვენგანი სატყეო მეურნეობაში ნებართვის მისაღებად, მოვიტანეთ მორები, და უკვე გაკეთებულია ხიდი. მაგრამ მამაკაცებს ზედ სიარულის ნებას არ ვაძლევთ... მე თვითონ პირველი, როგორც კი დავინახავ ზედ გავლილ მამაკაცს, წყალში გადავუძახებ.

— აი მე გავიარე შენს ხიდზე — ეუბნები შენ მას, ივანე.

— განა შენ მამაკაცი ხარ, ივანე? შენ, მგონია, ომშიაც კი არ ყოფილხარ?

რას უპასუხებ ქალს ამაზე, ივანე? გესმის, რა საზომით ზომავენ ახლა ისინი მამაკაცებს?

— არ ვიყავი, რადგან არ წავუყვანივართ...

— მე კი ვიცი ისეთები, რომლებიც არ მიჰყავდათ, მაგრამ თვითონ წავიდნენ...

— ნუ ვლაპარაკობთ ამაზე, ანა, უკეთესია, შე საბრალო, მომიყევი, როგორ ართმევ თავს შენს პატარა ბიჭუნებს? მათ ხომ მამაკაცის ხელი სჭირდებათ, ისე კი — როგორ უნდა გაიზარდონ? მებრალები, ანა!

— ეჰ, ივანე, ახლა ძველი დრო როდია. დღეს ჩვენს სოფელში კომკავშირი ზრდის ახალგაზრდებს. მე შენ გეტყვი, რომ ისინი ახლა ბევრად უფრო ზრდილობიანად და პატივისცემით შეპყრობიან კიდეც... ერთი შვილი შემოდგომაზე აგრონომიულ ტექნიკუმში შევა რუდკიში, იაროვოს მახლობლად. თავისი აგრონომი ეყოლება შემდეგ კოლმეურნეობას. უმცროსს რკინიგზა აინტერესებს. მაგრამ ჯერ პატარაა... არა, შვილები, მადლობა ღმერთს, სადარდელი არა მრჩება.

— კი, მადლობა ღმერთს, ანა. მაგრამ ბიჭები რომ სახლიდან წავლენ, ვინ მოუვლის მაშინ შენს ცხენს? ნათქვამია, ცხენი — მუნჯია, მაგრამ ჭკვიანიაო! მას არ უნდა ქალის ხმას დაუჯეროს. როგორც ეკონომისტებს, რომ ქალი მართავს, ჯირკვით გაჯიუტდება, — და თუნდ მოკალი... მე მესმოდა, შენი აჩუს ძახილი, როცა მორები მოგქონდა... განა მამაკაცი ასე გარეკავს ცხენს?

— ეჰ, რა სულ ცხენზე მელაპარაკები! უკვე არა მყავს ის მე ივანე, კოლმეურნეობაში წავიყვანე. რად მჭირდება ზედმეტი საზრუნავი? თუ დამჭირდება ცხენი, ისედაც მომცემენ. აი მალე მანქანას ვიყიდით კოლმეურნეობისათვის. მისთვის აჩუ-აჩუს ძახილი არ დაგვჭირდება...

გესმის, ივანე ამ ქალს მეეტლე უკვე ალარ სჭირდება, ის მანქანით სიარულს აპირებს, — შენ კი რას უცდი, ბრიყვო? აიღე ქუდი და თავი დაბლა დაუკარი... არ გსურს ამ სახლიდან წახვიდე?... სასიამოვნოა, როცა სახლში ქალი ტრიალებს, მაგიდაზე თეთრი სუფრაა გადაფარებული, ფანჯარაში შუშები მთელია, შეხედე, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა ეს ქალი! თუმცა თითქოს გამხდარა... რას მისჩერებიხარ ქალის სახელოებს? ამბობ, თეთრი ფრინველებივით დაჰფარფატებს ქოთნებსო? ცოდვა არ არის ქალის სახელოს რომ ციურ ფრინველებს ადარებ? ხომ არ გადაირიე?

მაგრამ საიდან, რომელ მხრიდან უნდა მიუდგე მას? აბა, ერთი ამ მხრივაც ვცადოთ!

— მე ვფიქრობ, ანა, რომ, თუმცა შენ არ იმჩნევ ამას, მაგრამ მარტოხელას ალბათ მაინც გიმძიმს ცხოვრება... ვთქვათ, გჭირდება რაიონში წასვლა... ჰო, ან ფინგანში, ან სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში... მე ისე... მაგალითისთვის ვამბობ... კაცი არა გყავს, რომ გირჩიოს, ან შეგცვალოს. რაც უნდა იყოს, დედაკაცის კარდალა მამაკაცის თავს ვერ შეედრება.

— ეჰ, არც ისეთი ძნელი საქმეა ეს,

ივანე, რომ მისი გვეშინოდეს. ახლა ჩვენც ვისწავლეთ, ქალებმა, კარების გაღება. როგორც კი განწესი დაგვჭირდა, მოვნახეთ გზა სატყეო მეურნეობის დირექტორთან... რაო, ივანე? არ სჭირდება ქალს არც მეურვე ბავშვებისათვის, არც მეეტლე ცხენებისათვის?

გესმის, ივანე? იქნება იმ ქალს ქმარი სჭირდება, შენ არც კი გიკითხავს?

— შემოვიდოდი შენთან, როცა თავისუფალი იქნები...

— კვირას, ივანკო, მხოლოდ კვირას, თუ... მოანგარიშეების კურსებზე არ წავედი. ამას წინათ ჩვენთან ჩამოვიდა კაცი თვით ზოლოჩიოვიდან და თქვა, თითქოს მე და კიდევ ვიღაცას ჩვენი სოფლიდან მოანგარიშეების კურსებზე გვგზავნიან.

რაო? ხომ გაიგე ნათქვამი? უნდა გაგეგო, უნდა თუ არა ამ ქალს ქმარი, აი, გაიგე კიდეც, რაღას უცდი კიდევ? აი კუთხეშია შენი ქუდი, ხოლო ცხვირწინ კარი...

— წავალ, ანა. სახლში ქათმები არ ჩამიკეტავს, ახლა ხომ იცი... ტყის პირას ყველაფერი მოსალოდნელია ადამიანისთვის...

შენ სულიც კი განაბე, ისე უგდებ ყურს: იქნება დარჩენა მთხოვოსო. იქნება მართლაც არ გაგიშვას დაღამების გამო? იქნება სასაცილოდ აგიგდოს ქათმებიანად, და, ბოლოსდაბოლოს, შენ მისგან გაიგონებ, რომ ქვეყანა ქათმებზე კი არ არის დამყარებული! იქნება გითხრას, რომ ერთხელ [illegible] ქარბუქში ღამით და ამას დღემდე ნანობს?

— არა, ივანე, არა! ტყუილად ინუგეშებ თავს სასაცილო იმედებით. გეყოფა! შენ რომ ღელავ, ვით მდინარის ტალღა ქარისაგან, ახლა იმ ქალს შეხედე, როგორი დამშვიდებულია!

— აბა, კარგად იყავი, ივანე... მოითმინე ცოტა, ნუ ჩქარობ, — ხედავ, გამოგყვა, როგორც გოგო ბიჭს... ამან არაფერი მოგაგონა, ივანე?

— შენ, ივანკო, ხშირად მოდი სოფელში, თორემ სულ გაველურდები ტყის ნაპირას და ყველას ჩამორჩები...

ეს იყო მარტო? ღირდა ამისათვის თვით ჭიშკრამდე გაცილება!

— ჩემი სახლი გზის პირასაა... შემოხვალ წყლის დასალევად — არ გაგაგდებ.

აბა, რა გაგეხარდა ეგრე? სად მირბიხარ? რა გეჩქარება, სულელო! შენს ქათმებს არავინ ერჩის, სულელო! ეს ღამე სულერთია, დაკარგულია: არ მოგასვენებს ამ ღამეს ფიქრები. ღმერთმანი, არ მოგასვენებს!...

დიახ, ჩანს, სერიოზული რამე ყოფილა კოლმეურნეობა, თუკი თვით ქვრივი ქალი ანაც ასეთ რამეებს ლაპარაკობს, ჰო!

თარგმანი უკრაინულიდან **ვ. ქინწურაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოსჯ დროკი

ვადიდებ ბელადს

★

ყველა სიმღერა მინდა ვუძღვნა საყვარელ სტალინს —
მისი დიდება მძლავრად ისმის კიდით კიდემდე.
მისი სახელი ყველას გულში ვარდივით ჰყვავის,
არ არის კაცი, რომ ამ სახელს არ იფიცებდეს.
ვადიდო იგი — ჩემთვის არი ჯილდო-პატივი. —
ვინაც ლენინთან ერთად იდგა ოქტომბრის ღამით,
რევოლუციის ცეცხლში წრთვნიდა შვილებს პარტიის,
ანთებდა ხალხთა სიხარულის სანატრელ ამინდს.
როცა ჩვენი ცა კვლავ აენთო, რუხი მაზარით,
ის მთავარსარდლად დადგა ერთგულ შვილების გვერდით.
სამშობლოს ცაზე რომ გაეჭრო ომის ხანძარი,
მან ჩვენ ქვეყანას ააფარა თავისი მკერდი.
ვადიდებ ბელადს, ვისაც თვლიან მამად ხალხები,
ვინაც გვასწავლა ურჩ ბუნების დამორჩილება,
ვისი ნებითაც ვოლგისა და დონის ტალღები
ერთად იწყებენ უწყლო მიწის აღორძინებას,
ულევ ბარაქად რომ დაიძრას ყამირი ძველი
და ტურბინებში შებმულ ცხენებს ჰგავდნენ ტალღები.
რუკაზე არი აღნიშნული ფოლადის ხელით,
რომ წყლით უდაბნოს გააძღებენ ფართო არხები.
ვადიდებ სტალინს, — გენიოსის უკვდავ საქმეებს,
ხალხებმა ყველგან იგრძნეს მისი ზრუნვა მამური.
ის შთაგვაგონებს, მომავლისთვის მებრძოლთ გვაქეზებს,
მისი სიცოცხლე სიცოცხლეა ჩვენი მამულის.
სადარაჯოზე ის მუდამ დგას წარბშეუხრელი —
ხალხთა მშვიდობის, მომავლის მზე არ იბინდება.
ყველა ენაზე მას მსოფლიო ერთხმად უმღერის,
სამარადჟამოდ უქრობია მისი დიდება.

თარგმანი **გიორგი ხუხაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲒᲐᲚᲐᲜᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ

*

მშვენიერია ლვოვი მაისში, როცა მთელი ქალაქი უხვად დაიფარება ცვრიანი მცენარეებით, ხოლო ნიავი ქუჩის გასწვრივ ფანტავს აკაციებისა და წაბლის უამრავ ყვავილს. ასეთ დღეებში ლვოვში სიმღერა იბადება. ის დაქრის სახლიდან სახლში, დაფარფატებს მოედნებზე და პარკებში და, ბოლოს, მთელ ქალაქს შემოევლება. ეს ჰანგი ხან მხიარული იყო, ხან ნაღვლიანი, მაგრამ ერთი რამ იყო მასში უცვლელი — სევდა, უსაზღვრო სევდა და ოცნება ისეთ სიცოცხლეზე, რომელიც შეიძლება მარადიულ გაზაფხულად გადაიქცეს, მაგრამ „ზამთარში ყვავილი არ იფურჩქნება“.

შვიდასი წლის არის ლვოვი და თითქმის ამდენივე წელიწადია დახეტიალობდა მის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ეს მგზნებარე სევდა. ქალაქი, რომელსაც არასოდეს არ განუცდია, თუ რა არის თავისუფლება, მაგრამ საუკუნეობით ატარებდა მას თავის ვულში და მაშინ, როცა თითქმის აღსასრულის ჟამი დგებოდა, აინთებოდა ამბოხებისა და აჯანყების ცეცხლით. მდინარეებად დიოდა ხალხის სისხლი, და მამები, როცა ბარიკადებზე კვდებოდნენ, თავის შვილებს ანდერძად უტოვებდნენ ებრძოლათ უკეთესი, თავისუფალი ცხოვრებისათვის.

მძვინვარებდა ლვოვში და გარემო სოფლებში თათართა ურდო. მიწასთან ასწორებდა უკრაინის ძველ ქალაქს, შინაომების გამჩაღებელი გაუმაძღარი თავადები ერთმანეთის საჟლეტად მირეკავდნენ ხალხს, მაგრამ ქალაქი ყოველთვის, როგორც ზღაპრული ფენიქსი, მკვდრეთით აღდგებოდა და ნახანძრალზე კიდევ უფრო თვალწარმტაცად აიმართებოდა. ლვოვში შეიჭრა პოლონეთის მეფის კაზიმირის ურდო, რის შემდეგ დაიწყო ექვსასი წლის მონობის ხანა. მაგრამ, მიუხედავად ამისა ვერც შლიახტას ულმობელმა თავხედობამ, ვერც გაუმაძღარმა ქსენძებმა, რომლებიც კოღოსავით მოედვნენ გალიციის მხარეს, ვერ გასტეხეს ხალხი, ვერ ჩაკლეს მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

ცხოვრება თანდათან მძიმე და აუტანელი ხდებოდა. უკრაინის ქალაქის მოსახლეობას თანდათანობით აჰყარეს ყველა უფლება, ხოლო გლეხობა პანების თათებში მოამწყვდიეს და სრესავდნენ. დადგა 1648 წელი და ლვოვის ოლქში დაინთო აჯანყების ცეცხლი შლიახტას წინააღმდეგ. მრავალრიცხოვან გლეხებისაგან შემდგარი არმიით ბოგდან ხმელნიცკი მოადგა ლვოვის გალავანს, მაგრამ ამჯერადაც ლვოვი ვერ ეღირსა მოსწრებოდა თავისუფლებას.

იმის შემდეგ, რაც თურქეთთან ომის საშინელება გადაიტანა, ლვოვი მალე მოექცა ჰაბსბურგელთა ბატონობის ქვეშ. გადაგვარების გზაზე დამდგარ შლიახტის დასახმარებლად მოვიდნენ იმპერატორის მოადგილენი თავისი ჰუსარებით და „დოიჩმაისტრებით“ სამახსოვრო 1848 წელს — „ხალხთა

გაზაფხულის“ წელს — შლიახტამ მოხერხებულად ისარგებლა ხალხის აღშფოთებით და, დაფარა რა თავისი ინტერესები რევოლუციური ლოზუნგებით, აჯანყებას სათავეში ჩაუდგა, რომ პირველი მარცხის შემდეგ ერთხელ კიდევ ეღალატა ხალხის ინტერესებისათვის. ლვოვის ქუჩებზე თვალის დახამხამებაში აღიმართა ბარიკადები, მაგრამ მეტერნიხის გენერალის ჰამერშტაინის არტილერიამ გააცამტვერა ქალაქის ცენტრი და ოცნება თავისუფლებაზე ისევ მხოლოდ ოცნებად დარჩა.

ფრანც კრატერმა აღწერა იმდროინდელი ლვოვის გულშემზარავი სურათები. ყველა ეკლესიასთან, კოსტელებთან და ქუჩებში უსახლკაროთა ტევა აღარ იყო. შეუძლებელი იყო რამდენიმე ნაბიჯის გავლა, რომ არ შეჰყროდით მათხოვარს ან ხეიბარს. ზამთარში დაინახავდით მათხოვრებს, რომლებსაც თავი გამოეყოთ ნაგავის ხროვიდან, — ასე იფარავდნენ თავს უბედურები, რომ არ გაყინულიყვნენ.

წარსული საუკუნის ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში საავადმყოფოებიდან ქუჩაში ყრიდნენ სნეულებს, ვინაიდან ადგილი არ ყოფნიდათ იმათთვისაც, ვისი გადარჩენა კიდევ შესაძლებელი იყო.

1902 წელს ვენაში გამოცემულ მთავრობის ჟურნალის „სტატისტიშე მონატსგეფტეს“ ცნობით, მწვანეში ჩაფლულ ლვოვში ყოველწლიურად კვდებოდა ჭლექისაგან რამდენიმე ასეული კაცი, ესე იგი ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ქალაქებს შორის ჭლექი ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ლვოვში.

ლვოვში ორი ათასზე მეტი ქუჩა არის, და ჯერ კიდევ ახლო წარსულში უმრავლესობას უწოდეს სახელები, რომლებიც არავის სულსა და გულს არაფერს არ ეუბნება, მაგრამ თუ ეუბნება, მხოლოდ იმას, რომ წყევლაკრულვით გაიხსენონ ისინი, ვის სახელსაც ატარებენ ეს ქუჩები. არსებობს, მაგალითად, ჩვენს ქალაქში მალახოვსკის სახელობის ქუჩა, ის იყო ადგილობრივი კაპიტალისტი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ლვოვის ბურგომისტრად დანიშნეს. ამ მაგნატს მრავალი საკუთარი სახლი ჰქონდა და ყველაზე უკეთესში თვითონ ცხოვრობდა. ხოლო მისი დარაჯი მაგეროვიჩი თავისი ოჯახით იმავე სახლის ნესტიან სარდაფში იყო შეკუნჭული.

თავის მძიმე სამუშაოში მას არავითარი ხელფასი არ ეძლეოდა, და ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა საშუალებით ცხოვრობენ, დარაჯის ცოლმა უპასუხა:

— კი არ ვცხოვრობთ, ვშიმშილობთ. ჩემი ქმარი ავადმყოფია, მე კი ბრმა ვარ და სიკვდილის მომლოდინე ვართ, — რაც უფრო მალე გვეწვევა, იგი, მით უფრო ადრე გათავდება ჩვენი ტანჯვა.

და ამ მალახოვსკის წილად ხვდა „ისტორიული“ როლის შესრულება.

1902 წლის მაისში ლვოვში გაიფიცნენ მშენებელი მუშები, მათ დაეხმარნენ უმუშევრები, რომლებიც იქ ბლომად იყვნენ იმ დროს. ყოველდღიურად იმართებოდა მუშების დემონსტრაცია, მწარმოებლები კი არათუ აკმაყოფილებდნენ გაფიცულთა სამართლიან მოთხოვნებს, არამედ თავხედურ პროვოკაციას ეწეოდნენ. ქალაქს რისხვა ემუქრებოდა. სისხლიანი პირველი ივნისის წინა დღეს ბურგომისტრი მალახოვსკი მოეთათბირა სამხედრო სარდლობას და ვენაში გაემგზავრა. პილატესავით დაიბანა მან ხელი და მხიარულად ატარებდა დროს ცნობილ კაფეშანტან „ვენეცია ვენაში“, მაშინ როცა სტრელეცკის მოედანზე ფრანც—იოსების ჰუსარები ხმლებით ჩეხავდნენ გაფიცულთ, ხოლო ჰუსართა ცხენები ფლოქვებით სრესდნენ პატარა ბავშვებს.

მალახოვსკი მხიარულად იყო ვენაში, მაგრამ მხიარულად ვერ იყვნენ ქალაქ ლვოვის შეშინებული მმართველები. შიშს ჰგვრიდა მათ ხალხის ახალი რისხვის მოლოდინი და ამის გამო ციტადელის გორაკზე დადგეს ზარბაზნები, რომ, თუ ვინიცობაა, დაიწყებოდა აჯანყება, სამგზის გასროლით ფეხზე დაეყენებინათ სამხედრო გარნიზონი.

იმ შავბნელ ღამეს ციტადელზე დადგმული ქვემეხები დუმდნენ. ხმა გამოიღეს მათ მხოლოდ ოცდათოთხმეტი წლის შემდეგ, ღამით აპრილის თექვსმეტის დამდეგს. ლვოვისათვის იმ ისტორიული 1936 წლის ღამით პოლიციის მიერ მოკლული უმუშევრის კოზაკის გვამი ესვენა იანოვსკის სასაფლაოზე ტყვიებისაგან დაცხრილულ კუბოში, რომელიც თოფებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლისქვეშ მიიტანეს იქ უშიშარმა, შეუპოვარმა კლასობრივმა ძმებმა. გზაჯვარედინზე ამართული იყო ბარიკადები, რომლებზედაც წითელი დროშები ფრიალებდა. ლვოვის მშრომელები იმ ღამეს პირველად ისტორიის მანძილზე, დაეპატრონენ ქალაქს, და თუმცა მეორე ღამეს დამარცხდნენ, გულში მაინც გაძლიერდა რწმენა იმისა, რომ ახლოა და გარდუვალი თავისუფლების დღე და რომ გუშინ დაღუპულ ძმებისა და დების სისხლის ასაღებად მალე დადგება მისაგებელი საათი.

როდესაც 1902 წელს ავსტრიის პოლიციის კომისარმა ვენტმა ნიშანი მისცა ჰუსარებს იერიში მიეტანათ მუშებზე, მან იცოდა, რომ სამხედრო სარდლობამ ლვოვის ყველა უბანში ჩააყენა სამხედრო პატრულები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ გლეხები არ შემოეშვათ. სწორედ ამგვარადვე მოიქცნენ კაპიტალისტები 1936 წელსაც. იმათაც და ამათაც ძალიან კარგად იცოდნენ, თუ რა გულისყურით უსმენდა სოფელი მუშათა კლასის ხმას. მჩაგვრელებს შიშს გვრიდა ნამგლისა და ჩაქუჩის უძლეველი კავშირი, ისინი შიშობდნენ, რომ რევოლუციური სოფელი უძლიერეს ტალღად მოეფინება ქალაქს და მუშებთან ერთად დაამყარებს ახალ წყობილებას, სადაც სისხლისმსმელ ექსპლოატატორებს ადგილი აღარ ექნებათ.

სისხლიანი ივლისის დღიდან სამი წლის შემდეგ ლვოვი ეღირსა თავის დიად დღეს. ბედნიერება მოულოდნელად მოდის, და ასე მოხდა ახლაც. სწრაფი ლაშქრობით დაქანცული წითელი არმიის მებრძოლები შემოდიოდნენ ლვოვში, რომელსაც უკვე მოესწრო და წითელი დროშები გამოეფინა. ქალაქი თავის ჭრილობებს უჩვენებდა მებრძოლებს და თვალცრემლიანი უღიმოდა მათ. ეს იყო პირველი და ერთადერთი არმია, რომელსაც ძველი ლვოვი სიხარულით ეგებებოდა და რომლის გამო გული საგულეში ვეღარ ეტეოდა, რადგან იცოდა ლვოვმა, რომ ამ არმიას კვალდაკვალ მოჰყვებოდა მისი მეორე ახალგაზრდობა.

ივნისის ბარიკადების უსახელო გმირებმა თქვეს მაშინ: — „ფაბრიკები და ქარხნები ამიერიდან ჩვენია". სოფელმა კი მათ უპასუხა: „მიწა ჩვენია, ჩვენია და ამავე დროს თქვენიც არის და ყველაფერი, რასაც ხედავთ, მხოლოდ თქვენი და ჩვენია". გაიმართნენ წელში, ამაყად ასწიეს თავი, ნამდვილად მოხდა სასწაული, რომელიც თაობათა ოცნებას შეადგენდა: ისინი, ვინც არარანი იყვნენ, ყველაფერი გახდნენ. აღდგა ლვოვი და გადახედა ოთხივე მხარეს გალიციისა და ვოლინის მიწას, და თვალუწვდენი სივრცე დაინახა.

სალამი თქვენ, კარპატის მთებო, და თქვენც, ვერცხლისფერო მდინარეებო! ამიერიდან ამაოდ აღარ ჩაივლის თქვენი წყალი შორეულ შავზღვასთან შესაერთებლად: გადაგსერავენ თქვენ კაშხალები და თქვენი საშუალებით მრავალი მილიონი ელექტრონის ლამპიონი გაანათებს მთელ არემარეს

პრუტიდან სტრიამდე. სალამი თქვენ, თვალუწვდენო მინდვრებო, ცოცხალთა და მკვდართა ცრემლებით დანამულნო! მოვა გაზაფხული, მოვა ზაფხული და ზღვასავით ახმაურდებით თქვენ ჯეჯილით, და როცა თქვენს ბოცელილ სივრცეებზე აკვნესდებიან წეროები, მათ ხმას დაფარავს ხალხის მხიარული სიმღერა, რომელსაც ჰქვია — მარადი ახალგაზრდობა. აღარ ატირდები შენ, მიწის საზაფხულო სამუშაოზე მიმავალო მოჯამაგირე კატერინა, ვინაიდან იცი, რომ შენს ვაჟს აღარ ჩათვლიან უკანონოდ შობილად და რომ ხვალ, სხვა შენსავით მშრომელი ქალისათვის, ის ააშენებს ისეთ სასახლეებს, რომლებზედაც მათ ზღაპრებში უამბობდი.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ გამოაცოცხლა დედამიწის ბრუნვა და იმის შემდეგ ისტორია წინ წავიდა გოლიათის ნაბიჯით. ამით გახალისებული ლვოვის ხალხი სხვანაირი შეიქნა — გაბედული, ენერგიული, მხნე, გაჩდნენ შრომის გმირები, მხიარული სიმღერის მოსმენაში იზრდებიან ჩვენი ბავშვები, რომლებიც ხვალ შექმნიან სულ სხვა, ახალ ლვოვს — შრომის სასახლეების ქალაქს, გიგანტი ქარხნების ქალაქს, ფართო ქუჩების და ბაღების ქალაქს. გაქრებიან ქვის კუბოები, აქამდის რომ საცხოვრებელი სადგომი ერქვა — უკვალოდ მოისპობიან ფაცხები ქალაქის განაპირა უბნებში. ქალაქს ვერცხლის ქამარივით შემოერტყმება არხი, რომელზედაც ახმაურდებიან გემები და ბედნიერი ბავშვები. მათი სიცილი შეეჯიბრება მუსიკას და ჭაბუკი ქალაქის ხალხმრავალ ქუჩების სიმღერას.

დოვლათით სავსე მორთულ-მოკაზმული სოფლები, თავის ქალაქთან დაძმობილებულნი, საკუთარ ვაჟებს და გოგონებს გაგზავნიან იქ საცხოვრებლად. ჯანმრთელი, მხიარული ჭაბუკები და ქალიშვილები დასახლდებიან იმ უბნებში, სადაც წინათ ვაჭრებს მოწყენილობისაგან გული ელეოდათ.

ეს საუცხოო მომავალი ცოცხლობს არა მარტო მშრომელთა გულში, ფიქრში, არა, ის უკვე ახლა, უკვე დღეს იბადება, იზრდება და იფურჩქნება, როგორც მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

თუ თქვენ გამოელაპარაკებით ტრამვაიში კონდუქტორს, ის სიამაყით გიამბობთ ტრამვაის მუშაკების საწარმოო გამარჯვებებზე, 1936 წლის სამახსოვრო გაფიცვაზე. კონდუქტორი გიამბობთ თქვენ ტრამვაელ სტახანოველზე და გამომგონებლებზე, და თქვენ მოუსმენთ ამ ამბავს, როგორც წარმტაც ჰეროიკულ ეპოპეას.

როდესაც ვაგონი გაჩერდება ოპერისა და ბალეტის მონუმენტურ შენობასთან, შედით შიგ და გაიარეთ მის კორიდორებში. თქვენ დაინახავთ შემოქმედებით მუშაობაში გართულ აქტიორებს და რეჟისორებს, თქვენ გაიგონებთ უკრაინულ სიტყვას, რომელიც წინათ არავის არ სმენია აქ.

თუ თქვენ პირველად ხართ ლვოვში, ყოველი ბავშვი მიგასწავლით გზას უნივერსიტეტისაკენ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტისაკენ. ამ დაწესებულებებში, ჯერ კიდევ ახლო წარსულში, მეცნიერების მაგიერ საშუალო საუკუნეების ბანდიტიზმი მეფობდა. კორიდორების და სასწავლო დარბაზების ბნელ კუთხეებში ჩასაფრებული იყო მრბეველ სტუდენტთა შეიარაღებული ხროვა და არა ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე გამოასალმა მათმა დანამ, არა ერთი დედა დღესაც დასტირის თავის ვაჟს, რომელიც მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მმართველ ნაციას არ ეკუთვნოდა. ეს ოდესღაც პირქუში შენობები ახლა იქცნენ მეცნიერების ციხე-სიმაგრედ, სადაც მუშების და გლეხების შვილები სწავლობენ იმას, თუ როგორ ააშენონ

თავისი ბედნიერება საკუთარ მიწაწყალზე.

თვალწარმტაც პარკის იქით, რომელიც ფართოდ გაშლილა უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შუა, დაინახავთ პიონერების სასახლეს. იქ, სადაც წინათ მოწყენილობა გულს უწყალებდა გრაფ გოლუხოვსკებს და მათ ნაშიერთ, ახლა ისმის განთავისუფლებული ბავშვების მხნე სიმღერა. თქვენ გაეცნობით იქ პატარებს, რომლებმაც პირველად დაინახეს დღის სინათლე ბნელ ნოტიო სარდაფებიდან, ახლა კი ისინი ისე გაფურჩქვნილან, როგორც ზღაპარში გვიმრის ყვავილი. თორმეტი წლის პოეტი გოგონა, ღარიბი მკერავის ქალიშვილი მარუსია ვუსი, წაგიკითხავთ თქვენ ლექსს თავის დიდ ბედნიერებაზე და თქვენ ისეთი მღელვარება შეგიპყრობთ, რომ ცრემლს ვერ შეიკავებთ.

დადექით გაზაფხულის დიდი ქუჩების ჯვარედინზე და ქალაქის ჩვეულებრივ ხმაურში თქვენ ყრუ რახრახს გაიგონებთ. თუ წუთს დაიცდით, დაინახავთ ცოცხალ ფერებით აელვარებულ ახალ ტრაქტორების წყებას. ისინი ქალაქიდან მიიმართებიან შორეულ მინდვრებში რომლების თავზე გამჭვირვალე ეთერში წეროთა გუნდი მიცურავს. მთელი მკერდით შეისუნთქეთ ჰაერი და იგრძნობთ, რომ თქვენ გატაცებით, გაგიჟებით გწყურიათ სიცოცხლე.

თარგმანი **სერგო კლდიაშვილისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხი ლექსი

★

უახლოესი მეგობარი

როგორც გულისთვის უამესი ალერსი დედის,
ისე ეს წამი აღიბეჭდა შენმა სიცოცხლემ,
როცა პირველად აღტაცებით და გულის ფეთქვით
გაიგე, რომელ გზით წახვალ და როგორ იცხოვრებ.
თუმც არ გინახავს შენ სტალინი, მაინც შორიდან
ძვირფას მეგობრად და მეგზურად ის შეიცანი,
როცა სექტემბრის განთიადი ჩვენში მოვიდა,
ძმამ ძმას აკოცა და აღინთო ერთი მიზანი.
— უახლოესი მეგობარი, დიდი სტალინი —
თქვი სიყვარულით, როს გაბრწყინდა მზე გამარჯვების.
შენს და მას შორის წაიშალა შორი მანძილი,
თითქოს ბუგთანაც აელვარდა კრემლის ფანჯრები.
ყველა დროშიდან დაჰყურებდა ბელადი ქალაქს,
მთელ უკრაინას დასცქეროდა ბაღად გადაშლილს.
ეს მან იცოდა: ქვეყანაზე ვერარა ძალა
მზეს და განთიადს ვერ ჩაკეტავს რკინის საკანში.
დიდი ბელადი ჭირშიც, ლხინშიც იდგა ჩვენს გვერდით,
თავისუფლების მცველებს გულში ძალა ჩაგვიდგა.
როცა სტალინგრადს აეფარა გმირების მკერდი
ამას ნიშნავდა: ვერ აიღებს მტერი სტალინგრადს,
მასზე ძვირფასი ქვეყანაზე არავინ ვიცით,
დიდ გზაზე მავალთ ჩვენ მისი ხმა ყველგან მოგვესმის,
გვწამს, ანთებულებს კომუნიზმის უწმინდეს ფიცით,
რომ სტალინია მეგობარი უახლოესი.
დედამიწაზე, კიდით კიდე სად წვდება თვალი,
მის სადიდებელ სიმღერებით დილა ცოცხლდება.
ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში რომ ჰგავდეს სტალინს
ყველა უბრალო ადამიანს ეს აქვს ოცნებად.

— . —

იაროსლავ გალანს

★

შემოდგომაა ლვოვში მზით სავსე,
მზერას გტაცებდნენ ამ დროს ფოთლები...
ლრუბლების ქსელი გამქრალა ცაზე,
ლურჯ გუბურებს ჰგავს კვალი ფლოქვების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ ქალაქგარეთ გიყვარდა გასვლა,
მიისწრაფოდი ქარის პირისპირ,
ოცნებით ჭვრეტდი მომავლის ვარსკვლავს
და გენთებოდა მზერა დილის მზით.
შემოდგომის დღეს უბნებს მუშათა
ნახავდი დარდით და შეშფოთებით.
დამშეულ ბავშვებს ძვლები უჩანდათ
და ჰქონდათ ფერი დამჭკნარ ფოთლების.
იატაკქვეშელ ლვოველთ იცნობდი,
ხელებდაძარღვულ მუშებს უსმენდი,
როსტოჩის ბორცვზე ერთად იბრძოდით
მაისობებზე სიტყვით, ფურცლებით.
ბრიკიტკებშიაც იჯექით ერთად,
ერთად უძღოდით დემონსტრაციას,
მშიერ ცოლების გესმოდათ კვნესა, —
სამოსელი რომ შემოსძარცვიათ.
გიყვარდა ლვოვი აზვირთებული,
პროტესტების ხმა და აჯანყება.
და შენ იცოდი: დღე დიდებული
აღმოსავლეთით რომ გაჩაღდება.
ლვოვში მზიანი შემოდგომაა,
გალან, გიყვარდა იგი რარიგად...
შევხვდით სექტემბრის მზეს ამომავალს,
ციხის კედლები უკვე დაინგრა.
მშვიდობის დროშა რომ აღიმართა,
ის შენში ახალ ძალას ბადებდა.
დაიწყე ბრძოლა ბნელ ვატიკანთან —
შავ მანტიებით მოსილ ბანდებთან.
შენ ფარდას ხდიდი ზღვის გადაღმელებს —
ბოსთა ვაშინგტონს — ოქროს სამეფოს.
მოსყიდულები მათ გაახელეს,
რომ ჩვენი ხალხი შუა გაეპოთ.
შენ უკრაინა ღრმა სიყვარულით
გიყვარდა მტკიცე და ერთიანი.
ვერვინ დაჩრდილოს ზრახვით ფარულით
თავისუფლების დილა მზიანი!..
ჩვენთან ხარ მუდამ, რადგან სიკვდილი
ვერას დააკლებს უკვდავ სიმართლეს.
შენი ხმა კვლავ ქუხს, დაფნის გვირგვინით
მედგარ მებრძოლად კვლავ აღიმართე.

— . —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილიჩის ნათურა

★

სოფელს არა სძინავს,
დაიძინებს განა?
რატომ აგვიანებს
ელსადგურის დენი?
პაპამ მოიწყინა:
— ფული, დაიკარგა
ხედავ, ელნათურა
არ ენთება ჩვენი!

ვიღაც ამბობს მშვიდად
— დაიცადე ცოტა,
მდინარე გვაქვს მცირე,
მაგრამ მაინც ველით,
წყალს ძალა აქვს დიდი.
მოვა, მოვა დენი,
რადგან კოლექტივმა
მას მოჰკიდა ხელი.

ახმაურდა ხალხი,
დაიღალა თმენით.
— მდინარეს აქვს მართლაც
სიღრმე ერთი მეტრის...

და უეცრად...
აჰა!
შემოიჭრა დენი
და ფანჯრებში შუქი
აელვარდა მკვეთრი.
ყველგან ელნათურა
აკიაფდა უცებ,
სიხარულით ცაში
ქუდს მისდევდა ქუდი.
შუქი მოეფინა
სოფლის ყოველ კუთხეს.
მართლაც საზეიმო
ჩამომდგარა წუთი.

ყველა სახლიდან და
ყველა შენობიდან,
ღამეს შეუერთდა
სიხარულის ჩქამი.
თითქოს თვით ილიჩი
ჩვენთან შემოვიდა,
შუქი მოგვილოცა
შემოდგომის ღამით.

———

ქალაქი ნევის პირას

★

სიდიადეში შენი ქუჩების,
ფართოდ დენაში უმშვიდეს ნევის,
სად ღამეებს აქვს შუქი უჩვევი
იშვა ახალი სამყარო ჩვენი.

ო, ლენინგრადო, ქალაქს დიდების
შენ ყოველი ქვა დაგემოწმება,
აქ როგორ ახდა ცხრაასჩვიდმეტში
ოქტომბრიობის დიდი ოცნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანთა ფოლადის ნებამ,
შენმა შვილებმა ბრძოლით, შრომითა
მეორედ გშობეს, ახალგაზრდობა
მარადიული შენთან მოვიდა.

როგორ არ ვიგრძნო შენი ნათელი,
კრემლიდან გმართავს კაცი ნაწრთობი.
მე მინდა ვიყო ლენინგრადელი
მთელი სულით და არა პასპორტით.

თარგმანი **გიორგი ხუხაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲒᲐᲚᲐᲜᲘ

ᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲐᲞᲘ

★

1949 წლის ივლისის ცამეტს ჩემს ცხოვრებაში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი: პაპმა პიი მეთორმეტემ განმკვეთა მე ეკლესიისგან. ჩამომაშორა ისე, როგორც ხბოს ჩამოაშორებენ ხოლმე ძროხას. არც კი გამოფრთხილა.

სიმართლე რომ ვთქვა, ჩვენს შორის კონფლიქტი დაიწყო საკმაოდ დიდი ხნიდან, დაახლოებით ორმოცი წლის წინათ, როცა ახლანდელი პიი მეთორმეტე იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა მღვდელი პაჩელი, ხოლო უწმიდეს ტახტზე იჯდა პიი მეთერთმეტე. საღვთო სჯულის მასწავლებელს ყოველ კვირას დავყავდით ჩვენ ბასილიანთა სამონასტრო ორდენის ეკლესიაში, მოგვიწოდებდა გვყვარებოდა იმპერატორი ფრანც-იოსებ პირველი და სიძულვილი გვქონოდა „მოსკალებისადმი", რომლებიც, როგორც ის ამბობდა, ძირფესვიანად უნდა მოვსპოთ.

მაგრამ იმის მაგიერ, რომ „მოსკალები" ამოეწყვიტა, ბატონი მამაო უფრო მარდი იყო იმაში, რომ ჩვენ, მოსწავლეებს, ცემით გულს გვიწყალებდა.

ერთხელ ბატონმა მამამ მკითხა:

— რატომ ვუწოდებთ პიის წმიდა მამას?

მე გულუბრყვილოდ ვუპასუხე: — იმიტომ, რომ წმიდა მამას სმა უყვარს *.

ვერ მოვასწარი გონს მოსვლა, რომ ჩემი მუცელი უეცრად აღმოჩნდა დადებული ხუცესის მუხლზე, ხოლო საღმრთო წკეპლამ ათი მცნება ამოკვეთა ჩემს სხეულზე.

უფლისგან მე არ მქონია მონიჭებული თავმდაბლობა და მორჩილება და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ დავბრუნდი თუ არა შინ, ჯერ კიდევ ზღურბლიდან შევძახე დედას:

— ვაფურთხებ პაპს!

დედის გარდა ეს სხვას არავის გაუგონია, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველგან მყოფმა ღმერთმა დამაბეზღა თავის რომაელ ნაცვალთან, ვინაიდან იმ დღიდან ბერძნულ-კათოლიკურმა ეკლესიამ ჩემს წინააღმდეგ ცივი ომი დაიწყო.

და არა მარტო ჩემს წინააღმდეგ. მალე დავრწმუნდი, რომ ჩემსავით ცოდვილიანი სხვაც ბევრი ყოფილა. ასეთებს ეკუთვნოდნენ, უპირველეს ყოვლისა, გიმნაზიელები, რომელნიც მონაწილეობდნენ ივანე ფრანკოს ხსოვნისადმი მიძღვნილ დღესასწაულში. საღვთო სჯულის მასწავლებელმა მათთვის გამოიტანა განსაკუთრებული სასჯელი: იმ დღეს, როცა ბუტანელი სიცხე იყო, დასვამდა მათ მზის გულზე. პროტესტებზე კი ასეთ პასუხს იძლეოდა:

— ჰო, რაო? ფრანკოს პატივსაცემად გამართულ კონცერტზე თქვენ ამბობდით ლექსს: „ჩვენ მზისკენ ვისწრაფვითო!" ჰოდა, აი, მიირთვით მზე. გათბით!..

უწმიდეს ტახტთან ჩემი კონფლიქტი

* აქ სიტყვათა თამაშია უკრაინულ ენაზე. პი შესვი დალიე. ასეთივე სახელს — პიის — ატარებს რომის პაპი, რომლის წინააღმდეგ მიმართულია ავტორის პამფლეტი.

განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როცა ერთხელ, კარგ გუნებაზე მყოფმა, ერთ-ერთ ჟურნალში „ნაკურთხი წყლის ამმღვრევი“ ვუწოდე მიტროპოლიტ შეპტიცკის. ეს დარტყმა ისე მიიღო ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მთავარმა, როგორც მოწმენდილიდან მეხის დაცემა. სწორედ ამ დროს გრაფი შეპტიცკი გართული იყო პაპისთვის სასიამოვნო საქმიანობით: ანტისაბჭოთა ჯვაროსნულ ომს ამზადებდა. ჩემმა უტაქტობამ, რა თქმა უნდა, აღშფოთება გამოიწვია: მღვდლების ქალიშვილებმა ზურგი შემაქციეს, ხოლო მათმა მამებმა გასწყვიტეს ჩემი პირდაპირი კავშირი ცასთან და ეკლესიაში ჩემი შეშვება აკრძალეს. იმ ამბავის შემდეგ შეპტიცკი შეიპყრო შავმა მელანქოლიამ და მხოლოდ მაშინ გასწორდა წელში, როცა ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოექცა.

რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა მონსინიორი სატი, ანუ პიი მეთერთმეტე, და მისი ადგილი დაიკავა ჩემმა ახალმა მტერმა — პიი მეთორმეტემ. ცასა და დედამიწაზე ყველა ნიშანი იმას მაჩვენებდა, რომ ამ პიის სახით უფრო მძვინვარე მტერი მეყოლებოდა, ვიდრე იყო ორი წინანდელი, ბენედიქტე მეთხუთმეტეს ჩათვლით. ის იყო მესამე რაიხის ერთი ნათლიათაგანი, ის აქეზებდა ჰიტლერს დაეწყო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მისი მოთხოვნით პილსუდსკი ცეცხლითა და მახვილით მიდიოდა ჩემი არაუნიატელ თანამემამულეების, ხოლმშჩინისა და ვოლინის მცხოვრებთა წინააღმდეგ.

მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ ჩემი დღეები დათვლილია და კონტრდარტყმის მოლოდინში უნდა ვიყო. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, მეგობრები ოდნავ აჭარბებდნენ. იმ დროს ვატიკანს მხოლოდ დაგეგმილი ჰქონდა სველი ანუ სისხლიანი, სამუშაო. შეპტიცკის მაშინ ჯერ კიდევ არ ჰყოლია ჰიტლერის ჯარისკაცებისაგან შემდგარი საპატიო ყარაულიც, ხოლო მისი პრელატები ჯერ კიდევ არ ფრანტობდნენ ესესელთა მუნდირებში. მათი მხრიდან ჯერჯერობით მხოლოდ მძიმე მუშაობა მემუქრებოდა. მათ საბაბი ესაჭიროებოდათ. და, აი, იპოვეს კიდევაც.

ერთხელ, შობის საღამოს, ალექსანდრე გავრილიუკთან მივედი. ჩვენს ზევით და ჩვენს ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ ხალხი ალილოზე დადიოდა. ბავშვობის დროის მოგონებებმა გაგვიტაცა და, გულაჩვილებულებმა, გადავწყვიტეთ თითო ჭიქა გადაგვეხუხა. არ გვქონია ტრადიციული თევზი, მაგრამ ის წარმატებით შეცვალა ღორის ქონმა. თითო-თითო გადავკარით. ამის შემდეგ გავრილიუკს აზრად მოუვიდა სუფრაზე მოგვეწვია სახლის პატრონი, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა. ის დათანხმდა. გვესტუმრა, მაგრამ დაინახა რა ჩვენს სუფრაზე ქონი, ხოჭოსავით გააცმაცურა ულვაშები და უკან წავიდა კარებისაკენ. მხოლოდ მაშინ მიხვდა გავრილიუკი, რომ ეს ღვთისმოშიში დიდულვაშოვანი ულტრამონტანურ „იესოს უტკბილეს გულის ძმათა“ წევრი ყოფილა.

ამბავმა ამ დანაშაულის ჩადენის შესახებ რამდენიმე დღის შემდეგ მიაღწია კონსისტორიამდე, ხოლო მალე რომის უწმინდეს კანცელარიის კონგრეგაციამდე. ლვოვის დეფენზივამ გამოძიება დაიწყო ამ შემთხვევის გამო. ჯაშუშების აღშფოთება ჩვენი მკრეხელობის გამო უსაზღვრო იყო. იმ ხანად გავრილიუკი არ იმყოფებოდა ქალაქში და უწყება მხოლოდ მე ჩამაბარეს. ჭაღარა აგენტი იჯდა ჩემს წინ და საყვედურით აკანტურებდა თავს:

— თქვენი სხეული, — ამბობდა ის,— ჩალპება საპატიმროში, მაგრამ რას წარმოადგენს ხრწნადი ხორცი უკვდავ

სულთან შედარებით, რომელსაც თქვენ ასე შეუბრალებლად ღუპავთ?

ჭალარა ჯაშუშმა შესაბრალისად მოიხოცა ცხვირი და უიმედოდ ჩააქნია ხელი.

— წამოდით, ცოდვილო, საბოლოოდ დალპით ბარემ საპატიმროში, მე კი თქვენთვის ვილოცებ.

ჯაშუში ლოცულობდა, ხოლო მე საპყრობილეში ვიჯექი...

გავიდა წლები. უკრაინის ხალხი გაერთიანდა მთლიან სახელმწიფოში — უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. დასავლეთ უკრაინელებმა შეაფურთხეს პაპს, დახიეს უნია და ახლა, გაერთიანების ათი წლისთავზე, ნამდვილ სახალხო დღესასწაულისათვის ემზადებიან.

უწმინდესმა ტახტმა ჰიტლერი შეცვალა ტრუმენად, მაგრამ ამის გამო ჩვენი ურთიერთობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. პირიქით. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მე მაქვს, პიი მეთორმეტემ გაიგო, რომ გამომცემლობა „რადიანსკი პისმენიკის“ რედაქტორის ღრმა კარადაში დევს ხელთნაწერი ჩემი ანტიპაპისტური წიგნისა „ბნელეთის მამა და მისი დამქაშები“. მართალია, ამ ჯერად ბედმა გაუღიმა პიის — უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია ხელთნაწერი დევს და მალე მტვერით დაიფარება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩემი მკრეხელური ხელი ერთხელ კიდევ აღიმართა მოძღვართა მოძღვრის თავზე...

მოთმინების ფიალა აღივსო და მოძღვართა მოძღვარს იმის მეტი აღარაფერი დარჩა, რომ თავის ეკლესიიდან ჩემი განკვეთა მოეხდინა.

ერთადერთი ჩემი ნუგეში ის არის, რომ მარტო არა ვარ: ჩემთან ერთად პაპმა შერისხა და განკვეთა, სულ მცირე, 300 მილიონი კაცი და ამათთან ერთად მე ერთხელ კიდევ მთელი ხმით ვაცხადებ:

— ვაფურთხებ პაპს!

თარგმანი **სერგო კლდიაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარასკა ამპროსი
ბუკოვინის სახალხო
პოეტი ქალი.

სიმღერა კახოვკაზე

★

ბუკოვინა კახოვკაში
ტივებს გზავნის ზედიზედ,
კახოვკა კი ბუკოვინას
სულ უგზავნის წერილებს.

წერენ კომკავშირელები:
ვმუშაობთო გულითა,
კომუნიზმის მშენებლობას
ვუვლით სიყვარულითა.

ვაისიცის ქალიშვილმა
მოიწერა: დედაო,
კომუნიზმის მშენებლობა
დღე-დღე ვითარდებაო.

ახლა გრეიდერისტი ვარ,
არ გიკვირთო თქვენ განა?

გაზეთებში ბეჭდავენო
ჩემს სურათებს ყველგანა.

ბუკოვინელთ წაიკითხეს
წერილები ქალისა:
ჩანს, სულ ახლო ვყოფილვართო
ჩვენ მიზნებთან ხვალისა.

მღერის მთელი ჩვენი მხარე,
შრომა-გარჯით ნაქები,
კახოვკაზე სულ ითხზება
სიმღერები ახლები.

ბედნიერი ცხოვრება აქვს
საბჭოეთის დიდ მხარეს.
თავისუფალ ხალხთა ბაღსა
მზე ანათებს, დაჰხარის.

თარგმანი უკრაინულიდან **მ. კინწურაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბინევსკი

იმიერკარპატის კოლმეურნეობებში

ნარკვევი

★

1946 წლის თებერვალს უჟგოროდის ოლქის სოფელ ესენის მცხოვრები იმიერკარპატელი გლეხი ვასილ მიშკო კიევში სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე იმყოფებოდა.

თათბირის შემდეგ მას კიევის ოლქის კოლმეურნეობების დათვალიერების შესაძლებლობა მიეცა. ის გაეცნო პირველი მაისის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმიანობას.

მიშკო გვარწმუნებს; რომ ეს მის ცხოვრებაში ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება იყო. მან ნახა და დაათვალიერა მეღორეობის ფერმები, ფრინველების სადგომები, საჯინიბოები და სკები, ნორბლით სავსე საწყობები. ეს ყველაფერი იმიერკარპატებში მას შეეძლო ენახა მხოლოდ გრაფ შენბორნის ფოლვარკებში ან მსხვილ მემამულესთან.

კოლმეურნეთა ოჯახებში მას ესაუბრნენ ამავე ოჯახების წევრები — მასწავლებლები, ინჟინრები და ოფიცრები, — ასეთი მაღალი მდგომარეობის ადამიანები მას მხოლოდ შორიდან შეეძლო დაენახა ბარონის მამულში. მან დიდი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ყველა ეს ადამიანი ინტელიგენტი გახდა კოლმეურნეობის მეოხებით.

მაგრამ ყველაზე მეტად იმან ააღელვა, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გერმანელების მიერ თითქმის ძირფესვიანად განადგურებული კოლმეურნეობა ახლა სავსებით აღდგენილი იყო.

ამაში გამოიხატა საკოლმეურნეო წყობის ძალა: ადამიანები დაუღალავად შრომობდნენ.

ზამთრის ყინვაში ისინი აშენებდნენ სახლებს, საცხოველებს, ბოსლებს. იავოროვოში დაბრუნებისთანავე მან შეაგროვა თანასოფლელები და რაც ნახა ყველაფერი უამბო. გადაწყვიტეს, თითონაც შეექმნათ ასეთივე კოლმეურნეობა.

ასე შეიქმნა იმიერკარპატებში პირველი — ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობაში ის ხალხი შევიდა, რომელსაც ბედი წინათ ყოველწლიურად შიმშილს არგუნებდა ხოლმე და უცხო მხარეებში მიერეკებოდა სამუშაოს საძებნელად.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ღარიბი ვერ მიხვდა უცებ, რომ ეს მათთვის ერთადერთი სწორი გზა იყო.

როცა იავოროვოს მიწაზე პირველი ტრაქტორი გამოჩნდა, ეს გლეხებისათვის დიდი და ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო.

კულაკებმა ტრაქტორი მტრად მიიჩნიეს და დაიწყეს პროპაგანდა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. უნიატმა მღვდელმა ამბიონიდან ვრცელი ქადაგება წაიკითხა, მან ტრაქტორი მავნე სულად გამოაცხადა: იგი მიწას დასწვავს და ეკალ-ნარს მოამრავლებსო.

დაიწყეს წირვა-ლოცვა, ღმერთს ევედრებოდნენ — ტრაქტორი გატყდესო.

მაგრამ ლოცვებისა და შელოცვების მიუხედავად, ტრაქტორი სწრაფად და ღრმად ხნავდა მიწას. ასე ცხენები ხომ ვერ მოხნავდნენ და მოსავალიც უფრო უხვი მიიღეს, ვიდრე ყველაზე მდიდარმა მემამულეებმა.

გაჩნდნენ ახალი ადამიანები, შეიქნა ახალი დამოკიდებულება, ახალი ურთიერთობა. ხშირად ჩამოდიოდა აგრონომი, რომლის რჩევა-დარიგებას გულმოდგინედ ახორციელებდნენ.

შემოიღეს თესლბრუნვა, და თითქმის ყველა შრომატევადი პროცესები მექანიზებულ იქნა.

იავოროვოელები იმიერკარპატში ცნობილი ადამიანები გახდნენ. ერთხელ მათთან ამერიკიდან სტუმარი ჩამოვიდა. ის მათთვის ახლობელი ადამიანი იყო, წარსულში თანამემამულე, ამჟამად კი სრულიად სლავური გაზეთის კორესპონდენტი. ის დიდხანს ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ იმავე დროს კავშირს არ წყვეტდა იმ იმიერკარპატელებთან, რომელთაც ბედმა ახალი ცხოვრება არგუნა.

და აი, ის კოლმეურნეობას გაეცნო. დაიწყო გულწრფელი საუბარი. მე მახსოვს თედორე შანდორი, რომელსაც ძალიან უყვარდა მასლაათი. ის სიამოვნებით მოჰყვა ამბავს კოლმეურნეობის შესახებ, რადგან იმ დღეს საველე სამუშაოებისაგან თავისუფალი იყო. შანდორმა იცოდა, რომ ზოგიერთი მისი თანამემამულე ამერიკაში დასახლდა. მართალია, ის აიღეალებდა მათ ბედ-იღბალს. მას ოკეანეს იქითა სინამდვილის შესახებ თავისი შეხედულებები ჰქონდა. იავოროვოში ხომ ხანდახან მოდიოდა ამბები იმიერკარპატელი „ამერიკელების“ შესახებ. და ბევრი მათგანი არ მალავდა, გულახდილად იწერებოდა, რომ ძნელია უბრალო მუშაადამიანისათვის ცხოვრება იმ ქვეყანაში, სადაც მეპატრონეების სამინისტრო შესაძლებლად ცნობს გაანადგუროს ოც მილიონამდე ბუშელი „ზედმეტი“ კარტოფილი, როცა მშრომელები შიმშილისაგან იხოცებიანო.

და შანდორმა მკაფიოდ აგვიხსნა, რომ ამის მსგავსი რამ ალბათ იმიერკარპატშიც მოხდებოდა, ჩვენი სამშობლო რომ ისევ უცხო სახელმწიფოს კოლონიურ დანამატად დარჩენილიყო.

უბრალო იმიერკარპატელის ეს პარალელები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენი თანამოსაუბრე მოვლენების ასეთ შეფასებამდე მივიდა თავისი გონებით, ყველაფერი თავისი გულით განიცადა.

იმ დროს კი ის გამოცდილებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა კოლმეურნე იყო. მისი სტაჟი თვეებით განისაზღვრებოდა, მაგრამ ცვლილებები, რომლებიც მის ცხოვრებაში მოხდა, ჭკუისსასწავლებლად გამოდგებოდა მისი ამერიკელი თანამემამულეებისათვის.

თედორე შანდორი ეკონომიურად მტკიცედ დადგა ფეხზე, თუმცა სოფელში გამოჩენილ პიროვნებას არ წარმოადგენდა. ის იყო უბრალო მედაირე. საველე სამუშაოებზე კი მან გასულ წელს 167 შრომადღე გამოიმუშავა. რატომ ასე ცოტა? — სახლს იშენებდა.

უნდა ითქვას, რომ იმიერკარპატის სოფელში საკუთარი სახლის აშენება ძალიან დიდი ამბავია, მეტადრე ისეთი ღატაკი ადამიანის ოჯახისათვის, როგორიც იყო ამ ცოტა ხნის წინათ შანდორი. რასაკვირველია, კოლმეურნეობა რომ არ ყოფილიყო, ვერ ეღირსებოდა შანდორი ასეთ სახლს.

— როგორ იშენებდა სახლს?

შანდორი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებას, რომ მას არტელი ეხმარებოდა: აძლევდა კრამიტს, შემდეგ ხე-ტყეს, შემდეგ ცხენებს, და ის ხელახლა დასახლდა. და მიუხედავად იმისა, რომ შანდორი გასულ წელს მუშაობდა არა მთელი თავისი ძალღონით და მისი შემოსავალი ხრუშჩოვის სახელობის არტელისათვის სრულებით არ არის ტიპიური, მაინც მას ბეღელში რამდენიმე ცენტნერი ხორბალი აქვს, ამდენივე ქერი და სიმინდი. ის თავის სიცოცხლეში პირველად ახერხებს მოიწიოს ახალი მოსავალი ისე, რომ ვალებში არ ჩავარდეს და თავი არ დაიმციროს სოფლის ბობოლების წინაშე, რომელთაც, ჩვეულებრივ, ჯერ კიდევ იანვარში ემუდარებოდა ხოლმე, „მცირეოდენი სიმინდი“ მიეცათ რომ შიმშილით არ მომკვდარიყო.

ახლა მას ვაშლი, კარტოფილი, კომბოსტო და თამბაქოც კი ცენტნერობით აქვს. ეს კი საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი წელია. დააცადეთ.

მას უკვე სცხვენია რომ კვირა დღეს ეკლესიის მოედანზე სახლში მოქსოვილი გაცვეთილ—დაკერებული ქურთუკით გამოჩნდეს. იმიტომ სცხვენია რომ მასაც და მის ცოლსაც ახალი ტანსაცმელი აქვთ, ახალი ფეხსაცმელი, ძროხაცა ჰყავთ, ღორებიც და ფრინველიც.

ოჯახიც იზრდება — ვაჟი შეეძინათ. ეს პირველი შემთხვევაა, რომ იმიერკარპატის ღარიბ ოჯახში ბავშვის გაჩენა არ იწვევს შეშფოთებას, თუმცა დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, და ალბათ, დღესაც ასეა, რომ ოკეანეს იქით ახალი წევრის შემატება ოჯახისათვის ტრაგედიას წარმოადგენს. ადარდებთ ახალი ხარჯები, მეურნეობაც ქუცმაცდება, მემკვიდრეს თავისი წილი უნდა მიეცეს.

სწორედ ასეთი ტრაგედიის მსხვერპლია მეზობელი მიხაილო ჩუბირკა. მამამისს თექვსმეტი შვილი ჰყავდა, მიწა კი ათ ჰექტარამდე ჰქონდა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს იყო ქვიანი, მწირი და დაქუცმაცებული მიწა სოფლის სხვადასხვა კუთხეში.

მამამისმა არ აწყენინა მიხაილოს, ორი ჰექტარი გამოუყო. მიხაილო მისი საყვარელი შვილი იყო, მაგრამ... მიწა მეურნეობისათვის არ ვარგოდა. მიხაილო იცნობდა თავის ნაკვეთებს. ცარიელი ჭაობი იყო.

ხარებისა და ძროხის გაყიდვა დასჭირდა, რომ დისგან. შეეყიდა მისი წილი, მაგრამ, ვიმეორებ, ყველა მისი ნაკვეთი იმყოფებოდა ჭაობებთან ახლოს „მოჩარებში“, როგორც იმიერკარპატელები უწოდებენ უვარგის მიწას.

წელიწადში ორჯერ უხდებოდა თავისი სახლის გადაკეთება: გაზაფხულზე და შემოდგომაზე მთებიდან წამოსული ნიაღვარი წალეკავდა ხოლმე არამარტო მიწის ნაკვეთს, არამედ სახლსაც კი. ბევრჯერ მოუხდა ახლად აშენება, ვალებში ჩავარდა.

ახლაც იგონებს ხოლმე ხუმრობით— ყოფილ იმიერკარპატის ბანკთან უკანასკნელი ვექსილი აქამდე არა მაქვს განაღდებულიო.

— ეეხ, როგორ მაწუხებდნენ უნგრელი მოხელეები!

ახლა კი როგორაა საქმე?

მიხაილო ჩუბირკა და შანდორი, ისევე როგორც იავოროვოს ყველა კოლმეურნე, მშვიდად უყურებენ თავიანთ მომავალს.

თუ წარსულის ქრონიკა იმ ღატაკებზე მოგვითხრობს, რომლებმაც ვერ გაუძლეს კულაკებს — და სამშობლო დ ტოვ-ს, ახალი საბჭოთა მატიანე მოგვითხრობს კოლმეურნეებზე, რომლებმაც უარი თქვეს დაქუცმაცებულ მიწის ნაკვეთებზე, რომელსაც

იმდენს ამუშავებდნენ ვიდრე არ გამოიფიტებოდა, იმ კოლმეურნეებზე, რომელნიც მიწის კოლექტიურად დამუშავებას შეუდგნენ, მეცნიერებასთან, აგროტექნიკასთან და მანქანებთან კავშირში.

ამერიკელი სტუმარი საფუძვლიანად გაეცნო კოლმეურნეობას. მან ბელლებში ნახა გადარჩეული ხორბალი, დაათვალიერა თავლა და პატარა ფერმა, რომლის შესახებაც თავმჯდომარემ გაუზვიადებლად უთხრა:

— ფერმა ახლად წამოვიწყეთ, ეს იმის ნაწილია რომელიც ჩვენ დავეგმეთ... კოლმეურნეობის გამგეობაში არის ხუთწლედის განმავლობაში შესასრულებელი მშენებლობის დაწვრილებით გენერალური გეგმა. ეს ზუსტი გათვალისწინებაა მომავლისა, რომელიც იავოროვოელებს შეუქმნის შრომის ახალ პირობებს, ახალ სახლებს, ახალ მექანიზმებს, დიდ საკვებ ბაზას, ორ წყალსაქაჩავსა და სასილოსე კოშკს, ლაბორატორიას, ავტოგარაჟს, სარემონტო სახელოსნოებს, სასურსათო საწყობებს თავისი მაცივარებით, ბოსლებს, ბოსტნეულის შესანახავებს, ბაღებს, აღუზრდის ტრაქტორისტებს, მოანგარიშეებს, კომბაინერებს, ბრიგადირებს და ა. შ.

მაგრამ საჭირო არ არის საბჭოთა ადამიანს კოლმეურნეობის უპირატესობა უმტკიცო.

დიდმა სამამულო ომმა ცხადყო მისი ძალა. მაშასადამე, იავოროვოელი კოლმეურნეების ეკონომიური წარმატებები მარტო ამერიკელ სტუმარს თუ მოეჩვენებოდა საოცრებად.

მაგრამ მე რაღაც ახალი შევიტყენი, როცა ჩვენ კოლმეურნე მიკოლა ნოდმა წაგვიყვანა.

სახლი, თივის ზვინები, ბელელში ცენტნერობით კარგი ხარისხის ხორბალი, ქერი და სიმინდი, კარტოფილი და ვაშლი. ნაცხობი სანახაობაა. კეთილდღეობა! მაგრამ — გამეხარდა, როცა მიკოლამ აღიარა:

— იცით, — თქვა მან და საზრიანად აგვათვალიერა, — საქმე კუჭის მოთხოვნილებაში კი არ არის. მე ვიცოდი, რომ კოლმეურნეობაში არ ვიშიმშილებდი. მთავარია, რომ დავიწყე უფრო კულტურულად... როგორ აგიხსნათ? დავიწყე სახელმწიფოებრივად აზროვნება...

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიკოლა ნოდმა აგვიხსნა, რომ კოლმეურნეები საბჭოთა ფართო სარბიელზე გამოვიდნენ. მათი ჰორიზონტი განუზომლად გაიზარდა. მზის ქვეშ მათ თავისი ადგილი მონახეს.

— ხმა იავოროვოელების შესახებ იმიერკარპატში სწრაფად გავრცელდა. მათ მაგალითს ხუსტშჩინაში სოფ. ვიშკოვოს გლეხებმაც მიჰბაძეს. იქ ჯერ კიდევ 1947 წლის იანვარში წარმოიშვა სამოცი გლეხისაგან შემდგარი ინიციატივიანი ჯგუფი, რომელმაც კოლმეურნეობის ჩამოყალიბება გადაწყვიტა.

ვისი სახელი ეწოდებინათ?

ყველას ენაზე ადგა ყველაზე ძვირფასი სახელი — ს ტ ა ლ ი ნ ი. და ასეც გადაწყვიტეს.

თებერვალში ვიშკოველები იავოროვოელებს ესტუმრნენ, ვნახოთ, როგორ ცხოვრობს და როგორ ეწევა მეურნეობას იქაური ხალხი.

იავოროვოში წასულ დელეგატებს შორის ბერტა სუპიც იყო. ის ოდესღაც იმავე სოფელში მემამულესთან მოჯამაგირედ მუშაობდა. ის, რასაკვირველია, სწრაფად და ადვილად გაერკვა საქმის ვითარებაში.

სტუმრებმა ღამე მარია მიტროვცის ოჯახში გაათენეს. თვითონ დიასახლისი უეგოროდში გამგზავრებულიყო ქალ-

თა კრებაზე. სტუმრები მისმა ქალიშვილმა ანამ მიიღო.

ნოყიერი ვახშმის შემდეგ ქალიშვილები ალაპარაკდნენ.

ბერტამ მოურიდებლად აღიარა:

— აი თურმე როგორა ცხოვრობთ! კარგია! ამხანაგებმა მთხოვეს, ყველაფერი დაწვრილებით გამეგო.

— მოგვეცი შეკითხვები.

— მე თვითონ ვხედავ ყველაფერს.

ბერტას ამ საღამომდე თვითონაც არა ჰქონდა ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ კოლმეურნეობებში.

ვიშკოველები მოულოდნელად დაეცნენ თავს. ჯერ კიდევ სოფლის ბოლოში დაინახეს მათ სილით დატვირთული ურმების მწკრივი, ხოლო ველის შუაგულში წითლად მოჩანდა აგურის მთა. გაიგეს: ეს მიწა და აგური ახალი ფერმისა და საკოლმეურნეო ეზოს მშენებლობისათვის იყო განკუთვნილი.

ბრიგადირი რაღაც ტვირთის მახლობლად ნახეს. ეს მანქანები იყო. ის აღმოსავლეთ ოლქებიდან ჩამოიტანეს. ყურადღება მიაქციეს ახალ ინვენტარს, კომბაინსა და ცხენებს.

ვარვარა ბეტოშმა ვერ მოითმინა:

— ეს ყველაფერი კოლმეურნეობისათვის შეიძინეთ?

ბრიგადირმა გაიღიმა:

— მაშ როგორ? შარშან ჩვენ არც ურემი გვქონდა, არც ცხენი გვყავდა. ტიტველ ადგილზე დავიწყეთ.

შევიდნენ კოლმეურნე იოსებ ბაბიაკის სახლში.

— თქვენ იქნებ ჩემი მეურნეობის დათვალიერება გსურთ? წამობრძანდით!

სტუმრები ბეღელში შეიპატიჟა.

ისევ ხორბლის, ჭვავისა და მარცვლეულის მთები. წელს, ასე განსაჯეთ, მე ჩემს სიცოცხლეში პირველად დავკალი ღორი.

ქმარს არც ცოლი ჩამორჩა.

მან სტუმრებს კოლმეურნეობის დახმარებით აშენებული სახლი უჩვენა. უჩვენა ისე, როგორც დიასახლისები უჩვენებენ ხოლმე; სარდაფიდან, სხვენიდან, სადაც სარეცხს აშრობენ, თივის ზვინებიდან და მოიტანა ახლახან შეძენილი სხვადასხვა ნივთი—ფეხსაცმელები, მატერიები, ქვეშსაგებელი.

მაგრამ ყველაზე უფრო დაგვამახსოვრდა ვიშკოვოს მიწათმომწყობი საზოგადოების თავმჯდომარისა და კოლმეურნეობის ბრიგადირის საუბარი.

თავმჯდომარეს ოჯახში ხუთი წევრი ჰყავდა, ისინი შარშან ათი ჰექტარი მიწის დასამუშავებლად ცხარე ოფლსა ღვრიდნენ და ახლა სულ იმას ითვლიდა და ადარებდა, რამდენ მოსავალს აიღებდა იავოროვოში იმავე პირობებში.

ვიშკოვოელმა ვერ მოითმინა და წამოიძახა: თქვენმა ერთმა კოლმეურნემ მიწის პატარა ნაკვეთზე ბევრად უფრო მეტი პური მიიღო, ვიდრე მთელმა ჩემმა ოჯახმა.

და მაინც ვიშკოვოელებმა ყველაფერი იდეალურად არა სცნეს იავოროვოში.

— მობრძანდით ჩვენთან შემოდგომაზე, — თქვა თავმჯდომარემ, — ვნახოთ, ვინ აჯობებს, ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ აიღებს მეტ მოსავალს.

*
* *

... რა ნელა მიბობღავს ეს ველოსიპედი! ლოგოიდა პედალებს სულ უფრო და უფრო გამალებით ატრიალებდა.

ჩქარა! ჩქარა!

აი უკვე წითელი ვარსკვლავი მოჩანს კოლმეურნეობის გამგეობის შენობის ჭიშკარზე.

ლოგოიდამ ჩაუქროლა ნაკელით დატვირთული ურმების მთელ მწკრივს, ახალ სასოფლო-სამეურნეო მანქანას, რომელსაც საღებავის სუნი უდიოდა, და კოლმეურნეობის ეზოში შევიდა გაზეთის ფრიალით.

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც სხვებისათვის კარგი ამბავი მიაქვს. ის ჩქარობს, რომ ეს ამბავი პირველმა მიიტანოს და იმავე დროს ეშინია, ვაი თუ ეს სასიხარულო ამბავი უკვე სხვამ მიიტანაო. ამის მსგავს რაღაცას განიცდიდა ლოგოიდაც. ის ცდილობდა წარმოედგინა მეგობრების განცვიფრება, კოლმეურნეობის თავმჯდომარე განჩევის ეშმაკური ღიმილი, პენჩის გაბრწყინებული თვალები — „ყოჩაღ პენჩო", — როდესაც ის მათ წაუკითხავდა ახალი გაზეთის აი ამ სტრიქონებს, ახლა რომ ხელში უჭირავს. თუმცა ეს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი პირადად მას არ ეხებოდა, მაინც თავის თავს დავიწყებულად არ თვლიდა.

— ჰაუ, ბიჭებო, ჩემსკენ! — ლოგოიდას შეძახილი თებერვლის დილის გაყინულ ჰაერში შორს გაისმა. ეზოს ყოველი კუთხიდან მისკენ გამოიქცა ხალხი.

— რა არის ახალი, ლოგოიდა? —

— პენჩო პენჩევი... — მხოლოდ ეს წარმოთქვა მდივანმა და გადმოხტა გაქანებული ველოსიპედიდან. გაშალა მის გარშემო შემოკრებილი ამხანაგების წინ გაზეთი.

იმ ღირსშესანიშნავ დილას ჩვენ კოლმეურნე სტეფანე პეტროვთან ვიყავით სტუმრად. ეს სამოცი წლის მოხუცი უკვე ორი თვეა, რაც ლოგინიდან ვერ დგებოდა. უმტყუნეს იმ ფეხებმა, რომლებმაც დედამიწის ზურგზე არა ერთი გზა გაიარეს.

დიაღ, ძალიან მოსაწყენია უსაქმოდ ჯდომა ღუმელთან, როცა კოლმეურნეობაში საქმეებს ბოლო არ უჩანს. რას იზამ, ფეხების ბრალია, იმ დაწყეველილების. მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, რომ ავადმყოფობა ძასში წინანდელი შიშისა და უიმედობის გრძნობას არ იწვევდა: რა მოჰყვა ოჯახს? რა მოელის მას ხვალ? კოლმეურნეობაში დიდი ხანია შეამჩნიეს პეტროვის დაავადება, უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაიყვანეს. წელს მოხუცმა საკმარისად მიიღო სურსათი, ფული, ხორბალი და ბოსტნეული, რომელიც ახალ მოსავლამდე სავსებით ეყოფოდა. ერთი კასრი ღვინოც კი მიიტანა სახლში. რაც არ უნდა თქვა, მას მომავლის შიში არა ჰქონდა.

და აი პენჩო პეჩნევი მოსრიალდა თავისი ველოსიპედით მოხუცის სანახავად.

სტეფანე პეტროვმა ჯერ არაფერი არ იცოდა.

— როგორა ხარ, მოხუცო? — ამ შეკითხვით გამოჩნდა პარმაღზე წითელლოყება, მაგარი აგებულების ადამიანი, ნაცრისფერ პალტოში და მაღალ ტყავის ქუდში.

— ფეხები, პენჩო, — უპასუხა სტეფანემ, — მაგრამ არ გეგონოს, რომ ბუხართან ვიჯდე. მე მალე მოვალ და ვითხოვ ისევ შენს ბრიგადაში შემიყვანონ. ხომ მიმიღებ მოხუცს, პენჩო?

დაკვირვებულმა მოხუცმა პასუხს არ დაუცადა, ბრიგადირს სახეში ჩააცქერდა.

— ოჰო, პენჩო, შენ გულში რაღაცა გაქვს! აბა თქვი.

პენჩომ გაიღიმა.

— მაქვს, სტეფანე! და მერე როგორი! — პენჩო უცბად შეკრთა და ჩუმად დაუმატა:

— იცი, გუშინ კრემლში... ერთი სიტყვით, შეგიძლია — მომილოცო.

და პენჩო პენჩევმა უამბო იმის შესახებ, რომ მთავრობამ მას, პენჩოს, სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა.

მოხუცმა მოულოდნელად წამოიწია, საწოლიდან ადგა და სუსტ ფეხებზე წაბარბაცდა. ხელებგაშვერილი მიუახლოვდა სტუმარს.

— როგორ გამახარე, პენჩო! — და უცებ შეჰყვირა: — მარიიკო, — მოდი აქ, მარიიკო!

ოთახში თხუთმეტი წლის, სასიამოვნო სახის, ჭრელ ჩითის კაბაში გამოწყობილმა გოგონამ შემოირბინა.

— მარიიკო, — მხიარულად უბრძანა პეტროვმა, — მომეცი სუფთა პერანგი, მომეხმარე კოსტუმის ჩაცმაში... ძველი კი არა, ის, შავი მინდა. — და მოხუცმა დაიწყო აჩქარებით ჩაცმა.

— რა მოიფიქრე? — ჰკითხა პენჩომ, — სად აპირებ წასვლას?

— არსად, მეგობარო, დღეს ხომ დღესასწაულია, მე კი ასე გამოვიყურები. არა, ნუ მეკამათები...

ცოლმა ბოთლით ღვინო მოიტანა და მათ უსიტყვოდ დალიეს, რადგან ნამდვილ სიხარულს ბევრი სიტყვა არა სჩვევია.

უცებ მოხუცი შეიშმუხნა, ფერი დაეკარგა, თვალები გაუჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო.

— შენი სასიხარულო ამბით, პენჩო, მომაგონე ის, რის მოგონებასაც მე არასოდეს არ მოვისურვებდი.

... აი სტეფანე პეტროვის ცხოვრებიდან რამდენიმე შტრიხი, რომელიც ჩვენ იმ დილას მოვისმინეთ:

პეტროვმა პლაკატი დაგვიხატა. — ასეთი აფიშებით, გვითხრა მან, ბევრი ქალაქისა და სოფლის ბოძი იყო აჭრელებულიო.

„გინდათ თუ არა, გამდიდრდეთ?

ჩადით სამხრეთ ამერიკაში!

ამერიკის კომპანიის ჩქარმავალი გემები ევროპის რომელ პორტიდანაც გნებავთ, ჩაგიყვანთ ამერიკაში. იქ თქვენ მუდმივი ხელსაყრელი სამუშაო გელოდებათ. ორივე კონტინენტზე ყველაზე მაღალი ხელფასი თქვენთვის უზრუნველყოფილია.

ყოველთვის შეგიძლიათ დაბრუნდეთ სამშობლოში, მაგრამ თქვენ ამას არ იზამთ, სანამ კაპიტალს არ შეაგროვებთ.

კაპიტალი ეს სახლია, მიწაა, ის ბედნიერი, შეძლებული მოხუცებულობაა.

გაემგზავრეთ ბუენოს - აირესში და სამხრეთ ამერიკის სხვა ქალაქებში, თქვენ იქ სამუშაო და სიმდიდრე მოგელით“.

ჯერ კიდევ ბავშვობისას იდგა სტეფანე პეტროვი ასეთი პლაკატის წინ და გამოსავალს ეძებდა.

რას არ დაიჯერებ, როცა ადამიანური ცხოვრება გწყურია!

და აი ახალგაზრდა სტეფანე პეტროვი სხვა ადამიანებთან ერთად ოკეანის გემიდან „აღთქმულ“ ახალ მიწაზე გადმოვიდა...

მაგრამ კაპიტალი მაინც ვერც კანადაში, ვერც შეერთებულ შტატებში, ვერც არგენტინაში და ვერც შორეულ პატაგონიაში ვერ დააგროვა...

ყველგან ერთნაირი მაგარი ტახტები იყო ნესტიან ბარაკებში, ადამიანის ბედის მიმართ ერთნაირად გულგრილი ოსტატები და მეთვალყურენი, ყველგან ადამიანში მხოლოდ მისი ტაბელის სათვლელი ჩხირის ნომერსა ხედავდნენ და მის სამუშაო ღირებულებას მისი ხელობისა, კისრისა და ვენების კუნთების ძალის მიხედვით განსაზღვრავდნენ.

პატაგონიაში კი მას უბედურება შეემთხვა. მანქანამ ხელი დაუჩეჩქვა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ სტეფანე მიხვდა, რამდენად განუხორციელებელი და მიუწვდომელი იყო აფერადებული პლაკატის დაპირებანი, და სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნდა. უცხოეთში მისი ხეტიალის დროს, სამშობლოშიც არ გაუმჯობესებულა საქ-

მე. მის ქვეყანაში მკაცრი ფაშისტური ტერორი მეფობდა, რომელიც მუშაკაცის ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას უფრო ამწვავებდა.

მაშინ სტეფანე პეტროვი ისევ გზას გაუდგა, მაგრამ ამჯამად ოკეანის იქით კი არ წასულა, არამედ კარპატებში გაემგზავრა. გადაწყვიტა ბედი ეცადა თავის თანამემამულე მებოსტნეებთან.

ეს ყველაფერი მოაგონდა მოხუცს იმ წუთებში, როდესაც თავის მეგობარს ულოცავდა.

— ჩემს საუკუნეში ბევრი ვიშრომე, — თქვა სტეფანემ, — ბევრი ქვეყანა მოვიარე, პენჩო! რამდენჯერ გამოიცვალა ამ ხელებზე კორძები, რამდენი ნავთი ამოუღიათ მათ, რამდენი მიწა მოუხნავთ და რამდენი სილა აუღიათ! მაგრამ მითხარი, პენჩო, მითხარი, სხვა რომელ ქვეყანაში, — შენ ხომ ბევრ ქვეყანაში ყოფილხარ, — მიაკუთვნებენ ხოლმე ასეთ შრომაგამოვლილ ხელებისათვის მუშაკსა და გლეხს ასეთ გმირულ სახელს!

კოლმეურნეობის ბრიგადირი მოხუცის მოგონებებს ყურადღებით უგდებდა ყურს. ისიც, როგორც პეტროვი, ბულგარეთში დაიბადა. ისიც იდგა აფეთრადებული პლაკატის წინ, იმაზე ფიქრებში წასული, თუ სად ეძებნა თავისი ბედ-იღბალი. მაგრამ ოჯახსაც ხომ ერთი ბეწო მიწის ნაკვეთი-ღა ჰქონდა. მაგრამ ოკეანის გაღმა გამგზავრება მას არ შეეძლო — სახსრები არა ჰყოფნიდა. იძულებული იყო ბედი ჯერ თურქეთში ეცადა, შემდეგ რუმინეთში, ხოლო შემდეგ იმიერკარპატში.

მძიმე იყო მოჯამაგირე - მებოსტნის მდგომარეობა თურქეთის მიწაზე და რუმინეთის მიწაზეც, მაგრამ კარპატებშიც არ იყო უკეთესი.

საკუთარი მიწის ნაკვეთის შეძენა შეუძლებელი იყო. ამიტომ იძულებული გახდა მიწა იჯარით აეღო კაბალურ პირობებში.

მუკაჩევოს განაპირას, პატარა მდინარის გაღმა გაფანტული იყო ბულგარელ მებოსტნეთა მიწების წვრილი ნაკვეთები. იმისათვის, რომ სოფლიდან მებოსტნეობის ამ ნაკვეთებზე მოხვედრილიყვნენ, ადამიანები უნდა გადასულიყვნენ მდინარეზე, რომელიც გრაფ შენბორნს ეკუთვნოდა. და აი როგორღაც მებოსტნეებმა გადაწყვიტეს ამ მდინარეზე ხიდი გაედოთ. ამის შესრულება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ბრწყინვალე გრაფმა შენბორნმა მის მდინარეზე ხიდის აშენებისათვის ფული მოითხოვა.

უფრო მეტიც: მოიჯარადრეებს ევალებოდათ საიჯარო ფასი გადაეხადათ ამ ხიდით სარგებლობისათვის. ეს ხიდი ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ პენჩევს, განჩევს და სხვას. ხიდი მათ იმ დროს აგონებს, როცა მშრომელი ადამიანისათვის ცხოვრების საფუძვლები არ იყო მყარი და მაშინ მებოსტნეები ეძებდნენ გამოსავალს იმ ჩიხიდან, რომელშიაც ისინი სასტიკმა კაპიტალისტურმა სისტემამ მოამწყვდია.

ეს გამოსავალი თითქოს აშკარა იყო მათთვის არტელის ორგანიზაციაში. ასეთი არტელი შეიქმნა კიდეც. მაგრამ ყველა მისი შემოსავალი შრომის მიხედვით კი არ ნაწილდებოდა, არამედ დაბანდებული თანხების რაოდენობის მიხედვით.

განა შეეძლო ადამიანს ასეთ პირობებში მთელი გულით ემუშავა? რასაკვირველია, არა! უსამართლობის გრძნობა არასოდეს არ სტოვებდა პენჩო პენჩევს და ყველა იმათ, ვისი შენატანიც მცირე იყო.

— გინახავთ დაფალმანდებული ცხენი? აი ასე გამოვიყურებოდი მე არტელის უფრო შეძლებულ წევრებს შორის, რომლებიც ხუთჯერ ჩემზე მეტს იღებდნენ. თუმცა მეც ვშრომობდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. მაგრამ ეს ხომ მაშინ არავის აკვირვებდა, ასე იყო ასი წლის წინათ და

ასე იყო იმიერკარპატში საბჭოთა მეომრების მოსვლის წინათ. და ისევე უცვლელად რჩება ყველაფერი ამერიკაში.

როდესაც იჯარული მონობისაგან განთავისუფლებულ პენჩევს, საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა მიაკუთვნა, მას ეგონა — ჩემი ცხოვრების მიზანს მივაღწიეო და, მართლაც, მეტი რა იყო მიწათმოქმედის საოცნებო? უძილო ღამეებში რაზე ფიქრობდა ის? მიწა! მიწა! აი როდის მოგვადგა ნამდვილი ბედნიერება.

მაგრამ დღეები მიდიოდა, პირველი სიხარული მიწყნარდა და პენჩევს მოეჩვენა, რომ მიწა — ეს კიდევ ყველაფერი როდიაო. ის ხომ ჯერ არც კი იყო მისი პატრონი, მიწა კი ბატონობდა მასზე, პირველ ხანებში ის თავისთავს უჯავრდებოდა, თავისთავს სიხარბეს აყვედრიდა „მიწა შევიძინე. მაგრამ თითქოს ბევრი არაფერი გამოვიდაო!“.

და, ზოგჯერ ნაკვეთზე ხეტიალის დროს, ფიქრობდა ხოლმე — არ განვიცდი რაღაც ნამდვილ ადამიანურ სიხარულს, მიწამ კი ხომ უნდა არგუნოს ადამიანს სიხარული.

რა არ ესმოდათ პენჩო პენჩევს და მის მეგობრებს კოლმეურნეობის შესახებ! რას არ წერდნენ საბჭოთა არტელების შესახებ ყოველგვარი გაზეთები და ფურცლები!

ახსოვდა პენჩო პენჩევს ბავშვობაში გაგონილი ზღაპარი მრავალთავიანი ურჩხულის შესახებ, რომელიც მთაში ცხოვრობდა. ამ ურჩხულზე გაცილებით უფრო საშინლად გამოიყურებოდნენ გაზეთებში აღწერილი საბჭოთა კოლმეურნეობები. უბრალო, ყოველდღიური მოსაზრება ეწინააღმდეგებოდა ამ მოსაზრებებს.

თუ დავუჯერებთ რასაც სწერდნენ „ადმირალ ხორტის“ უნგრეთის გაზეთები, მაშ საიდან აქვს საბჭოთა ქვეყანას ასეთი ბუმბერაზული ძალა, რომ გერმანელები ასე მოკაკვა? და რატომ პენჩევს არასოდეს არავინ არ შესჩივლა საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, არამედ პირიქით, მშობლიური ადგილების მოგონების დროს გულჩვილად და ამაყად ლაპარაკობდნენ მშობლიური ქვეყნის სიმდიდრესა და ადამიანებზე.

— გამარჯობა, პენჩო, — მიესალმა ერთხელ განჩევი მისი სკოლის ზღურბლთან მიახლოვებისას.

— გამარჯობა, მეგობარო, — უპასუხა პენჩომ, — რა იცი ახალი?

„ერთი ფიქრი უნდა გაგიზიარო და მოვედი შენთან, — თქვა განჩევმა.

და ისინი სახლთან ჩამოსხდნენ.

საუბარი, რომელიც განჩევმა წამოიწყო, მოულოდნელი იყო. „შენ გინახავს ოდესმე ეს წიგნი?“ ჰკითხა განჩევმა და ჯიბიდან ფრთხილად პატარა ბროშურა ამოიღო.

— არა, არასოდეს!

— ეს იმიერკარპატში ერთად ერთი წიგნია. ის ვოროშილოვგრადიდან პარტიის ქალაქკომის მდივანმა ჩამოიტანა. და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე შეუდგა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების კითხვას. ნელნელა კითხულობდა, ყოველ სტრიქონს უკვირდებოდა. პენჩევი დიდი ყურადღებით უსმენდა, ზოგიერთი მუხლი რამდენჯერმე გაამეორებინა. როცა კითხვა დაამთავრეს, განჩევმა თქვა:

— როგორა ფიქრობ, პენჩო, ხომ არა გვმართებს ჩვენც ასე ვიცხოვროთ და ვიმუშავოთ, როგორც აქ, ამ პატარა წიგნშია ნათქვამი?

პენჩევი დუმდა, ალბათ, იმიტომ, რომ ეშინოდა წარმოეთქვა სიტყვა: „გვმართებს“, თუმცა გულის სიღრმეში უკვე დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ასეთი ცხოვრება აკლდა მას, და როცა ორი საათის შემდეგ განჩევი წამოდგა და გამომშვიდობება დაიწყო, პენჩევმა უთხრა:

— კარგი, განჩევო, შეგიძლია ჩემი იმედი იქონიო.

ხოლო მეორე დღეს, დილას, ისინი ერთად დადიოდნენ სახლიდან სახლში მებოსტნეებთან და დიდხანს ესაუბრებოდნენ მათ იმაზე, რაც ვოროშილოვგრადიდან ჩამოტანილ თხელ პატარა წიგნში იყო დაწერილი... მართალი რომ თქვას კაცმა, — იგონებს პენჩევი, — ეს ჩემი ცხოვრების დასაწყისი იყო, თუმცა მე არც ისე ახალგაზრდა ვარ.

სასოფლო-სამეურნეო არტელს, რომელშიაც უმრავლესობას ბულგარელები შეადგენდნენ, გიორგი დიმიტროვის სახელი უწოდეს. პენჩევი მერგოლური გახდა. ის ხარბად კითხულობდა ყველაფერს, რაც გაზეთებში იწერებოდა ჩვენი ქვეყნის მერგოლურებზე, მაღალ მოსავალზე, მიწათმოქმედების ოსტატების ნოვატორობაზე. კოლმეურნეობის ხელმძღვანელი თეოდორე განჩევი კიევსაც ეწვია, გაიცნო მარკო ოზერნი, ელენა ხობტა, ნადეჟდა კოშიკი.

„ცნობილი მესიმინდეების“ შესახებ მისმა მოთხრობილმა ამბებმა პენჩევს სურვილი გაუღვიძა თავის ყანაში ასეთივე მშვენიერი სიმინდის მოყვანისა. შემდეგი მოსავლისათვის მზადებას იგი ზამთარში შეუდგა. ამზადებდნენ ნაკელს, ეზო-ეზო, აგროვებდნენ ნაცარსა და ქათმის განავალს.

სამჯერ შეამოწმეს ლაბორატორიაში თესლის გაღვივების უნარი.

მოახლოვდა თესვის დღეები. თესლს მარცვლობით არჩევდნენ. არც ერთი დაზიანებულის ან ავადმყოფი თესლის მიწაში ჩაგდების უფლებას არ იძლეოდა პენჩო. ცდილობდნენ გამოერჩიათ ყველაზე ჯანსაღი, განვითარებული თესლი სიმინდის ტაროს შუა ნაწილიდან. ამაში პენჩტი ოზერნოის რჩევას მიჰყვებოდა: „ცუდი თესლისაგან კარგ ჯიშს ნუ ელიო“.

შემოდგომიდან პენჩევი არჩევდა ჯერ მოუტეხავი სიმინდის ტაროებს. გაზაფხულამდე მათ შენახვაზე ზრუნავდა, ასევე გულდასმით უფრთხილდებოდა პენჩევი ახალ ნათესებსაც.

დათესილი სიმინდი იმიერკარპატში მეათე დღეს ამოდის. მასთან ერთად ამოდის ერთწლიანი სარეველა ბალახიც, რომელიც მცენარეებს ტენსა და მკვებავ ნივთიერებებს პარავს. პენჩევმა გამოიყენა აღმონაცენის განივად და ორ კვალად ფარცხვა.

ეს მან წარმატებით მოახერხა: გაზაფხულზე ხომ თესლი 7 — 8 სანტიმეტრის სიღრმეში იყო ჩაფლული, და ფარცხის კბილანებმა აღმონაცენი ვერ დააზიანეს.

პენჩევის უბის წიგნაკში ჩაწერილია დამატებით ნაკელის შეტანის, გამოთოხნისა და გამეჩხრების დღეები. თქვენ მასში შეხვდებით ნაკვეთზე ამოსული მცენარეების რაოდენობასაც — ჰექტარზე 45 ათასს, არც მეტს, არც ნაკლებს, რომ ყველას ეყოს ტენი და სასუქი!

პენჩევზე ამბობენ — სიმინდთან „საუბარი“ ისწავლაო. მართლაც, ბრიგადირმა მშვენივრად შეისწავლა სიმინდის მოთხოვნილებები და კაპრიზები. ეს მან მოახერხა მუშაობის დროს, უძილო ღამეებში, როდესაც სწავლობდა აგროტექნიკის საფუძვლებს, მარკ ოზერნოის გამოცდილებას. მან კი შეძლო თავისი შემოქმედებითი ნებისყოფა თავზე მოეხვია ბუნებისათვის, ამ გაცხარებული მუშაობის პირველ დღეებში ადვილად შეამჩნევდით პენჩევის სახეზე გაუბედაობის, მორცხვობისა და დაღლილობის ნიშნებს. ადამიანმა 39 წელი გაატარა ბუნების, მიწისა და ჰავის კაპრიზებთან მონურ დამოკიდებულებაში. კუნთების ენერგია — აი რა წყვეტდა ჩვეულებრივ გლეხის მიღწევების საკითხს მის მიწაზე.

ახლა კი თურმე, მაღალი მოსავალი იმას მოსდის, ვინც მეცნიერებით არის შეიარაღებული.

პენჩევი სახარბიელო სიჯიუტის ადამიანი იყო. მისი პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა ბრიგადაში ამხანაგებსაც გადაეცემოდათ ხოლმე.

ძნელია მცენარეების სათუთი მოვლის ყველა წვრილმანის აღწერა. არც დროსა და არც ძალას ზოგავდა ხალხი, რომ კარგად გაემარგლა სიმინდი და სიყვარულით შემოეყარა მისი ფესვებისათვის მიწა. სიმინდის ყვავილობისას ისინი თავს არ იტყუებდნენ, დიდ იმედებს არ ამყარებდნენ ბუნების მუშაობაზე, არა, თვითონ აგროვებდნენ სიმინდის მტვერს და ყოველ მცენარეს ამტვერიანებდნენ.

ყოველ ყლორტს იცნობდნენ თავიანთ ნაკვეთზე და მასზე ლაპარაკის დროს ადვილად გაუგებდნენ ერთმანეთს, თითქოს ამ ყლორტებს ჰქონდათ თავიანთი სახელი და ნომერი!

პენჩო პენჩევის საბოლოო გამარჯვება არტელში ყველას ერთნაირად არა სჯეროდა. ჯერ კიდევ ბევრში მამა-პაპათა ტრადიციის მაგალითები და ცრუ-შეხედულებები სჭარბობდა.

„ხო, ხო, ძვირფასო პენჩო! ადამიანო, ეს რა მოიფიქრე? ბუნებას ედავები? სად გაგონილა, რომ ადამიანი ფუტკრისა და ქარის მაგივრად თვითონ ახდენდეს სიმინდის დამტვერიანებას? ღმერთი გინდა მოატყუო, სწავლული გინდა გახდე?“

და ვერც ერთმა ამ „კრიტიკოსთაგანმა“ ვერ მოიფიქრა, თუ რა ახლო იყო სინამდვილესთან მათი უკანასკნელი სიტყვები პენჩოს სწავლულობის შესახებ! მართლაც, მხოლოდ მეცნიერებასთან კავშირში შეეძლო პენჩოს მაღალი მოსავალი მიეღო.

დაბა როსვიგოვო, სადაც პენჩო პენჩევი ცხოვრობს, ჩვენი ქვეყნის ბევრი მიწათმოქმედისათვის არის ცნობილი. დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას წლიდან წლამდე ასობით მხვნელ-მთესველი ნახულობს. დაბის ფოსტის დამტარებელი უკვე შეჩვეულია იმას, რომ სისტემატურად თავისი დიდი ჩანთა პირამდე გატენოს ჩვენი უსაზღვრო სამშობლოს, ყოველი კუთხიდან პენჩევის სახელზე მოსული კორესპონდენციებით. ამ წერილებში თქვენ ხვდებით ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შტემპელებს. წერენ აკადემიკოსები და აგრონომები, მებრძოლები და ოფიცრები, მოწაფეები და ბუნებისმეტყველები.

როსვიგოვოს სასოფლო-სამეურნეო არტელს ვიღაცამ მოხდენილად იმიერკარპატის საცდელი მინდორი დაარქვა. ჩამოდიან აქ მთელი ჯგუფები, დელეგაციები. საბჭოთა გლეხები არ იკეტებიან თავიანთი ნაკვეთების მესრებს შიგნით, ასეთივეა პენჩევიც. დნეპროპეტროვსკის კოლმეურნე ოზერნოისაგან მან გადაიღო თესლის ღრმად ჩაფლვა, ახალგაზრდა ნათესის ორჯერადი განივი ფარცხვა. ნადია კოშიკისგან ისწავლა მან სიმინდის ბარტყის აცლა. ოდესელ აგრონომ მუსიიკოსაგან ისწავლა ხელოვნური დამატებითი დამტვერიანება.

ახლა კი როსვიგოვოში ჩამოსულები პენჩო პენჩევის „საველე უნივერსიტეტში“ სწავლობენ თანამედროვე საბჭოთა მიწათმცოდნეობის მთელ კომპლექსს.

სასიხარულოა, რომ პენჩევთან ერთად არტელის ყველა კოლმეურნე იზრდება, და ბევრ მათგანს უკვე თავისი ნოვატორული შესწორებები შეაქვს განთქმული სიმინდმცოდნის შრომებში.

* * *

წარმოიდგინეთ მისი შეკრთომა. მან მთელი ქვეყანა მოიარა. 20 წელი ამე-

რიკის მატერიკზე დაბოგინებდა. კანადიდან სამშობლოში დაბრუნდა. სახლში საკვირველად ალერსიანი თანამემამულენი დაუხვდნენ. ცოლმა გაახარა ვაჟიშვილის კარგი ამბებით. ვაჟი უკვე სრულწლოვანი გახდა, ხუსტაში სწავლობდა, კულტურულ - საგანმანათლებლო ტექნიკუმს ამთავრებდა.

„ეხ, ნეტავ ჩქარა ვნახო ჩემი მემკვიდრე. აუცილებლად უნდა გავუგზავნო დეპეშა ამდენი ლოდინის შემდეგ მამის დაბრუნების შესახებ!“.

და აი მან ამოიღო ჯიბიდან ამერიკული ავტომატური კალმისტარი და.. აქ წარმოიშვა მწარე დაბრკოლება. მან ხომ ჯერ არ იცის წერა-კითხვა!.. თავისი გვარის დაჯღაბნა ძლივს შეუძლია — და ისიც „ლათინიკით“. დედამიწის ზურგზე 20 წლის განმავლობაში მოგზაურობამ წერა-კითხვაც კი ვერ ასწავლა.

მაინც როგორ შეატყობინოს შვილს? და ოკეანის გაღმიდან ჩამოსული ნიკოლოზ ივანეს-ძე პოდგოროდსკი გულნატკენი ტოვებს სახლს, მიდის მეზობელთან — დაე, მან მაინც დაუწეროს დეპეშა. და უშიშრად, თავშეუკავებლად ლანძღავს ამ სამგზის დაწყევლილ, დამთხვეულ კანადურ ცხოვრებას, რომელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნე წაართვა ტყუილუბრალოდ.

და ეს გასაგები შეკრთომა მით უფრო ძლიერია, რომ მის ირგვლივ სრულიად სხვა, შეცვლილი ადამიანები არიან. თვალში ეცემა, აკვირვებს გამოუთქმელი სიახლე. მშობლიურ სოფელ მირჩაში კოლმეურნეობაა; ახალი სახლების მთელი ქუჩაა, ახალი სკოლაა. სამიკიტნოს ადგილას ახლა კლუბია. სოფელში მისი ალალი შვილი იურკო პატივცემული ბიბლიოთეკარია, რომელიც ხალხმა წიგნისადმი სიყვარულის გამო ქალაქში გაგზავნა სასწავლებლად სპეციალურ ტექნიკუმში. „ეს რა საკვირველებაა“.

ეს ვერ თავსდება ბედკოლეული ადამიანის თავში: იგი მონრეალში ახლახან გაშორდა ჭუჭყიან ჩანთას, საკმარისად იგემა პოლისმენებისგან ცემა, გამოსცადა მრავალი წლის განმავლობაში უმუშევრობის საშინელება, მატარებლის სახურავებზე ღამის გატარება, თავის თანასოფლელთან ერთ საწოლზე წოლა გალიფაქსის ახლო ფერმერის სახლში.

„შვილი ხუსტაშია“... ნიკოლოზ ივანეს-ძეს არ დავიწყებია ცოლის გულისმომკვლელი წერილი: მადიარების დროს იურკო იძულებული იყო თავი დაენებებინა პერეჩინის საქალაქო სკოლისათვის სიღარიბის გამო! ახლა კი ტექნიკუმშია!

გუშინდელ კანადელს ისიც აღელვებდა, რომ თორმეტი მისი თანასოფლელი, საბჭოთა წლებში მასწავლებელი გახდა, 60 ახალგაზრდა ტექნიკუმში შევიდა, ხოლო ოთხი უჟგოროდის უნივერსიტეტშიაც კი სწავლობს. „უხვად შემოაქვთ მეცნიერება მშობლიურ მიწაზე! ის კი?“

მეზობელმა სიამოვნებით შეუდგინა დეპეშა. ნიკოლაი ივანოვიჩს ახსოვს ეს მეზობელი, ჯერ კიდევ მოზარდი, როცა ის სოფლის უბრალო მეჯოგე იყო, როცა ქალაქიდან მის წასაყვანად ახალგაზრდების მომკრები ადამიანი ჩამოვიდა. მეზობელმა კანადელი ფერმერების დაპირებებს არ დაუჯერა...

*

რა დრო იყო!

იმიერკარპატში, მთიან მხარეში, მაშინდელი ევროპის შუა გულში ყოველნაირი მოგზაურები ჩამოდიოდნენ: ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან, მწერლები ლონდონიდან, პარიზიდან, პრაღიდან, მათი „კოდაკები“, ფოტოაპარატები აღბეჭდავდნენ ციცაბო წყალ-

ვარდნილებს, სინევირის საოცარ ტბას, ველურ ტევრებს. უცხო ქვეყნებიდან მოსული სტუმრები მხიარულად, უდარდელად ადიოდნენ კარპატ-გოვერლუს, მენჩულის, სტოის, პოპ-ივანის მწვერვალებზე, აღტაცებით ათვალიერებდნენ მთის ტაფობებზე პატრიარქალურ „მეცხვარეებს“, იმათ კარვებს; ტკბებოდნენ „გაჩა“ - შარვლებით. ყიდულობდნენ მოქარგულ „კიპტარიკებს“— ტყავის ქურქებს გუცულური ნაქარგებით, ხალიჩებს, სხვადასხვა ნაწარმს, ყოველგვარ ეგზოტიკურ წვრილმანს. მაგრამ ცოტა იყო ისეთი ადამიანი, რომელსაც აწუხებდა ის, რომ ამ პატრიარქალური ველურობის იქით იწყებოდა მწუხარება, სიკვდილი, ხალხის ამოწყდომა. შემთხვევითი ამბავი როდი იყო, რომ მთელ ევროპაში ყველაზე მაღალი სიკვდილიანობა იმიერკარპატში იყო, და ყველაზე მეტი უმუშევრობაც, განუწყვეტელი შიმშილი და კულტურული ჩამორჩენილობა. იმიერკარპატელები ევროპაში ყველაზე იაფ სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ. ტყუილად კი არ მორბოდნენ ხოლმე აქეთკენ მუშახელის ყოველგვარი შემკრებების ხროვები და აგენტები — თვით ოკეანის გადაღმიდანაც კი!

ცრუმორწმუნეობას, ცრუშეხედულებებს, ჩამორჩენილობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დრომდე კარპატებში, დღეს მოგვაგონებენ სოფლის ქრონიკები, მოხუცი ადამიანების მოთხრობები. გართობები გუცულ მიცვალებულებთან, ქაჯები, ჩუგაისტირები, მკითხავები, რომლებიც აჯადოებენ ადამიანებს, „გათვალვისაგან“ იცავენ საქონელს, დევნიან „მავნე სულებს“, „კურნავენ“ ბავშვებს, აჯადოებენ საქმროს ან დიდმზითვიან სასძლოს — აი რას ჰყავდა დამონებული ხალხი სიბნელეში.

სოფელ სერენჩივცის სკოლის მატიანე მუკაშევშჩინაში მკვლევარ ეტყველურად მოგვითხრობს იმაზე, ვისაც ლიავალებული ჰქონდა სოფლის ახალგაზრდობის აღზრდა. დიაკვანი ივანე ბუმბაკი ერთ-ერთი ასეთი დამრიგებელი იყო. ის სულ მთვრალი იყო, ქალამნებში და ბეწვებიან ხიფთანში დადიოდა. მაინცდამაინც სხარტად ვერ კითხულობდა ბუმბაკი, ხოლო წერა და ანგარიში სრულებით არ იცოდა. მხოლოდ ძველსლავურ რიცხვებს სცნობდა და იმასაც ათამდე!

აი როგორ გვიხატავდა უბრალო გლეხი მის ოჯახში არსებულ არევ-დარევას: „ერთ-ერთი ჩემი ბიჭი დაწყებით სკოლაში სწავლობს, სადაც მასწავლებელი უკრაინელია, მეორე — ქალაქის სკოლაში, სადაც მასწავლებელი რუსია. ბიჭებმა უკვე რამდენჯერმე ადინეს ერთმანეთს ჩხუბის დროს სისხლი, ერთმა — რუსობისათვის, ხოლო მეორემ — უკრაინელობისათვის. ჩემი მეზობლის ბიჭი მათ ორივეს წაეჩხუბა ხალხური ენის, ე. ი. „რუტენული“ ენის „სახელით“. შედეგი იმ ბოროტი მავნებლური სასკოლო პოლიტიკისა, რომელსაც ჯერ ჩეხური რეაქცია ატარებდა, ხოლო შემდეგ მადიარების ხროვა, ის იყო, რომ იმიერკარპატის ახალგაზრდობა სკოლებს ამთავრებდა ლიტერატურული ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე.

ამაზე ძალიან გულწრფელად მოგვითხრობდა იმიერკარპატის ყოველკვირეული ორგანო:

„ჩვენმა აბიტურიენტებმა არც ერთი ენა არ იციან! არც ერთი, როგორც საჭიროა, არ არის მომზადებული იმისათვის, რომ ლექციები მოისმინოს ჩეხურ, რუსულ ან უკრაინულ უნივერსიტეტში“.

კოლონიზატორები იმიერკარპატიდან დევნიდნენ მშობლიურ ენას და

ცდილობდნენ დაენერგათ ე. წ. „რუ-ტენული“ ენა, რაღაც ვოლაპიუკი, ახირებული ნარევი, უხიაკი შენადნობი უცხო წარმოშობის უნგრული, ჩეხური და სლოვაკური დიალექტებისა. ამას ეფარდებოდა ფსევდომეცნიერული აზრები იმიერკარპატის უკრაინელების ვითომ სოციალური და ბიოლოგიური წარმოშობის თავისებურებაზე. ეს აზრები ვრცელდებოდა იმიერკარპატელების დენაციონალიზაციის მიზნით, უკრაინული ფესვიდან, რუსული ფესვიდან მათი მოგლეჯის მიზნით, ამას ეფარდებოდა ძირითადი მოსახლეობის გაძევება მთებისაკენ. ქვეყნის ეკონომიურ გაძარცვასთან ერთად სულიერადაც ძარცვავდნენ.

ტყუილად კი არ აღმოხდა პოეტ იული ბორშოშ-კუმიაცკის გულიდან მწარე შემოძახილი მშობლიურ იმიერკარპატზე, როგორც „მკაცრი ვარამის“ ქვეყანაზე.

*
* *

სოფ. ლუგში, სადაც დღემდე ცხოვრობს და მასწავლებლობს პოეტი, ოცდაათი წლის წინათ 513 წერაკ თხვის უცოდინარი იყო; ჩეხური რეჟიმის დროს ეს რიცხვი რამდენიმედ შემცირდა — 326-მდე დავიდა.

მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბორშოშ-კუმიაცკის არც ერთ თანამემამულეს არ ჰქონდა შვიდწლიან სკოლაში სწავლის საშუალება, არც უნგრული, არც ჩეხური რეჟიმის დროს.

ახლა სოფ. ლუგში შვიდწლედია და მისი გამგეა თვითონ ბორშოშ-კუმიაცკი.

უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შევიდა ოთხი ლუგელი ახალგაზრდა უნივერსიტეტში, 3 — პედსასწავლებელში, 15 — ტექნიკუმში, 45 — საშუალო სკოლაში და 468 — ოვიდწლედში.

ეს პატარა ცნობა სწორად გვიჩვენებს საბჭოთა წლებში იმიერკარპატში მომხდარ კულტურულ ცვლილებებს. უკვე ხუთი წლის წინათ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ყოველი მეოთხე იმიერკარპატელი, ასე თუ ისე, ცოდნას ეზიარება. ამისათვის მეტად ფართო სასწავლო ქსელი შეიქმნა. ეს პროცესი ღრმად შეეხო ხალხთა მასებს ყველაზე უფრო მივარდნილ კუთხეებშიც კი.

ახლა იმიერკარპატის ყველა ოლქში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად ლიკვიდირებულია.

უნივერსიტეტის აუდიტორიაში, პედაგოგიურ სასწავლებლებში, მუსიკალურ სკოლებში, ტექნიკუმებში, მუშაახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ოთხჯერ მეტი ახალგაზრდობა სწავლობს, ვიდრე ოკუპაციის წლებში.

ყრუ სოფელ ლუგშიაც კი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ არის.

ჩვენ ვოლოვშჩინის შორეულ ქოხებს ვესტუმრეთ. განა შეიძლება გულდამშვიდებით ვუყუროთ ამაღელვებელ სიახლეს?

მთიელის ქოხში მაგიდასთან, ჭრაქის სინათლეზე ვოლოვშჩინის ხეტყის მჩეხავები სწავლობენ წერა-კითხვას.

მასწავლებელი დაუგვიანებლად მოდის აქ, წვიმაშიაც და ქარშიაც, ბურუსშიაც, როცა ღრუბლები მჭიდროდ ეხვევა ყველა ფერდობს და კარებშიაც იყურება.

მასწავლებლებთან ერთად დიდი ბოჩკოვოდან მწყემსების ქოხში მოვიდა საბჭოთა წიგნი, ლენინის მგზნებარე სიტყვებით აჟღერებული.

სოფ. რატივცის პედაგოგების წყალობით წიგნი ამ სოფლის ბოშების

კუთვნილებადაც გადაიქცა, იმ ბოშებისა, რომლებიც აქამდე მივიწყებულნი და კულტურიდან დაშორებულნი იყვნენ.

ახალგაზრდა მასწავლებელთან ერთად წერა-კითხვის ცოდნა სოფელ დიმიჩეშიაც მოვიდა — მრავალშვილიან დედებთან. ყოველ საღამოს რეგულარულად მეცადინეობენ ეს მშრომელები და უკვე არასოდეს არ დატოვებს იმიერკარპატელი დედა თავის შვილს ცოდნის, სინათლისა და დაბეჭდილი სიტყვის გარეშე! სოფელ სჩასტლივოეში მასწავლებლები, რომლებიც მოზრდილებთან მეცადინეობდნენ, თავისი მცირე დანაზოგებით იძლეოდნენ გასანათებელ საშუალებებს — ნავთს, სანთლებს, არ უცდიდნენ, რომ ოლქიდან ლამპები მოეტანათ. კულტურამ მარილის მომპოვებელთა ღრმა შახტებამდეც მიაღწია. მარილის მომპოვებელთა ქალაქ სოლოტვინოში, მშრომელი ახალგაზრდობის სკოლამ დიდი ხანი არ არის,—ესეც იმიერკარპატის ისტორიაში პირველად, — ახალგაზრდა მეშახტეების ჯგუფი გამოუშვა. ისინი საშუალო ცოდნას არ დასჯერდნენ და წავიდ-წამოვიდნენ: ვინ ლვოვში — პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სასწავლებლად, ვინ სამთო საქმის შესასწავლად კიევში. უმრავლესობა კი უჟგოროდის უნივერსიტეტში შევიდა.

*

* *

მაგრამ თანამედროვეობის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი თვისება ნამდვილი მეცნიერების გავრცელება და მშობლიურ ენაზე სწავლებაა.

იმიერკარპატის იმ მცირერიცხოვან საშუალო სასწავლებლებში, რომლებიც საცოდავად არსებობდნენ კოლონიზაციის პირობებში, მოსწავლეებს ფაქტიურად მხოლოდ ცოდნის სუროგატით უმასპინძლდებოდნენ.

ჩვენ მოგვიხდა იმიერკარპატში საბჭოთა წესწყობილების დამყარების დასაწყისში უჟგოროდის სამასწავლებლო სემინარიაში მეცადინეობაზე დასწრება. აშკარად იგრძნობოდა, თუ რა ძძიმე კვალი დაეტოვებინა მადიართა ოკუპაციას ენაში, მოსწავლეთა შეგნებასა და ცოდნის მოცულობაში. მომავალმა პედაგოგებმა, უმეტეს შემთხვევაში, წესიერად არ იცოდნენ არც რუსული, არც უკრაინული ენა. განსაცვიფრებლად ღარიბი და მახინჯი დიალექტით ლაპარაკობდნენ, იმ დიალექტით, რომელიც უნგრელმა „კულტურტრეგერებმა“ განგებ დანერგეს იმიერკარპატში.

მეცადინეობის პროცესი აგებული იყო მოსწავლეების მინიმალური დატვირთვით, იმ ვარაუდით, რომ მასალა მოსწავლეებს ძალიან სუსტად დაემუშავებინათ, და ისიც მხოლოდ კლასში და არა შინ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს პედაგოგები 20 წლის ახალგაზრდებს კი არა ხედავდნენ, რომელნიც ხვალ პედაგოგიურ სარბიელზე უნდა გამოეშვათ, არამედ ბალღებს, რომელნიც ცოდნის ანბანს მხოლოდ ახლა ეცნობოდნენ.

სასწავლებლების მსმენელებს ისე ზრდიდნენ, რომ ისინი ჩამოშორებულნი ყოფილიყვნენ ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, მეტად ინერტულები ყოფილიყვნენ ცოდნისადმი მისწრაფებაში. ბევრს სავსებით აკმაყოფილებდა ის „მეცნიერული საფუძვლები“, რომელთა მიხედვით მკაცრად იყო დადგენილი, რომ „ქვეყანა ღვთის მიერ არის გაჩენილი, ხოლო სიღარიბე და სიმდიდრე მის მიერ არის ნაკურთხიო“. სასულიერო პირებისათვის ეს ხელსაყრელი იყო: „რაც უფრო ვიწროა ახალგაზრდობის მსოფლ-

მხედველობა მით უფრო ადვილია მისი ექსპლოატაციაო!"

აი რად არის ასე ძვირფასი, ასე მნიშვნელოვანი ცოდნის ის მადლი, მეცნიერული შენაძენები, რომლებიც უკვე მჭიდროდ შევიდა იმიერკარპატის ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ეს ის სუროგატები და მღვდელმსახურთა სულიერი „ერზაცები" არ არის, „სურეიკი" და „ვოლაპიუკი" არ არის, იდეალისტური ბოდვისა და მისტიური ბურუსის ნაკუწები, რომლებიც ახალგაზრდობის თავებს ანაგვიანებენ.

სასწავლო სისტემის გრანიტულ კვარცხლბეკს ქმნის ცოდნის მატერიალისტური საფუძველი. და სასიხარულოა, როცა ხედავ, თუ რა გატაცებით ეწაფებიან ნამდვილი მეცნიერების ბრწყინვალე მწვერვალებს ჩვენი სამშობლოს ყველაზე ახალგაზრდა მოქალაქენი.

საბჭოთა იმიერკარპატში უჟგოროდის უნივერსიტეტის წარმოშობა უკვე ბევრი რამის მთქმელია. ამასთან ერთად საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნილებებს, მისი პროგრამის სირთულესა და ზუსტ დისციპლინას პირდაპირ მიჰყავს იმიერკარპატელები ნათელი მიზნისაკენ. სწავლის პროცესში იცვლება ადამიანის ტიპი, მისი მსოფლმხედველობა, მისი მიდგომა ცხოვრებისადმი, მეცნიერებისადმი.

უნივერსიტეტი ახალგაზრდაა. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგრამ, ვისაც მხედველობა აქვს, ის ხედავს, რამდენად წინ წარდგა ნაბიჯი სტუდენტთა რაზმმა მეცნიერების კბოდოვან გზაზე.

სტუდენტები აქ ცოდნათა სხვადასხვა დარგიდან ფაქტების მარტო მომხმარებლები როდი არიან.

ბევრ მათგანს დამოუკიდებლად აზროვნების, თამამი ექსპერიმენტატორობისა და მეცნიერული პრობლემების შემოქმედებითი დამუშავების გემო-ბა ეღვიძა. იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც მეცნიერულ კონფერენციებზე იკრიბებიან და რეფერატებს ამზადებენ, არიან ადამიანები, რომლებიც აუცილებლად იტყვიან თავიანთ ახალ სიტყვას მედიცინაში, ისტორიაში, ლიტერატურაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში.

უკვე ახლა კანონიერი სიამაყით მოგვიყვებიან სტუდენტებზე, რომლებიც მუშაობენ ჩიყვის პრობლემებზე (კარპატებში ხშირია ეს დაავადება), კანის გადანერგვის პრობლემებზე. ბიოლოგებში ბევრნი მუშაობენ კარპატის მიწის კარანტინული მავნებლების — „პოვიტიცას" — წინააღმდეგ რადიკალური ზომების მოსაძებნად. ბევრი სტუდენტი თამამად ფიქრობს ვერხოვინაზე ლისენკოს მეთოდით საგაზაფხულო პურის მოყვანისათვის.

ფილოლოგებს შორის დიდია ინტერესი იმიერკარპატის „გამომღვიძებლების" მიმართ, მწერლების — დახნოვიჩის, პავლოვიჩის, დობრიანსკის მიმართ.

სტუდენტების ინტერესების რკალი ფართოა და, რაც მთავარია, უშუალოდ არის დაკავშირებული მათი ქვეყნის მომავალთან და ის ხალხის ინტერესებით განისაზღვრება. ადამიანები, რომლებიც მეცნიერების მწვერვალებზე ადიან, აღფრთოვანებული არიან საზოგადოებისადმი სამსახურის პატრიოტული მოვალეობით. ეს თვისება განასხვავებს იმიერკარპატის სტუდენტს ბევრი მისი ოკეანის გაღმელი კოლეგებისაგან, რომლებიც ხშირად გულგრილი არიან მეცნიერების ჰუმანიტარული ამოცანის მიმართ. ეს თვისება განასხვავებს მას იმ „ცოდნათა მომხმარებლებისაგან", რომელსაც ძველი იმიერკარპატი ამზადებდა.

*
* *

... ამ ცოტა ხნის წინათ მე შევხვდი ნიკოლაი პოდგოროდსკის. მან უკვე ინახულა თავისი შვილი. იურკო ენერგიულად ასწავლის მამას წერა-კითხვას და საქმეც წინ წავიდა!

„თორემ სირცხვილია უცოდინარი დავრჩე, როცა მთელი შმობლიური იმიერკარპატი სწავლობს“, — განაცხადა მოხუცმა.

თარგმანი უკრაინულიდან **მ. კინწურაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალჩილ ჩაჩიბაია

მთებში

მოთხრობა

*

ახლადგაყვანილი გზა ხან ხეების განაჩეხზე გადადიოდა, ხან გვერდებგამოთხრილი მთების სიღრმეში იჭრებოდა, სადაც გამხმარი ხის ფესვები დაწყვეტილ ძარღვებივით ეკიდა.

ამ გზაზე მთელი სისწრაფით მიჰქროდა ავტომანქანა.

დავითი ტკბებოდა მწვანე ხეობის სიმშვენიერით. თვალს სტაცებდა ნაძვის, ფიჭვისა და ალაგ-ალაგ არყინ ხეებით მოფენილი მთის კალთები.

წინა ღამით დიდი წვიმა მოსულიყო და ამღვრეულ ნაკადულებს ნიადაგი ჩაენგრია, ჩაერეცხა, მოჩანდა წითელი და შავი ქანების ნარევი ზოლი.

შოფერი არ ერიდებოდა არც მოსახვევებს არც ნიაღვრისაგან გადარეცხილ და ალაგ-ალაგ ჩაღრმავებულ ადგილებს. ეს არ უკვირდა დავითს, რადგან იცოდა, რომ შოფერი პირველად არ იყო ამ გზაზე.

მთებში მძლავრი ჰიდროელექტროსადგური შენდებოდა.

დავითი ამ სადგურის მშენებლობისაკენ მიიჩქაროდა.

— ალმართი დამთავრდება და ჰიდროელექტროსადგურიც გამოჩნდება,— უთხრა შოფერმა დავითს.

დავითმა ფანჯრიდან გადაიხედა. ის მოუთმენლობას იჩენდა. დაიწყო ლარივით გადაჭიმული უკანასკნელი გადასასვლელი.

გამოჩნდა ჩანჩქერი. ახლადგაყვანილი გზა ამ ჩანჩქერთან თავდებოდა. დაჰქროდნენ თვითსაცლელი ავტოები, ეზიდებოდნენ ცემენტს, მავთულს, ძელებს. მუხლუხებიანი ტრაქტორები უზარმაზარ მორებს მიათრევდნენ.

საგენერატორო სადგურის წინ მაღალი ამწეები ყანჩებივით ჩამდგარიყვნენ და რკინის კისრებს ჯაჭვების გრუხუნით ხან მთებისკენ წარმართავდნენ, ხან ახლადგაჭრილი ფართო გზისკენ.

აქა-იქ გრგვინვა ისმოდა. ეს კლდეების აფეთქების ხმები იყო. ჰაერში ატყორცნილი მიწა და კლდის ნამსხვრევები სეტყვასავით სცვივოდა უკან, აფეთქების კვამლი კი მსუბუქი ნისლივით ეფინებოდა ხეხილთა კენწეროებს.

შეუნელებელი მუშაობა მიდიოდა, მაგრამ დავითის გამოცდილი თვალი ამჩნევდა, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო. ის მიისწრაფოდა, გაეგო მშენებლობის ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი.

* * *

მზე კარგად არ იყო ამოსული, მაგრამ მთების მაღალი ჩრდილები თანდათანობით იცრიცებოდა. ღია ფანჯრებიდან ოთახში შემოდიოდა დილის სიგრილე და ფიჭვნარის სურნელება.

ის იყო დამლაგებელმა ოთახიდან ქაღალდის ნაფლეთები გამოხვეტა და სკამები სათითაოდ მიუდგა გადაწმენდილ მაგიდას, რომ გამოჩნდა მისთვის ნაცნობი ადამიანი. ასე ადრე ჯერ არასოდეს არ მოსულა იგი. არც ასე შუბლშეჭმუხვნილი უნახავს ოდესმე. მას სალამიც არ მიუცია დამლაგებლისათვის. წინათ ჩვეულებრივ გაეხუმრებოდა, ზოგჯერ პაპიროსსაც მიაწოდებდ

ხოლმე, ახლა კი უსიტყვოდ გაიარა დერეფანი, თავის სამუშაო ოთახში შევიდა და ფანჯარასთან დადგა. ის დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა. მაგრამ უკვე ჭაღარაშერეული იყო. აჭარხლებული მოგრძო პირისახის კაცს დიდი და სქელი ყურები ჰქონდა, თვალები დაწითლებული და უაზროდ დაჭყეტილი.

სუფთად იცვამდა, ცდილობდა ყოფილიყო მარდი, მაგრამ ერთი რამ უშლიდა ხელს: მარცხენა მუხლის კვირისთავი გატეხილი ჰქონდა და ფეხს თავისუფლად ვერ მართავდა.

მას ჭიჭიკოს ეძახდნენ. ასე იცნობდნენ ყველგან. ჭიჭიკოს მოხდენილი სიტყვა-პასუხი და ხუმრობა სჩვეოდა. მღეროდა კარგად და ხშირადაც პატიჟობდნენ სუფრის გასამხიარულებლად.

დაწესებულებაში მოვიდოდა თუ არა, ქუდს ჩამოკიდებდა, მაგიდაზე ქაღალდებს დაახვავებდა, ზოგს გაშლიდა, გადაშლილი ქაღალდის გვერდით მელანში ამოვლებულ კალამს დადებდა. ამით უნდოდა შეექმნა შთაბეჭდილება, აი, ეს არის ახლა გასულა გარეთ საქმეების გამო და სადაცაა შემოვაო, მაგრამ გავიდოდა კარგა ხანი და ის, მაინც არ ჩანდა. თუ არაფერს ეუბნებოდნენ, ეს იმის გამო, რომ იცოდნენ, მშენებლობის უფროსის მიხეილ თუშიშვილის კაცი იყო.

ამ დილით ძალიან ადრე მოვიდა, მაგრამ ჩვეულებრივად ქუდი კი არ მოუხდია, მაგიდაზე ქაღალდები არ დაულაგებია. ფანჯარასთან ჩაფიქრებული გაჩერდა და განუწყვეტლივ ეწეოდა პაპიროსს. ფიქრებში გართული სივრცეს გასცქეროდა. ვერც კი ამჩნევდა ცის სილურჯეში ჩაქსოვილი განთიადის წარმტაც სურათებს.

— ჭიჭიკოს გაუმარჯოს! — მოესმა მას ნაცნობი ხმა.

ფანჯრის პირდაპირ ქუჩაში მშენებლობის მომმართველი გივი შარაშენიძე იდგა. იგი ხშირად ეხუმრებოდა ჭიჭიკოს. მის კარგ მეგობრად მოჰქონდა თავი.

— გაგიმარჯოს! — ცივად უპასუხა ჭიჭიკომ.

— უფროსი ხომ არ მოსულა? — იკითხა გივიმ.

— არა! — ისევ ცივად უპასუხა ჭიჭიკომ.

— კაცო, — განაგრძო გივიმ, — კასპის ცემენტის ქარხნიდან დეპეშა მივიღე, თუ ახლავე არ წამოვიღეთ ცემენტი, დაგვეკარგება. მიხეილი მინდა ვნახო, საბუთზე ხელი უნდა მოვაწერინო.

ჭიჭიკომ ხმა არ გასცა, კვლავ შორს, ერთ წერტილს მიაჩერდა.

გივიმ შენიშნა, ჭიჭიკო უხასიათოდ რომ იყო.

— რა იყო, ძმაო, ცუდი ხომ არაფერი შეგხვდა? — ჰკითხა გივიმ, მაგრამ ჭიჭიკო კვლავ ცივად გამოეპასუხა:

— კაცი ყოველთვის ერთნაირ ხასიათზე ხომ არ იქნება?

— რატომაც არა?

— იცი, ძმაო, რას გეტყვი? — უთხრა გივის. — მუდამ ერთნაირ ხასიათზე ის არის, ვისაც თავში უქიქინებს.

გივიმ გულიანად გადაიხარხარა და თავის გზას გაუდგა. ჭიჭიკომ თვალი გააყოლა გივის. მერე ისევ ჩაფიქრდა, გახედა მთების სქელი ჩრდილებით ჩაშავებულ ხეობას. დიდხანს იდგა ის ასე უძრავად, ბოლოს დინჯად გვერდით ოთახისაკენ წავიდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იქ საქმის მეწარმოებელი ნუნუ ბუ'უკური ნახა. ნუნუს მაგიდაზე მიმოწერის ქაღალდები დაეხვავებინა და თითოეულ ქაღალდს გულმოდგინედ სინჯავდა.

დიდი ხანი არ არის, რაც ნუნუ აქ მუშაობს, მაგრამ ჭიჭიკოს ის ასე უგუნებოდ ჯერ არ უნახავს. ნუნუ ყოველთვის მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო. ეკლესიობდა და უცბაურად კისკისებდა. გად ჭარბებულ სიცილზე ხშირ დ შენიშვნასაც აძლევდნენ, მაგრამ ნუნუ ამას არაფრად აგდებდა. ზოგჯერ ჭიჭიკოც მიუთითებდა ამაზე.

— ჰოი, ერთი შენც! — გამიწყალე გული! — უპასუხებდა ნუნუ ჭიჭიკოს, —

თუ ჩემი სიცილი არ მოგწონს, სულაც ნუ შემომხედავ. დიახ, ვაჟბატონო, არ გეხუმრები! მე ახალგაზრდა ვარ და ასეთი ხასიათი მაქვს. ქვეყანა ახლგაზრდობისაა. ჩვენ სილაღე გვინდა. შენ კი ბერდები, დროა შინ დაჯდე და მოისვენო!

ჭიჭიკო ვერ ითმენდა ნუნუს კისკისს, — სიმჩატეს ამყლავნებსო, — ასე ამბობდა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი სულ სხვა იყო: ნუნუ მას მეტად გულცივად ეპყრობოდა. ზოგჯერ ჭიჭიკო ნუნუს კისკისში დაინვასაც გრძნობდა. ამის გამო ცდილობდა თანდათან გულიდან ამოეგდო ნუნუსთან დაახლოვების სურვილი, მაგრამ, რაც დღე გადიოდა, უფრო ძლიერად მიეწევდა გული ნუნუსაკენ! უნდოდა ხშირ-ხშირად ენახა, გამოლაპარაკებოდა, მისი ხმა გაეგონა.

ამას ყველა ამჩნევდა, განსაკუთრებით გივი. ის ხშირად აბრაზებდა ჭიჭიკოს. ხან რას ეტყოდა, ხან რას. ჭიჭიკოც ხან აენთებოდა, ხან კი ხუმრობაში ატარებდა მის ნათქვამს.

ჭიჭიკო ბრაზობდა, მეტადრე მაშინ, როდესაც გივი სხვების გასაგონად გაეხუმრებოდა. ამიტომ იყო, რომ ჭიჭიკოს ხშირად სხვებიც ეკითხებოდნენ, მართალი იყო თუ არა, რაც მის შესახებ გაეგონათ. ჭიჭიკო ყველას ეუბნებოდა, მართალი არ არსო, მაგრამ ბოლოს ესეც მობეზრდა.

— ჭიჭიკო, შენზე რაღაცას ამბობენ, ალბათ ჭორია! — უთხრეს მას ერთხელ.

— რაო? გაიგეთ რამე თუ?.

— სწორედ, რომ გავიგეთ.

ჭიჭიკომ ჯერ თვალები დაწკურა, მერე გაიღიმა, ხელი ჩააქნია და ჩაილაპარაკა:

— თუ რამე გაიგეთ, ძმაო, მართალი იქნება! ამქვეყნად ტყუილად არაფერს იტყვიან, — უპასუხა ჭიჭიკომ და რატომღაც ჩაფიქრდა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და დაბალი ხმით იკითხა:

— შენ ამას ნუნუს შესახებ ამბობ, არა?.

— დიახ, ნუნუს შესახებ!

— ოჰო, ეს კი მართლაც საინტერესოა, — ღრმად ამოისუნთქა და მბეზარებით მიმართა მან მოსაუბრეს. — თუ ძმა ხარ, მითხარი, ვინ გითხრა ეს შენ?

— გივი შარაშენიძემ, — დაუფარავად უთხრეს მას.

— გივი შარაშენიძემ? — დინჯად და ხაზგასმით გაიმეორა ჭიჭიკომ. გაქირდავად გაიღიმა და დაუმატა. — მაგ საცოდავს სხვა საქმე არა აქვს? ჭიჭიკო გაჩუმდა, მაგრამ როდესაც ნათქვამს ჩაუფიქრდა, ძალიან ეწყინა. — მაგ უბედურს ის ურჩევნია, თავის საქმეს მოუაროს! თუ იმით იკვეხნის რომ მომზადებული ვარო, აქ საკვეხნი არაფერია! მაგის ცუდი მუშაობის გამო, საყვედურს მშენებლობის უფროსი ეებულობს!. მაგრამ ხომ იცი, ძმაო, მაგას თავი ცარიელი აქვს და ვერ გავამტყუნებ! აფსუს! ახლა ის-ღა მაკლია, გივი შარაშენიძემაც ჩემზე ილაპარაკოს! ჰაი, დედასა, მამაჩემს აქვს ცხონება, თუ ერთი მაგრად შევაფუცხუნე, მოგჭამა ჭირი და ისაა!

— იცი რა? — დაუმატა ჭიჭიკომ ბოლოს. — მაგას ჭკუა არ უშლის ხელს და ირიკინოს რამდენიც უნდა. ოღონდ, რა უფლებით ლანძღავს ნუნუს?

გივის ასეთი დახასიათება ყველას გაუკვირდა, რადგან გივი და ჭიჭიკო დიდი მეგობრები იყვნენ. ხშირად ერთად ატარებდნენ დროს, ამბობდნენ, ძმები ვართო. სწორედ ამიტომ უკვირდათ ჭიჭიკოს მიერ გივის ასე უხეშად ხსენება, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ისინი ერთმანეთს ეპირფერებოდნენ. ნუნუ უგუნებოდ რომ ნახა, გაიფიქრა, ალბათ გივიმ კიდევ თქვა რამე და ნუნუ კი ჩემზეა გულმოსულიო.

— ნუნუკელა, რა ადრე მოსულხარ?

ნუნუმ ცივად შეხედა და თავის საქმეს მიუბრუნდა. ის ფურცლავდა სხვადასხვა საქმეებს, არჩევდა და გულმოდგი-

ნედ კითხულობდა, ეტყობოდა, რაღაცას ეძებდა.

ჭიჭიკო მაგიდას მიუახლოვდა და კვლავ თავაზიანად შეეკითხა:

— ნუნუ, რატომ ხარ ასე ცუდ გუნებაზე, ხომ არავინ გაწყენინა?

— არაფერია, — უპასუხა ნუნუმ, ჭიჭიკოსთვის არც კი შეუხედავს.

— რატომ არ მეუბნები მიზეზს? — არ მოეშვა ჭიჭიკო. — იქნებ დახმარება გესაჭიროება, მოგეხმარები, არ მომერიდო.

— დღეს, ადრე მომიხდა მოსვლა, წუხელ დიდხანს არ მიძინია, გადაღლილი ვარ, — ხმადაბლა უთხრა ნუნუმ. მას წუთითაც არ დაუნებებია თავი მუშაობისათვის.

დერეფანში ნაბიჯის ხმა გაისმა. ნუნუ რატომღაც შეკრთა. ეს ჭიჭიკომ შენიშნა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერიაო.

— კი მაგრამ, ჭიჭიკო, შენ ხომ დილით ადრე მოსვლა არ გიყვარდა, ახლა, რამ შეგაწუხა?! — შეეკითხა ნუნუ.

— დაგვიანებისათვის შემაფუცხუნეს და იმიტომ მოვედი, — ცალი წარბის აწევით უპასუხა ჭიჭიკომ, — ესეც არ იყოს, წუხელ შუაღამეზე დამირეკეს, რომ მიხეილს სამსახურში დილის რვა საათზე დახვდიო. არ ვიცი, რა უნდა, მაგრამ ეს კი ცხადია, კარგ საქმეზე არა ვარ დაბარებული!

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს მიხეილი შემოვიდა.

— ვერ მონახე? — შემოსვლისთანავე შეეკითხა ის ნუნუს.

— ჯერჯერობით ვერა, — უპასუხა ნუნუმ.

მიხეილს უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. ნუნუს დაუბარა, როგორც კი იპოვი, მაშინვე მომიტანეო, და კაბინეტში შევიდა.

მიხეილს ნერვულობა ეტყობოდა. კაბინეტში მარტოდმარტო იჯდა და წერდა, შლიდა, ხაზავდა, ანგარიშობდა. აი, გაირინდა, ფიქრს მიეცა.

ამ დროს კარი გაიღო და ჭიჭიკო შემოვიდა.

მიხეილმა კარგად იცოდა, გაუფრთხილებლად ვინ შემოვიდოდა. სხვა დროს უმალ ეტყოდა: ალბათ ღვინოში ხარ ჩამღრჩვალიო!

მიხეილიც ჩვეულებრივად მიიღებდა პასუხს:

— ჰო, წუხელის დიდი სმა იყო, სულ ჩაის ჭიქებს ვატრიალებდით.

ამ სიტყვების შემდეგ მიხეილის წინ ჭიჭიკო აიტუზებოდა. აი, ჭიჭიკო ახლაც ასე მოიქცა. მიხეილი შუბლშეჭმუხვნილი მიაჩერდა მას. ჭიჭიკო დაიბნა. ასეთ ხასიათზე მას მიხეილი არასოდეს არ ენახა, ამიტომ იყო რომ ნაძალადევად გაიღიმა და მიხეილისაკენ წაიწია.

— გუშინწინ მივიღე თქვენი ბრძანება. საყვედურს მიცხადებთ!.. მე მართლაც დამაგვიანდა, მაგრამ, — ჭიჭიკო შეჩერდა, შეატყო, რომ მიხეილს თავის მართლება არ მოეწონა და ხუმრობაზე გადავიდა, — ჩემი ბრალი არ იყო... დამძინებოდა. სინდისს გეფიცები, როგორც კი გამომეღვიძა, იმავე წუთში წამოვხტი ლოგინიდან. მაშინვე რომ არ წამოვსულიყავი, მართლაც დასასჯელი ვიყავი.

— რას ბოდავ! — წამოიძახა გაგულისებულმა მიხეილმა.

ჭიჭიკოს ხმა ჩაუწყდა. იგი ყოველთვის თვალებში შესცქეროდა მიხეილს, მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მას ესიამოვნებოდა და გაეხარდებოდა.

ჭიჭიკო მიხეილს პირველად ხედავდა ასე გაბრაზებულს, ამიტომ სიტყვის შებრუნება ვერ გაბედა. ფიქრებში გახვეული იდგა და ელოდა, კიდევ რას იტყოდა უფროსი.

მიხეილმა ჯიუტად გაუსწორა თვალი. სიბრაზის ნაპერწკლები ენთო მის თვალებში.

ჭიჭიკო შეკრთა.

— მგონი დამიბარეთ, — თავაზიანად მიმართა მან.

— შეამოწმე, რა თანხა გამოვუწერეთ კამარაულს გამომგონებლობის საჭიროებისათვის, გესმის? საბუთი სასწრაფოდ მომიტანე.

ჭიჭიკოს ხმა არ ამოუღია. დავალება მიიღო და მაშინვე დატოვა კაბინეტი.

იმავე წუთში ნუნუ შემოვიდა. მას ხელში რამდენიმე ქაღალდი ეჭირა.

— იპოვე? — ჰკითხა მიხეილმა.

— აი, — უპასუხა ნუნუმ და ქაღალდი მიაწოდა. მიხეილმა ქაღალდს სწრაფად გადაავლო თვალი. საბუთი ლევან კამარაულის გამომგონებლობას ეხებოდა. საბუთის პოვნა მიხეილს არ გახარებია. მასში მიხეილის აზრი ეწერა: ლევან კამარაულის გამომგონებლობა პრაქტიკულად განუხორციელებელიაო. სწორედ ეს უსაყვედურეს მას რაიკომში. მიხეილი ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ის ხელს უწყობდა და ახლაც ხელს უწყობს კამარაულის გამომგონებლობას, მაგრამ თუ მისი განხორციელება დღემდე გაჭიანურდა, ამაში ის არ იყო დამნაშავე.

საბუთი წაიკითხა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ეს არ მინდოდა, სხვა საბუთი უნდა ყოფილიყო, მე სხვა გითხარი.

— სხვა ვერაფერი ვნახე, — მიუგო ნუნუმ.

მიხეილი გაჩუმდა, მერე რაღაც მოაგონდა და თავი მაღლა ასწია.

— გაიხსენე, ეს აპრილში იყო. შენ და კამარაული ჩემს კაბინეტში იყავით. სამინისტროსადმი მიმართვა კამარაულის პროექტის დაჩქარებით მიღების შესახებ მე თვითონ დაგაწერინე. გაგონდება? აბა, გაიხსენე. ამას კამარაულიც ისმენდა, შენ ის დაბეჭდე და, რამდენადაც მახსოვს, იმავე დღეს გავგზავნეთ სამინისტროში. მე იმ ქაღალდის ასლი მინდა!

ნუნუს მართლაც მოაგონდა ყოველივე ეს. ან რა დაავიწყებდა მიხეილის მოქმედებას? მაშინ იგი ლევან კამარაულს მართლაც ყველაფერს დაბირდა. დიახ, ახსოვს ეს ნუნუს. მიხეილი საუბრის დროს კამარაულს პირდაპირ—ვერ უყურებდა, თვალს ვერ უსწორებდა, ორივე ხელი ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი, თვალები ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ, და უფრო ხშირად, ჭერისაკენ მიურბოდა. მაშინ იგი ერთს ნამდვილად ამბობდა და მეორეს ფიქრობდა, ლაპარაკობდა მშვიდად, თავდაჭერილად, ხმადაბლა, თავის ნათქვამში დაჯერებული.

ნუნუს მხედველობიდან არ გამოპარვია, თუ რა კმაყოფილებით შესცქეროდა მიხეილი საუბრის დამთავრების შემდეგ მიმავალ კამარაულს, რომელსაც იგი თავის მეტოქედ თვლიდა. მაშინ მიხეილს ეგონა, ყველაფერში ისე დააჯერა, როგორც მას სურდა, მაგრამ მიხეილი ცდებოდა. ყველა გრძნობდა, რომ მიხეილი უგულოდ მოეკიდა ლევან კამარაულის გამოგონებას.

ნუნუს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მიხეილი გულწრფელად არ იქცეოდა? ეს ნუნუსათვის მაშინ უფრო ცხადი გახდა, როდესაც მარტო დარჩენილს მიხეილმა გამჭირდავად ჩაულაპარაკა:

— გამომგონებლობა მეცნიერების საქმეა, ჩვენ რა მეცნიერები ვართ? მეცნიერები ჩვენს ქვეყანას ძალიან ბევრი ჰყავს, ლევან კამარაულის გონება ჯერ მეცნიერებისათვის არ არის მომწიფებული.

— ეს არ არის სწორი, — უთხრა მაშინ ნუნუმ. — ჩვენი ქვეყნის უბრალო ადამიანები მეცნიერებაში რევოლუციას ახდენენ. ეს, მე მგონია, თქვენთვისაც ნათელია.

ახლა, როდესაც მიხეილმა ნუნუს მოაგონა კამარაულთან საუბარი, მოურიდებლად უთხრა!

— ამხანაგო მიხეილ, ის, რაც თქვენ მიკარნახეთ, სამინისტროში არ გაგვიგზავნია.

— რას ამბობ?! — გაიოცა მიხეილმა. — ნუთუ მართლა არ გაგიგზავნია?

— არა, ნამდვილად არ გაგვიგზავნია.

— მიზეზი?!

— რა მოგახსენოთ!

მიხეილი ცოტა ხანს ჩუმად იდგა. რაღაცას იგონებდა, ჩაფიქრდა. მერე ნერვულად მოქაჩა პაპიროსი, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, უცებ შეჩერდა და კვლავ ნუნუს მიმართა:

— ჩანს, გაგზავნა დაგვიანებულა, ეს კი მართლაც არ ვარგა, ნამდვილად არ ვარგა.

გულშემატკივრის კილოთი ამბობდა მიხეილი, მაგრამ არ იცოდა ნუნუმ, რომ მიხეილი, ახლაც ცბიერად იქცეოდა.

— ახლა გავგზავნოთ, კარგ საქმეს არასოდეს არ დააგვიანდება.

— კარგი, — დაეთანხმა მიხელი. — გავგზავნოთ, თუმცა, — ჩაილაპარაკა მიხეილმა თავისთვის, — შეიძლება დაგვიანების გამო უკვე მნიშვნელობაც დაკარგული აქვს, მაგრამ არაფერია, მომიტანე, მიმართვის ტექსტი.

„მიმართვის ტექსტი? ეს რა თქვა მიხეილმა? მომესმა, თუ ნამდვილად ასე თქვა?“ — ფიქრობდა ნუნუ.

— მე არა მაქვს მიმართვის ტექსტი, ამხანაგო მიხეილ, — უპასუხა გაოცებულმა ნუნუმ.

— აკი თქვი, არ გაგვიგზავნიაო? — აბა, სად უნდა იყოს, თუ არ გაგიგზავნია?

— თქვენ დაიტოვეთ.

— როგორ?

— ჩემი ხელნაწერი, მაშინ მაგიდის შუა უჯრაში ჩადევით. დიახ, ასე იყო. შემდეგ კი...

მიხეილმა შუბლი შეიკრა. იგრძნო, რომ მალე საიდუმლოების ნისლი გადაიწმინდებოდა და ყველაფერი სააშკარაოზე გამოჩნდებოდა. ყველაზე უფრო ამის შიშმა შეაშფოთა. გუშინ რაიკომში სწორედ ამის შესახებ უსაყვედურეს. სირცხვილი აწუხებდა. ესეც რომ არ იყოს, საქმე მეტად გართულებული იყო. დღე-დღეზე რაიკომის წარმომადგენელს მოელოდა საქმეზე შექმნილი მდგომარეობის შესწავლად. ამ დილით იმიტომ დაიბარა ნუნუ და ჭიჭიკო, რომ თავის გასასამართლებელი მასალების მონახვა უნდოდა.

და აი, ახლა, როდესაც დარწმუნდა, რომ თვითონ იყო მტყუანი, შუბლი შეიკრა, ნუნუს მოტანილი საბუთი წინ დაიდო, დიდხანს დასცქეროდა ქაღალდს და ნერვულად ეწეოდა პაპიროსს. ამ დროს კაბინეტში ჭიჭიკო შემოვიდა. ჭიჭიკომ კამარაულის განცხადება გადასცა, გამომგონებლობისათვის საჭირო თანხის გაღების შესახებ. ამ განცხადებაზე ლურჯი ფანქრით წაწერილი იყო: „უარი ეთქვას.“ მიხეილი აენთო.

— მე ხომ გითხარით, თანხა მიეცით მეთქი!

— მართალია, მითხარით, მაგრამ, ამხანაგო მიხეილ, სიტყვიერი განკარგულება საკმარისი არ არის, წერილობითი განკარგულება — უარი ეთქვასო — ფულის გაცემას ეხება და თანაც ასეთი ხარჯები ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული.

— ნუ გიყვართ თავის მართლება. თქვენ ძალიან შეეჩვიეთ თავის გამართლებას! — ეს ისე მკაცრად თქვა მიხეილმა, რომ ჭიჭიკომ გაჩუმება არჩია. მიხეილს აკანკალებულ ხელში რამდენიმე წუთს ეკავა კამარაულის განცხადება, რამდენჯერმე უსიამოვნოდ გადაიკითხა, მერე გულმოსულად შეხედა ჭიჭიკოს და ქაღალდები სამელნესთან დაჰყარა. ჭიჭიკოს ვერ გაეგო, რატომ იყო მიხეილი ასე უკმაყოფილო.

„რა მოხდა ნეტავ? რამ შესცვალა ასე უცნაურად?“

ვერც ნუნუ მიმხვდარიყო, რატომ მოიკითხა მიხეილმა ლევან კამარაულის საქმე. იცოდა, რომ მშენებლობის გეგმის შესრულებაში, მნიშვნელოვანი გარღვევის გამო მიხეილ თუშიშვილი რაიკომში გამოიძახეს. „ასე უხასიათოდ რატომ არის? იქნებ უსაყვედუ-

რეს, დღემდე რომ არ გაკეთდა ავტომატური საბაგირო გზა?"

— თავისუფალი ხართ, საქმეს მიხედეთ, — ცივად უთხრა მიხეილმა ნუნუს და ჭიჭიკოს.

ორივემ უსიტყვოდ დატოვა კაბინეტი.

მიხეილი თავის ფიქრებთან მარტო დარჩა. ის მალიმალ გადახედავდა მაგიდაზე დაყრილ ქაღალდებს. ღელავდა. სინდისი ქეჯნიდა. გუშინ რაიკომში ყველას არწმუნებდა — კამარაულის გამოგონების გამოყენებისათვის ვიბრძვიო, ავტომატიური საბაგირო გზის მშენებლობა არ დაბრკოლდებაო. მათ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე მოისმინეს მიხეილის ეს განცხადება. დაუჯერეს მას. მაგრამ რაიკომის მდივანმა მიხეილს სხვა საყვედური უთხრა:

— ამხანაგო მიხეილ, შენ თვალისახვევის გზას დასდგომიხარ, თურმე მოჩვენებითი წარმატებებით გინდა თავი ისახელო. სიცრუე დიდი ბოროტებაა, ხოლო მისი დაფარვა, კიდევ უფრო მეტი!..

— ეს ბოროტი ხალხის მოტანილი ამბავია... სიცრუესა და თვალისახვევას მე თვითონ ვებრძვი, — გაუბედავად წარმოთქვა მიხეილმა.

— თუ შენ მართალი ხარ, მაშ როგორ მოხდა სამინისტროში წარმატებების შესახებ არასწორი ცნობების გაგზავნა?

მიხეილს არ ეგონა, თუ რაიკომმა ყველაფერი იცოდა. დაიბნა.

— გაჩუმდი? თუ ეს დუმილი იმის მომასწავებელია, რომ დანაშაული იგრძენი, ეს საქმეს არ შველის, კარგი, ახლა წადით ადგილზე, — მკაცრად უთხრა რაიკომის მდივანმა და ზეზე წამოდგა. ამით აგრძნობინა, რომ საუბარი დამთავრებული იყო.

სწუხს ახლა მიხეილი. შფოთავს, რადგან იცის, რომ ვერაფრით ვერ გაიმართლებს თავს. ამ საქმეში მას ახლა არც ჭიჭიკო გამოადგება და არც ნუნუ. „ყველა განზე გადგება. ვინ გამიხსენებს? ვის რაში დავჭირდები? ეს ხეობა ხომ მე ავახმიანე პირველად. მე ჩავუყარე საფუძველი ელექტროსადგურის მშენებლობას, ყველაფერი ხომ ჩემს თვალსა და ხელს შუა აშენდა?.. ყველაფერი ეს ხომ ჩემს სახელთან არის დაკავშირებული?"

„ცდები, მიხეილ, — თითქოს ჩასწივის ვიღაცა, — ეს მშენებლობა შენ კი არ დაიწყე, არამედ პარტიამ, ხალხმა!"

„დიახ, ეს მართალია. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მე ხომ უფროსი ვიყავი... მე ხომ, ახლაც მშენებლობის უფროსი ვარ? თუ რამე გაკეთდა, მე არ გავაკეთე? ამიტომ მაფასებდნენ, პატივს მცემდნენ... ახლა? მორჩა ჩემი კაცობა!"

მოაგონდა სამინისტროში ჩატარებული თათბირი, რომელიც გეგმების შესრულების შემოწმების შესახებ იყო მოწვეული. მიხეილმა იცოდა, რომ გეგმის შეუსრულებლობაზე კარგს არაფერს ეტყოდნენ, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ სხვებსაც ექნებოდა ასეთი მდგომარეობა.

მიხეილი ახლა იმის საგონებელში იყო, თუ რით გაემართლებინა თავი. მაგრამ არა, ახლა, ასე უცებ ვერაფერს იტყვის. ერთი დღით ადრე რომ ჩაბოსულიყო, ყველა საკითხს მინისტრს შეუთანხმებდა და უფრო გაბედულად შეძლებდა თავისი აზრის გამოთქმას.

თათბირი დაიწყო.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობდა მშენებლობებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მშენებლები დაძაბულად უსმენდნენ მომხსენებელს, რადგან მისი სიტყვა ყველა მათგანს ეხებოდა.

და აი მიხეილი უცებ შეკრთა, წამოდგა და მომხსენებელს სახეში მიაჩერდა. მომხსენებელმა მიხეილს თვალი გაუსწორა. მიხეილი შეიშმუშნა, თავს ძალა დაატანა და დარბაზს დაბნეულად გადახედა.

„მოწინავეო?! ნუთუ ეს ჩემზე თქვა?!"

— გაოცებულმა მიხეილმა სმენა დაძაბა, რომ არაფერი გამორჩენოდა. — როგორ?! რანაირად?! ხუთუ ჩემზე ითქვა ის, რომ მოწინავე ვარ, გეგმა შესრულებული მაქვს ოთხმოცდათერთმეტი პროცენტით?! საიდან გაჩნდა ეს ციფრი?!"

გვერდში მჯდომმა მიხეილს მკლავში ხელი წაავლო და უთხრა:

— გაქებენ და მაინც ღელავ? ვაი ჩემი ბრალი, გეგმა სამოცდაჩვიდმეტი პროცენტით მაქვს შესრულებული.

ამ სიტყვებზე მიხეილს სახე აელეწა.

— როგორ, სამოცდაჩვიდმეტი პროცენტით შეასრულე გეგმა და კიდევ გეშინია?

გვერდზე მჯდომი მიხეილის სიტყვებმა ძალზე გააკვირვა. ვერ გაეგო, თუ რატომ ამბობდა ამას.

— შენ, ჩემო ძმაო, ჩემი გიკვირს?

მიხეილი ცდილობდა გონების თვალით განეჭვრიტა შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ ვერ გაერკვა. მან ერთი კვირის წინ გამოაგზავნა ცნობა გეგმების შესრულებაზე. ეს იყო და ეს. მერე არავინ ყოფილა მასთან და მშენებლობა არავის შეუმოწმებია. მიხეილი მოწინავეთა რიგებში დაასახელეს, მაშასადამე, რაღაც საფუძველი ჰქონდა მომხსენებელს. მაგრამ მიხეილის მიერ გამოგზავნილ ცნობაში ეწერა არა ოთხმოცდათერთმეტი, არამედ ორმოცდაერთი პროცენტი. მომხსენებელი შეცდა, მაგრამ როგორ მოიქცეს მიხეილი? განა საჭირო არ არის, რომ თვითონ გამოვიდეს და თქვას, რომ მომხსენებელი შეცდა, მშენებლობა გეგმის შესრულებაში ჩამორჩება?!

„გამოდი, მიხეილ, და სიმართლე თქვი! თქვი, რომ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ეს ახლავე უნდა აღიარო. უნდა განაცხადო, რომ ეს ქება არ დაგიმსახურებია!"

დიდხანს ებრძოდა მიხეილი თავისთავს, მაგრამ ამის სათქმელად არც ნებისყოფა ეყო და არც გამბედაობა.

„რას იტყვიან? — ბორგავდა გული. — ახლა რომ ვთქვა, მომხსენებელი შეცდა, ჩვენი მშენებლობა ჩამორჩებაო, ყველას თვალში დამცირებული გამოვალ. ყველა მასხარად ამიგდებს!.. მინისტრი? მინისტრი ხომ ყალბი ცნობის მიწოდებისათვის დაუყოვნებლივ მომხსნის. მერე სად გამოვჩნდე? ხომ იტყვიან, შენი ცნობების საფუძველზე გამოვიტანეთ ასეთი დასკვნაო?!.."

მომხსენებელი ახლა ეხებოდა ჩამორჩენილებს და საკმაოდ მწვავედ კიცხავდა მათ.

„მეც ხომ ჩამორჩენილი ვარ,—კვლავ ფიქრობს მიხეილი.—გამოვიდე? ვთქვა? უხერხულია, დიახ, უხერხულია, — შემიძლია შემდეგ კვარტალში მდგომარეობა გამოვასწორო... სასაცილოდ თავის აგდებას სჯობს, თავი შევიკავო".

მომხსენებელი ამბობდა, რომ მოწინავენი თათბირის მონაწილეებს გააცნობენ იმას, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებებს. გამოცდილების გაზიარება ხელს შეგვიწყობს მშენებლობაზე მდგომარეობის გაუმჯობესებაშიო.

მიხეილმა ყურები ცქვიტა. ახლა უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქნა.

„როგორ?! სიტყვითაც გამოვიდე და ვიტრაბახო? რა მაქვს საამისოდ გაკეთებული? სრულიად არაფერი, დიახ, სრულიად არაფერი. აი, ახლა, ეს შეცდომა ან უნდა გამოასწორო, ან დაუმსახურებლად შეიფერო. თუ აღიარებ, რომ მოწინავე არა ხარ, ჩამორჩენილთა შორის იმყოფები, შენთვის, როგორც ადამიანისათვის, უკეთესია. არ იტყვი და, ხედავ, რა უნდა მოიმოქმედო? გამოცდილება გაუზიარო, ხომ გაიგონე? მართლაც, აქ რომ გამოვიდე მაშინ ხომ ტყუილი უნდა ვთქვა? არა უშავსრა, თათბირი ჩაივლის და ეს ამბავიც ყველას მიავიწყდება". — ინუგეშა თავი და მტკიცედ გადაწყვიტა ხმა არ ამოეღო.

— თავს რაღაც ცუდად ვგრძნობ, — გადაულაპარაკა გვერდით მჯდომს, —

ცოტა ხნით ჰაერზე უნდა გავიდე. — მორიდებულად დატოვა დარბაზი.

მიხეილი სამინისტროს კანცელარიის გამგესთან მივიდა. სთხოვა, მის მიერ გამოგზავნილი ცნობები ეჩვენებინა. კანცელარიის გამგემ უთხრა, რომ ცნობები მინისტრის რეფერენტს აქვს. მიხეილმა მინისტრის რეფერენტის ოთახის კარი შეაღო.

რეფერენტს არ დაუყოვნებია, მაგიდის უჯრიდან სწრაფად ამოიღო ყდაში ჩასმული საქმე და შიგ ჩაკერებული ქაღალდები გადაუშალა.

მიხეილის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ცნობაში გარკვევით ეწერა 91 პროცენტი, ხელისმოწერაც ნამდვილად მისი იყო.

მიხეილმა ვერ დამალა თავისი გაოცება. ეს გაოცება ისეთი აშკარა იყო, რომ რეფერენტმა გაკვირვებით ჰკითხა:

— რა იყო, ამხანაგო მიხეილ, შეცდომა ხომ არა გაქვთ?

მიხეილს ახლა, საუკეთესო საშუალება ჰქონდა რეფერენტისათვის პირდაპირ ეთქვა, რომ შეცდომას ჰქონდა ადგილი. დიახ, ახლა, სწორედ ახლა შეეძლო გაუგებრობისათვის ბოლო მოეღო, მაგრამ ვერა, სიმართლის თქმა ვერ გაბედა, ვერ შეძლო ყოფილიყო პირდაპირი. გულწრფელი. ამიტომ იყო, რომ მინისტრის რეფერენტს, თავშეკავებული შეშფოთებით, ოდნავ გასაგონად უთხრა:

— არა, არა, ეს ისე, სხვათაშორის მინდოდა მენახა. საქმე ისაა, რომ მეხსიერებაში ვერ აღვადგინე, უკანასკნელად როდის გამოვგზავნე ცნობები. სხვა არაფერი, — იცრუა მიხეილმა.

მიხეილისათვის ახლა უკვე ნათელი იყო ყველაფერი: მომხსენებელი სწორედ მის მიერ გამოგზავნილ ცნობის საოთხიელზე იხსენიებდა მას, როგორც მოწინააღეს.

„შეცდომა ვის არ მოუვა, — არწმუნებდა მიხეილი თავის თავს. — აქ უთუოდ შეცდომაა. შეცდომისათვის ვინ დამსჯის? თუ იქნება საჭირო, მეც ვიტყვი, შეცდომა დამიშვია-მეთქი. ამისთვის რას მიზამენ, მეტყვიან, გამოასწორეო. ესეც, რომ არ იყოს, უნდა დავაზუსტო, რატომ გამოვგზავნე ასეთი ცნობა? იქნებ ვინმემ შეცდომაში შემიყვანა? ლევან კამარაული ხომ არ ურევია ამ საქმეში? ეს უნდა გამოვარკვიო“.

მეოთხე დღეს მიხეილი თავის კაბინეტში სიბრაზისაგან ცეცხლსა ყრიდამის წინ იდგა ნუნუ, ხელში სამინისტროში გაგზავნილი ცნობების ასლი ეჭირა. ჭიჭიკო კუთხეში მიმდგარიყო და გარინდებული შესცქეროდა ნუნუს ამღვრეულ სახეს.

მიხეილმა თავისი ხელით დაწერილი ასლი მოითხოვა. ნუნუმ სწრაფად მოიტანა მიხეილის ხელნაწერი. მიხეილი ჯერ გაოცებამ შეიპყრო, მერე სახეზე სისხლი მოაწვა, სიბრაზის ალმა გადაჰკრა სახეზე.

— შეხედეთ ერთი, შეხედეთ! მე მიწერია 41 და აქ კი დაბეჭდილია 91! რას გავს ეს? აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული. ხედავთ, რა უქნიათ? მოგხსნით, გაგაგდებთ, ყველას გაგყრით! — გაიძახოდა მიხეილი. — ჩემი ხელით დაწერილი საბუთი გადაბეჭდილს ვერ შეადარეთ? მითხარით ერთი, საიდან გაჩნდა ეს ციფრი? მე გეკითხები შენ, ამხანაგო ნუნუ, მითხარი, ვინ ჩაიდინა ეს?

ნუნუ დუმდა.

— არ გაგაჩერებ ჩემთან!

ჭიჭიკო ხედავდა, რომ მიხეილი კანკალმა აიტანა. აქაც, როგორც ყოველთვის, მიხეილის ნერვების დამშვიდება განიზრახა. მორიდებით, ფრთხილი ნაბიჯით, მიუახლოვდა მიხეილს. ცნობისმოყვარეობით დახედა ხელნაწერს.

— არც ისეა საქმე, როგორც გგონიათ!

ეს სიტყვები, სხვათაშორის, წამოისროლა ჭიჭიკომ. ფიქრობდა მიხეილის

ყურადღება მიექცია სწორედ მის მიერ წარმოთქმული სიტყვებისათვის და ის მძაფრი განწყობილება, რომელმაც მიხეილი ააკანკალა, ის გამაღიზიანებელი ფიქრი, რომელიც მიხეილს თავში უტრიალებდა, ერთი წუთით შეენელებინა.

მართლაც, მიხეილმა, როგორც კი გაიგონა ჭიჭიკოს სიტყვები, შეიშმუშნა და მაშინვე ჰკითხა:

— რაო? რა თქვი? მაშ როგორ არის საქმე?

— მოწყალება სწრაფი სჯობს, რისხვა დაგვიანებული. მე მგონია, ნუნუს თქვენი რისხვა არ დაუმსახურებია!

— როგორ?!

— ჩემი რწმენით, აქ ადგილი აქვს გაუგებრობას. აი, ნახეთ თქვენი ხელნაწერი. თქვენი მელნით, რომ დაგიწერიათ 4, მელანი ქაღალდზე გაშლილა და ოთხის ზედა თავები თითქმის შეერთებულა, მემანქანეს კი ამოუკითხავს, როგორც ცხრა. დააკვირდით და ნახეთ, თუ მართალს არ ვამბობ.

მიხეილი დაკვირვებით დააცქერდა ხელნაწერს. ხმა არ ამოუღია. ჭიჭიკომ იგრძნო, რომ სულ ცოტა-ღა იყო საჭირო იმისათვის, რომ მისი ჩანაფიქრი გამართლებულიყო.

— ამის გამო ასეთი სიმკაცრე არ შეიძლება, — განაგრძობდა ჭიჭიკო, — ხელისმოსაწერად რომ მოგიტანეს, ალბათ გადაღლილი იყავით და ყურადღება არ მიგიქცევიათ. ასე. რომ დამნაშავე აქ მარტო ნუნუ არ არის.

„თურმე არაფერი დაიმალება, — ფიქრობდა მიხეილი. — კაცმა რომ თქვას, მტერი ვერ უზამდა იმას, რაც მე ჩემს თავს ვუქენი. რა მრჯიდა, რა? ვინმე ძალას მატანდა თუ? სიბრიყვე და სისულელე ჩემი, თორემ არ სჯობდა შეცდომა პატიოსნად მეღიარებინა? კამარაულის საქმეს კაცი როგორმე მოუვლიდა, მაგრამ ამას რაღა ეშველება? კამარაულის საქმე რომ არ ყოფილიყო, სიყალბე არ დამეფარა, უბატონოდ ხმის გამცემი ვინ იქნებოდა? ეს რა ჩავიდინე? ეს რა მომივიდა?“

სინანული გვიან იყო. ეს ფიქრიდან თვალი მოჰკრა მსუბუქ მანქანას, დააკვირდა, დავით ლომიძე იცნო.

— დავიღუპე! — წაილაპარაკა მიხეილმა თავისთვის.

*
* *

მანქანა მშენებლობის კანტორასთან გაჩერდა. დავითი მანქანიდან ჩამოვიდა. ის იყო მან შარვლის ტოტებიდან მტვერი ჩამოიბერტყა, რომ ნაცნობი ხმა შემოესმა.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, ამხანაგო დავით!

დავითის წინ მიხეილ თუშიშვილი იდგა.

— ოჰო, მიხეილს გაუმარჯოს! — უპასუხა დავითმა და ხელი ჩამოართვა.

მიხეილმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს დავითის მოსვლით ძალზე ნასიამოვნები იყო, გონებაში კი მოსალოდნელი უსიამოვნების გამო ათასი მწარე ფიქრი უტრიალებდა.

განა მიხეილ თუშიშვილს არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავდა მისი მუშაობის შესწავლა რაიკომის წარმომადგენლის მიერ? მან კარგად იცოდა, რომ ახლა ყველაფერი გამოაშკარავდებოდა და უმჯობესი იყო ყველაფერი გულწრფელად თვითონვე ეთქვა.

ახლა აღარ შეიძლებოდა ტრაბახობით დაერწმუნებინა დავითი, რომ კარგად მუშაობდა, საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი და ამით დაემტკიცებინა, რომ კარგი ხელმძღვანელი იყო. არა, ნამდვილად არ შეეძლო ეს გაეკეთებინა.

მიხეილმა იცოდა, რომ დავითი მიუდგომელი იყო და საქმის საფუძვლიანად შესწავლა უყვარდა, მას არაფერი გამოეპარებოდა მხედველობიდან.

— დამაგვიანდა? — ჰკითხა დავითმა მიხეილს.

— პირიქით.

— როგორ?

— ძალიან ადრე ჩამოხვედით. მართალია, მოგელოდით, მაგრამ არ მეგონა, ასე ბალე, ასე ადრე თუ ჩამოხვიდოდით.

— როგორ? — შენიშნა დავითმა,— სჯობდა უფრო გვიან მოვსულიყავი?!

— ო, არა. ასე რატომ გაიგეთ, ამხანაგო დავით, ჩემი სიტყვა? — ნახევრად საყვედურის კილოთი მიმართა მიხეილმა, მაგრამ ნაძალადევი ღიმილი მაინც არ მოშორებია სახიდან. — თქვენი მოსვლა ძალიან გამეხარდა. ახლა თვითონ დარწმუნდებით, რა რთული სამუშაოა აქ. დღედაღამ მოსვენება არა მაქვს, — დავითს ხმა არ ამოუღია. მიხეილს არ ესიამოვნა, დავითი გულცივად რომ შეხვდა და განაგრძო: — ალბათ, მართლაც ვერ გავართვი თავი და თქვენც გაწუხებთ, ჩვენი საქმისთვის დროს გაკარგვინებთ!

ამ საუბარში ისინი კანტორისაკენ გაემართნენ.

მიხეილი გვერდით მისდევდა დავითს.

— კარგია, თქვენი თვალით რომ ნახავთ ყველაფერს. უნდა გითხრათ, იმდენი საქმეა გასაკეთებელი, რომ კარგი ვაუკაცი უნდა იყო, გაუძლო. აი, ხედავთ, რა ფართო გზაა გაყვანილი. ახლა ამას მიუმატეთ მეტად მძლავრი ჰიდროელსადგურის მშენებლობა, დარიშხანის საბადოები და ხე-ტყის დამზადება, მინერალური წყლები, კურორტი და მერე წარმოიდგინეთ ამ ხეობის დიადი მომავალი...

დავითს ხმა არ ამოუღია. მიხეილს ესეც არ ესიამოვნა. უცებ იგი ეჭვებმა შეიპყრეს, სახე წამოუწითლდა.

ამასობაში ორივენი კაბინეტში შევიდნენ. როდესაც დავითი მაგიდას მიუახლოვდა, თვალი მოჰკრა ლევან კამარაულის განცხადებას. მიხეილს ელდა ეცა. დავითმა იგრძნო ეს და ღია ფანჯრისაკენ წავიდა. მიხეილი დამშვიდდა, იფიქრა, დავითმა ვერ შენიშნა. ქალალდებიო.

— დიდი საქმეა გასაკეთებელი, ამხანაგო დავით. თვითკრიტიკის წესით უნდა ვაღიარო, რაც უფრო ვუკვირდები, თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩემი ძალა და ღონე საკმარისი არ არის ამ დიდი საქმის გასაძღოლად, მაგრამ მოვალეობა...

ეს ეჭვები ყოველთვის ღრღნიდა მიხეილის სულის სიმშვიდეს, მაგრამ ამას სხვებს არასოდეს არ ამჩნევინებდა, თავი ისე ეჭირა, რომ ასეთი სამუშაოები მისთვის არც რთულია და არც საძნელო, ახლა კი თავისი ქედმაღლური პატივმოყვარეობა პირველად დავითთან დათმო და თავი მოიკატუნა.

— ამხანაგო დავით, ალბათ თქვენ თვითონ ყველაფერს დაწვრილებით შეისწავლით და ნახავთ, რა მდგომარეობაც გვაქვს. თუ კიდევ დავრჩი აქ სამუშაოდ, თქვენი მითითებები ჩემთვის ძვირფასი იქნება...

დავითს ამჯერადაც არაფერი უთქვამს. მიხეილს ესეც არ ესიამოვნა, უცებ ფანჯარასთან მივიდა და დავითს გვერდში ამოუდგა.

— ხედავთ, ამხანაგო დავით, მთის ყვავილს? უყურეთ, უყურეთ როგორ ჩამორბის ფერდობზე!

ჩანჩქერთან ახლოს ხელისგულივით პატარა, მოტიტვლებულ მინდორზე თეთრი კარავი იყო გაშლილი. კარავში გეოლოგი ქალიშვილი ცხოვრობდა. იგი საშუალო ტანის, შავგრემანი და ეშხიანი გოგონა იყო. ახლა სამუშაოდან ბრუნდებოდა. მიხეილმა მას მთის ყვავილი შეარქვა.

დავითმა შენიშნა, რომ ახალგაზრდა ქალის დანახვაზე მიხეილს სახე გაებადრა.

— მან ჯერ კიდევ შარშან ამ ხეობაში დარიშხანის საბადოები აღმოაჩინა, — უთხრა მიხეილმა დავითს, — წელს ისევ განაგრძობს მუშაობას, —

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ახალგაზრდა ქალს მანქანამ გზა გადაუჭრა და მის წინ შედგა.

მიხეილმა კოპები შეიკრა.

— ლევან კამარაულის მანქანა, — თქვა მან ფარული სიბრაზით.

მართლაც, მანქანიდან ლევან კამარაული გადმოვიდა.

გამორკვევის დაწყების წინ ლევანის გამოჩენა მიხეილს არ ესიამოვნა. იცოდა, რომ ლევან კამარაული დაურიდებლად გამოამჟღავნებდა ყველაფერს. მას არ დავიწყებია ახლო წარსულიც: ლევან კამარაული ერთი კვირის მოსულიც არ იყო სამუშაოზე, როდესაც მას მშენებლობაზე შემჩნეულ ნაკლოვანებებზე მოახსენა და მდგომარეობის გამოსასწორებლად მშენებლობის უფროსს მოსთხოვა, გადამჭრელი ზომები მიეღო. მიხეილი სულგანაბული უსმენდა. მან სწორედ მაშინ დაინახა ის ძალა, რომელიც მას სჯობნიდა და დღეს თუ ხვალ მისი აშკარა მეტოქე შეიქნებოდა. მიხეილი ყოველთვის ცდილობდა, ეს სულის ამაფორიაქებელი აზრი, ეს შემაშფოთებელი ეჭვები არ გამოემჟღავნებინა.

ლევან კამარაული გულმართალი, პირდაპირი, საქმისადმი ერთგული და დაუზარებელი კაცი იყო. მან კარგად იცოდა თავისი საქმე. რა დავალებაც არ უნდა ყოფილიყო, ან რაც არ უნდა დაესახა მიზნად, არ შეიძლებოდა არ განეხორციელებინა. გულისხმიერსა და მეგობრის მოყვარულს კეთილი გული ჰქონდა. ამიტომ დიდი სიყვარულით ახსენებდა ყველა, ვინც კი ერთხელ მაინც გაეცნობოდა მას შრომაში თუ საქმეში.

— ჩვენს ეპოქაში არ შეიძლება ზარმაცობდე და უდარდილად მოეკიდო სახელმწიფო დავალებებს, ამისი უფლება არა გვაქვს. დიახ, ცუდად მუშაობის უფლება არა გვაქვს! — ასე ამბობდა ლევან კამარაული. ასე ფიქრობდა იგი ყოველთვის, და აი, აქაც, ამ ახალ საშუალოზე როგორც კი შენიშნა ნაკლოვანებანი, მაშინვე გულწრფელად მოახსენა უფროსს.

„ოჰო, ეს უკვე უფროსობს, ჩემი ხელმძღვანელობა არ მოსწონს, ჭკუას მასწავლის, მითითებას მაძლევს“, — ფიქრობდა მიხეილ თუშიშვილი.

„ლევანი პრინციპული კაცი ჩანს. იგი პირდაპირი და მოურიდებელია!—ყურში ჩასჩურჩულებდა იდუმალი ხმა. ნაკლოვანებათა მხილება, კრიტიკა, თავმოყვარეობის შელახვად მიიღო. მწარედ განიცდიდა ამ ამბავს. უფრო იმიტომ, რომ ამ საკითხს სწორედ ლევანი აყენებდა, ლევანს კი იგი თავის მეტოქედ თვლიდა. ეს აზრი ერთ საღამოს მან ჭიჭიკოს გაანდო. ჭიჭიკომ ჩვეულებრივად დაწკურა ცალი თვალი და ცბიერად ჩაილაპარაკა:

— მოადგილედ შედარებით ნაკლებად მომზადებული კაცი უნდა გყავდეს. არ უნდა დაგჩრდილოს, თორემ არაფრად ღირს შენი მუშაობა. ლევანი შენზე უფრო ნაკლები მომზადების რომ იყოს, შენს კრიტიკას ვერ დაიწყებდა და შენი ავტორიტეტიც სხვების თვალში არ შეილახებოდა.

ამ სიტყვებმა მიხეილი ღრმად ჩააფიქრა.

ორივე ცდებოდა. ლევან კამარაული მხოლოდ საქმით იყო დაინტერესებული. მისთვის უცხო იყო მაღალი თანამდებობისაკენ სწრაფვა, მაგრამ მიხეილი თავის თავს არწმუნებდა, რომ ეს ასე არ არისო.

* * *

როდესაც კამარაული მიხეილის კაბინეტში შევიდა, მიხეილი მეტად მხიარულად შეხვდა, დავითისათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ ისინი კარგი მეგობრები იყვნენ.

— როდის ჩამოხვედით, ამხანაგო დავით? — ჰკითხა ლევანმა და ხელი ჩამოართვა.

— ესეცაა ჩამოვედი.

— მაშ ერთად ვნახავთ ყველაფერს!

— უთუოდ! — მოკლედ მოუჭრა დავითმა. — თანაც შენი ავტომატური საბაგირო გზის საკითხსაც საბოლოოდ გადავწყვეტთ!

— მაგას რა შეუშლის ხელს, თუკი საბაგირო გზა პრაქტიკულად გამოვიყენეთ! — ჩაურთო სიტყვა მიხეილმა.

— რატომ ფიქრობთ ასე?—შეეკითხა დავითი.

— საქმე ის არის, რომ ავტომატურ საბაგირო გზას დიდი ექსპერიმენტები ესაჭიროება, ამისი დრო კი ჩვენ არა გვაქვს. გარდა ამისა, ახლაც გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველივე ის, რასაც ლევანი გვეუბნება, ფანტაზიად მეჩვენება.

— თქვენ ფანტაზიად გეჩვენებათ, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის, — მიუგო კამარაულმა.

— აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ეს აზრი უნდა დაამტკიცოთ, ამხანაგებო. — ჩაერია საუბარში დავითი.

— სამინისტრომ მოიწონა ჩემი გამოგონება, — მიმართა დავითს კამარაულმა, — მე თქვენთან ვეუბნები ამხანაგ მიხეილს, — მიუბრუნდა ლევანი თუშიშვილს,—ნათქვამია, გაქეიქილს გატეხილი სჯობიაო, პირდაპირ გეტყვით, ეს გამოგონება თქვენი რომ იყოს, ქვეყანას შეაჯერებდით. ტექნიკური ექსპერტის პირველი დასკვნა, ამხანაგო მიხეილ, თავის დროზე გადმოგეცით!

მიხეილი გაწითლდა. „ვაითუ დავითმა ახლავე მოითხოვა ექსპერტის დასკვნები, როგორ ვუჩვენო? არც ვიცი, სად არის შენახული. თუ ეს დავითმა გაიგო, მაშინ ხომ დარწმუნდება იგი, რა გულგრილად ვეკიდებოდი კამარაულის გამოგონებას? დიახ, ნამდვილად ეს ასე იქნება“. გაიფიქრა და მტკიცედ გადაწყვიტა ლევან კამარაულს არ გამოკამათებოდა.

ყველაზე დიდი ჩამორჩენა მესამე უბნის მშენებლობაზე იყო. მესამე უბანი ჩანჩქერიდან ოთხი ნახევარ კილომეტრით იყო დაშორებული. სიძნელეს ქმნიდნენ უფსკრულები. პროექტით მესამე უბანში მისასვლელ გზაზე კლდესა და კლდეს შუა ოთხი დაკიდული ხიდი უნდა აშენებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით ხიდის მასალა არ იყო მოტანილი. ამის გამო მესამე უბნის მშენებლობისათვის საჭირო საშენი მასალის გადაზიდვა არ ხერხდებოდა. მუშები მესამე უბანში მხოლოდ მთის ბილიკით გადადიოდნენ, სადაც წყალსაშვები კაშხალის ქვაბულის მოსამზადებლად, მხოლოდ მიწის სამუშაოები და კლდეების მონგრევა წარმოებდა.

ლევანმა გადაწყვიტა მესამე უბანში მასალის გადატანა საჰაერო გზით მოეწყო. თუ ამას მიაღწევდა, მაშინ დაკიდული ხიდების მშენებლობის საკითხი იხსნებოდა. ლევანი დიდი ხანია, რაც ავტომატური საბაგირო გზის გამოგონებაზე მუშაობდა, მაგრამ თავისი გამოგონება დამთავრებული არა ჰქონდა. ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე შექმნილმა მდგომარეობამ ლევანი ჩააფიქრა და გამოსავალს თავის გამოგონების გამოყენებაში ხედავდა.

მას შემდეგ, რაც ყველაფერი ზუსტად დაგეგმა, მიხეილს დაწვრილებით გააცნო პროექტი და მისგანაც მოწონებას მოელოდა.

— მიკვირს, ძალიან მიკვირს, ასეთ დიდ მნიშვნელობას რომ აძლევ ამ გამოგონებას! — მხრების აჩეჩვით უთხრა ლევანს თუშიშვილმა, — განა საქართველოში ცოტაა საბაგირო გზები? ეს რა აღმოჩენაა, ეს რა გამოგონებაა? განა ჭიათურაში, კასპის ცემენტის ქარხანაში და სხვაგანაც საბაგირო გზები არაა გამოყენებული?

ლევან კამარაული მიხეილის ასეთი პასუხით სახტად დარჩა.

— ამხანაგო მიხეილ, — მიმართა მან, — მიკვირს ასე უბრალოდ. რომ

წარმოიდგინეთ ჩემი პროექტით და არაფრად ჩააგდეთ ის.

— ჰმ, ჩაიცინა მიხეილმა, — თუგინდ ძალიან დიდი მნიშვნელობისაც იყოს, ჩვენ რა შუაში ვართ, ვერ გამიგია. ჩვენ, აქ გამომგონებლობისათვის კი არა ვართ მოსული, მშენებლობის გეგმა უნდა შევასრულოთ, გესმის? შენ ჩემი მოადგილე ხარ და ეს კარგად უნდა გესმოდეს. ჩვენ აქ სამეცნიერო ლაბორატორიები კი არა გვაქვს, არაშედ ჰიდროელსადგური უნდა ავაშენოთ. ძალიან კარგად იცი, რომ დიდი გარღვევები გვაქვს, ჩამორჩენილები ვართ, აი, ამ საქმეზე უნდა ვიფიქროთ.

— ამხანაგო მიხეილ, — სიტყვა გააწყვეტინა ლევანმა, — გარღვევებიდან სწორედ ავტომატური საბაგირო გზა გამოგვიყვანს!

— ეს მხოლოდ თეორიულად.

— პრაქტიკულადაც, — დაბეჯითებით ეუბნებოდა ლევანი. — ჯერ ერთი, რომ საბაგირო გზა ძალზე იაფი ჯდება, ვიდრე დაკიდებული ოთხი რკინის ხიდის აგება. გარდა ამისა, მას უფრო სწრაფად ავაგებთ, ვიდრე ხიდებს.

მიხეილი ჩააფიქრა ლევანის სიტყვებმა, გრძნობდა, რომ ლევანი მართალი იყო, მაგრამ მიხეილს სიახლისათვის არასოდეს გატაცებით არ შეუხედავს, მას ყოველთვის ბოჭავდა ეჭვი — ვაითუ არაფერი გამოვიდესო. ხომ შეიძლება იმედი არ გაამართლოს, თეორიულად დასაბუთებული პროექტი პრაქტიკულად არ გამოდგესო.

„არა, სახიფათო მდგომარეობა რატომ შევიქმნა, საგონებელში თავი რატომ ჩავიგდო? დავუშვათ, რომ ლევანის გამოგონება ჩავარდა, არაფერი გამოვიდა. განა ამისთვის მადლობას მეტყვიან? ფული დავხარჯო, დრო დავკარგო. პასუხს ხომ მომთხოვენ? არა, უკეთესია, რაც მეცნიერებას ათასჯერ გამოუცდია და დაუდგენია, მას მივდიო“.

— ეს ჩამორჩენილობაა, ეს კონსერვატიზმია, — ეუბნებოდნენ მას, — დღევანდელი დღის სიდიადე მეცნიერების ძველ ნორმებს გაბედულად ამსხვრევს, ეს უნდა იცოდე.

— მე ჩემი აზრი მაქვს, — პასუხობდა მიხეილი. — სხვისი შეხედულებებით არ ვმოქმედებ.

ამ აზრს ჩაეჭიდა ახლაც, მაგრამ ლევან კამარაულს აშკარად კი არ ეუბნებოდა,ათასგვარ მიკიბ-მოკიბვით ცდილობდა პასუხი გაეცა და დაერწმუნებინა, გამომგონებლობაზე ხელი აეღო.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ საბაგირო გზისათვის ელექტროდენი საიდან მოგცე? — ეუბნებოდა მიხეილი. კმაყოფილება დაეტყო, რომ მიაგნო ისეთ მიზეზს, რომელიც მას გაამართლებდა, სახე გაუბრწყინდა. — მესამე უბნამდე ოთხ კილომეტრზე მეტია. ის ელექტროდენი, რომელსაც სახელდახელოდ აგებული ელსადგური გვაძლევს, საბაგირო გზას მთლიანად დასჭირდება. მშენებლობის სხვა უბანზე მუშაობა შევაჩერო?

ლევან კამარაულს გაეცინა, გაუკვირდა მიხეილის ეს ახირებული აზრი.

— ამხანაგო მიხეილ, თქვენ დაგავიწყდათ, რომ ავტომატურ საბაგირო გზას ელექტროდენი არ ესაჭიროება. სწორედ ეს არის მისი უპირატესობა იმ საბაგირო გზებთან, რომლებიც თქვენ დამისახელეთ. ჩემი საბაგირო გზა იმუშავებს გადასაზიდი ტვირთის პოტენციური ენერგიის გამოყენებით. დიახ, ამაშია მისი საიდუმლოება და ღირსება.

მიხეილი ჩიხში მოექცა.

— ამიტომ ვამბობ, რომ, — განაგრძობდა ლევანი, — ჩემი ავტომატური საბაგირო გზა ყველაზე იაფი და ხელსაყრელია.

რა ეთქვა მიხეილს? არა, ახლა ნამდვილად არაფერი არ შეეძლო მოემიზეზებინა. მაგრამ მაინც ეძებდა ისეთ საშუალებებს, რითაც თავისი აზრის

დაცვა შეეძლო. ახლა მან უკვე ბრძანების კილოთი უთხრა:

— არც პროექტში და არც ბიუჯეტში ასეთი ექსპერიმენტები გათვალისწინებული არ არის. მე არა მაქვს უფლება მშენებლობის პროექტში ცვლილებები შევიტანო. პროექტი მშენებლობის კანონია და ეს კანონი უნდა დავიცვა!

მერე, ლევანის დასაწყნარებლად, საუბრის კილო ოდნავ შეცვალა, თანაც თავი ისე დაიჭირა, თითქოს სულაც არ უნდოდა ლევანის გამოგონებისათვის ხელის შეშლა, და თუ პრაქტიკულად მხარს არ უჭერდა, მხოლოდ იმიტომ, რომ პროექტში ცვლილებების შეტანის უფლება არ ჰქონდა და ბიუჯეტითაც საამისო თანხები არ იყო დამტკიცებული.

ამ სიტყვებზე კამარაულმა სცადა საჭირო ახსნა-განმარტება მიეცა მიხეილისათვის, მაგრამ მიხეილმა არჩია გაჩუმებულიყო, არ გამოკამათებოდა.

სწორედ მაშინ პირველად დარწმუნდა ლევანი, რომ საჭირო იყო სხვა გზა აერჩია — მიემართა ტექნიკური ექსპერტებისათვის, სამინისტროსათვის.

ახლა, როდესაც დავით ლომიძე მშენებლობაზე შექმნილი მდგომარეობის შესწავლას შეუდგა, ლევანს გაახსენდა ყოველივე ეს, მაგრამ ამაზე რაიკომის წარმომადგენლისათვის არაფერი უთქვამს, რადგან დარწმუნებული იყო, უამისოდაც ყველაფერს გაარკვევდა.

*

* *

დავითმა ის იყო პარტორგი მოიკითხა, რომ კაბინეტის კარი გაიღო და ნოდარ ხერხეულიძე შემოვიდა.

— ამხანაგო დავით, დანიშნულ დროზე ვერ დაგხვდით, დამაგვიანდა, მაგრამ ეს წუხანდელი ავდრის ბრალია! — მოიბოდიშა ნოდარმა და დავითს, მიხეილს და ლევანს ხელი ჩამოართვა.

მიხეილი ნოდარის ნათქვამმა გააკვირვა და თავისთავს ეკითხებოდა: რატომ თქვა დანიშნულ დროზე ვერ დაგხვდიო? ასე გამოდის, რომ ნოდარ ხერხეულიძეს ცოდნია, თუ როდის ჩამოდიოდა რაიკომის წარმომადგენელი! რატომ უნდა ცოდნოდა მას, თუ როდის ჩამოვიდოდა დავითი?

დავითი ნოდარის სახეზე დაღლილობას ამჩნევდა, ის ამ დილით ისე მკვირცხლი და ენერგიული არ ჩანდა, როგორიც ყოველთვის იყო. წუხელ ნოდარმა დიდი ჯაფა და წვალება გადაიტანა. ეს გამოკრთოდა მისი მშვიდი სახის მკაცრ გამომეტყველებაში.

— ზარალი დიდია? — ჰკითხა დავითმა, — დიდი ნიაღვარი იყო?

— ასეთი ნიაღვარი, ამხანაგო დავით, ჯერ არ მინახავს! — უპასუხა ნოდარმა.

მთებში მომწყვდეულმა გრიგალმა ხეობაში ღრუბლები შემოხვეტა. ნიაღვარი ზათქითა და ღრიალით ყველაფერს ისე მოარღვევდა, გეგონებოდათ, მთები ჩამოპირქვავდნენ და დედამიწა გადათელესო.

ნოდარი ის-ის იყო დასაძინებლად ემზადებოდა, როდესაც ტელეფონის ზარის წკრიალი მოესმა.

— ამხანაგო ნოდარ, წყალს მიაქვს ყველაფერი! — შეშფოთებული ხმით უთხრა ეს სიტყვები წყალსაშვები კამხალის ქვაბულის ზღუდარზე მომუშავე ბრიგადირმა იოსებ ნონებაშვილმა. ნოდარმა სასწრაფოდ წამოიხურა საწვიმარი და გარეთ გაიჭრა.

იოსები არც ისე დიდი ხანია, რაც მშენებლობაზე კოლმეურნეობიდან მოვიდა. მან ხალისით დაიწყო მუშაობა. ის ორი თვის ვადით იყო ჩამოსული, მაგრამ მუშაობამ ისე გაიტაცა, ჰიდროელსადგურის დროზე ამუშავებაში წვლილის შეტანა ღირსებისა და დიდების საქმედ ჩათვალა და თავისი ბრიგადით მშენებლობის დამთავრებამდე დარჩენა გადაწყვიტა.

იოსების ბრიგადა მთელი ღამე განუწყვეტლივ მუშაობდა, ნოდარი მათ

ერთი წუთითაც არ მოშორებია. მაღალყელიანი რეზინის ჩექმებით მუხლებამდე ტალახსა და წყალში ჩამდგარი ნიაღვარს ებრძოდა მანქანების ნაწილების, ხე-ტყისა და კომპრესორების გადასარჩენად.

საგენერატორო შენობის წინაკიდის გვერდით ნიაღვრისაგან ჩაღრმავებულ ადგილებში იოსების ბრიგადამ დაალაგა ხის მორები, შემდეგ ზღუდარს ნანგრევებიდან აღებული ქვები მიუწყვეს, რომ ნიაღვრისათვის მიმართულება შეეცვალათ. მართლაც, ოთხკუთხედად დაწყობილ მორებს ნიაღვრისაგან მოზღვავებული ღორღი, ამოგლეჯილი ბუჩქები და ხეების ჩამოლეწილი ტოტები ქვის ნატეხებთან ერთად ისე მიუწყვეს, რომ ბუნებრივ ზღუდეს დაემსგავსა. ნიაღვარმაც მიმართულება შეიცვალა.

გაცხარებულ მუშაობაში მათ ვერც კი შეამჩნიეს, თუ როგორ დაათენდათ თავზე.

როდესაც გარიჟრაჟმა ხეობაში შემოაშუქა, ტალახში ამოგანგლული იოსები პირისპირ იდგა ასევე გაწუწულ და ტალახში ამოსვრილ ნოდარის წინ. გარკვევით ჩანდა წუხანდელი ნამუშევარი და ნიაღვრისაგან დაზიანებული მშენებლობის მიწითა და ღორღით გადალექილი, დარღვეული და გათხრილი ადგილები.

— ნოდარ, — მიმართა იოსებმა, — ეს მუშაობაა? განა არ შეგვეძლო ყოველივე ეს თავიდან აგვეცილებინა?

— მაინც, როგორ? — ჰკითხა ნოდარმა.

იოსებმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ღრმად ამოისუნთქა და საყვედურის კილოთი დაიწყო:

— რა იქნებოდა ჩვენთვისაც ყური დაგეგდოთ, განა ჩვენ არაფერი ვიცით, არაფერი გვეკითხება? ტრაბახობით არ მოგახსენებთ და კოლმეურნეობაში ბევრი ახალი რამ გამიკეთებია. მე ჩემი აზრი გამომითქვამს, შეუსწავლიათ იგი და მიუღიათ. აქ კი, ვინ გვაქცევს ყურადღებას? თუ ამას გეუბნები, ჩემო ნოდარ, იმიტომ, რომ პარტორგი ხარ და ვიცი შენი ამბავი, ყურადღებას მიაქცევ. აი, მიხეილ თუშიშვილს რომ ჰკითხოთ, მისთვის მხოლოდ, ის არის კანონი, რაც დაწერილია ...რაც მიწერია, ის უნდა გავაკეთოო. მისი შეცვლა, როგორ იქნებაო და ის კი არ იცის, რომ ხალხის ხმას ყური უნდა უგდოს, შეიძლება რიგითმა მომუშავემ ყირამალა დააყენოს ის, რაც მას უცვლელი ჰგონია.

— მაინც რაზე ხარ გულნატკენი, რის გამო მეუბნები ამას? — ჰკითხა ისევ ნოდარმა.

— ქარაგმებით არ მიყვარს ლაპარაკი, — დინჯად განაგრძო იოსებმა, — მე საწარმოო თათბირზე გავაფრთხილე ჩვენი უფროსი, საგენერატორო შენობის წინაკიდესთან მთის ქანები ჩანგრეულია, საჭიროა ოცი-ოცდახუთი მეტრის სიმაღლის ყორე ავაშენოთ, რომ მოსალოდნელი უბედურება თავიდან ავიშოროთ — მეთქი. ვინ გაგიგონა... ეს პროექტით არ არის გათვალისწინებულიო და ვერ გავაკეთებო. აი, ახლა, ხომ ხედავ, რა მოგვივიდა... რასაც აქ ვხედავთ, ნეტავი მიხეილს თავის პროექტში თუ აქვს გათვალისწინებული?!

ნოდარმა ოდნავ გაიღიმა.

— იოსებ, გახსოვდეს, რომ პარტიამ მშვენივრად იცის, ვინ როგორ მუშაობს და სად რა არის გასაკეთებელი. ამ დილით ჩვენთან უნდა ჩამოვიდეს რაიკომის წარმომადგენელი. იგი ყველაფერს გაეცნობა და გაარკვევს, ყველა ზომას მიიღებს!

— ასე იცის მიხეილმა თქმა, — გაიწყვეტინა იოსებმა, — გამოვა კრებაზე და ამბობს — ღონისძიება დაისახება, ზომები მიღებული იქნება, ყველაფერი გაკეთდება, მაგრამ მერე? სიტყვა სიტყვად რჩება, საქმე კი არ კეთდება!

— მართალი ხარ, იოსებ, საქმე თვითონ გამოაჩენს ყველაფერს.

და აი, ბუნების სტიქიასთან ბრძოლით დაღლილი იდგა ნოდარი ახლა დავით ლომიძის წინ და დაწვრილებით ჰყვებოდა საგენერატორო შენობის და წყალდიდობის ამბავს.

მიხეილს ფერი ეცვალა.

— საგენერატორო შენობასთან დღემდე არ არის აშენებული ზღუდარი, — განაგრძობდა ნოდარი.

— რაც პროექტით გათვალისწინებული არ არის, იმას ხომ ვერ გავაკეთებდი? — ჩაერია მიხეილი საუბარში.

— რატომ ფიქრობთ ასე? — გაკვირვებით შეხედა დავითმა მიხეილს, — თუ დადასტურდება, რომ პროექტში ცვლილებების შეტანა აუცილებელია, პროექტი შეიძლება შეიცვალოს. კიდევ მეტიც შეიძლება, დამტკიცებული პროექტიც კი უარყოფილი იქნეს და ახალი პროექტი შედგეს. ჩვენ რომ ვიძახოთ, პროექტი ერთხელ დამტკიცდა და მისი შეცვლა არ შეიძლებაო, სწორი არ იქნება. თუ სიახლე, რომელიც შრომის პროცესში დაიბადება, პროექტის შეცვლას მოითხოვს, საჭიროა გაბედულად და თამამად ვიმოქმედოთ. შრომის პროცესების გაუმჯობესება, მშენებლობის იაფად და მაღალხარისხოვნად შესრულება დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში ფართოდ დაინერგა, საჭიროა ყოველივე სიახლეს ყურადღებით მოვეკიდოთ!

— მე ვფიქრობ, — ჩვეულებრივად დინჯად დაიწყო ნოდარმა, — ამხანაგ მიხეილის შეცდომა იმაშია, რომ ის მხოლოდ დაკანონებულ, მეცნიერების ძველ ნორმებს ცნობს, ხოლო ახალ აზრს უნდობლად უყურებს და არ იჩენს ინიციატივას სიახლის დანერგვისათვის!

მიხეილი ხმას არ იღებდა.

•

• •

დავითი, მიხეილი, ლევანი და ნოდარი საგენერატორო შენობისკენ გაემართნენ. ყველას აინტერესებდა წუხანდელი ნიაღვრის შედეგები.

დავითი ყველაფერს აკვირდებოდა. ნიაღვარს ყველგან თავისი კვალი დაეტოვებინა. აქა-იქ გზებზე მთიდან ჩამოტანილი კლდის ყვითელი ქანების ნამტვრევები, ლოდების ნალეწები და ხის ფესვები ეყარა.

მთის მწვერვალიდან ხშირ ტყეში ეშვება ლარივით სწორი, რუხი ზოლი, რომელიც ახლად გაყვანილი გზის ზემოთ ხელისგულივით პატარა მინდორთან თავდება. ეს ხეების დასაცურებელია. მშენებლობისათვის საჭირო ხეტყეს, მთის კალთებზე ჭრიდნენ და მორებს ამ გზით მოაცურებდნენ. მთიდან დაშვებულ მორს გზაზე ქერქი ეცლებოდა და მინდორზე სანთლისფერი ტანით შემოცურდებოდა.

დავითმა ყურადღება მიაქცია ხის დასაცურებელ გზას და იკითხა, მართალია თუ არა, რომ მუშახელის სიმცირის გამო, სამი დღეა, რაც აქ მუშაობა შეჩერებულიაო. მიხეილმა ბევრი რამ მოიმიზეზა, რომ თავი გაემართლებინა.

იოსების ბრიგადა კვლავ აგრძელებდა მუშაობას: ზღუდარზე რამდენიმე კაცი თავს უყრიდა რკინის ძელებს, მავთულების შეკვრას, დახერხილ ხის მორებს, ფიცრებს.

იოსების დაღლილ სახეზე აშკარად ამოიკითხებოდა უკმაყოფილება. ეს მიხეილმა მაშინვე შენიშნა. მიხეილმა იმის შიშით, რომ იოსებს ცუდი არაფერი ეთქვა, მხიარულად მიაშურა მას, შეაქო წუხანდელი გმირობის გამო და დავითს დაუხასიათა, როგორც მოწინავე, თავდადებული და დაუღალავი მუშა.

წუხანდელი მომქანცველი მუშაობის შემდეგ იოსებმა გადაწყვიტა ზღუდარის მშენებლობის მხოლოდ დამხმარე სამუშაოები შეესრულებინა, სხვა სა-

ხის მუშაობის წარმოება შეუძლებელი იყო. კირის, ცემენტის, და ქვიშის მარაგი, რომელიც შენობის წინაკიდეზე იყო დაყრილი, წყალმა წალეკა, ხოლო სამაგიერო ჯერ მოტანილი არ იყო.

— ჩვენგან მოითხოვენ გეგმის შესრულებას, — ამბობდა იოსები, — მასალას კი დროზე არ გვაწვდიან!

— რა გაკლიათ? — ჰკითხა მას დავითმა.

— რა გვაკლია? ბევრი რამ,—საყვედურის კილოთი ამბობდა იოსები, — აი, მაგალითად, ცემენტი არა გვაქვს!

დავითი მიხეილს მიუბრუნდა:

— ამხანაგო, მიხეილ, რატომ არ მოგაქვთ კასპის ქარხნიდან ცემენტი?

— ქარხნის ბრალია, ამხანაგო დავით, ქარხნის ბრალია!.. ჩვენ არაფერ შუაში ვართ, — კვლავ გაიმართლა თავი მიხეილმა, — მე დღეს დეპეშა უნდა გავაგზავნო, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიყონ ცემენტი.

— ცემენტი თქვენთვის დიდიხანია გამოყოფილია, — უთხრა დავითმა, — თუ დღემდე ვერ მიიღეთ, ეს თქვენი ბრალია!

მიხეილმა თავი ჩაქინდრა, გაფითრდა. უკვირდა, საიდან იცოდა დავითმა ეს ამბავი. მასთან ხომ ამ საკითხზე საუბარი ჯერ არ ჰქონია?

იოსები ბოხი ხმით კვლავ განაგრძობდა:

— მართალია, ცემენტი ცოტა მაინც გვქონდა. მაგრამ წყალმა წაიღო, ხოლო სილა, ხრეში, რა დასამალია, საკმაო რაოდენობით არა გვქონდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ერთი თვითსაცლელი ავტო საკმარისი არ არის. ასეთ პირობებში მუშაობა არ შეიძლება. აი, ჩვენ, მართალია, წუხელის რაღაც გადავარჩინეთ, მაგრამ... უფრო უარესი მდგომარეობაა მისამე უბანში. გული შეგტკივა, აქ იმდენს არაფერს ვაკეთებთ და კოლმეურნეობას კი მოვცდით.

— ახლა რაიკომი ჩაერია ჩვენს საქმეში და ყველაფერი მოგვარდება, — უთხრა კამარაულმა.

— ჩვენი მუშაობა, რა მუშაობა! — გააწყვეტინა სიტყვა იოსებმა. — საწარმოო თათბირზე დავაყენე საკითხი, რომ ნიაღვრის დასაცავი ზღუდე გაგვეკეთებინა, მაგრამ ვინ მოგვაქცია ყურადღება.

იოსების ყოველი საყვედური მიხეილის გულს მტკივნეულად ხვდებოდა. რა ექნა? ეთქვა, რომ პროექტით არ იყო გათვალისწინებული, ახლა, უკვე არ შეიძლებოდა. სხვა რამ მოემიზეზებინა? აქვე იყვნენ ლევან კამარაული და ნოდარ ხერხეულიძე. ისინი, ხომ არაფერს არ დაფარავდნენ?

დავითს არ დარჩენია არც ერთი მუშა, რომ არ გამოლაპარაკებოდა, არ გაეგო მისი გულისტკივილი, მისი ფიქრი და აზრი. არ დარჩენილა არც ერთი აგრეგატი, კომპრესორები, ტუმბოები, დენის განმანაწილებელი სათავსოები, რომ არ შეესწავლა, თუ რა მდგომარეობაში იყო. ყველა სამუშაოზე იქვე აძლევდა წინადადებას მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ყველა ხედავდა, რომ დავითი არცერთ წვრილმანს ყურადღების გარეშე არა ტოვებდა. ამით შეშინებული ჭიჭიკო ხან ნუნუს და ხან გივი შარაშენიძეს ეუბნებოდა:

— სასტიკად მოგვცხებენ, ყველას გაგვყრიან აქედან!

*
* *

ლევან კამარაული კმაყოფილი დაბრუნდა შინ. ან როგორ შეიძლებოდა არ ყოფილიყო კმაყოფილი, როდესაც ის ნაკლოვანებანი და გარღვევები, რომელთა შესახებ არაერთხელ უთქვამს მიხეილისათვის, ახლა დავითმა საკუთარი თვალით ნახა და დარწმუნდა, რომ კამარაული ცამდე მართალი იყო.

„სიმართლეზე ძლიერი არაფერია“,— ფიქრობდა ლევანი. ის დარწმუნდა,

რომ დავითი მიუდგომელი, პირდაპირი და სიმართლისათვის მებრძოლი კაცი იყო.

დავითი ყველაფერს ამჩნევდა, მის თვალს არაფერი არ გამოპარვია, მაგრამ მიხეილს ეს ბევრჯერ არ უგრძვნია და თავს იიმედებდა — ეგ დავითს არ შეუმჩნევიაო. დავითი კი შენიშნულ ნაკლოვანებაზე ისეთ დროს დაუწყებდა საუბარს, როდესაც მას ეს მივიწყებული ჰქონდა. მაშინ მიხეილს ფერი ეცვლებოდა და თვალები ემღვრეოდა, თავს ჩაღუნავდა და განაბული უსმენდა მის დარიგებას.

ლევან კამარაული დარწმუნებული იყო, რომ დავითი მას დაეხმარებოდა. ამით გახარებულმა, როგორც კი შეაღო ოთახის კარი, ორივე ფანჯარა გააღო, პორთფელიდან ამოიღო თბილისიდან ჩამოტანილი დასკვნები. ავტომატური საბაგირო გზის საცდელი მშენებლობის დაწყების შესახებ და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა, თითქოს სურდა, ყველაფერი ხელახლა წარმოედგინა, დაეზუსტებინა. ყველაფერი ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ ხვალ ავტომატური საბაგირო გზის შესახებ დავითთან საუბარი უნდა ჰქონდა.

დაკვირვებით სინჯავდა ნახაზებს, კითხულობდა დასკვნებს და სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა.

გარეთ მთის ნიავი ქროდა. ტყე შრიალებდა და მოგონებებში ახვევდა მას. ლევანი წუთით ჩაფიქრდა, ორჯერ სამჯერ თმაზე გადაისვა ხელი. მაგიდის შუა უჯრა გამოსწია, უჯრიდან მზიას სურათი ამოიღო და მის მოღიმარ სახეს სიყვარულით დააცქერდა.

მზიაზე ფიქრი ლევანს სულიერად ამაღლებდა, ძალას მატებდა, უფრო შეუპოვარსა და ხალისიანს ხდიდა. რასაც კი ფიქრობდა, რაც კი შეემთხვევოდა, ყველაფერს პირველად მზიას მოუყვებოდა. ამ საუბარში იგი ერთგვარ შვებას გრძნობდა. სიყვარულით დასცქერის ლევანი მზიას სურათს. ტკბილად ღიღინებს, კარებში მზია გამოჩნდა და იქვე შეჩერდა.

მას დღემდე არ გაეგონა ლევანის სიმღერა. დაიბნა მზია, არ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა. მხოლოდ ის კი სურდა, რაც შეიძლებოდა დიდხანს ემღერა ლევანს.

ლევანმა თავი ასწია, დაინახა მზია.

— მზია!

— რად გაჩუმდი?

ლევანი სწრაფად წამოდგა, ხელებგაშლილი გაეშურა მზიასაკენ.

— ასეთ კარგ ხასიათზე ჯერ არ მინახავხარ, ლევან!

— ჩემს საქმეს რაიკომი სწავლობს, მზია. ამხანაგი დავითი ჩამოვიდა, იგი ყველაფერს სამართლიანად გადაჭრის, ავტომატური საბაგირო გზის გამოცდის დღე უკვე დაინიშნა.

მზიას სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა. ლევანს შეხედა.

— ლევან, დღეს ჩემთვისაც ბედნიერი დღეა. აი, — უთხრა მზიამ და ჩანთა გაუწოდა, — ახალი მადანი!

— ახალი მადანი! — წამოიძახა ლევანმა და ჩანთა ჩამოართვა.

— აი, ხედავ? ოქროსფერი სიყვითლე გადაკრავს, — ეუბნებოდა მზია ლევანს. — სადაფისებური ელვარება აქვს!

— მზია, იცი რა გითხრა? ამას მე დავითს ვუჩვენებ. დარიშხანის წარმოების მშენებლობაზე რაიკომს ამთავითვე შეუძლია საკითხი მინისტრთა საბჭოში დააყენოს.

— რასაკვირველია, — გაეხარდა მზიას, — ეს შესანიშნავი იქნება.

— აბა, შევთანხმდეთ, ხვალ საღამოს შენც ჩამოხვალ და დავითს ყველა საჭირო მასალას მიუტან.

— ძალიან კარგი. პირადად ვნახავ და მოველაპარაკები.

მზიას უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარებზე დააკაკუნეს. ლევანმა კარები გააღო. ოთახში ჭიჭიკო შემოვიდა. ჭიჭიკო მხოლოდ შორიდან იცნობდა მზიას და, როგორც კი დაინახა, თავაზიანად მიესალმა.

ჭიჭიკოს ასე გვიან მოსვლა გაუკვირდა ლევანს.

— დაბრძანდით.

— უდროო დროს მომიხდა მოსვლა, ლევან, — ბოდიში მოიხადა ჭიჭიკომ და ნაძალადევად გაიღიმა, სკამზე ჩამოჯდა.

— არაფერია, — უთხრა ცივად ლევანმა.

— უფროსი გამიბრაზდა, თორემ ამ დროს არ შეგაწუხებდით.

— როგორ?

— ხომ იცით, ზოგიერთს შემოწმება არ უყვარს. ასეთია ჩვენი მიხეილიც. მეტადრე დღეს, მის მუშაობას რომ ამოწმებენ, ძალზე ცუდ ხასიათზეა, სულ ყვირის, გვეჩხუბება!

მზიას ცნობისმოყვარეობამ დასძლია და ჰკითხა:

— რატომ არის ცუდ ხასიათზე, რა მოხდა?

ჭიჭიკომ პაპიროსს მოუკიდა.

— ყველაფერი არც მე ვიცი, მაგრამ მე რომ გამიბრაზდა, ეს კი სინამდვილეა, — დაბნეულად დაიწყო ჭიჭიკომ, — აქ იმიტომ მოვედი, იქნებ ლევანმა მიშველოს-მეთქი, მდგომარეობიდან გამომიყვანოს... მე მთავარი ბუხჰალტერი ვარ, არ ვიცი, ღმერთმანი, რა შუაში ვარ. რატომ მთხოვს იმას, რაც მე არ მეხება?!.

— ვერაფერი გამიგია, რა მოგთხოვა ისეთი? მიხეილმა გამოგგზავნა ჩემთან?

— გამოგზავნით, მართალი გითხრათ, მას არ გამოვუგზავნივარ, — იცრუა ჭიჭიკომ, — მე ჩემით მოვედი, თუმცა ეს მიხეილმაც იცის... არ დაგიმალავთ, მას სხვა რამ აწუხებს — გამწარებული დაეძებს საბაგირო გზის პროექტს.

— მერე?!

— ვერ ნახა, არ იცის რა უყო, არ აგონდება.

— როგორ?! — გაიკვირვა ლევანმა. — განა თვითონ მან პირადად არ გამომართვა?

— ამბობს, თითქოს პროექტი მე გადმომცა. ახლა ყველაფერს მე მაბრალებს... იცით, ეს რატომ მოხდა? დავითმა თქვენი პროექტი მოითხოვა და რომ ვერ ნახა, დორბლებს ყრის. მემუქრება, სამსახურიდან მოგხსნიო, მაგრამ მე რა შუაში ვარ? გულმა მირჩია შენთან მოვსულიყავი. შენი ჭირიმე, ლევან, კეთილ კაცს გეძახიან და იქნებ დამეხმარო... იქნებ ამაცილო მიხეილის რისხვა... აი, სწორედ, ამიტომ მოვედი თქვენთან.

— რითი შემიძლია დაგეხმარო, ან შენ რა შუაში ხარ?

— აი, სწორედ, რომ ესაა უცეცხლოდ რომ მწვავს!

— დავითს მე თვითონ ვნახავ და რაც საჭიროა ვეტყვი.

— არა, შენი ჭირიმე, არა, — გააწყვეტინა სიტყვა ჭიჭიკომ. — დავითს ამაზე არაფერი უთხრა, თუ ხათრი გაქვს, თორემ მიხეილი ქვეყანაზე აღარ დამაყენებს. მე ის მინდოდა მეთქვა რომ...აი, იქნებ თქვენ.. — ამ სიტყვაზე ჭიჭიკოს ენა დაება, სახე დაელმიჭა, სიმწრის ოფლმა დაასხა და წაიბუტბუტა, — რამდენადაც მახსოვს... მგონი, მე თქვენ გადმოგეცით. მიხეილმა, რატომღაც ასე მაგონდება, შენთვის გადმოსაცემად გამომატანა და თუ დამიბრუნებთ, ჩემთვის პირდაპირ ხსნა იქნება. ეს მინდოდა მეთხოვა.

ლევანი ერთხანს გაოცებული შესცქეროდა ჭიჭიკოს.

— რაღაცას მიედმოედები, — შეაწყვეტინა სიტყვა ლევანმა. — გეტყობა მიხეილს კარგად ვერ დაურიგებიხარ.

შენ ჩემთან რად გჭირდება ასე თვალთ-მაქცურად მოსვლა? გერჩია სიმართლე გეთქვა, ასეთი რამ შემდეგში არ გაიმეორო, ასე სჯობს შენთვის!

ჭიჭიკომ იგრძნო, რომ ლევან კამარაული მეტისმეტად გაბრაზდა. ცდილობდა ზედმეტი სიტყვა არ წამოსცდენოდა და როგორმე მშვიდობიანად წასულიყო აქედან.

— შენ ჩემთან ამ საკითხზე არ უნდა მოსულიყავი, — მკაცრად უთხრა ლევანმა.

— არ მეგონა, თუ გეწყინებოდათ, — ჭიჭიკომ ძლივს აიდგა ენა. — ბოდიში, თუ რამე გაწყენინეთ! — თქვა და ოთახი დატოვა.

გარეთ რომ გავიდა, უცებ შეჩერდა. თავის მოქმედებას ჩაუფიქრდა და არ მოეწონა. ასე უცებ რომ წამოვიდა, არ ესიამოვნა. ასეთი მიუკარებელი, ასეთი გულცივი ადამიანი არ ეგონა მას ლევანი.

„ასე გაბრაზებული მე ის არასოდეს არ მინახავს, — ფიქრობდა ჭიჭიკო. — სულელურად მოვიქეცი. ამას კარგი შედეგი არ მოჰყვება. ვთქვათ, მიხეილი მოხსნეს და ლევანი დააყენეს მის მაგივრად, მაშინ ის მე გამახარებს? არა, შევცდი, რომ არ დავიცადე და გული არ მოვულბე... ნამდვილად უჭკუო გამოვდექი, უჭკუო!.. აქლემები წაიკიდნენ და შუაში კოზაკი გაიჭყლიტაო. ისეა ჩემი საქმე... მიხეილი და ლევანი თუ ვერ შეთვისდნენ, ჭიჭიკო რა შუაშია?! რას ვერევი მათ საქმეში? ახი იქნება ჩემზე, თუ ლევანიც გამიბრაზდა, არა, ლევანს გული უნდა მოვულბო, მაგრამ როგორ?“

ოთახის კართან ატუზული დიდხანს ფიქრობდა, რა მოემიზეზებინა, რომ ხელახლა შესულიყო ლევანთან, ბოდიში მოეხადა, ეთქვა, რომ ეპატიებინა მისთვის ეს შეცდომა. მისი აზრით, ეს აუცილებელი იყო. მაგრამ ვერაფერი მოისაზრა.

— ლევან, მე ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე, — უთხრა მზიამ ლევანს, და პასუხის მოლოდინში თვალებში ჩაეცქერდა.

— ხომ ხედავ, ჭიჭიკო, როგორ მლიქვნელობს, მაგრამ ვერა. მე უკვე კარგად ვიცი, რაშიც არის საქმე. ის ნამდვილად მიხეილმა გამოგზავნა. ახლა მიხეილს უნდა დავითს მოაჩვენოს, რომ ჩემს გამოგონებაზე გული შესტკიოდა, მაგრამ განა დავითი მოტყუვდება?

— თუკი პროექტი და დასკვნები დაგიკარგეს?

— ის ასლი იყო მხოლოდ! დავითს დედანს მე თვითონ ვუჩვენებ.

*
* *

მეორე დღეს, დილით, ლევან კამარაულს კანტორის კართან შეხვდნენ ჭიჭიკო და გივი შარაშენიძე. ისინი გაცხარებულნი კამათობდნენ, მაგრამ როგორც კი ლევანი შენიშნეს, მაშინვე გაჩუმდნენ.

— დაგვამუშავეს, ამხანაგო ლევან, — უთხრა ჭიჭიკომ. — ყველაფერს მე მაბრალებენ... გივი შარაშენიძემ ცემენტი დაკარგოს, ჭიჭიკოს ბრალია... წარმოიდგინეთ, მუშებს ხელფასის მიღება დაუგვიანდათ, ჭიჭიკოა დამნაშავე. ფული ბანკმა დროზე არ გადარიცხა, ჭიჭიკოს ბრალია. თქვენი გამოგონების პროექტი რომ დაიკარგა, რასაკვირველია, ამის გამოც მე უნდა დამსაჯონ! აი, რა მაცხარებს, მნახეს დაბალი ღობე და ისაა!

ამ ლაპარაკში კარებში ნუნუ გამოჩნდა. ნუნუმ ლევანს სთხოვა მიხეილთან შესულიყო. ლევანმა შეატყო, რომ მუდამ მოკისკისე ნუნუც გაბრაზებული იყო.

ნუნუ და ლევანი მიხეილის კაბინეტში შევიდნენ. იქ დავითი იჯდა, მას სხვადასხვა საქმე გადაეშალა და თავ-

ჩაღუნულ მიხეილს საყვედურის კილოთი ეუბნებოდა:

— საჭირო იყო მეტი გულისხმიერება, მეტი ყურადღება!

— აი, ლევანიც აქ არის, — შესვლისთანავე მიმართა ნუნუმ დავითს, — ჰკითხეთ ამხანაგ ლევანს. განა აპრილში ლევანი ამ კაბინეტში არ იჯდა, როდესაც სამინისტროსადმი მიმართვა დაიწერა მის გამოგონებაზე.

ლევანმა ნუნუს ნათქვამი დაადასტურა.

— მე ის მიმართვა რა დამიკარგავს, როგორც ახლა მიხეილი ამბობს, ის მიმართვა თვითონ მიხეილმა დაიტოვა.

დავითს რაღაც მოაგონდა და ჩაფიქრდა.

— მე კარგად მახსოვს, რომ პროექტი, — განაგრძობდა ნუნუ, — ჭიჭიკოს ჩააბარა.

ლევანი ნუნუს უსმენდა, დავითს კი თვალს არ აშორებდა.

— დაწყნარდით, ამხანაგო ნუნუ, — მიმართა დავითმა ნუნუს, — ჩვენთვის უკვე ყველაფერი ნათელია.

ამ სიტყვების შემდეგ დავითი მიხეილს მიუბრუნდა.

— ამხანაგო მიხეილ, გუშინ დილით ამ მაგიდაზე სამინისტროში გასაგზავნი კამარაულის გამოგონების შესახებ დაწერილი მიმართვა იდო.

მიხეილი დაიბნა, მაგრამ ნახა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, მიმართვა დავითისათვის უნდა გადაეცა. მაგიდის უჯრა გამოსწია.

მიხეილს ეგონა, დავითს ეს არ შეუმჩნევიაო, თავს არხეინად გრძნობდა, ახლა კი, როდესაც დავითმა სწორედ ის მიმართვა მოსთხოვა, თითქოს თავში რაღაც მძიმედ დაჰკრესო, უჯრაში ხელი უაზროდ ააფათურა.

— ეს კი არაფრად არ ვარგა, — უთხრა დავითმა.

მიხეილმა თავი ჩაღუნა.

• • •

ნაშუადღევს დავითმა მესამე უბანში წასვლა დააპირა.

ნიაღვრისაგან დაზიანებულ მშენებლობაზე მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით მიხეილს და ნოდარს განსაკუთრებული დავალებები მისცა, რომელიც სასწრაფოდ რომ უნდა მოეგვარებინათ, და ამიტომ მესამე უბნის დასათვალიერებლად მხოლოდ ლევან კამარაული წაიყვანა.

ისინი აყვნენ ტყეში გაყვანილ ბილიკს, რომელიც ალაგ-ალაგ კლდეებზე გადადიოდა.

ნაწვიმარზე ძნელი იყო მთის ბილიკზე სიარული; თუ ფეხი დაგისხლტებოდათ, თავს ვერ შეიმაგრებდით და უფსკრულში გადაეშვებოდით. ამიტომ დავითი და ლევანი ფრთხილად მიიწევდნენ წინ.

არც დავითი და არც ლევანი არ იყვნენ მთებში სიარულს ნაჩვევნი, მით უფრო, ასეთ ავდრიან დღეებში. ყოველი ნაბიჯის გადადგმას თითქოს შიშობდნენ, დროდადრო შეჩერდებოდნენ და ბილიკს გასცქეროდნენ, წინასწარ ათვალიერებდნენ, სად უფრო სახიფათო იყო, სად უფრო მშვიდობიანად შეიძლებოდა გასულიყვნენ.

კლდე კლდეზე იყო მიწოლილი. გოლიათი მთები ერთმანეთზე გადაგრეხილიყვნენ.

ყრუდ ისმოდა კლდეების აფეთქების ხმები.

— აი, ამხანაგო დავით, — მიუთითა კამარაულმა უფსკრულებიდან ამოზიდულ მთებზე, — სწორედ, აქ, ამ მთებზე, უნდა გავიყვანოთ ავტომატური საბაგირო გზა.

დავითი მითითებულ ადგილს დააკვირდა; ერთი მთა მესამე უბნისწინა-კიდესთან თავდებოდა, ხოლო მეორე იწყებოდა ჩანჩქერისკენ გამოყვანილ სატრანსპორტო გზის მარჯვნივ და ზე-

ვით. მთებს შორის ძირს, ნაპრალში, ძლივს მოჩანდა პიტალო კლდეების ლორფინები. სწორედ აქ უნდა გაეყვანათ გზა მესამე უბნისკენ. ამისათვის გზის დიდი ნაწილი ამ ორწოხებსა და კლდეებზე უნდა გასულიყო. გზა მხოლოდ კლდეების აფეთქებით უნდა გაეყვანათ, ხიდები ამ უფსკრულებზე გადასავლელად უნდა აეგოთ. უკანასკნელ ორწოხზე აგებულ ხიდიდან გზას უნდა მოევლო მაღალი მთის ძირი და მესამე უბნამდე მიეღწია.

ლევანის ავტომატური საბაგირო გზის გაყვანით ეს დიდი, საძნელო და ხანგრძლივი დროის სამუშაო საჭირო აღარ იქნებოდა.

დავითი აკვირდებოდა გზისათვის დაპროექტებულ რელიეფს, გონების თვალით ადარებდა ავტომატურ საბაგირო გზას და გულში ფიქრობდა:

— არა, ლევან კამარაულის აზრი ნამდვილად სწორია!

*

* *

აი, მესამე უბანიც. სამი მხრით წიწვიანი ტყით დაფარული ქედები გაწოლილიყო.

აქ უნდა გაკეთდეს დიდი ქვაბული, ქედის მეორე მხარეზე ჩამავალი მდინარე გვირაბით ქვაბულში უნდა იქნეს ჩაშვებული.

წიწვიანი ტყით დაფარულ ფერდობზე დგას ერთადერთი სახლი. აქ მოთავსებულია მუშათა საერთო საცხოვრებელი და სასადილო. გვერდით დაბალჭერიანი, სახელდახელოდ აგებული ხის შენობა საწყობად არის გამოყენებული.

სხვა რამ ცვლილება ამ მიდამოში არ იყო შესამჩნევი, მხოლოდ იქ, სადაც გვირაბი უნდა გაეყვანათ, მუშები პირველი რიგის სამუშაოებს ასრულებდნენ; ქვის სატეხებს მაგრად ურტყამდნენ კლდეს, მთელი ძალ-ღონით ხვრეტდნენ კლდის გულს, ურტყამდნენ გაუწყვეტლივ, სულ უფრო და უფრო ღრმად ჩაჰყავდათ ქვის სატეხები და ასე ამზადებდნენ ხვრელებს ამონალის ჩასაწყობად.

მუშები იმავე კოლმეურნეობიდან იყვნენ, საიდანაც იოსებ ნანობაშვილის ბრიგადის წევრები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მათ იცოდნენ, თუ რა მოვალეობა დაეკისრათ და ყოველნაირად ცდილობდნენ ესახელებინათ კოლმეურნეობა, ოჯახი, თავისი სოფელი.

მიდიოდა დღეები. მუშებს თანდათან ემატებოდათ ხალისი. ამან შედეგიც გამოიღო. ზოგი მებეტონე გახდა. ზოგი ქვისმტეხელი, ზოგიც ამწეებზე მომუშავე.

ახლა მათ სულ სხვა განწყობილება ასულდგმულებდათ — როგორმე სწრაფად და მაღალხარისხოვნად ემუშავათ. სატეხებზე მომუშავეები, საწნეო აუზის მშენებლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. შეჯიბრებაში ზურაბ ჩიტაიშვილის ბრიგადა გამარჯვებული გამოდიოდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მათ იცოდნენ, მესამე უბანში ისეთი სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რომლებიც ჰიდროელსადგურის მშენებლობას დააჩქარებდნენ. ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ქვაბულის, კაშხალის რთული სამუშაოები.

— ალბათ ჩვენ გვიცდიან, — ამბობდა ჩიტაიშვილის ბრიგადის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გენო შაქარაშვილი, რომელსაც ამხანაგებში თავისი მოსწრებული თქმებითა და ხუმრობით ყოველთვის ხალისი შეჰქონდა.

— აქ, ძმაო, ახალ პროფესიას უნდა დავეუფლოთ. ხელობა შევისწავლოთ...

შენ რა გიჭირს, მებეტონე ხარ, — უპასუხა მის გვერდით მდგომმა ყმაწვილმა, რომელსაც თავზე ჭილობის ფართო ქუდი ეხურა, — მე ვიკითხო, მხოლოდ ამფეთქებელი რომ ვარ!

— ჩემო ძმაო, განა ეგ ხელობა არ

გამოგადგება? — უთხრა მას გენომ, — აფეთქება პატარა საქმეა? შინ რომ დაბრუნდები, ჩვენი სოფლის მდინარეში ორაგულსა და ღორჯოებს დახოცავ!

— იცოცხლე, კალმახებიც ამოვყარო... — ტრაბახით ამბობდა ჭილობის ქუდიანი. — მაშინ, ხომ არ იხუმრებ ასე. კაცმა რომ თქვას, ჩემი პროფესია ახლა ყველას სჯობია... მალე, ასეთი მთების აფეთქებას ატომით დავიწყებთ და ატომით მთების პირველი ამფეთქებელი რომ გავხდე, რას იტყვი?!

— რას ვიტყვი და, შენსა და ჩვენს გამარჯვებას!

ასეთ საუბარში იყვნენ ისინი, როდესაც მათ დავითი და ლევანი მიუახლოვდნენ.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მიმართა დავითმა.

— ამხანაგ დავითს გაუმარჯოს! — უპასუხა ზურაბმა და ხელი მაგრად ჩამოართვა. ზურაბი მას დიდი ხანია იცნობდა. დავითი არა ერთხელ ყოფილა მათთან კოლმეურნეობაში. დავითმა მეგობრულ საუბარში მათ ყველაფერი გამოკითხა.

— დავალებას მალე შევასრულებთ, — დაიწყო ზურაბმა, — მაგრამ სხვა სამუშაოები როდის დაიწყება?

— აი, ლევანის პროექტით ავტომატური გზის გაყვანას რომ დავიწყებთ, მაშინ ყველაფერი გამოსწორდება, — დინჯად უპასუხა დავითმა.

მშენებლობის ირგვლივ საუბარს რომ მორჩნენ, დავითს კოლმეურნეობის საქმეებიც ჰკითხეს. დავითმა დაწვრილებით უამბო, რაც მათ აინტერესებდათ.

ამ ხნის განმავლობაში ზურაბის ბრიგადის წევრებს არ შეუსვენებიათ. ისინი ამონალის ჩასაწყობ ხვრელებს ფოლადის სატეხებით განუწყვეტლივ აღრმავებდნენ, აფართოებდნენ.

დავითმა კარგად დაათვალიერა მესამე უბანი. კამარაული უხსნიდა მას, სად რა სამუშაო უნდა ჩატარებულიყო, წყლის რა მარაგი უნდა დაგროვებულიყო, როგორ იმუშავებდა საწნეო აუზი, სად მოთავსდებოდა კაშხალი, რამდენი ფარი გაკეთდებოდა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ გონების თვალით შეიძლებოდა დავითს წარმოედგინა, თორემ ასეთი დიდი სამუშაოები ჯერ არ ჩანდა.

ახლა მიხვდა დავითი, თუ რატომ ურჩევდა მიხეილ თუშიშვილი მესამე უბანში არ წასულიყო, ან რისთვის იმიზეზებდა უგზოობას.

დიდხანს დარჩნენ ისინი მესამე უბანში.

*
* *

დარიშხანის საბადოების ძებნა მესამე უბნის ახლოს წარმოებდა. გეოლოგიური პარტია მზიას ხელმძღვანელობით დაუღალავად მუშაობდა.

დღეს მზია ძალზე გახარებული ბრუნდებოდა სამუშაოდან; გეოლოგიურმა პარტიამ მინერალის სრულიად ახალი ფენები აღმოაჩინა, რითაც ერთხელ კიდევ მტკიცდებოდა მზიას აზრი, რომ ბნელი კლდეების ხეობაში დარიშხანის მდიდარი საბადოები იყო.

ჩანთაში ჩაწყობილი მინერალები მაგრად ეჭირა და უშიშრად მიჰყვებოდა დაქანებულ ფერდობზე დაკლაკნილ საცალფეხო გზას.

მას ნათქვამი ჰქონდა ლევანისათვის, თუ ახალ მინერალებს იპოვნიდა, სასწრაფოდ აცნობებდა მთავრობას. მაგრამ, რადგანაც ახლა დავით ლომიძე იყო ჩამოსული, ფიქრობდა, თამამად შეეძლო ეთქვა, რაც გულში ჰქონდა; ოფიციალურად დააყენებდა დარიშხანის წარმოების საკითხს.

მზიას არაფრის არ ეშინოდა. ამ გზაზე მისთვის ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ნაცნობი იყო. მიწა სველი და ალაგ-ალაგ მთის მდინარეებისაგან გადარეცხილი იყო. სიარული სახიფათო

შეიქნა. მზიას ფეხი უსხლტებოდა მაგრამ მაინც გაბედულად მიიწევდა წინ, ან რა შეაჩერებდა, როდესაც მისი საოცნებო ნატვრა ხორციელდებოდა, ფრთებს ისხამდა, მზია ხომ მოუთმენლად მოელოდა იმ წუთებს, როდესაც დარიშხანის წარმოების მშენებლობა დაიწყებოდა. ეს წუთები უკვე დგებოდა. უხაროდა მას, გრძნობდა, ასევე გაეხარდებოდა ლევანსაც. როგორ სურდა, აი, ახლა ამ წუთებში ლევანის მოსიყვარულე თვალებში ჩაეხედნა.

სხვა შემთხვევაში მზია ასეთ ამინდში და ასეთ დროს არ წამოვიდოდა, აუცილებლად დილამდე კარავში დარჩებოდა, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ასეთ ულრან ტყეში მარტო მიდიოდა, ვერც საღამოს ბინდმა და ვერც ღვარცოფმა ვერ შეაჩერა მზია.

მწვერვალებიდან მოხეთქილ წყალს საცალფეხო გზა ისე გადაურეცხავს, რომ ალაგ-ალაგ ბუჩქების ძირას მიუყრია ღორღი და ჩამოშვავებული ყვითელი მიწა.

ფიქრებში გართულ მზიას ფეხი დაუსხლტა, უცებ ძირს თავშეუკავებლად დაეშვა და ძალაუნებურად მიაკივლა.

— ნუ გეშინია, მზია! ნუ გეშინია!— მოესმა მას.

მზია სწრაფად ეშვებოდა დაბლა. მას შეეძლო ორივე ხელი ბუჩქებისათვის ჩაეჭიდა, ეცადა თავის შემაგრება, მაგრამ ცალხელში მინერალებით სავსე ჩანთა ეჭირა. ვერ შეელია მას.

უკვე ხრამს უახლოვდებოდა.

— მზია, ნუ გეშინია! — მოესმა მას ისევ ის ხმა და იმავე წუთში მის თვალწინ სწრაფად ჩაირბინა ვიღაცამ. მზიამ იცნო ლევან კამარაული, ვერ მიხვდა, თუ მოსაშველებლად მოდიოდა, რატომ არ მიეშველა?

ლევან კამარაულს უნდოდა მზიას ქვემოთ დახვედროდა და უფრო მარჯვედ შეეკავებინა ის. აი, ლევანი ჩაეშვა დაბლა, მერე მზიასკენ მოტრიალდა, მტკიცედ მოიმაგრა ფეხი მიწაში ჩამჯდარ ქვებზე, მზიას ხელიც ჩასჭიდა ხელი, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა, ფეხი დაუსხლტა, ტანი უკან გადაეზნიქა, კიდევ ცოტაც და ორივენი უფსკრულში გადაიჩეხებოდნენ. ლევანი არ დაბნეულა, ფეხის ქუსლზე ფერდობისკენ შემოტრიალებით ქვებზე მუხლებით დაეცა. გაისმა ყრუ კვნესა.

*

* *

დავითი გაოცებული იდგა. ყველაფერი ეს მოულოდნელად მოხდა. ის იყო ლევანთან ერთად ხევიდან ამოვიდა, ქალის კივილი მოესმათ.

— მთაზე სიარულს მიუჩვეველი კაცი ასეთ გმირობას თუ ჩაიდენდი, არ მეგონა, — შეაქო დავითმა ლევანი და მზიას მიუბრუნდა: — სიკვდილს გადაგარჩინათ!

— ჩემი ბრალია,—დაიწყო მზიამ,— ვიჩქარე და სიჩქარისაგან მომივიდა ეს. ლევანმა, მართლაც გადამარჩინა.

ლევანი მუხლის ტკივილს გრძნობდა, მაგრამ არ ამხელდა. სუნთქვას დახშულ კვნესას ამოატანდა, ცდილობდა მზიას არ შეემჩნია.

— ბედი გქონია, მზია. კიდევ კარგი, რომ მესამე უბნიდან კაცმა აქეთ უნდა გამოიაროს, — უთხრა ლევანმა მზიას. — სხვა გზა რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა ჩვენ მას გავყოლოდით, მაშინ, ვინ იცის რა დაგემართებოდა?

— რომ მცოდნოდა, თქვენ მესამე უბანში იყავით, პირდაპირ იქ მოვიდოდი. გეოლოგიური პარტიის მუშაკები მარტო არ მიშვებდნენ, შევცდი, უნდა დამეჯერებინა მათთვის.

— მზია,—შეაწყვეტინა სიტყვა ლევანმა. — ამხანაგი დავითი დაინტერესებულია თქვენი ექსპედიციის მუშაობით.

— ვიცი, სწორედ იმიტომ წამოვედი ძიების რაიონიდან, — ამ სიტყვებ-

თან ერთად მზიამ ჩანთა გახსნა, ამოიღო მინერალები და დავითს უჩვენა.— ძალზე დიდი საბადოებია აღმოჩენილი და ახლა თამამად შეიძლება დავაყენოთ დარიშხანის წარმოების დაწყების საკითხი.

— რაიკომის სახელზე მოხსენებითი ბარათი დაწერეთ და თქვენი წინადადებები წამოაყენეთ. ჩვენ თანახმა ვართ, დაუყოვნებლივ დავაყენოთ საკითხი დაიწყოს დარიშხანის წარმოება.

ეს უნდოდა მზიასაც.

ალმართს აყვნენ.

* * *

დავითმა ლევანს არ დაუჯერა, ექიმი გამოიძახა და დაშავებული ფეხი გაასინჯინა. ექიმის აზრით, საშიში არაფერი იყო, მაგრამ ორი თუ სამი დღით სიარული მაინც აუკრძალა.

— ახლა მე დაწოლის დრო მაქვს?— სწუხდა ლევანი.

— მოსალოდნელია გართულება, უნდა იწვეთ! — აფრთხილებდა ექიმი.

უნდა დაუჯეროთ ექიმს, ლევან! — მტკიცედ უთხრა დავითმა.

ლევანი ტკივილებისაგან მთელი ღამე შფოთავდა, მაგრამ იმ აზრს, რომ დაღუპვისაგან იხსნა მზია, მის გულში ერთგვარი სიმშვიდე შეჰქონდა.

მიხეილ თუშიშვილს კამარაულის ფეხის დაშავება ესიამოვნა. სამუშაოზე ვერ გამოვა, დავითს მშენებლობის შესასწავლად არ წაყვებაო და ჩემს წინააღმდეგ ვერაფერს ეტყვისო.

ლევანი ლოგინში წოლას ვერ იტანდა. სანახავად მისულ ნოდარ ხერხეულიძეს გადაჭრით უთხრა:

— მე ისეთი არაფერი მჭირს, რომ ვიწვე.

მართლაც, მეორე დღეს ლევანი სამუშაოზე გავიდა.

* * *

მოახლოვდა დავითის წასვლის დრო. მიხეილი დანაღვლიანებული იყო. არ იცოდა, გამორკვევას რა მოჰყვებოდა.

დავითი ისე მიდიოდა, რომ გამორკვევის შედეგებზე არაფერი უთქვამს.

„ალბათ ჩემი საქმე ცუდადაა, თორემ რამეს მეტყოდა“ — ფიქრობდა მიხეილი.

— ტყუილ-უბრალოდ სწუხართ, — უთხრა დასამშვიდებლად ჭიჭიკომ, — თუ ცუდი რამეა მოსალოდნელი, როგორ ფიქრობთ, თქვენი შეეშინდებოდა თუ? გეტყოდათ. მე დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად ჩაივლის, ახლა მთავარია, პატივი ვცეთ დავითს, — განაგრძობდა ჭიჭიკო. — პურმარილს ყველაფერი შეუძლია. ეს მე მაცალეთ. ყველაფერს მე და გივი მოვაწყობთ... ტვიშიდან ღვინო აქვს ჩამოტანილი.

ჭიჭიკომ დაინახა, რომ მიხეილს შეჭმუხვნილი შუბლი გაეხსნა და კმაყოფილების შუქი გამოკრთა ღრმად ჩავარდნილი თვალებიდან. „ალბათ ჩემი აზრი მოეწონა და ესიამოვნა,“ — გაიფიქრა ჭიჭიკომ და ამით გათამამებულმა განაგრძო:

— იცოცხლე, ისეთი სუფრა გავშალო, რომ არასოდეს არ დაავიწყდეს...

მიხეილმა დიდმნიშვნელოვნად უთხრა:

— კაცმა რომ თქვას, შენი აზრი ურიგო არ არის, დაგვიანება არ შეიძლება. კარგი იქნება, ამ საღამოსვე მოვაწყოთ ვახშამი... მითხარით, რაა საჭირო. გაფრთხილებ, ქვეყანას ნუ შეყრი, იცოდე, ამით დავითსაც ვაწყენინებთ. ყველაფერი შენ თვითონ გააკეთე. სხვებს ნუ ჩარევ საქმეში... შენს ოთახში მიიწვევ დავითსა და მეც იქ მოვალ!

ჭიჭიკოსაც ეს უნდოდა. კმაყოფი-

ლებით გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

ყველამ იცოდა, რომ ჭიჭიკოს პურმარილის მოწყობაში ვერავინ აჯობებდა. მის ოთახში ძალიან ხშირად იშლებოდა სუფრა.

მიხეილს გულზე მოეშვა, თავისთავი დაარწმუნა, რომ შესაძლებელი იყო, დავითს სიმკაცრე არ გამოეჩინა, მის ნერვულობასაც ბოლო მოეღებოდა.

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და დავითი შემოვიდა.

მიხეილი სწრაფად წამოდგა და ოდნავ შემკრთალი მიეგება. არ ეგონა, თუ ასე უცბად წავიდოდა დავითი. ხსნის ყოველგვარი იმედი დაკარგა.

„მორჩა, ყველაფერი მორჩა“, — ფიქრობდა მიხეილი.

რამდენიმე წუთის წინ ეგონა, დავითს აქეიფებდა, მხიარულ გუნებაზე დააყენებდა, სთხოვდა, მკაცრად არ მოპყრობოდა, აღუთქვამდა, რომ ყველაფერს გამოასწორებდა, ოღონდ ეპატიებინა შეცდომები... დიახ! მას განზრახვა ჰქონდა გულისამაჩუყებლად ელაპარაკა დავითთან, მაგრამ, შეხედეთ, უკვე გვიანაა...

— ასე მოულოდნელად წასვლა მაინც რას ნიშნავს? — ჰკითხა მიხეილმა.

— რატომ მოულოდნელად — უპასუხა დავითმა, — რაც საჭირო იყო, ყველაფერი შევამოწმე. ამასთან, მე ხომ ვთქვი, დღეს ან ხვალ წავალმეთქი. მანქანა გამომიგზავნეს და მივდივარ.

ჭიჭიკო წელში ოდნავ მოიხარა, წინ წამოიწია, გაიღიმა და ზედმიწევნით ზრდილობიანად მიმართა:

— ბოდიშს კი ვიხდი, რომ ვბედავ მოგახსენო, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს.

— ბრძანეთ!

— არ შეიძლება ხვალ ... ბრძანდე?

— კი, მაგრამ ამაღამ აქ დარჩენა რა აუცილებელია?

— კიდევ ბოდიში, ჩემო ბატონო, მაგრამ, გვინდოდა, ჩვენთან ერთად თითო ჭიქა ტვიშის ღვინო დაგელიათ. აი, ჩვენ, ამხანაგები ამით ფრიად ნასიამოვნები ვიქნებით!

დავითმა მადლობა გადაუხადა, ორივეს ჩამოართვა ხელი და წავიდა.

მიხეილმა დავითი მანქანამდე მიაცილა. გზაში სიტყვაც არ უთქვამს, მანქანა სწრაფად გაქანდა, ჩამონგრეულ კლდესთან მოუხვია და მიიმალა. მარტოდ დარჩენილ მიხეილს ჭიჭიკო ფრთხილად მიუახლოვდა. მიხეილი გამოერკვა.

— ჭიჭიკო, მითხარი, დავითი ასე რატომ მოიქცა?

ჭიჭიკოს ხმა არ ამოუღია.

— არ გესმის, რას გეკითხები? — ხელმეორედ შეეკითხა ჭიჭიკოს გულმოსული მიხეილი, — რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— კარგს არაფერს! — ხმადაბლა მიუგო ჭიჭიკომ.

— მაინც?

— ამას რა გაგება უნდა? ხომ ხედავ, კაცმა ჩვენთან პურის ჭამა არ იკადრა. არ გვიკადრა.. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე ცუდადაა, გულში ცუდი აზრი ჰქონია ჩვენზე. მოხსნა თუ გვაკმარა, ისიც კარგი იქნება. კარგს რომ არაფერს გვიმზადებს, ეს ცხადია, მაგრამ მე რა ვქნა, სრულიად უდანაშაულოდ რომ ვიჭყლიტები. მორჩა, ხსნის ყოველგვარი იმედი დაკარგულია, რა ბრიყვები ვყოფილვართ, პურმარილით ვცდილობდით თავის დახსნას, საქმის გაკეთებას.

მიხეილი გაფითრებული შესცქეროდა ჭიჭიკოს.

*
* *

გადიოდა დღეები.

მიხეილს რაიკომში არ ეძახდნენ, არც დავითი ჩანდა.

— არაფერია, გარწმუნებთ, ცუდი არაფერია მოსალოდნელი, — ამშვიდებდა ჭიჭიკო მიხეილს. — მე მაშინვე ვამბობდი ამას, ზოგიერთს ეგონა მოგვსპობდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მეც ასე მეგონა, მაგრამ კაცური კაცი ყოფილა დავითი. მართალია, ცოტა გვაწყენინა, ვახშამზე არ წამოგვყვა, მაგრამ ხედავ, რა კეთილი აღმოჩნდა? ასეთია დიდბუნებოვანი ადამიანის თვისება. მას რომ გულში სხვა აზრი ჰქონოდა, როგორ ფიქრობ, გამოსამშვიდებლად თვითონ მოვიდოდა? არა, არავითარ შემთხვევაში. ჩვეულებრივად ცხვირს აიბზეკდა და ისე დაიწყებდა ცქერას. დახე, რა თავმდაბალი კაცი ყოფილა? ალბათ გაითვალისწინა ყველაფერი. ნაკლოვანებანი ვის არ ჰქონია, შეცდომა ვის არ მოსვლია. ახლა მთავარია, მოადგილედ სხვა შეარჩიო, უფრო ნაკლებად ცნობილი კაცი, ნაკლებად მომზადებული, უპრეტენზიო და მაშინ შენ ვარსკვლავივით გამოჩნდები. ლევან კამარაული უსათუოდ უნდა მოიშორო თავიდან, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ტაბილი სიტყვით...

მიხეილს ჭიჭიკოს სიტყვები ჭკუაში დაუჯდა. ახლა თავისთავს არწმუნებდა, რომ საჭირო იყო მოფიქრებით ემოქმედა, გარეგნულად არ გამოემჟღავნებინა თავისი აზრი. სხვების ღასანახავად თავაწეული და მხიარული დადიოდა, თითქოს მის ირგვლივ არაფერი მომხდარიყოს. კამარაულს უფრო ხალისიანად ხვდებოდა.

საბაგირო გზის დასამთავრებლად ყველაფერს ჰპირდებოდა. სხვების თანდასწრებით ლევანს აქებდა. ამბავს მოუტანენ და ჩემი კმაყოფილი იქნებაო. სხვებთან აქებდა და იმასაც კი ამბობდა, რომ მე თვითონ შევცდიო.

მიხეილი ცდილობდა, გაეგო, ვინ რას ამბობდა მასზე, და ამიტომ საუბრის დროს ხშირად განგებ იტყოდა ხოლმე:

— კმარა, რაც ვიმუშავე, დროა აქედან წავიდე. თავი უნდა გავითავისუფლო, განცხადებას ვწერ და უარს როგორ მეტყვიან, — მართალია, მიხეილი სიტყვით ასე ამბობდა, მაგრამ სინამდვილეში ამის გამკეთებელი არ იყო. პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა, შეეხარჩუნებინა თავისი ადგილი. ასე იმიტომ ამბობდა, რომ მის ირგვლივ შექმნილი დაძაბული მდგომარეობა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

თუ მიხეილს ასეთ საუბარში ჭიჭიკო შეუსწრებდა, მაშინ იგი სხვების გასაგონად შეწუხებული ადამიანის ხმით ამბობდა:

— ამხანაგო, მიხეილ, ასეთი ახირებული აზრი როგორ შეიძლება გქონდეთ? რამ გაფიქრებინათ აქედან წასვლა? ხომ არავინ გაწყენინათ? მებაღის გული მაშინ ხარობს, როცა მწიფე ხეხილს შესცქერის. თქვენც თქვენი შრომის შედეგები არ უნდა ნახოთ? თუ ხათრი გაქვთ, წასვლაზე არ ილაპარაკოთ.

ამის მოსმენა მიხეილს ახარებდა. ფიქრობდა, იქნებ ჭიჭიკოს სიტყვებმა სხვებზეც იმოქმედოსო. მიხეილი ახლა უკლებლივ ყველას აქებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ექსკავატორზე მომუშავე, თუ ქვისმთლელი, მღებავი თუ მბურღავი, მემონტაჟე თუ კალატოზი.

მიხეილი, როგორც კი მარტო დარჩებოდა, სევდა იპყრობდა.

— არა, ნამდვილად მე ვარ დამნაშავე, — ფიქრობდა მიხეილი. — განა

შემიძლია თავი გავიმართლო? განა, არ შეიძლებოდა მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფა? დიახ, შეიძლებოდა, მაგრამ ეს დროზე ვერ ვიფიქრე. განა უკეთ არ შეიძლებოდა მშენებლობაზე მექანიზაციის დანერგვა? დიახ, შეიძლებოდა, მაგრამ თუ არ გაკეთდა ეს, ვინ უნდა აგოს პასუხი, თუ არა მე? განა ამას მაპატიებენ?

ასეთი ფიქრებით გონებაამღვრეული განუწყვეტლივ სწევდა პაპიროსს.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და მიხეილს რაიკომში გამოუძახეს.

— მაშასადამე, საქმე კარგად არ ყოფილა, — ნაღვლიანად ეუბნებოდა ჭიჭიკო გივი შარაშენიძეს, როდესაც გაიგო, რომ მიხეილს რაიკომში დაუძახეს.

ჭიჭიკო მიხვდა, რომ მიხეილს მოხსნიდნენ, რომ მისი ქება აღარაფერში გამოადგებოდა, ამიტომ იმ დღეს პირველად, მაგრამ მაინც გაუბედავად ალაპარაკდა:

— ასეა, ძმაო, ასე ცუდად მუშაობა არავის ეპატიება, მიხეილი რა წითელი კოჭია, რომ აპატიონ?

გივი გააკვირვა ჭიჭიკოს სიტყვებმა.

— ჭიჭიკო, შენგან მიკვირს ასეთი ლაპარაკი, რა მოხდა? რად ამბობ ამას?

ჭიჭიკომ ჩაიცინა.

— ბიჭო, მოქნილი უნდა იყო, მოქნილი, — დიდმნიშვნელობით უპასუხა ჭიჭიკომ და დაუმატა: — ალბათ დღეს შენს მიხეილს მოხსნიან და ეერე რისი იმედი უნდა გქონდეს? მიხეილი რომ ვაქო, როგორ ფიქრობ, მის ადგილზე ახალ დანიშნულს გაეხარდება თუ? ეს უნდა გაითვალისწინო!

— პატიოსან კაცს, ჩემო ჭიჭიკო, ასეთი გაიძვირობა არ შეშვენის, — უპასუხა გივიმ.

— ოჰო! — გაცხარდა ჭიჭიკო, — შენ მასწავლი, რა არის პატიოსნება?

ჭიჭიკო გულმოსული დამშორდა გივის.

მეორე დღეს, უკვე ყველამ გაიგო, რომ მიხეილ თუშიშვილი მშენებლობის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლეს.

მიხეილის გათავისუფლება ყველაზე ძლიერ ჭიჭიკოს ეწყინა, მაგრამ ცდილობდა თავისი გულისტკივილი არ გაემჟღავნებინა. ის კანიდან ძვრებოდა, რომ ახალ უფროსს მხიარული, საქმიანი და გამჭრიახი ჩვენებოდა. ის სულ იმას ფიქრობდა გაეგო, თუ ვინ იქნებოდა მიხეილის მაგიერ, რომ დაახლოვებოდა მას. ახლა ყველას გასაგონად ამბობდა, რომ მიხეილ თუშიშვილს, ასეთი დიდი მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის არც ცოდნა ყოფნიდა და არც ჭკუაო.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ მშენებლობის უფროსად ლევან კამარაული დაინიშნა. მიხეილი ფიქრობდა — ლევანი კრიტიკას იმიტომ მიწევდა, რომ ჩემს ადგილს უმიზნებდაო.

— ასე იცის, ბატონო, მინდობამ, — ეუბნებოდა ჭიჭიკო ისედაც გამწარებულ მიხეილს. რა გაეწყობა, უნდა გაჩუმდე. აწი შენს სიტყვას არავინ დაიჯერებს, არავინ შეასრულებს.

მიხეილს არ უნდოდა მოესმინა ჭიჭიკოსათვის, მაგრამ მასთან საუბარში ერთგვარ შვებას გრძნობდა.

ჭიჭიკოს არ უნდოდა მიხეილს ჩამოშორებოდა. ასე გადაწყვიტა მან უკანასკნელად. ეს იმიტომ, რომ მიხეილის მოხსნის შემდეგ არავინ დაუჭერდა მხარს, არავინ ეყოლებოდა მფარველი, ხოლო მიხეილთან თუ კარგ განწყობილებას შეინარჩუნებდა,

შეიძლებოდა, სადაც მიხეილი წავიდოდა, თან გაჰყოლოდა.

— ჩემთვის ბევრი სიკეთე გაგიკეთებია და მეც მინდა კეთილი რამ გირჩიო, — განაგრძობდა ჭიჭიკო, — აქ შენი დარჩენა, ჩემი პატარა ჭკუით, არ ივარგებს. ყველა ალმაცერად დაგიწყებს ცქერას. ხალხის თვალში ავტორიტეტი დაცემული გაქვთ, არაფერს დაგიჯერებთ!

— ჭიჭიკო, — მიმართა მას მიხეილმა. — როდემდის გინდა შენს სულელურ აზრებს ვუსმინო?

ჭიჭიკო ოდნავ წამოწითლდა.

— სულელური აზრებიო? — შეიცვალა კილო ჭიჭიკომ. — ნურას უკაცრავად, ჭიჭიკოს სულელური აზრები არცა ჰქონია და არც ექნება. მე თუ ავლაპარაკდი, ეს მხოლოდ ჩემი კეთილი გულის ბრალია. ძალიან მაწუხებს თქვენი ბედი.. თქვენ იმას არ ითვალისწინებთ, რასაც ლევანი იტყვის!

— ვითომ რაო, რას იტყვის ლევანი?

— რას იტყვის, ბატონო და, — განაგრძო ჭიჭიკომ, — მიხეილს არაფერი გაუკეთებიაო.

— ამას თვით საქმე იტყვის, — ვერ მოითმინა მიხეილმა და გააწყვეტინა სიტყვა. — რაც გაკეთებულია, ეს ყველასათვის კარგად ჩანს.

— მე, გარწმუნებ, მიხეილ, — მაინც თავისას არ იშლიდა ჭიჭიკო. — გარწმუნებ, რომ ჩემამდე ყველ-ფერი ჩაოხრებული იყო. ისტორია ჩემგან იწყებაო. აი, ასე იტყვის ნამდვილად. არა გჯერა?

მიხეილი გაოცებული შეჰყურებდა ჭიჭიკოს. „რა ჩემი ამხანაგია ჭიჭიკო? ახლა, მაინც რად მჭირდება მე ის? მორჩა, გათავდა ყველაფერი. დღეიდან, მე მასთან აღარაფერი მაკავშირებს“.

— შენს ადგილას სხვა ვინმე ყოფილიყო, ლევანს არ დაინდობდა. ეს ხომ ყველაფერი მან მოგიწყო.

მიხეილმა შუბლი შეიკრა.

— ბოდვას თავი დაანებე!

— მე საწყენად ვერ ... მითქვამს. თუ არ მომისმენ, შენ იცი, მაგრამ ჭიჭიკოს ნათქვამი არ დაივიწყო, შენს გაკეთებულს ლევანი ჯვარს გადაუსვამს. ეს დასჭირდება საკუთარი დიდებისათვის, სახელის მოსახვეჭად.

მიხეილი ჩაფიქრდა, მაგრამ ჭიჭიკოს გასაგონად მაინც თქვა:

— ეს არ არის ჩვენი მორალი. შენ კი ჩვენი მორალისა, გეტყობა, არაფერი გაგეგება!

ჭიჭიკოს მიხეილის წყენა არ უნდოდა, მაგრამ მისი გამაბიაბრუებელი სიტყვა ვერ მოითმინა. ახლა კი მიხვდა, რომ მიხეილი შეიცვალა, ისე არ ექცეოდა, როგორც უწინ. გადაწყვიტა, მისთვის არც ერთი სიტყვა არ შეერჩინა.

— ჰმ, „ჩვენი მორალი?“ — გამკილავად წარმოთქვა მან. — მითხარით ერთი, ის „ჩვენი მორალია“ ასე, რომ ჩაგისაფრდნენ და თავში მაგრად ჩაგიკაკუნეს? ან განა შენი მოქმედება საბჭოთა მორალის განსახიერებაა, ისე მითხარით, რომ არ გაწითლდეთ?

ამ სიტყვებზე ისედაც გაბოროტებულ მიხეილს სისხლი თავში აუვარდა.

ჭიჭიკო მიხვდა, რომ უკან დახევა არ შეიძლებოდა.

— როდესაც მორალზე მეუბნები, — განაგრძობდა ჭიჭიკო, — რატომ გავიწყდებათ საკუთარი საქციელი? გაგახსენოთ? იქნებ დაგავიწყდათ? გახსოვთ, სამინისტროს გეგმის შესრულებაზე გაბერილ ცნობებს რომ უგზავნიდით? გენდობოდნენ, სჯეროდათ თქვენი, მაგრამ ხომ ყველაფერი გაირკვა, თურმე მთელ ქვეყანას ატყუებდით. მითხარით ერთი, მოტყუება „ჩვენი მორალია?“ თქვენ თვითონ გესმით, თუ რას ნიშნავს„ ჩვენი მორალი?“ მიკვირს, სხვის თვალში ბეწვს

ხედავთ და საკუთარ თვალში დვირს ვერ ამჩნევთ!

მიხეილს სიბრაზისაგან თვალები დაუსისხლიანდა.

— წაეთრიე... წაეთრიე!.. ჩემმა თვალებმა არ დაგინახონ!

მოთმინებიდან გამოსული მიხეილი მზად იყო, ყელში სცემოდა ჭიჭიკოს, მაგრამ ჭიჭიკო უცბად გაჭრა. მიხეილმა ყური მოჰკრა მის უკანასკნელ სიტყვებს:

— მე კიდევ დაგჭირდები.

ეს სიტყვები მიხეილს გულში ჩარჩა და თავი საშინლად დამცირებულად იგრძნო.

* * *

მიხეილს თვალწინ ედგა ლევან კამარაულის გამარჯვებული სახე. გონებიდან არ შორდებოდა ის აზრი, რომ ლევანი თავიდანვე იბრძოდა გამხდარიყო მშენებლობის უფროსი. ეს აბოროტებდა მას. რა იცოდა, თუ როგორ ცდილობდა ლევან კამარაული თავიდან აეცილებინა სამუშაოთა უფროსად დანიშვნა. მან თავიდანვე უარი განაცხადა. ერთი მტკიცე აზრი ჰქონდა ყველას; ამბობდნენ ლევანის უარი მისი თავმდაბლობის საუკეთესო მაჩვენებელიაო. იგი ყოველთვის უპრეტენზიო მუშაკი იყო და, აი, ახლაც რა თავმდაბლობას იჩენსო.

ერთხანს ლევანი მართლაც მტკიცე უარზე იდგა, მაგრამ რაიკომში გამოუძახეს და უთხრეს:

— პარტია გგზავნის. პარტიას ასე სურს!

მაშინ მან ჩვეულებრივი სიმტკიცით თქვა:

— ვეცდები, თავი არ შევირცხვინო, ნდობა გავამართლო!

ლევან კამარაულის ხელი მალე დაეტყო მშენებლობას. გასაოცარი სისწრაფით ასწრებდა ყველაფერს, მთელი გულით, მთელი თავისი ძალ-ღონეთ ცდილობდა მინდობილი საქმე შეესრულებინა.

მიხეილი თანდათან არწმუნებდა თავისთავს, რომ ლევან კამარაული სჯობნიდა მას, ბევრად უკეთ მუშაობდა და ხალხის სიყვარულსა და პატივისცემასაც იმსახურებდა. ლევანის დანიშვნის დღიდან მიხეილი გაღიმებულიც კი არავის უნახავს; თავჩაღუნული დადიოდა, არავის არაფერს არ ეუბნებოდა, დღემუდამ თავს დასტრიალებდა მესამე უბანს, თითქოს გულის ბოღმას მუშაობით იქარვებსო.

მიხეილი გრძნობდა, რომ ლევან კამარაული მას განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა, ხან გულისხმიერ ადამიანად ესახებოდა, ხან ამ გულისხმიერებაშიც დაეჭვდებოდა და ფიქრობდა:

„არა, ჩემი წახდენა უნდა... ნამდვილად ასეა, უნდა გამომინახოს სუსტი ადგილები და მერე მლანძღოს, დამამუშავოს“,—ხან თავისთავს უჯავრდებოდა — რატომ ავიკვიატე ასეთი აზრებიო.

* * *

მთებს შორის ჩამოწოლილ შოლოლისფრო სივრცეს აფეთქებათა ქუხილი და გრგვინვა აყრუებდა. მაღალი ძაბვის ქსელისთვის მოზრდილი რკინის ბოძები ჩონჩხებივით აღიმართა გზებზე, მოტიტვლებულ გორაკებზე ექსკავატორი რკინის ხორთუმით ღრღნიდა მიწას.

მზიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მთელ მშენებლობას მისი საყვარელი ადამიანი ხელმძღვანელობდა. ლევანის დანახვა, მასთან გასაუბ-

რება სიხარულს ჰგვრიდა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მზია ხშირად ვერ ხვდებოდა ლევანს. არ იცოდა, ვისგან გაეგო ლევანის ამბავი. ერთხელ კანტორის კარებთან ჭიჭიკოს შეხვდა. იგი მისთვის ჩვეულებრივი ხუმრობითა და ხარხარით მოჰყვებოდა ნუნუს და ეუბნებოდა:

— გაიხარე, ბატონო, ხომ ხედავ, დამაქვეითეს. წამიხდა საქმე. მიხეილმა მიმტყუნა. შენ მაინც არ გამიხეთქო გული!

— მალამო გჭირდება, მგონი, ჭიჭიკო, გულის მალამო, — ხუმრობით უთხრა ნუნუმ.

— შენზე უკეთესი მალამო რა იქნება? — მაშინვე მიუგო ჭიჭიკომ.

ნუნუ გულიანად კისკისებდა. ამ კისკისში ჭიჭიკომ კვლავ იგრძნო დაცინვა.

— შეგხედავ, თვალს გაეხარდება, სიტყვას გამაგონებ, გულს ესიამოვნება, არ მითანაგრძნობ, რა ვუყოთ.

— ჭიჭიკო, შენ ხომ სიყვარულისა არაფერი გწამს,—განგებ უთხრა ნუნუმ და პასუხის მოლოდინში ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა სახეში.

— მე, ჩემო ნუნუ, კრიტიკული სიყვარულის მომხრე ვარ.

ნუნუ მიხვდა, რომ ჭიჭიკო ჩვეულებრივად ხუმრობას იწყებდა.

— ხა, ხა, ხა, შენ, რომ შენებურად არ თქვა, ხომ არ შეიძლება. მითხარი, თუ ხათრი გაქვს, მითხარი, რას ნიშნავს შენი კრიტიკული სიყვარული? მართალი გითხრა, ასეთი რამ მე არ გამიგონია.

ჭიჭიკოსაც ეს უნდოდა — დავაინტერესე და ცოტა ხანს მაინც ილაპარაკებს ჩემთანო, — გაიფიქრა და დიდმნიშვნელოვნად დაიწყო:

— კრიტიკული სიყვარული აერთიანებს გულსა და გონებას.

— შენ რაღაც ფილოსოფოსობ.

— სრულიადაც არა, მაგრამ ფილოსოფიისა ცოტა რამ მეც ვიცი, —გააწყვეტინა ჭიჭიკომ სიტყვა და თავმომწონედ განაგრძო: — ალბათ, გაგიგონია, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას. ჩემმა მდგომარეობამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე. თურმე, ზოგჯერ, გულიდან წამოსულ გრძნობას მთლიანად არ უნდა მიენდო. აუცილებლად გონება უნდა ჩარიო ამ გრძნობაში, თორემ გრძნობა მაცდურიაო რომ ამბობენ, ზოგჯერ მართლდება. მე ამას ჩემი პირადი გამოცდილებიდან გეუბნები. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე ასე მწამს. აი, მაგალითად, ყველამ იცით, რომ მიხეილ თუშიშვილი გულით და სულით მიყვარდა. გონება და ჭკუა ამ საქმეში არ ჩარეულა. ამ გრძნობისათვის კრიტიკის თვალით არ შემიხედავს და ხედავ, როგორ შევცდი? ეს შენ ხომ კარგად იცი, ჩემო ნუნუ?

ნუნუ არ მოერიდა ჭიჭიკოს და პირდაპირ უთხრა:

— მე ის ვიცი, ჭიჭიკო, რომ ფარისევლობამ და მლიქვნელობამ მიგიყვანა ამ მდგომარეობამდე. ასეთია დღეს ყველა მლიქვნელისა და ფარისევლის ბედი. სხვისი მფარველობით კი არ უნდა ცხოვრობდე, სხვისი მფარველობის იმედი კი არ უნდა გქონდეს, მხოლოდ საკუთარ ნიჭს, საკუთარ მარჯვენასა და პატიოსან შრომას უნდა დაეყრდნო. სანამ მიხეილი უფროსი იყო, შენ ყოყოჩობდი, სიტყვას არავის შეარჩენდი, არც შენ და არც მიხეილს არ გიყვარდათ კრიტიკა და თვითკრიტიკა. მიხეილი, როგორც კი მოხსნეს, მასზე ცუდი ლაპარაკი დაიწყე, ეს ყველამ იცის. ახლა მფარველი რომ არ გყავს, გული გიწუხს.

ჭიჭიკოს არ მოეწონა ეს სიტყვები, მაგრამ ისევ თავისებურად განაგრძო:

— შენთან კრიტიკული სიყვარულით მინდა გული გავიხარო.

— ჭიჭიკო, შენ ისევ ხუმრობ.

— სულაც არა, — შეაწყვეტინა სიტყვა ჭიჭიკომ და განაგრძო: — შენ, ჩემო ნუნუ, კრიტიკული სიყვარულით მიყვარხარ, — ამ სიტყვაზე თვით ჭიჭიკოსაც გაეცინა, მაგრამ სიცილისაგან

თავი შეიკავა და სერიოზული კილოთი უთხრა: — რომ გიყურებ, სიყვარულის გრძნობა მათრობს, მაგრამ გონებას რომ ჩავრევ, მაშინ ამ გრძნობისაგან თავს ვიკავებ. რატომ? გონება მეუბნება: შენ მე არ გიყვარვარ და ზოგჯერ ისეთ რამეს მეუბნები, აი როგორც ახლა მითხარი, მიწასთან მასწორებ. სწორედ ამიტომ თავს ვიკავებ. ესე იგი ჩემს სიყვარულს, ჩემი გულის ძახილს, კრიტიკულად ვუყურებ.

— ასე აჯობებს, ჭიჭიკო, ასე,—ცივად მიუგო ნუნუმ. — სიყვარულს ზოგჯერ კრიტიკულად უნდა შეხედო.

— მაგრამ გულს რა ვუყო, შენსკენ რომ მოიწევს?

— კრიტიკას დაუმორჩილე, ჭიჭიკო, კრიტიკას!

ჭიჭიკომ მზიას მოჰკრა თვალი. საყელო შეისწორა, თმები უკან გადაივარცხნა, ჩაახველა და თავმომწონედ წავიდა მისკენ. ნუნუსათვის არაფერი უთქვამს, მაგრამ თავისთვის კი გაიფიქრა — დარწმუნდეს, რომ მხოლოდ ნუნუზე არ ამომდის მზე და მთვარეო.

მზია ლევანთამ მიდიოდა. ბოლო ხანებში ლევანი განთიადისას სამუშაოზე წასული ღამით ბრუნდებოდა შინ.

მზიამ ამას წინათ ცნობა მიიღო, რომ მთავრობამ დაამტკიცა დარიშხანის წარმოებისათვის მშენებლობა. მზია ლევანს შეპირდა, თუ დარიშხანის წარმოების მშენებლობა დამტკიცდა, თვითონაც აქ დარჩებოდა. ამ ხეობაში პირველი ოჯახი ლევანისა და მზიას მიერ შექმნილი ოჯახი იქნებოდა.

უკანასკნელ დღეებში ლევანი, ხან სად იყო და ხან სად. ამიტომ მზიამ ვერ გააგებინა ეს სასიხარულო ცნობა.

ამ დროს კანტორის კარებთან ლევანი, მიხეილი და ნოდარი გამოჩნდნენ.

მზიამ როგორც კი დაინახა ლევანი, მაშინვე მისკენ გასწია. ჭიჭიკო მარტო დარჩა. მან ნუნუს თვალში დამცირებულად იგრძნო თავი.

— ხედავ დავითის სიტყვა გამართლდა, — ეუბნებოდა თვალებგაბრწყინებული მზია ლევანს. — მთავრობამ დარიშხანის წარმოება დაამტკიცა. ამ დღეებში კომისია უნდა ჩამოვიდეს.

— ვიცოდი გაგეხარდებოდა და ამიტომ წამოვედი.

ამ ცხობამ ლევანი აღაფრთოვანა. გონების თვალით ხედავდა, თუ როგორ შეიცვლიდა სახეს ხეობა.

ჭიჭიკომ მიხეილი კამარაულთან რომ დაინახა, გადაწყვიტა, ლევანის თვალში დაემცირებინა, თუ გულში დაბუდებულ ბოღმას გადმოანთხევდა, ამას პარტორგიც გაიგებდა. ნუნუც მიხვდებოდა, რომ ჭიჭიკო არც ისე გასაბიაბრუებელი კაცი იყო. ლევანის ყურადღებასაც დამსახურებულად მიიქცევდა. და როდესაც მისალმების შემდეგ, ლევანმა მას ჰკითხა, როგორ არის საქმეო, მან მიზეზი იშოვა და მომღიმარი სახით უპასუხა:

— ჩემო ლევან, მართალი გითხრათ, ახალ თანამდებობაზე შენი მოსვლა უკვე დაეტყო აქაურობას.

მიხეილს მართლაც ეწყინა ეს, რადგან ჭიჭიკომ ამით არაფრად ჩააგდო მიხეილის წარსული მუშაობა და საჯაროდ დაამცირა იგი.

— გათახსირებულო, — ჩაილაპარაკა ბრაზისაგან აცახცახებულმა.

— რაო? რა თქვი? — შესძახა ჭიჭიკომ.

— გათახსირებულო, — გაიმეორა მიხეილმა. ის ახლა აღარაფერს უწევდა ანგარიშს.

— როგორ?! მე მეუბნები ამას? — აიმაღლა ხმა ჭიჭიკომ, — დაბალი ღობე მნახე? ნურას უკაცრავად. ხომ არ გგონია, ჭიჭიკო სულელი იყოს? თუ ასე ფიქრობ შემცდარხარ, ჩემს თავმოყვარეობას არავის გავათელვინებ და, მით უფრო, ისეთ ბოროტ ადამიანს, როგორც თქვენ ბრძანდებით! — მიაძახა ჭიჭიკომ და ლევანს მიუბრუნდა,—მაპატიეთ, ამხანაგო ლევან, მიხეილს უნდა ძველებურად აქებდე და ადიდებდე.

თქვენ რომ იცოდეთ, როგორ გიშლიდათ ხელს?!

— გაჩუმდით, ამხანაგო ჭიჭიკო, — მკაცრად მიმართა ლევანმა, — თქვენ არ უფიქრდებით, თუ რას ლაპარაკობთ!..

— სიმართლეს, — მიუგო უტიფრად ჭიჭიკომ, — ახლა მომეცა საშუალება სიმართლის თქმისა და მაჩუმებთ?

— თქვენ სიმართლის თქმის საშუალება ყოველთვის გქონდათ. ეს მაშინ უნდა გეთქვათ, როცა საჭირო იყო. ახლა ეს „სიმართლე" არავის სჭირდება!

— მაშ გავჩუმდე?

— ასე აჯობებს!

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჭიჭიკო ნოდარმა გამოიძახა თავის კაბინეტში და დიდხანს ესაუბრებოდა. გამოკითხა ყველაფერი, დაარიგა, ურჩია, ზედმეტი სიტყვებისაგან თავი შეეკავებინა და იმ საქმისათვის მიეხედა, რაც დავალებული ჰქონდა. ნოდარმა გაიცხა მისი მოქმედება, ისიც კი უთხრა, რომ მიხეილი ასე არ უნდა გაგელანძღაო. რა ვუყოთ მერე, თუ მიხეილს დროებით მარცხი შეემთხვა, ამის გამო მისი ლანძღვის უფლება არ გქონდაო

* * *

მეორე თუ მესამე დღეს, დილის ათ საათზე, ლევან კამარაული სამუშაოდან ახლად დაბრუნებული იყო, როდესაც მშენებლობის კანტორას ორი მსუბუქი მანქანა მოადგა. წინა მანქანიდან რაიკომის მდივანი ილია გიგაური გადმოვიდა.

ლევან კამარაულმა როგორც კი რაიკომის მდივანი შენიშნა, მაშინვე მისკენ გასწია.

ლევანი მიუახლოვდა მათ.

— გაიცანით მშენებლობის უფროსი, ლევან კამარაული! — გააცნო უცნობ პირებს ლევანი რაიკომის მდივანმა.

ლევანმა მათ ხელი ჩამოართვა და, როდესაც ის რაიკომის მდივანს გვერდით მდგომ საშუალ ტანის, მაგვარემან, ოდნავ მოღიმარ უცნობს მიუახლოვდა, რაიკომის მდივანმა უთხრა:

— ამხანაგო ლევან, ეს სულხან თუხარელია, სამინისტროს მიერ შენს მოადგილედ დანიშნული.

— კარგ დროს მობრძანდით, — უთხრა ლევანმა თუხარელს.

— მე ამხანაგ სულხანს დიდი ხანია ვიცნობ, — უთხრა ლევანს რაიკომის მდივანმა, — გამოცდილი ინჟინერია, შეგიძლია ყველაფერში ენდო. ჩვენ ფრონტზედაც ერთად ვიყავით, ერთად ვიბრძოდით.

— თუ არ ვცდები, მე ამხანაგი ლევანი მინახავს, ვიცნობ, — დაიწყო სულხანმა.—მგონი სამინისტროში გნახეთ, ავტომატური საბაგირო გზის პროექტს რომ იხილავდნენ, მართალი მოგახსენოთ, ძლიერ მომწონს თქვენი გამოგონება!

— რადგან ასეა, — სიტყვა გააწყვეტინა რაიკომის მდივანმა სულხანს, — ახლა მის განხორციელებაში პრაქტიკულად უნდა დაეხმაროთ.

მთებზე თანდათან ღრუბლები ჩამოწვა.

ხეობაში ჩამობნელდა.

ლევანმა ყველანი კანტორაში მიიწვია.

— არა, — მტკიცედ თქვა რაიკომის მდივანმა, — სანამ გაავდარდებოდეს, მანამ ამხანაგებს დარიშხანის წარმოებისათვის გამოყოფილი ადგილი უნდა ვუჩვენო, თანაც მშენებლობასაც დავათვალიერებთ.

ყველანი მშენებლობისაკენ გაემართნენ.

რაიკომის მდივანი, თითქოს რაღაც გაახსენდაო, შეჩერდა, ლევანი მოიხმო და უთხრა:

— მზიასთან ვინმე გაგზავნე. აცნობეთ, რომ კომისია ჩამოვიდა, მალე მოვიდეს.

ლევანმა კარგად იცოდა, თუ რა მოუთმენლად მოელოდა მზია კომისიის ჩამოსვლას და არ დააყოვნა. გივი შარაშენიძეს გამოუძახა, აუხსნა მოკლე გზით, როგორ მისულიყო ექსპედიციის ადგილსამყოფელთან და გაუშვა.

*

* *

ხეობა გუგუნებს.

მუხლუხოებიანი ამწეები ჩანჩქერთან საგუბრის მშენებლობაზე დგანან. ხმაურობენ ეს ამწეები ახლად გაყვანილ გზაზე და თანაბრად დაწყობილ თუჯის მილებს და რკინის ძელებს კლდის თავზე აგროვებენ.

საგუბრის ამოსათხრელად ორი ახალი ექსკავატორი მოუტანიათ, საბარგო მანქანები განუწყვეტლივ დაქრიან, ეზიდებიან კირს, ცემენტს, სხვადასხვა ზომისა და სისქის რკინის ფურცლებს, რკინის ნაჭრებს.

ტყის მწვანე ფარჩაში თანდათან ამოიზარდა ახალი შენობების თეთრი კედლები.

— აი, ამ შენობაში იქნება მუშათა საერთო საცხოვრებლები, — მიუთითებს ლევანი რაიკომის მდივანს, — მინდა კარგი პირობები შევუქმნა მათ და ამით მუშახელის დენადობას ბოლო მოვუღო.

— კარგია, — მოუწონა რაიკომის მდივანმა.

— კლუბიც იქვე უნდა მოვუწყო.

— ესეც კარგია.

ლევანი გატაცებით უყვებოდა, თუ რა უტეხი ბუნება იყო ხეობაში და როგორ შეუცვალეს მას სახე.

— ამას დარიშხანის წარმოების მშენებლობა რომ დაემატება, სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყება იმ ხეობაში, — აღტაცებით თქვა რაიკომის მდივანმა.

— რამდენიმე წლის შემდეგ, — განაგრძობდა ლევანი, — ეს ჩვენი სამშობლოს უმშვენიერესი კუთხე იქნება. ჩანჩქერის ჩრდილოეთით შესანიშნავი სამკურნალო წყლებია აღმოჩენილი. აი, იქ აშენდება სანატორიუმის შენობები. ხედავთ, სადაც ახლა საერთო საცხოვრებლებია, იქ დიდი სახერხი ქარხანა აშენდება. ჩანჩქერის მარცხნივ კი კულტურისა და დასვენების პარკი მოეწყობა და წინ სტალინის მონუმენტი აღიმართება. აი, იმ კლდიდან ჩანჩქერამდე ხეობას ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი შენობები დაამშვენებს და მოასფალტებული ფართო გზა დაკიდებული ხიდით შეაერთებს ორ მთას.

— მე ვფიქრობ, დარიშხანის წარმოების მშენებლობისათვის დაკიდებული ხიდის მარჯვენა უბანი კარგი იქნება. ფართობი სრულიად საკმარისია, — თქვა რაიკომის მდივანმა, — მერე, რაც მთავარია, ეს უბანი იმითაც არის საინტერესო, რომ ჩანჩქერის შემოვლით უშუალოდ დარიშხანის საბადოებს შეიძლება დაუკავშირდეთ. მე, ეს, იმიტომ გითხარით, რომ მინდა ამ პროექტს დააკვირდეთ, ჩვენი აზრიც გაითვალისწინოთ და როგორც მომავალ ქალაქისათვის უკეთესი იქნება, ისე გავაკეთოთ.

ისმის ყრუ გუგუნი და ძახილი, ყველგან მუშაობაა გაჩაღებული — კლდეებს შორის ტყის სიღრმეში, ვიწროდ დაკლაკნილ გზებზე, ხის მორების დასაცურებელ მწვერვალებზე.

ისინი შეჩერდნენ მხარმონგრეულ მონაცრისფერო კლდესთან, სადაც ავტომატური საბაგირო გზის საყრდენი ბოძი იყო აღმართული.

კამარაული გატაცებით უხსნიდა მათ, თუ რას წარმოადგენდა მისი გამოგონება და როგორ შეიძლებოდა მისი გამოყენება.

იგი კმაყოფილი იყო იმითაც, რომ რაიკომის მდივანი და დარიშხანის წარმოების მშენებლობისათვის გამოგზავნილი კომისიის წევრები ასე გულისყურით, ასე ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ. მას მხედველობიდან არ გამორჩენია სულხან თუხარელი. კამარაული ძალიან დაინტერესებული იყო გაეგო

მისი აზრი ავტომატური საბაგირო გზის შესახებ.

— ძალიან კარგია და იმედსაც გაამართლებს, — თქვა სულხანმა ყველას გასაგონად.

„მართლაც რომ მეგობარი მომევლინა“, — გაიფიქრა ლევანმა.

— იცით, რა გითხრათ, ამხანაგო ილია, — მიმართა გიორგი თაბაგარმა რაიკომის მდივანს, — თუ კამარაულის სიტყვა გამართლდა, თუ მისმა ცდამ წარმატებით ჩაიარა, მაშინ დარიშხანის საბადოებიდან ნედლეულის გამოსაზიდად ავტომატური საბაგირო გზა ჩვენც გამოგვადგება.

საქმეს ჩვენ ყველანი მოვკიდებთ ხელს.

— მე მგონია, — ჩაერია ლაპარაკში სულხანი,—ლევანის ავტომატური საბაგირო გზა არამარტო აქ, დარიშხანის საბადოებშიც შეიძლება გამოვიყენოთ, არამედ ქვანახშირისა და მარგანეცის წარმოებაშიც.

* * *

ნათელი და მზიანი დილა გათენდა.

სულხანი ადრე მოსულიყო და კამარაულს უცდიდა, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ერთად უნდა წასულიყვნენ. ლევანის მოლოდინში სულხანი ღია ფანჯარასთან იდგა და სივრცეს გასცქეროდა.

ამ დილით ხეობა გასაოცარი სილამაზისა იყო: ფერდობები და ხევები ნიაღვრისაგან გაჩენილი თეთრად აქაფებული ფშვებით, ხეებისა და ბუჩქების ჯერ კიდევ სველი ფოთლები, რომელნიც ხეობის ცივი ნიავის ქროლვაზე შრიალებდნენ, მიდამოს განსაკუთრებულ იერს აძლევდა. გამჭვირვალე ფირუზისფერი ცა, ოქროსფერ ძაფებად გაშლილი მზის სხივები, რომლებიც ჩანჩქერის ბროლის შხეფებში ქარვისფერ ზოლებს აჩენდნენ, ხეობას კიდევ უფრო თვალწარმტაც მომხიბვლელობას აძლევდნენ.

სულხან თუხარელი პირველად ხედავდა ასეთ ზღაპრულ მშვენიერებას. ამიტომ იყო ასე გატაცებული, ასე აღფრთოვანებული. ის უსიტყვოდ შესცქეროდა ყოველივე ამას. გონების თვალით ხედავდა ხეობის დიდი მომავლის სურათებსაც და ტკბებოდა ამით. ამ დროს მას ლევანის ხმა შემოესმა. მიიხედა. მშენებლობის კანტორის ახლოს, ფლატეს სამხრეთით, იდგნენ ლევანი, მზია და კომისიის წევრები. ისინი მხიარულად საუბრობდნენ. სულხანი კანტორის ფართო კიბეზე სწრაფად ჩამოვიდა და მათკენ გაემართა. მზია და კომისიის წევრები დარიშხანის წარმოებისათვის გამოყოფილი ადგილის დასათვალიერებლად წავიდნენ, ხოლო ლევანი და სულხანი ჰიდროელსადგურის მშენებლობის მესამე უბნისაკენ გაემართნენ.

* * *

მშენებლობის მესამე უბნის უფროსი მიხეილ თუშიშვილი სამუშაოზე არ იყო მოსული. კამარაულს გაუკვირდა. მიზეზი იკითხა. მუშებისაგან ვერაფერი გაიგო.

სამუშაოები დაათვალიერეს.

სულხანი ახლა დარწმუნდა, რომ მესამე უბანი მართლაც ძნელად მისასვლელი იყო. ამის გამო ძნელდებოდა სამშენებლო მასალის დროულად მიწოდება, ამიტომ იყო აქ რკინა-ბეტონის სამუშაოები თითქმის შეუსრულებელი. ეს კი მშენებლობის გეგმის ჩამორჩენილობას იწვევდა.

სულხანი მიხვდა, თუ რამდენად მართალი იყო ლევან კამარაული, როდესაც ის თავგამოდებით იცავდა ავტომატური საბაგირო გზის მშენებლობის პროექტს.

— ლევან, — გამოელაპარაკა სულხანი, — მართალია, ჩამორჩენაა, მაგრამ ამან არ უნდა შეგაშფოთოს, პირიქით

უნდა ჩაგაფიქროს. აქ მართლაც ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. შენი ავტომატური საბაგირო გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბევრი რამ გამოსწორდება.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ სულხანმა განაგრძო:

— მართალი გითხრა, ძალიან მაკვირვებს უბნის უფროსის უპასუხისმგებლობა. ის დილიდანვე აქ უნდა ყოფილიყო, და დახეთ, ჯერაც არ მოსულა.

— იცი, სულხან, ის წუხელ ჩვენთან თათბირზედაც არ მოსულა, — გააწყვეტინა სიტყვა ლევანმა. — როდესაც გაეგო, რომ რაიკომის მდივანი და კომისიის წევრები ჩამოვიდნენო, ჩვენთან წამოსვლაზე უარი უთქვამს. ლევანი იქ არა ჰყავთ, მე რა საჭირო ვარო. არ ვიცი, რა მოვუხერხო ამ კაცს! ყველაფერი თავმოყვარეობის საქმედ გახადა. მიკვირს, როგორ შეიძლება ვალდებულება თავმოყვარეობას გაათელვინო!

მიხეილ თუშიშვილი და სულხან თუხარელი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთად სწავლობდნენ. მიხეილი მესამე კურსზე დარჩა და ამის გამო სულხანმა ერთი წლით ადრე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. მათ ერთმანეთი დიდი ხანია არ უნახავთ.

თუშიშვილი შეგვიანებით მოვიდა მშენებლობაზე. სულხანმა როგორც კი თვალი მოჰკრა, იცნო. მიესალმნენ ერთმანეთს, გაიხსენეს ამხანაგები, მეგობრული გულთბილი საუბარი გააბეს.

— გავიგე, რომ ლევანის მოადგილე ჩამოვიდაო, მაგრამ შენ თუ იყავი, არ მეგონა, — უთხრა მიხეილმა, — საიდან სადაო, კაცი კაცს სად არ შეხვდები.

მიხეილის სამუშაოზე დაგვიანების გამო, ლევანს არაფერი უთქვამს, არ უნდოდა სულხანთან შეხვედრით გამოწვეული მიხეილის სიხარული უკმაყოფილო განწყობილებით შეეცვალა. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ მისი ღიმილი ბუნებრივი აღარ იყო. ეტყობოდა, ნაძალადევად იღიმებოდა, რომ თავისი გულის ჯავრი არ გამოეჩინა.

მართალია, მიხეილს ერთი მხრივ ძალზე ესიამოვნა სულხანის ნახვა, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ახლა მეტად მწვავედ განიცდიდა თავის ჩამოქვეითების ამბავს. ეს წუხილი სულხანისათვის არ დაუმალავს.

— არ ვიყავი ასე მკაცრად დასჯის ღირსი.

— მიხეილ, ასეთ სიტყვას შენგან არ მოველოდი,—ამშვიდებდა სულხანი, — რა მოხდა? შენ ხომ კარგად იცი, ჩვენს დროში არ არსებობს დიდი და პატარა თანამდებობა. დღეს ყველა ერთ დიდ საქმეს ემსახურება და სადაც პარტია მიგვითითებს, მთელი გულით იქ უნდა ვიმუშაოთ. არც ის დაგავიწყდეს, რომ ადამიანს თანამდებობა კი არ ამშვენებს, თვითონ ადამიანი ამშვენებს თანამდებობას. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც შენს ნიჭსა და უნარს მინდობილ საქმეს მოახმარ, როდესაც საქმეს წარმატებით წარმართავ. ახლა, ჩვენი მიზანია, მშენებლობა ვადამდე ადრე დავამთავროთ. ალბათ გაიგებდი, დარიშხანის წარმოების მშენებლობისათვის კომისია ჩამოვიდა, დარიშხანის მინერალი ძალზე დიდი რაოდენობით აღმოუჩენიათ, ხომ იცი, ეს დიდი შენაძენია. ახლა ჰიდროელსადგურის მშენებლობის დაჩქარებაც აუცილებელია. მე ვიცი, ლევანი შენ ძალზე პატივს გცემს, ყოველნაირად ცდილობს ხელი შეგიწყოს. გახსოვს, სტუდენტობისას შენ ყველაფერს თავმოყვარეობის საქმედ ხდიდი? არ ვარგა, თუ ახლაც ასე მოიქცევი. ვეცადოთ პარტიის ნდობა გავამართლოთ. მივხედოთ ჩვენს საერთო საქმეს, აი, ეს არის ჩემი ამხანაგური თხოვნა.

სულხანის სიტყვებმა მიხეილი ღრმად ჩააფიქრეს.

— საერთო საქმეს ყოველთვის ყვე-

ლაზე წინ ვაყენებდი! — ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა მიხეილმა სულხანს. — გულწრფელად უნდა გითხრა, რომ ხეობის ბედით გატაცებული ვიყავი. ახლა კარგად ვგრძნობ, თუ რა სიძნელეები ყოფილა გადასალახავი. არ დავიალავ, მე ვერ შევძელი ამ სიძნელეების გადალახვა, დავიბენი. შეიძლება საკუთარ თავისადმი, საკუთარ ძალისადმი გადაჭარბებულმა წარმოდგენამ შემიშალა ხელი.

— ეს კარგია, რომ შენს საქციელს დაკვირვებიხარ და დასკვნა გამოგიტანია, — მოუწონა სულხანმა.

— თუმცა გვიან არის, მაგრამ, — განაგრძობდა მიხეილი,—მე, ახლა კარგად ვხედავ ჩემს ორ შეცდომას.

— ორ შეცდომას?

— დიახ, ორი შეცდომა გახდა ჩემთვის საბედისწერო, — დინჯად ლაპარაკობდა მიხეილი, — მე ვაღიარებ, რომ არც ერთი მათგანი მე არ უნდა მომსვლოდა... ჩემი მთავარი და პირველი შეცდომა ლევანისადმი დამოკიდებულებაში გამოვიჩინე.

— როგორ?

— ჩემო სულხან, ალბათ, შენ ბევრ რამეს გეტყოდნენ და შეიძლება შენც ისე ფიქრობ, როგორც სხვები ფიქრობენ. ამბობენ, რომ მე ხელს ვუშლიდი ლევან კამარაულს თავისი გამოგონება განეხორციელებინა. შეგნებულად ხელის შეშლა, ეს ბოროტებაა. ლევანს სურს ტექნიკაში ახალი სიტყვა თქვას და განა ჩვენ ვალდებული არა ვართ ამაში მას ხელი შევუწყოთ? ეს ჩვენი, საბჭოთა ადამიანების, კეთილშობილური მოვალეობაა. ეს მე კარგად მესმის. როგორ ფიქრობთ, მე მას დახმარებას არ აღმოვუჩენდი, დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი მისი გამოგონების სრულ ღირსებაში?

— ამიტომ საჭირო იყო კარგად შეგესწავლა პროექტი.

— მართალი ხარ, სულხან, მართალი, — დაეთანხმა მიხეილი. — მაგრამ მე არც შურით და არც მტრობით მომსვლია ლევანის გამოგონების შეუფასებლობა... მე ვაღიარებ, რომ ვერ შევძელი ლევან კამარაულის გამომგონებლობაში მეგრძნო სიახლე. აი, ეს არის ჩემი დანაშაული.

— შენ, როგორც მშენებლობის უფროსი, ვალდებული იყავი, ყოველ ინიციატივას, ყოველ რაციონალიზატორულ წინადადებას ყურადღებით მოქცეოდი.

— გულწრფელად გეუბნები, — განაგრძობდა მიხეილი, — აი, ახლაც, რატომღაც არა მჯერა, რომ ეს გამოგონება გაიმარჯვებს. მე ხომ არ შემიძლია გულში ერთი აზრი მქონდეს და სიტყვით სხვას ვამბობდე?

მიხეილმა შენიშნა, რომ სულხანი მისი განმარტებით არ იყო კმაყოფილი, მაგრამ ამ საკითხზე სიტყვა არ გაუგრძელებია. თავისი ნათქვამი გონების თვალით გადასინჯა და, რომ დარწმუნდა, ისეთი არაფერი უთქვამს, რაც მისი აზრით არ იყო სწორი, კვლავ განაგრძო:

— მეორე შეცდომა სამინისტროში გაგზავნილი არასწორი ცნობა იყო, მაგრამ ესეც ჩემი ბრალი არ იყო.

— არა, არა ხარ მართალი, — გააწყვეტინა სიტყვა სულხანმა, — მე, არ დაგიმალავ, მიხეილ, ყველაფერი კარგად ვიცი და ამიტომ პირდაპირ გეტყვი: რაც შენ ჩაიდინე — დასაგმობია. შენ არასწორი ცნობები გაგზავნე სამინისტროში, რაც სწრაფად გამოააშკარავეს!

მიხეილი არ მოელოდა, რომ ასე შეაფასებდა სულხანი მის საქმიანობას და გაჩუმდა.

სულხანმა მიხეილს მკლავში ხელი გაუყარა. ორივენი კაშხალისაკენ გაეშურნენ.

— მიხეილ, ჩემორჩენილობა გამოვასწოროთ, ეს არის ჩვენი ძირითადი ამოცანა, — ეუბნებოდა სულხანი მიხეილს. — გული უნდა გახსნა, გული, და ყველაფერი გაკეთდება.

— მუშახელი გვაკლია, სულხან.

— მუშახელი? ამ საქმესაც მოვუვლით.

— თუ ეს საკითხი მოგვარდა, ყველაფერს გავაკეთებთ.

*

* *

დავით ლომიძემ ორჯერ დაათვალიერა ავტომატური საბაგირო გზის მშენებლობა. ყველა გულისფანცქალით მოელოდა საბაგირო გზის გაძოცდის დღეს და ეს დღეც დადგა.

რაიკომის მდივანი ადრე მოსულიყო და ნოდარ ხერხეულიძესთან ერთად ჰიდროელსადგურის მშენებლობას ათვალიერებდა. მთავარ კაშხალზე უკანასკნელი სამუშაოები მთავრდებოდა; მაღალჭერიან, სინათლით სავსე შენობაში, რომლის კედლებიც მდინარის კლდოვან ნაპირებს ეყრდნობოდნენ, გენერატორების მონტაჟს იწყებდნენ. იქვე მახლობლად დენის განმანაწილებლის სათავსოებს აწესრიგებდნენ და ტრანსფორმატორების დადგმას ამთავრებდნენ. მაგრამ მშენებლობაზე ახლა ყურადღების ცენტრი საბაგირო გზის მშენებლობა იყო, რადგან მასზე იყო დამოკიდებული მესამე უბნის სამუშაოების წარმატებით შესრულება.

არასოდეს მზია არ შეუპყრია ასეთ გრძნობას, არასოდეს არ ყოფილა მზია გრძნობათა ასეთ ჭიდილში, როგორც ახლა, როდესაც ის სხვებთან ერთად ლევანის გამოგონების შემოწმებას უნდა დასწრებოდა.

აქ იყო მიხეილ თუშიშვილიც.

— ლევანმა ნამდვილად გაჯობა, მედა ჩემმა ღმერთმა, — უთხრა ჭიჭიკომ მიხეილ თუშიშვილს.

მიხეილს დიდი ხანია ჭიჭიკო არ ენახა, დიდი ხანია ზურგი შეექცია მას. მიხეილი ღელავდა. საბაგირო გზის გამოცდის კარგი შედეგი მისი დამარცხება იქნებოდა, მაგრამ მას დამარცხების შიში კი არ აღელვებდა, პირიქით, სულითა და გულით უნდოდა გამოცდას კარგად ჩაევლო. მიხეილმა ზიზღით შეხედა ჭიჭიკოს.

რაიკომის მდივანი კომისიის წევრებს ესაუბრებოდა.

სტუმრად მოსულები გაოცებული შესცქეროდნენ საბაგირო გზას; უკვირდათ, რომ საყრდენ ბოძთან არც მოტორი გუგუნებდა და არც ელექტროგაყვანილობა ჩანდა. ყოველი მხრიდან ათვალიერებდნენ ბოძს, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ, გარდა ამ ბოძიდან გაყვანილი ბაგირისა და ბაგირზე დაკიდებული პატარა ვაგონეტისა.

— ასეთი კარგი საქმე უნდა დაესამარებინა მიხეილს? — ეუბნებოდა ჭიჭიკო გივი შარაშენიძეს, — შეხედე, ერთი რა ყოფილა?

— ჭიჭიკო, მაგ შენმა ენამ დაგღუპა კაცი... სამსახურიდან მოგხსნეს, პირად საქმეში შეტანით სასტიკი საყვედური გამოგიცხადეს და მაინც ვერ ისწავლე ჭკუა? — უთხრა გივიმ და უმალვე გაშორდა.

გახარებულია ლევანი. მისი გაბრწყინებული სახე, სინათლით სავსე თვალები, გამარჯვებაში დარწმუნებული ადამიანის გამომეტყველება და მხიარული იერი გულს უხარებდა მზიას.

საყრდენ ბოძთან, მარჯვენა ნაპირზე, ბაგირზე დაკიდებულ პატარა ვაგონეტში, მომწოდებელი ღარიდან მექანიკურად იყურება ცემენტის ნაცრისფერი ფხვნილი.

ლევანი იქვე დგას.

მზიას ერთი წუთითაც არ მოუშორებია თვალი ვაგონეტისათვის.

ვაგონეტი ცემენტით აივსო თუ არა, მექანიკურად მოწყდა მყრელს და უზარმაზარ ფრინველივით გაიჭრა მარცხენა ნაპირისაკენ.

— ხედავ! — შესძახა გიორგი თაბაგარმა.

— გამოცდის პირველი ეტაპის შედეგი კარგია, ვნახოთ შემდეგი, — მშვიდად უპასუხა თაბაგარს სულხან თუხარელმა.

მზია მათი საუბრით ძალზე დაინტერესდა. სურდა ყველაფერი მოესმინა, არც ერთი სიტყვა არ გამოპარვოდა.

გადამწყვეტი მომენტი ახლოვდებოდა, — მთავარი სიძნელე მარცხენა ნაპირზე იყო.

ეს ყველაზე კარგად ლევან კამარაულმა იცოდა; იქ ვაგონეტი მექანიკურად უნდა დაცლილიყო და ასევე მექანიკურად დაბრუნებოდა მარჯვენა ნაპირზე აღმართულ საყრდენ ბოძს. თუ ეს არ მოხდებოდა, ყველაფერი უქმად ჩაივლიდა.

აი, ვაგონეტი მარცხენა ნაპირს უახლოვდება.

აქა-იქ მოწონების წამოძახილი გაისმა.

— მზიამ შვებით ამოისუნთქა.

ვაგონეტი მიუახლოვდა დანიშნულ ადგილს თუ არა, წამოპირქვავდა, დაიცალა და ავტომატურად უკან გამოქანდა.

იგრიალა ტაშმა. რაიკომის მდივანმა ლევან კამარაულს მაგრად ჩამოართვა ხელი.

* * *

ლევან კამარაულს გამარჯვებას ულოცავდნენ. მზია მის გვერდით იდგა. აქვე იყო სულხანი და თვალს ადევნებდა მიხეილს. ხედავდა სიხარულით ანთებულ მის სახეს. იცოდა, რომ მიხეილს ლევანთან მოსვლა უნდოდა და ვერ ახერხებდა.

„მოვა, მოვა, დასძლევს თავის ახირებულ თავმოყვარეობას“, — ფიქრობდა სულხანი.

— ახლა კი თამამად შემიძლია ვთქვა, — ეუბნებოდა მზიას გიორგი თაბაგარი, — ავტომატური საბაგირო გზა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ დარიშხანის სარეწებზე.

ჭიჭიკო თავის მეგობრებში იდგა და ჩასჩურჩულებდა მათ:

— ასეა ბატონო, ვისაც სიახლის გრძნობა არა აქვს, ცხოვრებიდან გაირიყება. მიხეილს არ ჰქონდა სიახლის გრძნობა.

მიხეილს ეკალივით ეცა გულში ჭიჭიკოს სიტყვები. გადაწყვიტა გასულიყო ხალხიდან და თვალს მიფარებოდა.

— ალბათ, ყველა მე მიყურებს, ყველამ იცის, რომ მე ვუშლიდი ხელს მას, არ მჯეროდა მისი საქმისა. ეს ხომ მე გადაჭარბებული სიფრთხილით მომდიოდა და არა ბოროტებით. ახლა ვიცი, დიახ, ვიცი ყველაფერი და ასეთი შეცდომა არასოდეს აღარ მომივა.

უცებ ადგილს მოწყდა. ხალხი გაარღვია და ლევანთან მიიჭრა, ხელი ჩამოართვა.

— ლევან, მოხარული ვარ... სულით და გულით გილოცავ... მაპატიე, მეგობარო... მე... — და მეტი ვერაფერი თქვა.

— გმადლობთ, მიხეილ, — ლევანმა მიხეილს მხარზე ხელი მოხვია. მიხეილმა თავისუფლად ამოისუნთქა.

გუგუნებდა ხეობა.

„მე და ლევანი ვიქნებით ამ ხეობის პირველი მოსახლენი. ჩვენ ვუამბობთ ყველას, როგორ დაიწყო აქ ახალი ცხოვრება“. აღელვებით ფიქრობდა მზია. ერთად მიდიოდნენ ის და ლევანი ბილიკზე. მათ ზევით ბაგირებზე სწრაფად მისრიალებდა სავსე ვაგონები.

ქვევით ხელისგულივით მოჩანდა მთელი მშენებლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბონდო კეშელავა

მოხუცი მასწავლებელი

★

მოხუცებული მოამაგე,
საქმით რჩეული,
დღემდე სკოლისკენ მიილტვოდა
რვეულით, წიგნით.
დღეს დაუძლურდა და ულონო
ხმელი სხეულით
თვის კარმიდამოს იშვიათად
შორდება იგი.

სამოცი წელი მოსწავლისკენ
ეჭირა თვალი.
მოტყდა, მოდუნდა, მის ახლობლებს
ეს სევდას გვრიდა.
ურჩიეს:
წმინდად მოგიხდია ხალხის წინ ვალი,
აწ დაისვენე, შენს მეგობრებს
იცოცხლო გვინდა.

წლებმა იძალა, და სურვილი,
რომ იგი სკოლას
კუბოს კარამდე არ გაჰყოლოდა,
ვერ გაიტანა.
გადაქანცა, ფრთა შეკვეცა
დღეების სრბოლამ,
დაიმორჩილა დიდი სული
გულმა პატარამ.

ახლა, დროდადრო, მის ეზოში
თოხით თუ ბარით
უახლოვდება ვენახს, ხეხილს,
ჭაბუკურ ეშხით,
და საღამოთი, თუკი არ ჰქრის
მსუსხავი ქარი,
ის აივანზე გამოჩნდება
გაზეთით ხელში
მოულოდნელად
ჭიშკრის ჭრიალს თუ მოჰკრა ყური,
დაკეცავს გაზეთს,
ძირს ჩამოსწევს
ფრთხილად სათვალეს,
აფუსფუსდება გაურკვევლად,
გახარებული,
მომავალ სტუმრებს დაკვირვებით
შეათვალთვალებს.

და ის სტუმრები, გაბრწყინებულ
სახით მღიმარნი,
მისი ყოფილი მოსწავლენი
თუ იქნებიან,
მის აღტაცებას, მის სიხარულს
არ აქვს საზღვარი,
ბევრჯერ მათ იგი
ცრემლმორევით შემოხვევია.

და ასე ტკბილად, უხმაუროდ
განაგრძობს სოფლად
სიცოცხლეს თვისას ღრმა მოხუცი
სულით მზიანი.
ხალხი პატივს სცემს, ის ხალხს უყვარს,
თავს არ გრძნობს ობლად,
საყვარელი და
ღვაწლმოსილი ადამიანი.

მხოლოდ დილით კი,
როს კისკისით და ჟრიამულით
სკოლისკენ ილტვის
თვალცქრიალა ბავშვების წყება,
ააცახცახებს
განუყრელი სევდა ფარული,
რომ მათთან ერთად
აღარ მიდის.. და გული წყდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭარიელ კვანჭილაშვილი

ლეო ქიაჩელის რომანების ენა და სტილი

★

ენა მწერლისათვის ის იარაღია, რომლითაც იგი აშენებს მხატვრულ ნაწარმოებს. მწერლისათვის სიტყვა იგივეა, რაც მუსიკოსისათვის ბგერა, მხატვრისათვის საღებავი და ა. შ. ამიტომ საკითხს, თუ როგორ ფლობს მწერალი ენას, როგორ იყენებს იგი იარაღს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმაა". „ახლანდელი რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა კულტურები სოციალისტურია შინაარსით და ეროვნულია ფორმით, ე. ი. ენით" [1].

მართალია, ამხანაგ სტალინს ეს დებულებები მოაქვს ენის არაკლასობრიობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შეძთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს საკითხის მეორე მხარე, რომ ენა კულტურის ფორმაა. ამდენად, საკითხს, თუ როგორია ფორმა, ისევე არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც შინაარსის საკითხს. რაკი ლიტერატურა ცხოვრებას, სინამდვილეს ასახავს, რაკი იგი სახეებით აზროვნებაა, ხოლო აზროვნება ენობრივ გამოხატულებას უნდა ჰპოვებდეს, ამდენად ენას მხატვრულ ლიტერატურაში მნიშვნელობა აქვს, არამარტო ფორმის მხრივ, არამედ შინაარსობლივადაც.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთ გაგებას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა სიტყვებით და წინადადებებში სიტყვათა შეკავშირებით აღნუსხავს და აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამიანის შემეცნებითი მუშაობის წარმატებებს და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში". აქედან ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ მწერლის აზროვნების ღირსების შემოწმება შეიძლება მისი ენის მიხედვით.

მწერლის ენის სიმდიდრეზე დამოკიდებულია მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილება, რადგან მეტი სიტყვიერი მარაგის საშუალებით მწერალი უკეთესად შესძლებს გამოხატოს ის, რისი ჩვენებაც, რისი დახატვაც მას ეწადა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „ყველა სიტყვა, რაც ენაში მოიპოვება, ერთად შეადგენს ენის ეგრეთწოდებულ ლექსიკურ შემადგენლობას. ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მთავარია ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელშიც შედის ყველა ძირეული სიტყვაც როგორც მისი ბირთვი..." „ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს; რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა". [1] ამ დებულებათა გავრცელება პირდაპირ შეიძ-

[1] ი. სტალინი — „მარქსიზმი და ენათშეცნიერების საკითხები". 1951 წ. გვ. 19.

[1] იქვე — გვ. 21.

ლება ცალკეული მწერლის ენის მიმართ. რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია მწერლის ენის ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია მისი ენა. რაკი მწერლის ენა მდიდარი იქნება სიტყვიერი მარაგით, მაშინ მას აღარ დასჭირდება ერთი და იგივე სიტყვების განმეორება, გაცვეთილი ფრაზების ხმარება, მწერალი შესძლებს მრავალფეროვნად, ახლებურად გამოთქვას თავისი ნააზრევი, მეტი ემოციური ძალა მისცეს ნათქვამს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მარტო სიტყვიერი მარაგი არ კმარა მწერლისათვის, ამასთან ერთად საჭიროა მწერალი ამ მარაგს იყენებდეს იმ ენის გრამატიკული ნორმების მიხედვით, რომელზედაც იგი წერს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „ლექსიკური შემადგენლობა, თავისთავად აღებული, როდი შეადგენს ენას, — იგი უფრო ენის საშენ მასალას წარმოადგენს. ისევე როგორც საამშენებლო საქმეში საშენი მასალა შენობა არ არის, თუმცა უიმისოდ შენობის აგება შეუძლებელია, ენის ლექსიკური შემადგენლობაც არ არის თვით ენა, თუმცა უიმისოდ წარმოუდგენელია რაიმე ენა. მაგრამ ენის ლექსიკურ შემადგენლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როცა იგი გადადის ენის გრამატიკის განკარგულებაში, რომელიც განსაზღვრავს სიტყვათა ცვლილების წესებს, წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესებს და, ამრიგად, ენას მწყობრ, გააზრებულ ხასიათს ანიჭებს“.[1]

ამიტომ მწერლის ენის შეფასებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა მარტო ლექსიკის სიმდიდრეა საჭირო, არამედ ენის გრამატიკული ნორმების დაცვაც.

მაქსიმ გორკი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ ლიტერატურას, უდიდეს მოთხოვნილებას უყენებდა მწერლის ენას. იგი მოითხოვდა, რომ სალიტერატურო ენა „ყოველიფერ მკაფიო, ზუსტი, გულდასმით შერჩეული სიტყვებისაგან შემდგარი.

„ახალგაზრდობასთან საუბარში“ გორკი ამბობს: „მხატვრულ ნაწარმოებს... მოეთხოვება მკაფიო, ზუსტი ენა, გულდასმით შერჩეული სიტყვები. სწორედ ასეთი ენით სწერდნენ „კლასიკოსები“, რომელნიც მას თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში ამუშავებდნენ. ეს ნამდვილი სალიტერატურო ენაა, და თუმცა მას მშრომელი მასების სამეტყველო ენიდან კრებდნენ, იგი მკვეთრად განსხვავდება თავისი პირველწყაროსაგან, რადგან გამოხატავს რა აღწერილობითი სახით, იგი სამეტყველო სტიქიიდან უკუაგდებს ყოველივე შემთხვევითს, დროებითს და არამტკიცეს, ახირებულს, ფონეტიკურად დამახინჯებულს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეეფერება ტომთა საერთო ენის ძირითად „სულს“, ე. ი. აგებულებას...“[1]

გორკი სწორედ აფასებს სალიტერატურო ენის ხასიათს, რომ სალიტერატურო ენის სათავე ხალხური ენაა, მაგრამ ამავე დროს, ეს ენა დახვეწილი და გაწმენდილია, მკაცრად შერჩეული სიტყვებისაგან შედგება. სალიტერატურო ენა იქმნება საუკუნეების მანძილზე შერჩეული და საერთო-სახალხო ენისათვის გამოსადეგი სიტყვებისაგან, იგი უკუაგდებს ყოველივეს, რაც ვერ ეგუება საერთო-სახალხო ენის მოთხოვნილებას და მხოლოდ ცალკეული კუთხის ან დიალექტის ნაჭუჭში იკეტება, რაც არ შეეფერება საერთო-სახალხო ენის ბუნებას.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სალიტერატურო ენა მდიდრდება და ვითარდება ხალხის სამეტყველო ენასთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ მწერალი ზედმიწევნით უნდა იცნობ-

[1] ი. სტალინი — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, 1951 წ. გვ. 21.

[1] М. Горький — О литературе, 1935 г. стр. 142.

დეს საძეტყველო ენას, არჩევდეს მასში კარგსა და საუკეთესოს, იყენებდეს მას თავის შემოქმედებაში და, ამრიგად, ამდიდრებდეს სალიტერატურო ენას ხალხური მეტყველების საფუძველზე.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში სახალხო ენასთან მწერლის მჭიდრო კავშირის მაგალითი უამრავია. ამის საუკეთესო ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ილიას შემოქმედება. ილია ჭავჭავაძეს მკაცრი შერჩევის შემდეგ უხვად შემოჰქონდა ხალხური ენის ნიმუშები სალიტერატურო ენაში; ამავე დროს ილია ძველი სალიტერატურო ენის ბევრ სიტყვას თუ ფორმას უგუებდა თანამედროვე სახალხო ენის ბუნებას, უქვემდებარებდა თანამედროვე სალიტერატურო ენის მოთხოვნილებებს, რათა უფრო მისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო იმ კოლექტივისათვის, ვინც ამით სარგებლობდა, ამავე დროს მარტივი და სადა გამხდარიყო სალიტერატურო ენა. ცნობილია ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება და ღვაწლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში.

*
* *

ლეო ქიაჩელის რომანების ენა სავსებით პასუხობს თანამედროვე სალიტერატურო ენის მოთხოვნილებებს.

ლეო ქიაჩელი ხალხური ენით წერს. მის რომანებში დიალოგიცა და თხრობაც, პერსონაჟის მეტყველებაც და მწერლის რემარკებიც სადა, უბრალო, გამართული და სწორია. სანიმუშოდ მოვიტანოთ ორიოდე მაგალითი:

„— ნამეტანი შებანჯგვლილხარ რაღაც, შე კაცო. სად არ ამოგსვლია ეს ოხერი თმა: ცხვირში, ყურში... ერთხელ მაინც გაიკრიჭე, კაცს დაემსგავსე. თუ დალაქთან მისვლა გიჭირს, შემოიარე თავისუფალ დროს. მე შეგისწორებ, მაგას რა დიდი საქმე უნდაო.

მარიამის პირით თითქოს დედამიწის ნოყიერება სუნთქავსო, ისეთი ხმა ამოსდიოდა: მსუქანი, ტკბილი ბგერებით სავსე, სანდო და მოალერსე („გვადი ბიგვა“)

ეს მაგალითი იმითაა აღსანიშნავი, რომ მასში პირველი აბზაცი დიალოგის ნაწილია (მარიამი მიმართავს გვადის) ხოლო მეორე აბზაცი—მწერლის თხრობაა. ორივეგან — როგორც პერსონაჟის, ისე მწერლის ენაში იგრძნობა ხალხური იერი და ამავე დროს ოდნავადაც არაა დარღვეული გრამატიკის მოთხოვნილებანი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი სიტყვა ისეა მოძებნილი და შერჩეული, რომ შეეფერება სათქმელს.

ლეო ქიაჩელი კარგად ფლობს ქართულ სიტყვასა და თავის რომანებში ოსტატურად იყენებს მას ხასიათის მიხედვით. ბუნების აღწერისას, ლამაზი სახეების დახატვისას მწერალი ახერხებს შესაფერისი სიტყვების მოძებნას, საბრძოლო ეპიზოდისა და ვაჟკაცური ამბის თხრობისას კი შესაფერისი სიტყვიერი მარაგის გამოყენებას.

აი ორი მაგალითი ამის დასადასტურებლად:

1. „მზის ახალ გახელილი თვალების ჯერ კიდევ გაუბედავი ბრიალი ძველ ნამწყესარსა და ნამეჯოგარს მუდამ ისე ეჩვენებოდა, თითქოს მზე კი არ იყო, ცის ლურჯ ტატნობზე რომ თამაშობდა. ისე წარმოედგინა, თითქოს მისი საყვარელი ჯოგის მშვენება, პირთეთრა და თვალებგიშერა ბოჩოლა ყოფილიყო, რომელიც ვითომ შორიდან მას თავს აწონებდა, მწვანე მდელოზე ლაღი კუნტრუშით განავარდებული“ („მთისკაცი“).

2. „ნადირთა გაუვალ ბილიკზე ანაზდად შემოყრილ დათვს რამდენჯერ ხელდახელ შებმია ისე, რომ განზრახ იარაღი არ უხმარია: მხეცთან ჭიდილში მხარკლავის ძალა და გულის სიმაგრე გამოუცდია, ტანის სიმარდე გაუსინჯავს და თვალის სისწორე შეუმოწმებია. როცა მოუკლავს, მხარზე გადაუ-

დვია ვეება ლეში, კლდეებსა და წავარ-
ნებში უტარებია, როგორც ნაფოტი, და
ბანაკში ასე მიუტანია.

მაგრამ დღეს ისედაც დაგვიანებულ
მთისკაცს მოგონებებისათვის არ ეცა-
ლა — ნაჩვევი ახალგათენებულის მაგი-
ერ მას თითქმის სრული თავისი ძლევა-
მოსილებით აღჭურვილი შუადღე დახ-
ვდა აჭავჭარზე.

სამხრეთის მოსაქცევს მოწვენილი
ეზე უკვე აღარ ჰგავდა მთისკაცის საყვა-
რელ ბოჩოლას, რომელიც მას წარსუ-
ლის მოსაგონებლად განაწყობდა. იგი
მრისხანე და შეუპოვარი გამხდარიყო
მოილვარე ცეცხლის შუბები ოთხივე
კუთხით შეემართნა და ცის ლაჟვარდს
თელვითა და გლეჯვით მიარღვევდა
სრული მეფური შეუვალობის გამო-
მჟღავნებით.

მთისკაცსაც მყისვე თავისი შუბები
აძგერა, როგორც კი მაღლა აჭავჭარზე
ამოსული დაინახა.

— დადექ, — ვითომ უთხრა ქადი-
ლით, — ხომ ხედავ, დაგასწარი. უკან
დაბრუნდი, გირჩევნიაო. („მთისკაცი").

პირველ მაგალითში აშკარად ჩანს
მწერლის ხელოვნება სიტყვათა შერ-
ჩევისა: მწყემსისათვის, მართლაც, მზე
საყვარელ ბოჩოლას შეედრება. რაც
შეეხება სიტყვიერ მარაგს, აქ მწერალი
ოსტატობას იჩენს: მზის აღწერაც, ბო-
ჩოლას მოძრაობაც მშვენივრად, სადად,
უბრალოდ და ემოციურად არის შესრუ-
ლებული.

მეორე მაგალითში სხვა ხასიათის
ფაქტთან გვაქვს საქმე. აქ მზე საპი-
რისპირო ურთიერთობაშია პერსონაჟ-
თან და ურთიერთობაც სწორად და შე-
საფერად არის გადმოცემული. აქ მზე
არა თუ საყვარელ ბოჩოლას აღარ ჰგა-
ვდა, არამედ „იგი მრისხანე და შეუპო-
ვარი გამხდარიყო, მოელვარე ცეცხ-
ლის შუბები ოთხივ კუთხით შეემართ-
ნა და ცის ლაჟვარდს თელვითა და
გლეჯვით მიარღვევდა სრული მეფუ-
რი შეუვალობის გამომჟღავნებით".
პირდაპირ პოეტური ადგილია. მაგრამ
აქ მარტო ხასიათის შეცვლა ასე ოს-
ტატური გადმოცემა როდია. პერსონა-
ჟის წინანდელი მოქმედების გადმო-
ცემისას, მისი ვაჟკაცური პორტრეტის
ერთი შტრიხის დახატვისასაც მწე-
რალი ოსტატობას იჩენს; რაც კი შეუ-
ძლია კაცს წარმოიდგინოს მონადირე-
ზე, აქ ესაა გადმოცემული და თანაც
შერჩეული სიტყვებით.

ლეო ქიაჩელი ერთნაირად კარგად
გადმოგვცემს და გვიჩვენებს ბუნების
სურათების სიმშვენიერეს, ადამიანთა
ხასიათებს, სხვადასხვაგვარ საქმიანო-
ბას, ცხოველთა სურათებს, მათ მოქ-
მედებას, და ყოველთვის ზედმიწევნით
დახვეწილ, საჭირო და ზუსტად გა-
მომხატველ სიტყვიერ მარაგს იმარ-
ჯვებს, თანაც სწორად ათავსებს ამ
სიტყვებს ქართული გრამატიკის ყა-
ლიბში, რის შედეგადაც ვღებულობთ
სასიამოვნო, გამართულ ქართულს.

ქიაჩელი თავის რომანებში იყენებს
მოხდენილ მხატვრულ შედარებებს და
საამისოდ შესანიშნავად არჩევს სიტყ-
ვებს. ამის საილუსტრაციოდ მოვი-
ტანთ ერთ მაგალითს:

„ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ
შორის, როგორც დროის ქარიშხლით
ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდა-
კორძებული, მაგრამ ფესვებმაგარი
და ტანძლიერი ძველი მუხა დგას
ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩ
ტყეში". („ტარიელ გოლუა").

ამ პატარა ამონაწერში რამდენიმე
შედარებაა და თანაც გამოხატული
მშვენიერი სიტყვიერი მასალით: ტა-
რიელი შედარებულია მუხას, ახალ-
გაზრდები — „ახალ ავარდნილ მწვანე
ნორჩ ტყეს", ამავე დროს, მუხაც ისე
კარგადაა დახატული, რომ მისი სუ-
რათი თვალწინ წარმოგვიდგება. მხო-
ლოდ ასეთ მუხას თუ შეედრებოდა

ტარიელი, ის ტარიელი, რომლის თავგადასავალი რომანიდან ვიცით.

ლეო ქიაჩელის ენისათვის დამახასიათებელია გამართული, მოხდენილი და ლაკონური დიალოგი. ამავე დროს დიალოგებს შორის ავტორი ოამაზად ურთავს თავის სათხრობს, განმარტებებს და ეს ისე ბუნებრივად ხდება, რომ მკითხველი დიალოგის გაწყვეტას ვერ გრძნობს. აი, ამისი მაგალითი:

— „შენ ხარ ტარიელ გოლუა?.. შენი ავაზაკი შვილი სად არის?

სანამდის ცხენიდან ჩამოხტებოდა და თავის ლაფშას გადაუსადავებდა, ტარიელმა პასუხი დაუგვიანა. შემდეგ მიუახლოვდა სამმართველოს აივანს, რომლის მოაჯირზე გადმომდგარიყო უფროსი, და ქუდის მოხდით დაბლა თავი დაუკრა.

— მე გახლავარ, ბატონო, ტარიელ გოლუა.

— შენ ხარ, რომ ხალხს „აბუნტებ“? შვილი სადა გყავს?

— ჩემი შვილი სახლში არ გახლდათ თქვენი ბრძანების მიღების დროს.

— რატომ არ შეიკრიბა დღეს ხალხი? ხომ იცოდით, რომ მოვიდოდი... მამასახლისმა ხომ გამოგიცხადათ?“ („ტარიელ გოლუა“).

აქ თითქმის გვესმის ორი მოსაუბრის ლაპარაკი, ვგრძნობთ მათ შორის დაძაბულ ურთიერთობას, ვგრძნობთ, რომ უფროსის ტონი თანდათან მაღლა იწევს და საცაა დასჭექს და შხამს გადმოანთხევს. ამავე დროს ტარიელის დინჯი, აუჩქარებელი პასუხი მის მშვიდ ბუნებას ამჟღავნებს. ამ დიალოგში არ არის არც ერთი ზედმეტი სიტყვა, წინადადებები აგებულია გამართულად. მწერლის თხრობა დიალოგში ჩამჯდარია თავისუფლად და იმ ადგილას, სადაც უეჭველად საჭიროა, — ეს გვეხმარება დამატებითი ცნობების მიღებაში, რაც ავსებს მთლიან სურათს და პერსონაჟების გამოქანდაკებას ამთავრებს, ასრულებს.

ქიაჩელის ენა არა მარტო დიალოგშია ლაკონური, არამედ მწერლის თხრობაშიაც. მის რომანებში გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც სიტყვიერი მასალა მაქსიმუმამდე შეკუმშულია, მაგრამ აზრი სრულიად მკაფიოდ ჩანს. აი მაგალითიც:

„მინდორი პატარაა. ტრიალი. მხოლოდ გზის მხრით თავყვითელა იელის რამდენიმე ბუჩქი შეჰქოჩრებია და იქვე ობლად მიჩქმალულა თეძოებშემხმარი მაჟალოს ერთადერთი ხე.

შავგვრემანი ბიჭი ისე დგას, თითქოს ამ ხეს ამოფარებიაო. მოკლე ჩოხა აცვია. წელი წერწეტა აქვს და ბეჭები განიერი. რქის ტარიანი პატარა ხანჯალი არტყია, და თავი თეთრი ყაბალახით აქვს წაკრული... თრთოლავს.

მოლოდინად არის გადაქცეული“.

მწერალი მოხერხებულად და საჭიროებისამებრ იცვლის თხრობის კილოს ამის შედეგად მისი ენა ხან დინჯია, ხან ამაღელვებელი, თხრობის კილო იცვლება საგნის ხასიათის შესაბამისად. მაგ., სულ სხვა კილოთია გადმოცემული მთისკაცის სუხუმში წასვლის ამბავი, სულ სხვა კილოა თხრობისა, როცა მთისკაცი სუხუმელ კომკავშირელებს უყვება ბელადთან შეხვედრის ამბავს და სულ სხვაგვარადაა გადმოცემული გვადის მიერ ონისეს გაკინწვლა. პირველ შემთხვევაში დინჯი თხრობაა და საგნის ხასიათს შეეფერება, მეორე შემთხვევაში ამაღელვებელი ტონია და აგრეთვე საგნის ხასიათს ეფარდება, ხოლო მესამე შემთხვევაში მწარე ჰუმორია და აქაც, აგრეთვე, საგნის ხასიათს შეეფერება. მოვიტანთ მხოლოდ მესამე მაგალითს. გვადის ტრიბუნაზე ეძახიან. გვადი დაბნეულია, ტრიბუნაზე ასვლა უჭირს.

— „ღირსი არა ვარ... ძმებო... მე

არა, ჭირიმე!.. — ამბობდა იგი აცრემლებული ხმით.

ერთხელ ონისეს ჩხიკვის სახესაც მოჰკრა თვალი. განსაკუთრებულად ენიშნა რატომღაც, რომ ის ტაშს არ უკრავდა, გვადისთვის შურით სავსე თვალები მიედევნებინა, ნისკარტა ცხვირი უფრო წაეგრძელებინა და დასიცხულ ბალახის ფერი ბუძგა წვერი უცნაურად აეცანცარებინა.

— გასწი ჩქარა, ყაზახო, რატომ გვაცდენ? — შეჰყივლა მან გვადის, თითქოს წუწკ ძაღლს დაუცაცხანაო.

ამის გაგონებაზე გვადიმ ნაბიჯი შეანელა და ონისეს მოუხედა.

— ონისე, შენ მიდი... უფრო შეგეფერება: წვერი მაინც გაქვს! — უთხრა მან ონისეს უცნაური ჩაქირქალებით და გზა განაგრძო. ვინც ეს გაიგონა, ძალაუნებურად ონისესაკენ მიიხედა: რა' წვერი არისო ამისთანა!

შეხედეს ონისეს წვერს.

და უცებ სიცილი ატყდა..." („გვადი ბიგვა").

აქ მწერლის თხრობაც და პერსონაჟის მეტყველებაც ჰუმორით არის სავსე და თვით საგანიც სწორედ ასეთი ხასიათისაა. მწერალი ონისეს „ჩხიკვის სახეს" გვიხატავს, რომელსაც „დასიცხულ ბალახის ფერი ბუძგა წვერი უცნაურად აეცანცარებინა". გვადიც სწორედ ამ წვერს ჩააცივდა, როცა ონისეზე გაბრაზდა იმის გამო, რომ ტაშს არ უკრავდა, და ამით იძია შური, ხალხი გააცინა ონისეზე.

მწერალი ასე მოფიქრებულად და შერჩევით იყენებს სიტყვიერ მარაგს. რაც მწერლის ენას ძალასა და მარილს მატებს.

ლეო ქიაჩელის ლექსიკა მეტად მდიდარია. იგი შესაფერის სიტყვიერ სამკაულებს პოულობს, როგორც მამის გრძნობების ისე დედის სათუთი განცდებისა და გულმხურვალე სიყვარულის გადმოსაცემად. ქიაჩელს ყოველთვის ჰყოფნის საღებავები, რათა შესაფერი ლექსიკის გამოყენებით დაგვიხატოს მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, ცალკეული პიროვნება, თუ ადამიანთა კოლექტივი, სხვადასხვა კლასების წარმომადგენელი, გლეხი თუ ინტელიგენტი და ა. შ. ზემოთ თქმულიდან იმ დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ ლეო ქიაჩელის რომანების ლექსიკა მდიდარია და ამავე დროს მისი ენა არის გამართული, სალიტერატურო ქართული.

რასაკვირველია, ეს ითქმის ძირითადში, თორემ ზოგჯერ ქიაჩელის ენაში გხვდება კუთხური სიტყვებიც, ამავე დროს იშვიათად თანამედროვე სინტაქსის დარღვევის შემთხვევებსაც ვაწყდებით, მაგრამ ეს მწერლის ენისათვის დამახასიათებელი არაა.

*
* *

სტილის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ საერთოდ მწერლის წერის მანერას და იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლითაც მწერალი ჰქმნის თავის ნაწარმოებებს, და იმ ინდივიდუალურს, საკუთარს, რაც ამ მწერალს ანსხვავებს სხვა მწერლისაგან. პირველ რიგში ჩვენ გვინდა შევეხოთ ლეო ქიაჩელის რომანების თემატიკას.

უნდა ითქვას, რომ ლეო ქიაჩელი თავისი რომანების თემად ყოველთვის იღებს დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამბებს. „ტარიელ გოლუაში" ქიაჩელმა ასახა 1905 წლის რევოლუცია სოფლად, „სისხლში" — რეაქციის ეპოქა, „გვადი ბიგვაში" — საკოლმეურნეო ცხოვრება, რაც უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივი მოვლენა იყო სოფლად, ხოლო „მთისკაცში" — მწერალი შეეხო საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომს გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

უბრალო ჩამოთვლითაც კი ნათლად ჩანს, თუ რამდენად აქტუალური, დიდმნიშვნელოვანი საკითხებია ასახული ლეო ქიაჩელის რომანებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალი ყოველთვის თანამედროვე ცხოვრების ფერხულშია და, უფრო მეტი — თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მწერლის შემოქმედების ერთი დამახასიათებელი თავისებურება.

ეს ისაა, რომ მწერალი დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს, დიდ თემას გვიჩვენებს სულ პატარა ტერიტორიაზე, პატარა ამბების საშუალებით.

მაგალითად, „ტარიელ გოლუაში" მოქმედება არ სცილდება ტარიელის სოფელს, აქაურ გლეხებს. რომანში ჩვენ მწერალი არ გვიჩვენებს, როგორ ვითარდებოდა რევოლუცია სხვა სოფლებში და ქალაქებში. მასშტაბი მოქმედებისა მცირეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ძალიან კარგად ვგრძნობთ, რომ რევოლუცია მთელი საქართველოს სოფელში ხდება და რომ ამ სოფლის მცხოვრებთა მოქმედება მთელი ქართველი გლეხობის რევოლუციურ მოძრაობაზე მიგვინიშნებს.

ასევეა „გვადი ბიგვაშიც" და „მთისკაცშიც". მიუხედავად იმისა, რომ „გვადი ბიგვას" სამოქმედო ასპარეზი სოფელ ორკეთს არ სცილდება, ჩვენ ძალზე კარგად ვხედავთ მთლიანად ქართულ სოფელს და ვგრძნობთ, რომ კოლმეურნეობა მარტო ორკეთში კი არ განმტკიცებულა, არამედ საქართველოში.

„მთისკაცში" ეს უფრო მკვეთრად შეინიშნება. აქ როგორც საომარი, ისე სხვა სახის მოქმედებაც არ სცილდება სოფლა და მის ახლო მდებარე მიდამოებს, მაგრამ სრულად ვგრძნობთ დიდ სამამულო ომის მაჯისცემას, ვხედავთ მთელ ფრონტს, რომელიც გადაჭიმულიყო თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე.

ასეთი ხერხი მწერალს საშუალებას აძლევს კი არ გაფანტოს თავისი საღებავები გეოგრაფიულად ვრცელ ტერიტორიაზე, უამრავ პერსონაჟებზე და სხვა, არამედ თავი მოუყაროს ამ შესაძლებლობებს და ნიშანში ამოღებული ფაქტი და მოვლენა უფრო სრულყოფილად, ყოველ მხრივ და დეტალურად გადმოგვცეს.

ეს ხერხი ლეო ქიაჩელის საკუთრებაა.

ეს ხერხი ერთხელ კიდევ მიუთითებს მწერლის მიდრეკილებაზე ლაკონურობისაკენ.

ლეო ქიაჩელის ოთხივე რომანს, თუმცა ისინი უმთავრესად სხვადასხვა მოვლენებს ასახავენ, ერთი გამაერთიანებელი ხაზი აქვს, ერთი იდეა აკავშირებს. ესაა ხალხის ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის. თუ „ტარიელ გოლუაში" ასახულია გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რომლის მიზანი იყო მეფის საძულველი ხელისუფლების დამხობა და თავისუფლების მოპოვება, „სისხლში" შეტევაზე გადმოსული ცარიზმის იერიშების მოგერიებაა მთავარი თემა. პირველშიც და მეორეშიც ნაჩვენებია ხალხის ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის. შემდეგ „გვადი ბიგვაში" მოცემულია სურათი თავისუფალი ცხოვრებისა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მოუტანა ხალხს, მაგრამ, ამასთანავე, აქ უკვე სხვა სახის ბრძოლაა ასახული, ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის, წყობილებისა, რომელიც მშრომელი გლეხობის ბედნიერი ცხოვრების წყაროა. ამის შემდეგ „მთისკაცი" გვიხატავს იმ მონაპოვართა დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლას, რომლის მოსპობასაც ლა-

მობდა გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმი.

ქიაჩელის ოთხივე რომანში სიტყვა „სისხლი“ და სისხლის ღვრა ყველგან გვხვდება. მართლაც, დიდი საქმეების, დიდი გამარჯვებების მოპოვება უსისხლოდ არ შეიძლება. სისხლი იღვრება „ტარიელ გოლუაში“, რათა მის ფასად მოიპოვონ გამარჯვება. ასევეა დანარჩენ რომანებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია „სისხლისა“ და „გვადი ბიგვას“ დასასრული. „სისხლის“ დასასრულში გოგიასა და არჩილს შორის ასეთი დიალოგია:

— „მაშ, ძვირფასო გოგია, გათავდა ყოველივე, რაც აქამდე იყო? ამდენი ბრძოლა! ამდენი ს ი ს ხ ლ ი!

— ეს შესავალი იყო მხოლოდ, არჩილ. ბრძოლა და სისხლი კიდევ მოგველის“ („სისხლი“).

ამის შემდეგ დიდმა დრომ განვლო. გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ. საბჭოთა კავშირში სოციალიზმი შენდება და ამ დროს კიდევ იღვრება სისხლი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოღონდ მარტოოდენ მტრის სისხლი — გვადი ბიგვა ჰკლავს არჩილ ფორიას.

— „აჰა, ჭირიმე... — წარმოსთქვა გვადიმ და მარიამს სისხლიანი ყამა გაუწვდინა.

მარიამმა ტუჩები მოკუმა. თითები ლოყაზე მიიწყო. გვადის თვალები თვალებში გაუყარა და თავი გააქნია.

— ნანა, ნანა, ნანაი! — ხელების გასავსავებით სთქვა და შემდეგ მოკლედ წამოიკივლა. ს ი ს ხ ლ ი! („გვადი ბიგვა“).

მაგრამ აქ არის ერთი მომენტი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს. თუ „სისხლში“ გოგია არჩილს ეუბნება, რომ ბრძოლა და სისხლი კიდევ მოგველის, აქამდე დაღვრილი სისხლი მხოლოდ შესავალი იყოო, „გვადი ბიგვაში“ საქმე სხვაგვარადაა. გვადი მომავალ თაობას, თავის შვილებს უმალავს სისხლს, არ უნდა მათი სპეტაკი გრძნობა სისხლის დანახვამ შებღალოს.. გვადი ამბობს:

— „არა, ჭირიმე! ეს არ იქნება! გაიქეცი ახლავე! შეხვდი, დააყენე, უკან ჯარგვალში წაასხი ყველანი! უთხარი, ბაბაიას კაცი არ მოუკლავს-თქვა! სხვაგან არის წასული და მალე დაბრუნდება-თქვა!.. როგორ მოგვიდა, რომ გამოუშვი! მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!..“ („გვადი ბიგვა“).

აქ საქმე გვაქვს არა უბრალო გულჩვილობასთან, არამედ წინასწარ გააზრებულ, მოფიქრებულ ფაქტთან. მწერალი ამბობს, რომ ხალხმა სოციალიზმის დროს მოიპოვა თავისუფლება და ბედნიერება, ქვეყნის შიგნით მოსპო კლასობრივი მტერი, რომ ჩვენი მომავალი თაობისათვის ბედნიერი ცხოვრება უზრუნველყოფილია და ამიტომ სისხლისღვრა ქვეყნის შიგნით დამთავრებულია.

მაგრამ ეს მხოლოდ ქვეყნის შიგნით. „მთისკაცში“ იღვრება სისხლი სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის, გარედან მომხდური მტრის წინააღმდეგ.

ტარიელ გოლუას, ანდრო ქარიგაძისა და სხვათა მიერ დაწყებულ ბრძოლას კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ამთავრებს გვადი ბიგვა. მაგრამ, რაკი სოციალიზმის დროსაც ჩვენი ქვეყანა გარემოცულია კაპიტალისტური სამყაროთი, ამიტომ ბათუ ქარდუას, ჯოტოს და მათ თანამედროვეთ კიდევ უხდებათ გარეშე მტრის სისხლის დაღვრა.

ესაა ის გამაერთიანებელი ხაზი, რომელიც აკავშირებს ქიაჩელის ოთხ რომანს.

ლეო ქიაჩელი თავისი რომანების შექმნისას უსათუოდ დგას კლასიკური

მწერლობის პოზიციებზე, ხშირად მისი სახეები კლასიკური მწერლების სახეების ასოციაციას იწვევს. განსაკუთრებით ასეთი მსგავსება იგრძნობა ალ. ყაზბეგის და მ. გორკის შემოქმედებასთან.

ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ ალ. ყაზბეგის ხევისბერი გოჩა, როგორც პერსონაჟი, ჰგავს ტარიელ გოლუას ან ბათუ ქარდუას, მაგრამ მათ შორის ბევრი რამ საერთოა მათი კეთილშობილებისა, სამშობლოს უანგარო სიყვარულისა, საზოგადოების წინაშე სამსახურის უპირველეს მცნებად გახდომისა და სხვა დადებით თვისებათა სახით. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ სამივე ნაწარმოებში სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანილია მამები და შვილები, რომ სამივე ნაწარმოებში მამებსა და შვილებს შორის სათუთი მშობლიური ურთიერთობაა, თუმცა, რასაკვირველია, ყველგან სხვადასხვაგვარად.

ქიაჩელი ყაზბეგისაგან უეჭველად არის ერთგვარად დავალებული.

ასევე დავალებულია „ტარიელ გოლუას“ ავტორი მაქსიმ გორკის „დედისაგან“. მიუხედავად იმისა, რომ გორკის თავის „დედაში“ მოქმედ ძალად გამოყვანილი ყავს პროლეტარიატი, ხოლო ქიაჩელს გლეხობა, მიუხედავად იმისა, რომ „დედაში“ გამოყვანილია დედა და შვილი, ხოლო „ტარიელ გოლუაში“ — მამა და შვილი, მაინც თემატურად ამ ორ თხზულებას შორის რაღაც საერთოა.

რასაკვირველია, ეს ფაქტი სრულიადაც არ ამცირებს ქიაჩელს როგორც მწერალს. ლ. ქიაჩელისთვის, როგორც შემოქმედისათვის, დამახასიათებელია, რომ იგი მოვლენებს ჯერ ერთი პატარა კუთხით ხედავს და ამიტომ მცირე მოცულობის ნაწარმოებს ქმნის, ხოლო შემდეგ თანდათანობით, დაკვირვებისა და ამ თემაზე მუშაობის შედეგად, მწერალი წერს დიდ ნაწარმოებს, რომანს. ეს განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნევა მის „მამა და შვილსა“ და „მთისკაცზე“ დაკვირვებისას. როგორც ვიცით, „მამა და შვილი“ ქიაჩელმა უფრო ადრე დაწერა, ვიდრე — „მთისკაცი“. ნოველაცა და „მთისკაციც“ ეხება სამამულო ომის ერთ ეპიზოდს. ნოველის გმირებია მამა და შვილი — ბათაყვა და ჯეგე, რომანშიც მამა და შვილი — ბათუ და ჯოტო გვხვდება. როგორც ვხედავთ, ეს პერსონაჟები ერთმანეთს სახელებითაც ჰგვანან. ნოველაში შვილია ფრონტზე, მამა კი ზურგშია. რომანშიც ასევეა. ნოველაში ფრონტზე მყოფი შვილი გმირობას ჩაიდენს, რომანშიც ასევეა. ნოველაში მამა შვილის გმირობას გაზეთის საშუალებით გაიგებს, გაზეთშია მისი პორტრეტი და საგმირო საქმების აღწერა, რომანშიც ასევეა. ერთი სიტყვით ჯეგე და ჯოტო ერთმანეთს მარტო სახელებით კი არა, საქმეებითაც ჰგვანან.

რაც შეეხება მამებს, ბათაყვასა და ბათუს, ესენიც ერთმანეთს ძალიან ჰგვანან არა მარტო სახელებითა და გარეგნობით (ჩაცმულობა, ზორბა ტანი, რაინდული შეხედულობა), არამედ საქმეებითაც. ბათაყვაცა და ბათუც მთაში ცხოვრობენ, უშიშარი გულისანი არიან, მათი გმირობის ამბავი არა მარტო მათმა კუთხემ იცის, არამედ მის ფარგლებსაც სცილდება. ორივე მამა ამაყობს თავისი შვილის გმირობით.

ამ ორ თხზულებას შორის ერთი საერთო შტრიხი კიდევ არის. ესაა ბელადის გამოყვანა. ნოველაში ბელადს ხვდება და ესაუბრება ჯეგე, რომანში კი ბათუ ქარდუა.

სამამულო ომის თემაზე ლ. ქიაჩელმა

ჯერ კიდევ 1941 წელს დაწერა ნოველა „მამა და შვილი“, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და დიდი მუშაობისა და შემოქმედებითი წვის შედეგად შექმნა რომანი „მთისკაცი“.

იგივე მოსაზრება შეიძლება გამოითქვას „ჯიუტსა“ და „გვადი ბიგვაზე“. მართალია, აქ ანალოგიები უფრო შორეულია, მაგრამ მათ შორის საერთო ბევრია. „ჯიუტი“ წინ უსწრებს „გვადი ბიგვას“ (პირველი დაიბეჭდა 1932 წ. ხოლო მეორე — 1938 წ.). ამ ორ თხზულებაში ერთმანეთს ენათესავებიან ჯიუტი ბაადური და გოჩა სალანდია. მართალია, ისინი არც გარეგნობით, არც საქმით ერთმანეთს არ ემსგავსებიან, მაგრამ ორივე ერთი ხასიათია, თუმცა სხვადასხვაგვარად გახსნილი და დახატული.

აქაც ის უნდა გავიმეოროთ, რაც ზემოთ დასახელებულ „მამა და შვილსა“ და „მთისკაცზე“ — ვთქვით: მწერალს აწუხებდა ეს თემა, საკოლმეურნეო თემა, მასთან დაკავშირებული საკითხები, გლეხის ბუნება, საკუთრებასთან რომ იყო მიჯაჭვული. ეს ტიპი ადრინდელ ნოველაში დახატა ჯიუტის სახით, ხოლო რაკი ეს დიდი თემა მცირე ზომის ნაწარმოებში ვერ ჩატია, განაგრძო მუშაობა და შექმნა „გვადი ბიგვა“, რომელშიც სრულად და ვრცლად დახატა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა.

ლეო ქიაჩელის რომანებში შეინიშნება, რომ წამყვანი იდეის მატარებელი გმირები, ე. ი. ისინი, ვისაც რომანში დაკისრებული აქვთ მთავარი საქმის გაკეთება, უკანა პლანზე არიან მოქცეული, ხოლო წინა პლანზე წამოწეულია დამხმარე პერსონაჟები, რომლებიც მთავარი იდეის განხორციელებას უწყობენ ხელს. ამასთანავე საყურადღებოა ის გარემოება, რომ მწერლის რომანებში პირველი კატეგორიის პერსონაჟები უმეტესად ახალგაზრდებია, ხოლო მეორენი — მოხუცნი.

ასე, მაგალითად, „ტარიელ გოლუაში“ „გვადი ბიგვაში“, „მთისკაცში“ მთავარი იდეის მატარებელნი არიან ლევანი, გერა და ჯოტო. ამ ახალგაზრდებს აკისრიათ მთავარი იდეის განხორციელება. ლევანია ერთობის შემომტანი და მესვეური, გერაა კოლმეურნეობის ხელმძღვანელი, საკოლმეურნეო ცხოვრების განმტკიცების ორგანიზატორი, ჯოტო სამამულო ომის უშუალო მონაწილე და ომის სიმძიმის საკუთარ მხრებზე მზიდველი, სამამულო ომის გმირი.

ამათ გვერდით დგანან მოხუცნი, რომელნიც მათ ემსახურებიან. ამათგან ორი მამაა, მესამე კი ნათესავი, ესენი არიან: ტარიელ გოლუა, ბათუ ქარდუა და გვადი ბიგვა. მწერალი ისე წარმართავს თხრობას, რომ მთავარი ყურადღება ამ მოხუცებზეა, ცენტრში ისინი დგანან.

ჩვენის აზრით, ეს მწერლის ერთგვარი ხერხია. იგი გვიჩვენებს თაობათა შორის ურთიერთობას, რომ ესა თუ ის საქმე ცარიელ ადგილზე კი არ აღმოცენებულა, არამედ გარკვეული განვითარების შედეგია.

ქიაჩელის რომანებში ბუნებას თავისებური ადგილი უკავია. აქ ორი რამ იპყრობს ჩვენს ყურადღებას: 1. მწერალი არაა გატაცებული ბუნების სურათების დახატვით. ის ძალზე ძუნწად აგვიწერს ბუნებას. 2. ბუნება ქიაჩელის რომანებში პასიურია, პერსონაჟის მოქმედებას არ ეხმიანება.

ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“ ბუნება გრგვინავს და შფოთავს. ჭექა-ქუხილი არემარეს აყრუებს, რადგან ბერს უბედურება უახლოვდება, ე. ი. აქ ბუნება ერთგვარად თანაუგრძნობს ნაწარმოების გმირს. აკაკის „გამზრდელში“ ბუნება ასევე აქტიურია, თითქოს ინგრევა ქვეყანა, როდესაც საფარბეგი მეგობარს ღალატობს და მშვენიერ ნაზიბროლას აუბედურებს. ასეთსავე ურთიერთობას ბუნებასა და გმირის

მოქმედებას შორის ვხვდებით ალ. ყაზბეგისა და ბევრი სხვა მწერლის შემოქმედებაში.

ლეო ქიაჩელთან კი, პირიქით, პერსონაჟი იღუპება, ხდება საშინელი უბედურება, ბუნება კი თავისთვის არის მშვიდი და წყნარი, გულცივად ეკიდება გმირის დაღუპვას, თითქოს აქ არაფერი ხდებაო. ამ დებულების საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოვიტანთ:

„ტარიელ გოლუაში“ მკითხველი გაფაციცებით ადევნებს თვალს იმ მომენტს, სადაც გაიოზ გადალენდია ლევანს მუხანათურ სიკვდილს უმზადებს. ასეთ დაძაბულ მომენტში კი, როცა ჩვენ ასე ვღელავთ, ბუნება იდილიურ სიმშვიდეშია და თავის წყნარსა და მშვიდ, ნაზსა და ლამაზ სიმფონიას უკრავს.

„დედამიწას ღამის საბნის ერთი კალთა უკვე აეკეცა და მით საშუალება მიეცა შორით მომავალი დილის გრილ სიოსთვის შრიალა ფრთები შემოეკრა მისთვის ტანზე. ამით შეფრთხიალებულ ბუნებას თავისი ერთგული მოციქულები დაეგზავნა ყველგან — ტყესა და ხევში, მთასა და ვაკეში, რათა დილის გიჟმაჟი წინამორბედი არავის წამოსწრებოდა ძილში და გამოღვიძების ხალისიანობას მიცემული გარემო არ დაეტუქსა ერთ-ორი დაგვიანებულისათვის.

მთებიც ზარის დასარეკად გამზადებულიყვნენ და ღამის შავი ფარდიდან შეუმჩნევლად გამოდიოდნენ. მათ ტანით გადმომჩქეფი სრიალა რუები პირველ ხმაზე აწყობდნენ თავიანთი ნაკადის აბრეშუმის სიმს, ხოლო მდინარე ბროლია ძირიდან ბანის სათქმელად თავისთვის ჩუმად ივარჯიშებდა ხმას, რომ დილის ჰიმნს კიდით-კიდემდე გაებნია სიხარულის მარგალიტები და ქვეყნიერებისათვის ნათელი დღის მოახლოვება ეხარებინა“.

ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ბუნება ხარობს და მღერის, თუმცა რამდენიმე წამის შემდეგ მოლალატის ტყვიით ლევანი უნდა გაიგმიროს. ბუნება ასეთივე მშვიდი და წყნარია მას შემდეგაც, რაც გადალენდია თავის უბინძურეს განზრახვას აასრულებს და ლევან გოლუა „ცხენიდან ერთი მოქნევით მოჭრილ ხის ტოტივით ძირს ჩამოვარდა“.

ბუნების ასეთივე დამოკიდებულებაა რომანის გმირის მოქმედებასთან „მთისკაცშიც“. როდესაც ბრძოლის შემდეგ „ერთ-ერთი მთის ფერდობის ძირში იწვა მკერდგანგმირული მთისკაცი“, მაშინ „სული გაენაბა გარემოს. იგი თითქოს იმის მოლოდინში იმყოფებოდა, თუ რით დამთავრდებოდა ამ ვეება ადამიანის სხეულის უხმო ბრძოლა სიკვდილთან“.

ასეთია მწერლის დამოკიდებულება ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობისადმი.

ოთხივე რომანს წითელი ზოლივით გასდევს მშობლებისა და შვილების ურთიერთ დამოკიდებულების ნაზი, თბილი, გრძნობიერი ჩვენება. დედა და შვილი, ან მამა და შვილი ისე ნაზად და წრფელად არის დახატული, რომ ამან არ შეიძლება მკითხველის ყურადღება არ მიპყრობს და ამის გამო, ავტორისადმი მადლობის გრძნობით არ განიმსჭვალოს.

„ტარიელ გოლუაში“ ნაზი ფერებითაა დახატული ლევანის ურთიერთობა დედამამასთან. განსაცდელი მოელის შვილს და დახმარებას უწევს მამა, შეცდომის გამო დატუქსვაა საჭირო, თუ ოჯახურ ატმოსფეროში შვილისადმი უნაზესი ალერსია გამოხატული — ყველგან მწერალი ახერხებს ჯადოქრული სიმების აჟღერებას და ამ ჭეშმარიტად უფაქიზეს გრძნობას მშობლებისა და შვილს შორის რომაა დამყარებული, ოსტატურად გვიხატავს.

„სისხლი“, რომელშიც ჩვენ საკმაო ნაკლოვანი მხარეები შევნიშნეთ,

მშობლიური გრძნობის ჩვენების თვალსაზრისით „ტარიელ გოლუას“ როდი ჩამოუვარდება. არჩილის დედის გულმხურვალე სიყვარული თავისი შვილისადმი დიდი დამაჯერებლობითა და სიფაქიზით არის ნაჩვენები.

გვადი ბიგვა, რომელიც რომანის დასაწყისში ბევრი უარყოფითი თვისებით ხასიათდება, მაინც საყვარელ ადამიანად ეჩვენება მკითხველს და ამისი მიზეზი უპირველესად ისაა, რომ ეს კაცი თავისი შვილების დიდად მოყვარულია. ამ ადამიანურმა თვისებამ, რომელსაც მწერალი ასე ოსტატურად გვიხატავს, უსაზღვრო მშობლიურმა სიყვარულმა თავისი ბიჭუნებისადმი, რომლებიც ჩხირებივით ერთიმეორეს მისდევდნენ, გვადი ბიგვა მკითხველს მაინც კეთილშობილ ადამიანად აჩვენა და შეაყვარა.

მთისკაცი თავისი ჯოტოს მათაყვანებელია. მათ შორის სიყვარულის ისეთი ხიდია გადებული, რომლის ჩატეხვა არავითარ ძალას არ შეუძლია. ბათუ ქარდუა თავის შვილზე ფიქრობს და ზრუნავს ყოველ ჟამს, ყოველ წუთს, რა განსაცდელშიაც არ უნდა იყოს ის. აკი თვით სიკვდილის წინაც მამას შვილი მოეჩვენება და მასთან საუბარში, მის სიყვარულში დაამთავრებს თავის მშვენიერსა და დიდებულ სიცოცხლეს.

ერთი სიტყვით, ქიაჩელი მშობლიური გრძნობის დახატვის დიდი ოსტატია. უნდა ითქვას, რომ მწერალი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის, როცა მშობლიურ გრძნობას ხატავს.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ჰუმორი.

„გვადი ბიგვაში“ ჰუმორი ძალიან მძლავრად არის წარმოდგენილი. გვადის თვითეული მოძრაობა, თვითეული სიტყვა თუ ჟესტი სიცილს იწვევს. გვადი ისეთ ადგილზე და ისეთნაირად იტყვის, რომ კაცს უეჭველად გაეცინება. მისი გარეგნობაც სასაცილოა. „გვადი ბიგვაში“ ამ მომენტს ყურადღება **მიაქციეს არა მარტო** ჩვენში, არამედ უცხოეთის პროგრესულმა ადამიანებმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, ესპანური გამოცემის ანოტაციაში ნათქვამია:

„ამ წიგნში მსოფლიოს საუკეთესო იუმორისტების ღირსი ფერადოვნებით, უაღრესად ჭეშმარიტი გონებამახვილობით დახატულია გვადი ბიგვას ხასიათის თვისებები და ეს თვისებები ბრწყინვალედ ყალიბდება მის პიროვნებაში“.[1]

ხოლო ახალი ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში წერია: „ლეო ქიაჩელი — ქართველი მწერალი — აღჭურვილია საკუთარი ორიგინალური სტილით და წარმტაცი ჰუმორით. მისი წიგნი მდიდარია ოსტატური ხასიათებით“.[2]

როგორც ცნობილია, ლეო ქიაჩელი საბავშვო მწერალიცაა, მის კალამს ეკუთვნის მრავალი საბავშვო მოთხრობა, რომლებშიც გამოყვანილი ბავშვები სიყვარულით არიან დახატული. ეს მოთხრობები ხელს უწყობს ჩვენი ბავშვების სწორ აღზრდას, მათ აწვდის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის მასალასაც.

მაგრამ ჩვენ აქ იმის თქმა გვინდა, რომ მწერალი არა მარტო საბავშვო მოთხრობებში, არამედ რომანებშიც დიდ ადგილს უთმობს ბავშვებს და მათ ისე ოსტატურად ხატავს, რომ დაუვიწყარი სახეები იქმნება.

ვისაც კი „ტარიელ გოლუა“ წაუკითხავს, მას არ დაავიწყდება გონებამახვილი, მოსაზრებული, მტკიცე ხასიათის, უშიშარი და თანაც უსაზღვროდ მოყვარული გიო. აგრეთვე არავის დაავიწყდება ბარდღუნია — გვადი ბიგვას უფროსი ვაჟი. ბარდღუნია მოწინავე პიონერია. იგი იმის მაგალითს

---

1 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 26 მარტი 1950 წ.

2 იქვე.

იძლევა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს პიონერი შინ თუ გარეთ. ბარდღუნია სამართლიანი და შრომისმოყვარე ბიჭია, იგი არავის შეარჩენს სიმრუდეს და, თუ საჭიროა, თავის საკუთარ ძმებსაც შავ დღეს დააწვევს. აქ ყველას გაახსენდება ბარდღუნიას მიერ მოწყობილი ვარჯიში მანდარინების წინ, რომლის მიზანიც მანდარინის ქურდის გამოჭერა იყო.

არა მარტო გიო და ბარდღუნია, არამედ გვადის სხვა შვილებიც, ანდა სხვანი, რომლებიც ორკეთში მოსულ სტუმრების პატივსაცემად გამართულ მიტინგის დროს ჩიტებივით შემსხდარიყვნენ ხეებზე — ყველანი კარგად არიან დახატული.

ლ. ქიაჩელი თავის შემოქმედებაში ხშირად მიმართავს სიზმრებსა და მოჩვენებებს.

„სისხლში“ ანდრო ქარივაძეს ელანდება ტყის დედოფალი, რომელიც მას დაგვიანებას უსაყვედურებს. „ჯიუტში“ ბაადურს მამამისი ეზმანება და უსაყვედურებს, რად დაანებე სხვას შენი ეზო-ყურეო, „მთისკაცში“ ხომ სიზმარი და მოჩვენება მთელი რომანის მანძილზე გარკვეულ როლს თამაშობს.

ეს ზოგ შემთხვევაში გამართლებულია. მაგალითად, ანდრო ქარივაძესა და ბაადურს მართლაც შეიძლებოდა დაზმანებოდათ ის, რაც მათ ესიზმრათ, რადგან ისინი სწორედ იმ საკითხით იყვნენ გატაცებული სიცხადეშიც, მაგრამ, რაც შეეხება „მთისკაცს“, რომელშიც სიზმარი ასე ჭარბადაა წარმოდგენილი და თითქმის სიუჟეტის გახსნაშიც კი მონაწილეობს, რასაკვირველია, გაზვიადებულია და მწერალს ეს უნდა ვუსაყვედუროთ [1].

ასეთია ის ხერხები და საშუალებანი, რომლებიც დამახასიათებელია ლეო ქიაჩელის რომანების სტილისათვის.

---

[1] ეს შენიშვნა ძალზე მკაცრად ამბ. გ. მარგველაშვილმაც გააკეთა ალმანახ „Дружба народов“-ში. 1948 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲖᲐᲠᲔᲜᲙᲝ

ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲞᲝᲔᲖᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲒᲠᲐᲑᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

★

ორმოცდაორმილიონიანი საბჭოთა უკრაინელი ხალხი დიდად აფასებს ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა ხსოვნას. მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა შეურიგებელ მტერს პავლე არსენის-ძე გრაბოვსკის. მეფის ცენზურა, უკრაინელი ბურჟუაზიული შოვინისტები ყოველნაირად აბრკოლებდნენ ამ კლასიკოსის ნაწარმოებთა გაცნობას ხალხთა მასების მიერ. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან პავლე გრაბოვსკი, ეუფლებოდა რა მარქსის, ენგელსის, ლენინის უკვდავ იდეებს სატუსაღოებსა და ციმბირს გადასახლებაში ყოფნისას, ხაზგასმით აღნიშნავდა: „ამჟამად ყველაფერი, რაც კი რუსეთში არის სიცოცხლის უნარმქონე, მოძრავი და ქმედითი, მარქსიზმის ნიშნის ქვეშ ვითარდება“.

პავლე გრაბოვსკიმ თავისი სიცოცხლის ოცდათვრამეტი წლიდან თითქმის ნახევარი პატიმრობასა და გადასახლებაში გაატარა. მაგრამ მეფის გამხეცებული სატრაპების მხრივ ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ შესძლეს მებრძოლი პოეტის თავისუფლებისმოყვარე სულის მოდრეკა, პოეტისა, რომელიც იმეორებდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის ტარას შევჩენკოს სიტყვებს, რომლებიც მან წარმოთქვა გადასახლებაში ყოფნის თერთმეტი წლის შემდეგ: „მსჯიან, მტანჯავენ, მაგრამ არ ვდრკები“.

1864 წლის 11 სექტემბერს დაიბადა პავლე გრაბოვსკი ხარკოვშჩინაში, სოფელ პუშკარნოეში, ღარიბ ოჯახში. პატარაობიდანვე იგემა მან ღატაკი გლეხის დუხჭირი ცხოვრების სიმწარე. გლეხებს დაუნდობლად უწევდნენ ექსპლოატაციას მაგნატები, კულაკები. მათ მძიმე ტვირთად აწვა დიდი გადასახადები 1861 წლის რეფორმის შემდეგ.

ჯერ კიდევ ჭაბუკობაში გადაწყვიტა გრაბოვსკიმ თავი შეეწირა რევოლუციური ბრძოლისათვის. ამის შესახებ წერდა იგი ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში:

„ჩვენ ფრთა შეგვასხა საერთო კეთილდღეობამ; მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, აღვგავოთ პირისაგან მიწისა ჩაგრულთა ტანჯვა-წამება და უთანასწორობა ხალხთა შორის“.

უფრო გვიან იგი იგონებს: „მსურდა გადამეტანა ტანჯვა-წამება ხალხისათვის. ამ სურვილმა მთლიანად შემიპყრო. ეს იყო რაღაც დაუძლეველი მოთხოვნილება ჩემი გულისა“. ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლისადმი მისწრაფებამ განსაზღვრა მისი პოეზიის ხასიათიც.

ხარკოვში, საშუალო სკოლაში სწავლისას, ჭაბუკი გრაბოვსკი დაუკავშირდა რევოლუციურ ჯგუფს. 1882 წელს გრაბოვსკის ბინის გაჩხრეკის დროს პოლიციამ აღმოაჩინა მეფის მთავრობის

საწინააღმდეგო ქაღალდები და ლექსები. ახალგაზრდა პოეტის ამ ლექსებში გამოთქმული იყო ზიზღი არსებული წყობილებისადმი. გრაბოვსკი გარიცხეს სასწავლებლიდან და გაგზავნეს სოფლად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

1885 წლის გაზაფხულზე პ. გრაბოვსკი კვლავ ბრუნდება ხარკოვში და კიდევ მეტი ენერგიით განაგრძობს რევოლუციურ მოღვაწეობას. შემდეგშიც, როცა იგი მეფის ჯარში გაიწვიეს, შეუნელებლად იბრძვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

პ. გრაბოვსკი 1886 წელს კვლავ დააპატიმრა ჟანდარმერიამ და გაგზავნა ხარკოვის საპატიმროში. როგორც გამორკვეულია, იგი ავრცელებდა მოწოდებებს, რომლებშიც 1861 წლის რეფორმის ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, მხილებული იყო მონარქისტთა ანტიხალხური პოლიტიკა, მემამულეთა მიერ გლეხობის ძარცვა. გამოძიებამ დაადგინა, რომ პავლე გრაბოვსკი ეკუთვნოდა „რევოლუციური ჯგუფის მთავარ მონაწილეთა რიცხვს, ხელს უწყობდა დანაშაულებრივ მოწოდებათა გავრცელებას და შემოწირულებათა შეგროვებას რევოლუციური საქმისათვის“.

რევოლუციონერი პოეტი ხუთი წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში. სატუსაღოში მან გაიცნო ტაგანროგელი რევოლუციონერი მასწავლებელი ქალი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სიგიდა. მის შესახებ გრაბოვსკი წერს: „იგი მე მიყვარდა, როგორც არავის შეყვარება აღარ შემიძლია ამქვეყნად; იგი გაგზავნეს კატორღაში საიდუმლო სტამბაში სამუშაოდ და დაიღუპა ჯალათის ხელით... თითქოს ანგელოზი ესტუმრა ადამიანებსო, — მუდამ ასეთ აზრს იწვევდა ჩემში ეს იშვიათი, შესანიშნავი ადამიანი... მისდამია მიძღვნილი ჩემი ბევრი ლექსი, როგორც უმნიშვნელო ზვარაკი მისი სამარადისო ხსოვნისა“...

სატუსაღოში ნადეჟდა სიგიდას მოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ ციხის უფროსმა ბრძანება გასცა გაეშოლტათ ეს შეუდრეკელი რევოლუციონერი ქალი, რომელიც კატორღაშიც კი რაზმავდა ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნადეჟდა სიგიდა ამ შოლტის ქვეშ გარდაიცვალა. სიგიდას სამმა ამხანაგმა ქალმა პროტესტის ნიშნად მეფის სატრაპების მხეცობის წინააღმდეგ თავი მოიწამლა.

როცა პავლე გრაბოვსკიმ შეიტყო ეს ტრაგედია, რამდენიმე ამხანაგთან ერთად მან გადაბეჭდა ჰექტოგრაფზე პროტესტი ტირანიის წინააღმდეგ პოლიტიკური პატიმრებისადმი. თავიანთი პროტესტი სათაურით „რუსეთის მთავრობას“ არალეგალურად გადაუგზავნეს კატორღიდან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში პროგრესულ რედაქციებს და დემოკრატიულ მოღვაწეებს. ეს პროტესტი მთავრდებოდა წინასწარმეტყველური სიტყვებით: „ჩვენი ამხანაგების სისხლი და გადასახლებულთა საპროტესტო ხმა გამოიწვევენ ახალ რევოლუციურ ენერგიას, დიდ დაძაბვას ბრძოლაში დესპოტიზმის წინააღმდეგ, ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს უკეთესი მერმისისთვის“.

მეფის აგენტებმა სასტიკი რეპრესიები გააჩაღეს პავლე გრაბოვსკის წინააღმდეგ. ბოლოს მას კატორღა მიუსაჯეს. საზოგადოებრივი აზრის გავლენით სენატი იძულებული გახდა გადაესინჯა საქმე და კატორღის ნაცვლად პოეტს მიუსაჯეს გადასახლება ციმბირის ყველაზე შორეულ ადგილებში.

უკრაინელი პოეტი დიდად აფასებდა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა რუსეთის მოწინავე კულტურას. 1894 წელს მან დაწერა სტატია „ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი“, მიძღვნილი დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის გარდაცვალებიდან ხუთი

წლისთავისადმი. ამ სტატიაში იგი აღნიშნავს ჩერნიშევსკის უდიდეს როლს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მის თავდადებულ სიყვარულს სამშობლოსადმი, მშრომელი ხალხისადმი.

პავლე გრაბოვსკის იდეურ შეხედულებათა და ესთეტიკური პრინციპების ფორმირებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებს. იგი, როგორც კლასიკოსი რევოლუციონერი მწერალი, იდგა იმ მოწინავე უკრაინელ მოღვაწეთა რიგებში, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ეწეოდნენ მეცნიერული სოციალიზმის იდეების პროპაგანდას. გრაბოვსკი ნაროდნიკობის ძლიერი მოწინააღმდეგე იყო.

გრაბოვსკის თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ იგი იყო მრავალმხრივ განათლებული ადამიანი და განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე. პატიმრობაში ყოფნისას მან შეისწავლა ინგლისური ენა, რათა ეთარგმნა ბაირონის ნაწარმოებნი. მან შეისწავლა აგრეთვე საზღვარგარეთული სლავური ენები.

სამი წლის განმავლობაში, ირკუტსკის საპატიმროში ყოფნისას, პ. გრაბოვსკიმ ასორმოცდაათზე მეტი ორიგინალური ლექსი დაწერა და თარგმნა. მან შექმნა აგრეთვე პოემები, ბურიატი ქალი“ და „ტეკინკა“, თარგმნა ალ. პუშკინის „ევგენი ონეგინის“ პირველი თავი, ბაირონის „შილიონის ტყვე“, რამდენიმე მოთხრობა და სტატია.

თავის ნაწარმოებებს პ. გრაბოვსკი უგზავნიდა დასავლეთ უკრაინაში ივანე ფრანკოს. ეს უკანასკნელი მხურვალედ უჭერდა მხარს ციმბირში გადასახლებულ რევოლუციონერ პოეტს.

პ. გრაბოვსკიმ შემდგომ განავითარა ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკა. მან შეისწავლა აგრეთვე ბელინსკის, დობროლუბოვის, შევჩენკოს, ნეკრასოვის ესთეტიკური შეხედულებანი. გამოდიოდა რა მათი კონცეფციიდან, პავლე გრაბოვსკი თავის მხატვრულ პრაქტიკაში უპირველეს ყოვლისა გვიჩვენებდა მშრომელთა ცხოვრებას, მათ სურვილებსა და მისწრაფებებს. მტაცებლური ომების წინააღმდეგ, მშრომელი მასების მჩაგვრელთა წინააღმდეგ არის მიმართული პოეტის ბევრი ლექსი, მათ შორის ისეთი ნაწარმოებნი, როგორიცაა „წინ!“, „თამამად შევხედოთ ჩვენს ხვედრს თვალში“, „ცოტანი ვართ“ და სხვ.

* * *

მე-19 საუკუნის უკრაინელი პროგრესული მწერლები, მოაზროვნეები ღრმა პატივისცემის გრძნობით ეპყრობოდნენ თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს და მის კულტურას. ტარას შევჩენკომ თავის პოემაში „კავკასიონი“ ხოტბა შეასხა ქართველ ხალხს, აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხებს, რომლებიც იბრძოდნენ განთავისუფლებისათვის სოციალური და ეროვნული ჩაგერისაგან დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით.

შევჩენკოს ახლო მეგობარი ალექსანდრე ნავროცკი კიევიდან კავკასიაში გადაასახლეს, სადაც მან თარგმნა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხის ტყაოსანი“.

უდიდეს პატივისცემას და სიყვარულს გრძნობდნენ აგრეთვე საქართველოსადმი, გმირი ქართველი ხალხისადმი ივანე ფრანკო და ლესია უკრაინკა.

პავლე გრაბოვსკიმ თარგმნა ილია ჭავჭავაძის „გუთნის დედა“, „გაზაფხული“, აკაკი წერეთლის და რაფიელ ერისთავის ბევრი ლექსი.

პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა 1900 წელს ჟურნალ „კავკასიის მოამბის“ № 5-ში მოათავსა სტატია „ქართველი პოეტები მალოროსიულ ენაზე“, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა პავლე გრაბოვსკის, როგორც მთარგმნელის, ოსტატობას.

პავლე გრაბოვსკიმ უკრაინულად თარგმნა აგრეთვე სომეხი, ესტონელი, პოლონელი, ჩეხი, სლოვაკი, ბულგარელი, იტალიელი, შვედი, ინგლისელი, ნორვეგიელი, გერმანელი, ამერიკელი და ფრანგი პოეტების ბევრი ნაწარმოები.

გარდაიცვალა პავლე გრაბოვსკი 1902 წლის 12 დეკემბერს. მან ანდერძი დატოვა — დაეკრძალათ დეკაბრისტების საფლავის მახლობლად. მართლაც იგი დაკრძალეს დეკაბრისტების — ვოლფისა და მურავიოვის გვერდით.

ივანე ფრანკოს, მიხეილ კოციუბინსკის, ლესია უკრაინკას სახელებთან ერთად, პავლე გრაბოვსკი, მისი შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ალექსანდრე კისელიოვის სიტყვით, „წარმოადგენდა უკრაინულ ლიტერატურაში იმ საუკეთესო რევოლუციურ დემოკრატიას, რომელიც დგებოდა მარქსიზმის პოზიციებზე და რომელიც თავისი პოეტური მოღვაწეობით იბრძოდა მეფის დესპოტიზმის წინააღმდეგ, მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ხალხის თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის“.

მრავალეროვანი საბჭოთა მკითხველი დიდი მადლიერების გრძნობით ინახავს უკრაინელი რევოლუციონერი პოეტის პავლე გრაბოვსკის ნათელ ხსოვნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულა ბანძელაძე

მეცნიერებათა პარტიულობის საკითხისათვის

★

ი. სტალინის გენიალურმა შრომებმა ენათმეცნიერებისა და ეკონომიკის საკითხებზე დიდი სინათლე და გარკვეულობა შეიტანა ისეთი საზოგადოებრივ-ისტორიული კატეგორიების ურთიერთობის საკითხში, როგორიცაა წარმოება, ბაზისი, ზედნაშენი, ენა, აზროვნება, მეცნიერება და სხვა.

ი. სტალინის გენიალური შრომების სინათლეზე ახლებურად ისმის საკითხი მეცნიერებისა და მისი ცალკეული დარგების კლასობრიობისა და პარტიულობის შესახებ. მეცნიერების როლისა და ადგილის გარკვევას კი საზოგადოების განვითარებაში, მეცნიერების დამოკიდებულების გარკვევას კლასებისა და პარტიების ბრძოლასთან განსაკუთრებული აქტუალური მნიშვნელობა აქვს სწორედ დღეს, როცა ერთი მხრივ — კაპიტალისტურ საზოგადოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს სულ უფრო და უფრო იყენებენ მშრომელთა გაღატაკებისა და ხალხთა ფართო მასების გაჟლეტისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენს, სოციალისტურ საზოგადოებაში მეცნიერება და ტექნიკა მშრომელი ხალხის სამსახურში დგას და მისი მიღწევებით დღითიდღე უმჯობესდება შრომის პირობები, საბჭოთა ადამიანის ცხოვრების პირობები.

*
* *

იმის ნათელსაყოფად, თუ რას ნიშნავს მეცნიერების კლასობრიობისა და პარტიულობის ცნება, აუცილებელია გაირკვეს ურთიერთობა წარმოების პროცესსა და მეცნიერებას შორის და მეცნიერების დამოკიდებულება ბაზისისა და ზედნაშენის კატეგორიებთან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიულად ადამიანი თავის არსებობას იწყებს არა აზროვნებითა და მეცნიერებით, არამედ შრომითა და მოქმედებით. „დასაწყისში იყო საქმე“ — ამბობს გოეთე. შრომის პროცესში ყალიბდება ადამიანური აზროვნება და ამავე პროცესში ნახულობს იგი თავისი უნარის რეალიზაციას. ადამიანური შრომის განვითარების გზა— ეს არის გზა ინსტინქტური მოქმედებიდან გააზრებული საქმიანობისაკენ. შრომის პროცესში ადამიანური აზროვნების უნარის გაღრმავება და განვითარება — კონკრეტული მოვლენების, სახეებისა და მოქმედებების უშუალო აღქმიდან ზოგადი ცნებების, არსებების შემეცნებაზე გადასვლა უკუმოქმედებს თვით შრომის პროცესზე და აუმჯობესებს და ავითარებს მას. დასაბამი ეძლევა ადამიანური შრომის ისტორიას, შრომის იარაღების ისტორიას.

შრომის იარაღების წარმოშობისა და განვითარების შედეგად აზროვნებისა და მოქმედების პირველყოფილი ფიზიოლოგიური ერთიანობა თანდათან იშლება და გადადის აზროვნებისა და მოქმედების საზოგადოებრივ-სოციალურ ერთიანობაში. ადამიანს უმუშავდება თავისი მოქმედების წინასწარ გააზრებისა და შეფასების უნარი. ისახე-

ბა მეცნიერული აზრის ელემენტები და შრომის პროცესი, წარმოების პროცესი. კავშირი და ერთიანობა ამ ორი მომენტისა უკვე არა ფიზიოლოგიური, არამედ საზოგადოებრივი ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული აზრის განვითარება ხელს უწყობს წარმოების განვითარებას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, და პირიქით, წარმოების განვითარება ბიძგს აძლევს მეცნიერული აზრის შემდგომ აღმავლობას. „აქამდე კვეხნით მუდამ მხოლოდ იმას აღნიშნავდნენ, — წერს ენგელსი, — რითაც წარმოება მეცნიერებისაგან არის დავალებული, მაგრამ მეცნიერება უფრო უსაზღვროდ მეტად არის დავალებული წარმოებისაგან“ [1].

შრომის ნაყოფიერების ზრდის გარკვეულ საფეხურზე წარმოიშობა კერძო საკუთრება, რაც იწვევს საზოგადოების გათიშვას სხვადასხვა ანტაგონისტურ კლასებად. ერთი კლასი შრომობს, მეორე — ითვისებს. იწყება კლასობრივი ბრძოლის ისტორია. კლასობრივ საზოგადოებაში მეცნიერული აზრის მიღწევები გაბატონებული კლასის კუთვნილებად იქცევა და უწინარეს ყოვლისა ამ კლასის ინტერესებს ემსახურება. დასაბამი ეძლევა გონებრივი და ფიზიკური შრომის გათიშვასა და დაპირისპირებას, რასაც კიდევ უფრო აღრმავებს სისტემატურად მზარდი შრომის დანაწილება.

შრომის დანაწილება და გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება ვერ ასუსტებენ მეცნიერული აზრის განვითარებას, რადგან საზოგადოების კლასებად გათიშვა ვერ აღღვევს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ საზოგადოების მუდმივი სწრაფვის საერთო ტენდენციას, ხოლო ეს ტენდენცია მოითხოვს მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებას.

წარმოების მოთხოვნილებანი და ინტერესები განაპირობებენ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის წარმოშობასა და განვითარებას. მეცნიერული აზროვნების ისტორია, მეცნიერებათა ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა.

„უნდა შევისწავლოთ, — წერს ენგელსი, — ბუნებისმეცნიერების ცალკეულ დარგთა თანმიმდევრული განვითარება. — პირველად ასტრონომია, რომელიც უკვე წელიწადის დროთა გამო აბსოლუტურად საჭიროა მეჯოგე და მიწათმოქმედი ხალხებისათვის. ასტრონომია მხოლოდ მათემატიკის დახმარებით შეიძლება განვითარდეს. მაშასადამე, მათემატიკის შესწავლასაც უნდა შესდგომოდნენ.—შემდეგ, მიწათმოქმედების გარკვეულ საფეხურზე და გარკვეულ მხარეებში (წყლის აწევა მოსარწყავად ეგვიპტეში), განსაკუთრებით კი ქალაქებისა და დიდ ნაგებობათა წარმოშობასთან და ხელოსნობის განვითარებასთან ერთად განვითარდა აგრეთვე მექანიკაც. მალე იგი აუცილებლად საჭირო ხდება აგრეთვე ნაოსნობისა და სამხედრო საქმისათვის. ისიც ასევე საჭიროებს მათემატიკის დახმარებას და ამრიგად ხელს უწყობს მის განვითარებას. ამრიგად, თავიდანვე მეცნიერებათა წარმოშობა და განვითარება წარმოებითაა განპირობებული“ [1].

ასეთი მჭიდრო და ორგანულია მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირი.

თავდაპირველად ცოდნის ეს სხვადასხვა ელემენტები ერთმანეთისაგან არ არიან გამოყოფილნი. ამ საფეხურზე ყოველგვარ ცოდნას სიბრძნეს უწოდებდნენ და მას ერთი სახელწოდებით — „ფილოსოფიით“ აღნიშნავდნენ. მეცნიერული ცოდნის გარკვეული მი-

[1] ფ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 188.

[1] იქვე, გვ. 187.

ნიმუმის დაგროვების შემდეგ ხდება ამ ცოდნის ერთგვარი სისტემატიზაცია და დიფერენციაცია. ადამიანური ცოდნის საერთო სისტემიდან — ფილოსოფიიდან თანდათან გამოიყოფიან ასტრონომია, მათემატიკა, მექანიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სოციოლოგია და სხვა. ფილოსოფიას კი დამოუკიდებელი კვლევის საგნად რჩება აზროვნება, მისი ფორმები და კანონზომიერებანი. ბუნებისა და საზოგადოების შესახებ კონკრეტულ მეცნიერებათა ჩამოყალიბების შემდეგ ფილოსოფიას სხვა საგანი არ შეიძლება გააჩნდეს და სწორედ ამით აიხსნება, რომ მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ ძველი ფილოსოფიიდან მნიშვნელობა შეინარჩუნა მხოლოდ აზროვნებაზე მოძღვრებამ — ლოგიკამ და დიალექტიკამ. თუ მარქსიზმმა მოსპო ფილოსოფია, როგორც ნატურფილოსოფია, სამაგიეროდ, შეინარჩუნა იგი როგორც გნოსეოლოგია, როგორც მოძღვრება აზროვნებაზე.

მეცნიერებათა ეს დიფერენციაცია, როგორც ამხანაგი ჟდანოვი ამბობდა, სასარგებლოა არა მარტო ფილოსოფიისათვის, რომლისთვისაც სულ უფრო და უფრო გარკვეული ხდება მისი კვლევის ნამდვილი საგანი, არამედ კონკრეტულ მეცნიერებათათვისაც, სადაც ღრმავდება და ვითარდება სერიოზული კვლევა-ძიება ფილოსოფიაზე დაყრდნობით და მისი გამოყენებით.

მაშასადამე, ფილოსოფიისა და მეცნიერებათა კონკრეტული დარგების პირველყოფილი მექანიკური ერთიანობის მაგიერ ახლა ჩვენ გვაქვს ფილოსოფიისა და კონკრეტულ მეცნიერებათა ორგანული კავშირი და ერთიანობა, როგორც ერთიანობა აზროვნების მეთოდისა ცოდნის ცალკეულ დარგებთან.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების პროცესთან მეცნიერების კავშირის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ნათლად გაირკვეს საკითხი ბაზისისა და ზედნაშენის კატეგორიებში მეცნიერების ადგილის შესახებ.

მეცნიერება ფართო ცნებაა. მასში შედის არა მარტო ბუნებათმეცნიერებანი (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, ბიოლოგია და სხვა), არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი მეცნიერებანი (ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა და სხვა). მეცნიერებათა თითოეული ეს ჯგუფი (და თვით ცალკეული დარგებიც კი) ერთნაირ მიმართებაში როდი არიან ბაზისთან და ზედნაშენთან. საერთო მათ შორის ის არის, რომ მეცნიერების ყოველი დარგი რეალურ სინამდვილეს ასახავს, მოძრაობის გარკვეულ ფორმას შეისწავლის და მათ შესახებ ცოდნას მწყობრ სისტემატურ ხასიათს აძლევს, ე. ი. მათთვის საერთოა ყველა ის ნიშნები, რომლებიც მათ მეცნიერებად აქცევენ. მაგრამ რეალური სინამდვილის მრავალფეროვნება, მოძრაობის ფორმათა სიუხვე განაპირობებს მეცნიერების ცალკეულ დარგებს შორის სპეციფიკურ განსხვავებას და მათს თავისებურ როლსა და ადგილს ბაზისისა და ზედნაშენის კატეგორიებში, საზოგადოების განვითარებაში საერთოდ.

როგორც ვთქვით, ყოველი მეცნიერების განვითარებას წარმოება განსაზღვრავს, მაგრამ წარმოება არ არსებობს აბსტრაქტული, იგი ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიულია, რაც წარმოების წესში გამოიხატება. წარმოების წესი ორ მხარეს შეიცავს: საწარმოო ძალებს და წარმოებითს ურთიერთობებს. სრულიად აშკარაა, რომ ბუნებათმეცნიერებანი ძირითადად საწარმოო ძალებთან უფრო მჭიდრო კავშირში არიან, მათთან უფრო „ახლოს დგანან“, ვიდრე წარმოებითს ურთიერთობებთან,

—და პირიქით,—საზოგადოებრივი მეცნიერებანი ძირითადად წარმოებითს ურთიერთობებთან უფრო მჭიდრო კავშირში არიან, მათთან უფრო „ახლო დგანან“, ვიდრე საწარმოო ძალებთან.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ არავითარი კავშირურთიერთობა და ურთიერთზემოქმედება არ იყოს ბუნებათმეცნიერებასა და წარმოებითს ურთიერთობებს შორის, ერთი მხრივ, და საწარმოო ძალებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის, მეორე მხრივ.

თუ ბუნებათმეცნიერება ხელს უწყობს საწარმოო ძალების ზრდას, ტექნიკის, მანქანა-იარაღებისა და ადამიანთა შრომითი ჩვევებისა და გამოცდილებების ზრდას, ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, გარკვეულ ეტაპზე იწვევს წარმოებით ურთიერთობათა ცვლილებას, ე. ი. საზოგადოების მთელი ეკონომიური ბაზისის ცვლილებას, ფორმაციების ცვლილებას. თავის მხრივ ბაზისების ცვლილება დიდად ზემოქმედებს ბუნებათმეცნიერებათა განვითარებაზე, მეტ-ნაკლებად აჩქარებს და ხელს უწყობს მის განვითარებას. ის ფაქტორი, თუ ვის ხელშია წარმოების საშუალებები, ვინ სარგებლობს მეცნიერების მიღწევებით, არ შეიძლება გარკვეულ გავლენას არ ახდენდეს ბუნებათმეცნიერებათა განვითარებაზე. მეცნიერების ისტორია იძლევა ამის საილუსტრაციოდ უამრავ მაგალითს. საკმარისია, შევადაროთ ერთმანეთს მეცნიერებათა განვითარების მეტად შეზღუდული პირობები კაპიტალისტურ საზოგადოებაში და მეცნიერებათა უსაზღვრო განვითარების ფაქტი და პერსპექტივები სოციალისტურ საზოგადოებაში. აქედან ნათელია კავშირი და ურთიერთმოქმედება ბუნებათმეცნიერებასა და საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისს შორის.

რაც შეეხება კავშირს საზოგადოებრივ მეცნიერებასა და საწარმოო ძალებს შორის, სრულიად მარტივია ამ კავშირის ჩვენება, რამდენადაც არ არსებობს რაიმე ადამიანური მოქმედება მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის გარეშე, ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებანი ძირითადად სწორედ მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ დარგებს შეისწავლიან.

მიუხედავად ასეთი ურთიერთკავშირისა, მაინც აშკარაა, რომ ბუნებათმეცნიერებათა განვითარება უფრო საწარმოო ძალების განვითარებითაა განსაზღვრული, ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებათა განვითარება — წარმოებითი ურთიერთობების განვითარებით.

თუ გავიხსენებთ საწარმოო ძალების განვითარების ხასიათს, ერთი მხრივ, და წარმოებითი ურთიერთობების, ბაზისების განვითარების ხასიათს, მეორე მხრივ, ნათელი გახდება ბუნებისმეცნიერებათა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ხასიათიც.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ წარმოების წესში საწარმოო ძალები წარმოადგენენ ყველაზე უფრო მოქმედ ელემენტს. საწარმოო ძალები ვითარდებიან სისტემატურად, ყოველდღიურად, განუწყვეტლივ. ენის უშუალო კავშირი წარმოებასთან იწვევს ენის სისტემატურ, მუდმივ, განუწყვეტელ განვითარებას, რაიმე ნახტომებისა და აფეთქებების გარეშე, რევოლუციების გარეშე.

ენისაგან განუყოფელია აზროვნება. აზროვნების უშუალო კავშირი წარმოებასთან ზემოთ დავახასიათეთ. წარმოების განვითარების მუდმივი და სისტემატური ხასიათი განსაზღვრავს მეცნიერული აზრის განვითარების მუდმივ და სისტემატურ ხასიათს რევოლუციებისა და აფეთქებების გარეშე. მართალია, მეცნიერებათა ისტორიაშიც არის ცნობილი მთელი რიგი რევოლუციები, მაგრამ ეს არის არა ბაზისის ცვლილებებთან, არამედ დიდ მეცნიერულ აღმოჩენებთან დაკავშირებული გარდატეხები.

ძველი ბაზისის მოსპობა სრულიადაც არ იწვევს მეცნიერებათა მოსპობას. ბაზისის ცვლილებები დიდად ზემოქმედებენ მეცნიერებათა განვითარების პროცესზე, მაგრამ ამ უკანასკნელს განვითარების თავისი შინაგანი კანონზომიერება აქვს (ამ კანონზომიერების ძირითადი შინაარსი წარმოებასთან, საწარმოო ძალებთან მჭიდრო, პირდაპირ, უშუალო კავშირში მდგომარეობს) და ერთგვარად დამოუკიდებულია ბაზისის ცვლილებათა კანონზომიერებისაგან. ბუნებათმეცნიერებათა ეს ერთგვარი დამოუკიდებლობა ბაზისისაგან განსაზღვრავს ბ უ ნ ე ბ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა რ ა ზ ე დ ნ ა შ ე ნ ურ ხ ა ს ი ა თ ს.

სრულიად სხვაგვარია მდგომარეობა ამ მხრივ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართ. ისინი საწარმოო ძალებთან არ არიან უშუალო და პირდაპირ კავშირში. წარმოებას ისინი უკავშირდებიან მხოლოდ არაპირდაპირ, ბაზისის მეშვეობით. წარმოების ცვლილებები საზოგადოებრივ მეცნიერებებში აისახება არა უშუალოდ და პირდაპირ, არამედ ბაზისის ცვლილებების შედეგად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების შინაგან კანონზომიერებათა ძირითადი შინაარსი ბაზისებთან კავშირში და ბაზისების ცვლილებათა ასახვაში მდგომარეობს. მაშასადამე, ა მ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ებ ს ე რ თ გ ვ ა რ ი ზ ე დ ნ ა შ ე ნ ურ ი ხ ა ს ი ა თ ი ა ქ ვ თ.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ამხანაგი სტალინი ზედნაშენად ასახელებს საზოგადოების მხოლოდ პოლიტიკურ, იურიდიულ, რელიგიურ, მხატვრულ და ფილოსოფიურ შეხედულებებს და შესაბამის დაწესებულებებს, ე. ი. ზედნაშენად გამოცხადებულია მხოლოდ საზოგადოებრივ მ ე ც ნ ი ე რ ებ ა თ ა ს ა გ ნ ე ბ ი, მათი შესასწავლი ობიექტები და არა, ვთქვათ, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა მეცნიერებათა შინაარსი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთგვარ ზედნაშენურ ხასიათს ის განაპირობებს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში, სხვადასხვა კლასი ბატონობს, გაბატონებული კლასის შეხედულებები ეპოქის გაბატონებულ შეხედულებებს წარმოადგენენ და, მაშასადამე, სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებში სხვადასხვა შეხედულებებია გაბატონებული. საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ძირითადში, ყოველი ეპოქის სწორედ ამ შეხედულებებს და ამ შეხედულებებით განსაზღვრულ მოვლენებს ასახავენ.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ივ მ ე ც ნ ი ე რ ებ ა თ ა შ ი ნ ა ა რ ს ი, მ ა ს ა ლ ა მ თ ლ ი ა ნ ა დ ა რ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ზ ე დ ნ ა შ ე ნ ს. საზოგადოებრივ მეცნიერებებში, გარდა პოლიტიკური, იურიდიული, რელიგიური, მხატვრული და ფილოსოფიური შეხედულებებისა, არის აგრეთვე გარკვეული ფაქტიური ისტორიული მონაცემები, გარკვეული კანონზომიერებანი, რომლებსაც არსებითად ვერ სცვლიან სხვადასხვა პოლიტიკური, იურიდიული და სხვა შეხედულებანი. ასეთი „უცვლელი“ მომენტები არის თითქმის ყოველ დარგში, მაგ. ისტორიოგრაფიაში, პოლიტ-ეკონომიაში, ფილოსოფიაშიც კი — მაგალითად, დიალექტიკისა და ლოგიკის მთელი რიგი საკითხები.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა შინაარსში არის ისეთი კანონები, რომლებიც ძირითადად უცვლელი რჩებიან ბაზისების ცვლილებისას. საზოგადოებრივი მეცნიერებანი რომ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საზოგადოებრივი შეხედულებანი, სწორედ ამით აიხსნება, რომ ამხანაგი სტალინი ზედნაშენად ასახელებს საზოგადოებრივ „შეხედულებებს“ და არა „მეცნიერებებს“.

მართალია, საზოგადოების პოლიტი-

კური, იურიდიული, რელიგიური, მხატვრული და ფილოსოფიური შეხედულებები საზოგადოებრივ მეცნიერებათა ძირითად შინაარსს განსაზღვრავენ და მათ ზედნაშენურ ხასიათს აძლევენ, მაგრამ ეს სრულებითაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ეს მეცნიერებანი ზედნაშენებად გამოვაცხადოთ. უფრო მეტი შეიძლება ითქვას: პრინციპულად შეუძლებელია ლაპარაკი საერთოდ მეცნიერების ზედნაშენობაზე. საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ მეცნიერებათა (ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა) შინაარსში არაზედნაშენური მასალაც შედის, უფრო სწორედ, არსებითად საქმე სრულებითაც არ არის ამაში. საქმე იმაშია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებანი მხოლოდ ერთი, რომელიმე გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციის მოვლენებს როდი სწავლობენ, რომ ამ ფორმაციის მოსპობით, ამ მეცნიერებათა შინაარსებიც მოისპოს და ახალი ფორმაციის წარმოქმნით სრულიად ახალი მეცნიერებანი შეიქმნეს. შეიძლება შეიქმნეს უფრო სწორი, ჭეშმარიტი თეორიები მეცნიერებათა ამა თუ იმ დარგში (რამდენადაც ახალ ფორმაციაში ახალი კლასი, და მაშასადამე, ახალი მსოფლმხედველობა ბატონდება); შეიძლება შეიქმნეს უფრო კარგი სახელმძღვანელოები ან მონოგრაფიები მეცნიერებათა ამა თუ იმ დარგებში, მაგრამ არა თვით მეცნიერებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა ყოველგვარ მემკვიდრეობითობას მეცნიერებათა განვითარებაში, აზრი დაეკარგებოდა მეცნიერებათა ისტორიას, მეცნიერებათა განვითარებას.

ბაზისების ცვლილებით, ფორმაციების ცვლილებით იცვლება, მდიდრდება მეცნიერებათა საკვლევი ობიექტები, მეცნიერებათა საგანი, მაგრამ არა თვით მეცნიერება. მეცნიერება ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმდენად იცვლება, რამდენადაც ბაზისების ცვლილებით იცვლებიან თვალსაზრისები, შეხედულებანი ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენებზე. ვიმსჯელოთ მაგალითზე.

სოციალისტური საზოგადოების წარმოშობამდე არსებობდა პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, რომლის საგანი იყო საზოგადოებრივი წარმოებისა და მატერიალური დოვლათის განაწილების კანონები ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. კერძოდ, ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში მარქსის მიერ შექმნილი პოლიტიკური ეკონომია იყო ასეთი. სოციალიზმის წარმოშობამ კი არ მოსპო ეს მეცნიერება, კი არ გამოაცალა ან შეუცვალა მას შინაარსი, არამედ, პირიქით, თანდათან შეიქმნა, ჩამოყალიბდა ახალი სფერო, ახალი საკვლევი საგანი პოლიტიკური ეკონომიისათვის, კერძოდ, სოციალიზმის ეკონომიკური კანონზომიერებანი.

ამხანაგი სტალინი თავის გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მკაცრად აკრიტიკებს იაროშენკოს, რომელიც უარყოფდა ყველა საზოგადოებრივ ფორმაციისათვის ერთიანი პოლიტიკური ეკონომიის აუცილებლობას, იქიდან გამომდინარე, რომ თვითეულ საზოგადოებრივ ფორმაციას თავისი სპეციფიკური ეკონომიკური კანონები აქვს. „მაშასადამე, — წერს ი. სტალინი, — პოლიტიკური ეკონომია სწავლობს არა ერთი რომელიმე საზოგადოებრივი ფორმაციის, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციების ეკონომიკური განვითარების კანონებს“.[1] აქედან სრულიად ნათელია, რომ პოლიტიკური ეკონომია არ ყოფილა ზედნაშენი.

ასევე ითქმის ისტორიის მეცნიერებაზე, ენათმეცნიერებაზე და საერთოდ მეცნიერებაზე.

დიდმა ბელადმა ჩვენ მოგვცა ზედნაშენის ამომწურავი განსაზღვრა: „ზედნაშენია საზოგადოების პოლიტიკური

[1] ი. ბ. სტალინი, „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 76.

უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი". ზედნაშენის სფერო აქ მთლიანად ამოწურულია, „და სხვა"-ს კატეგორიაში არაფერი არაა მოქცეული, მეცნიერება კი არსად არ არის დასახელებული.[1]

*

* *

ამრიგად, კლასობრივი და პარტიული ხასიათი უწინარეს ყოვლისა მეცნიერების იმ დარგებს გააჩნიათ, რომლებიც კლასთა ბრძოლასა და მათ ისტორიას, პარტიების ბრძოლას და მათ ისტორიას, კლასების შეხედულებების ბრძოლასა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლიან. ძირითადად ესენი არიან სწორედ საზოგადოებრივი მეცნიერებანი.

მაშასადამე, საზოგადოებრივ მეცნიერებებს უაღრესად კლასობრივი და პარტიული ხასიათი აქვთ.

რას ნიშნავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კლასობრივი ხასიათი, მათი პარტიულობა? იმას, რომ ეს მეცნიერებანი ემსახურებიან გაბატონებული კლასების ინტერესების დაცვას, მათი შეხედულებების დასაბუთებას, მათი მოქმედების გამართლებას.

თუ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, სოციოლოგია, ფილოსოფია, ეთიკა და ესთეტიკა ბურჟუაზიის ინტერესების დაცვასა და გამართლებას ემსახურება, სოციალისტური ისტორიოგრაფია, ფილოსოფია და სხვა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვასა და განმტკიცებას ემსახურება.

თუ გარკვეულ ისტორიულ მოვლენას ან ზნეობრივ საქციელს თავისებურად განმარტავს ბურჟუაზიის იდეოლოგი, სხვაგვარად განმარტავს მას პროლეტარიატის იდეოლოგი.

ხომ არ ნიშნავს ეს თავისებურ რელატივიზმს და ხომ არ გამორიცხავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კლასობრივი და პარტიული ხასიათი საზოგადოებრივ მოვლენათა ობიექტური შემეცნების შესაძლებლობას?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეიძლება ფაქტიური მდგომარეობის ანალიზით.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკის და სხვათა პარტიულობა ნიშნავს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებათა არასწორ ასახვას, ობიექტური რეალობის დამახინჯებას, ჭეშმარიტების უარყოფას, ცრუმეცნიერებისა და რელიგიის აპოლოგიას. ბურჟუაზიამ უნდა იცრუოს, ფაქტები უნდა დაამახინჯოს, რომ თავისი მოქმედება გაამართლოს. ბურჟუაზიული იდეოლოგია ვერ დაეყრდნობა საგანთა ობიექტურ მდგომარეობას, რადგან ეს უკანასკნელი მის წინააღმდეგ მეტყველებს.

[1] აქვე ისმის საკითხი იმის შესახებ, ზედნაშენია თუ არა მარქსიზმ-ლენინიზმი. აქ იჩენს თავს ყველაზე ნათლად საკითხისადმი დოგმატური, სქემატური მიდგომის არამეცნიერულობა და ბუსუსურობა.

თუ განვიხილავთ მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც მეცნიერებას საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, იგი, როგორც მეცნიერება, თანახმად ჩვენ მიერ გამოყვანილი დასკვნისა — არ უნდა იყოს ზედნაშენი.

თუ განვიხილავთ მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა მწყობრ სისტემას, იგი, თანახმად ზედნაშენის სტალინური განსაზღვრისა, ზედნაშენია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: რომელი ბაზისის ზედნაშენია იგი? მარქსიზმი არსებობდა სოციალიზმის გამარჯვებამდე, ე. ი. ის არ შეიძლება იყოს სოციალისტური ბაზისის ზედნაშენი. მაგრამ მარქსიზმი არც კაპიტალისტური ბაზისის ზედნაშენია, რამდენადაც მას კი არ ემსახურება, არამედ ანგრევს და ანადგურებს. მაგრამ რა არის მარქსიზმი? არის თუ არა იგი ზედნაშენი? მარქსიზმის შინაარსის მხოლოდ კონკრეტული ანალიზი მოგვცემს სათანადო პასუხს, რაც სპეციალურ წერილში უნდა გაშუქდეს და ამჟამად მაზე არ შევჩერდებით.

სოციალისტური იდეოლოგიის პარტიულობა კი ნიშნავს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებათა სწორ ასახვას, ობიექტური რეალობის შესწავლას, ჭეშმარიტების დაცვასა და განვითარებას. მარქსისტული იდეოლოგია ეყრდნობა მხოლოდ ობიექტურ ჭეშმარიტებას. ამით აიხსნება მარქსისტული დიალექტიკის პრინციპული მოთხოვნა: მოვლენები ავსახოთ ისე, როგორც ისინი არიან, ობიექტურად, კონკრეტულად.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ობიექტურობა პრინციპულად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ ობიექტივიზმს. მარქსისტული იდეოლოგიისათვის ობიექტური ჭეშმარიტების დაცვა ნიშნავს პროგრესული კლასის ინტერესებისა და შეხედულებების დაცვას. ეს ორი ამოცანა ერთმანეთს ემთხვევა თავისთავად, ბუნებრივად, და სწორედ ამაშია პროგრესული კლასის გამარჯვების აუცილებლობა.

ობიექტური ჭეშმარიტება უშუალოდ როდი აღიქმება, იგი ერთბაშად და მარტივად როდი ეძლევა ცნობიერებას. ჭეშმარიტების მიგნება რთული შემეცნებითი პროცესია, იგი მოითხოვს ახლისა და მზარდის შემჩნევას, მისი განვითარების პერსპექტივების დანახვას, მოვლენათა მრავალფეროვან ჯაჭვში ძირითადი რგოლის წინწამოწევას, არსებითის ხაზგასმას, პროგრესულის მხარდაჭერას და განვითარებას. მარქსისტული ობიექტურობის შინაარსია არა ბრმა ფაქტების ფოტოგრაფიული ასახვა, არამედ ობიექტური რეალობის ჩვენება განვითარების პერსპექტივებში, მისი პროგრესული და ჯანსაღი მომენტების განმტკიცებასა და განვითარებაში.

სრულიად სხვაგვარი ხასიათისაა ბურჟუაზიული ობიექტივიზმი.

ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის ობიექტური ჭეშმარიტების ნამდვილად დაცვა ნიშნავს მისი კლასის ინტერესებისადმი ღალატს, ხოლო ობიექტური ჭეშმარიტების წინააღმდეგ აშკარად გალაშქრება ნიშნავს თავის გამოაშკარავებას და ამდენად — განიარაღებასაც. ასეთი ავბედითი ალტერნატივიდან გამოსავალს ისინი ხედავენ მათი რეაქციული, კლასობრივი, პარტიული შეხედულებების შენიღბვაში „არაპარტიულობის", „ზეკლასობრიობის", მიუკერძებლობის", „ობიექტურობის" საფარით.

არ არსებობს შუა ხაზი სოციალისტურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის, გვასწავლის დიდი ლენინი. სოციალისტური იდეოლოგიის პირდაპირი და აშკარა დაცვისაგან ყოველგვარი თავშეკავება ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაცვას. „არაპარტიულობისა" და „ზეკლასობრიობის" ნიღაბქვეშ ყოველთვის იმალება რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია. აქედან გასაგებია, რომ ბურჟუაზიულ ობიექტივიზმს არაფერი აქვს საერთო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ობიექტურ ხასიათთან, პროგრესული კლასისა და ხალხის ჭეშმარიტ იდეოლოგიასთან.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა პარტიული ხასიათი ყველაზე აშკარად და ნათლად მჟღავნდება ფილოსოფიის პარტიულობით. ეს სავსებით გასაგებია, რადგან, ფილოსოფია მსოფლმხედველობაა, ხოლო მსოფლმხედველობა ყოველთვის გარკვეული კლასისა და პარტიის მსოფლმხედველობაა.

„ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, — წერს ლენინი, — როგორც

ორი ათასი წლის წინათ იყო"[1]. მებრძოლი ბანაკები ფილოსოფიაში იდეალიზმი და მატერიალიზმია. ბრძოლა მათ შორის წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიურ ანარეკლს.

თუ მთელი საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა, საბოლოოდ ექსპლოატატორთა დამარცხებისა და ექსპლოატირებულთა ბრწყინვალე გამარჯვების ისტორიაა, ასევეა ფილოსოფიაშიც. ფილოსოფიის მთელი ისტორია მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიაა, იდეალიზმის საბოლოო დამარცხებისა და მატერიალიზმის ბრწყინვალე გამარჯვების ისტორიაა (მარქსიზმ-ლენინიზმის წარმოშობა). ფილოსოფიის ისტორია, მართალია გადაჭრელებულია ათასგვარი „იზმებით", მაგრამ როგორც დიდი ლენინი გვასწავლის — „ტერმინოლოგიური ოინბაზობისა და გელერტული სქოლასტიკის ნაგავში" ჩვენ, გამოუკლებლივ, ყოველთვის უნდა გავარჩიოთ ორი ძირითადი ხაზი, ორი ძირითადი მიმართულება ფილოსოფიაში — იდეალიზმი და მატერიალიზმი.

* * *

ფილოსოფიის პარტიულობა, მსოფლმხედველობის პარტიულობა უშუალოდ განსაზღვრავს სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა პარტიულობასაც, რადგან საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცალკეული დარგები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივ მოვლენათა განხილვა გარკვეული კლასობრივი მსოფლმხედველობით.

მსოფლმხედველობის პარტიულობა ზეგავლენას ახდენს არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხასიათზე, არამედ ბუნებათმეცნიერებათა ხასიათზედაც. იდეალიზმისა და მატერიალიზმის ბრძოლას არა მარტო ფილოსოფიაში და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში აქვს ადგილი, არამედ ბუნებათმეცნიერებაშიაც. ძნელია ; ბუნებათმეცნიერების ისეთი დარგის აღმოჩენა, რომლის ისტორიაში ადგილი არ ჰქონდეს მატერიალისტური, პროგრესული, მეცნიერული და იდეალისტური, რეაქციული, ცრუმეცნიერული შეხედულებებისა და თეორიების ბრძოლას (საკმარისია დავასახელოთ ბრძოლა „ფიზიკური იდეალიზმის" წინააღმდეგ, ვეისმან-მორგანიზმის წინააღმდეგ და სხვადასხვა). ეს იმას ამტკიცებს, რომ არ არსებობს მეცნიერი გარკვეული კლასობრივი მსოფლმხედველობის გარეშე, არ არსებობს სწავლული, მიუკერძოებელი ობიექტური", კლასებისა და პარტიების ბრძოლაზე მაღლა მდგომი.[1] შეგნებულად თუ შეუგნებლად ყოველი მეცნიერი ამა თუ იმ კლასის ინტერესებს ემსახურება და მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ეს განსაზღვრულობა ნებით თუ უნებლიეთ, ცნობიერად თუ არაცნობიერად გამოხატულებას პოულობს მის მიერ ცოდნის ცალკეული დარგის კვლე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 457.

[1] რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ მეცნიერმა დაუშვას მავნე, იდიალისტური და მეტაფიზიკური შეცდომები, მაგრამ იგი სუბიექტურად არ იყოს რეაქციული კლასის იდეოლოგი. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა შეცდომა არა პოლიტიკით, არამედ არცოდნით არის განსაზღვრული და სუბიექტურად იგი არ სცილდება მეცნიერების ფარგლებს. გამორიცხული არ არის ისეთი შეცდომის შესაძლებლობა, რომ პროგრესული კლასის იდეოლოგად მიგაჩნდეს თავი და ობიექტურად კი ქადაგებდე იდიალიზმსა და მეტაფიზიკას, ე. ი. რეაქციულ იდეოლოგიას. „შეცდომის" ცნება სწორედ ასეთი შემთხვევისათვის არის იდეალურად შესატყვისი. მაგრამ საზოგადოებრივად არსებითად მნიშვნელოვანია არა ის — შეგნებულია თუ შეუგნებელი ესა თუ ის შეცდომა, სუბიექტურია თუ ობიექტური ესა თუ ის გადახვევა, არამედ ის. თუ რამდენად საზიანოა ეს შეცდომა, ეს გადახვევა. საზოგადოებრივი დანაშაული ფასდება არა მისი გამომწვევი მიზეზების, არამედ მისით გამოწვეული შედეგების მიხედვით.

ვის, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისა და აქედან პოლიტიკურ-იდეოლოგიური დასკვნების გამოტანის ხასიათში.

თუ ბურჟუაზიულ ბუნებათმეცნიერს არ შეუძლია რაიმე დაამახინჯოს ექსპერიმენტების დაყენებასა და ცალკეული კონკრეტული პრობლემების ამოხსნაში, სამაგიეროდ მას ყოველთვის შეუძლია გადაუხვიოს ჭეშმარიტებას მიღებული შედეგებიდან პოლიტიკური და ფილოსოფიური დასკვნების გამოყვანაში. სწორედ ამიტომ ამბობდა ლენინი, რომ ბურჟუაზიულ სწავლულებს, „რომლებსაც შეუძლიათ მეტად საგულისხმო ნაშრომები მოგვცენ ქიმიის, ისტორიის, ფიზიკის სპეციალურ დარგებში, ერთი სიტყვაც არ დაეჯერებათ, რაკი ლაპარაკი ფილოსოფიაზე ჩამოვარდება. რატომ? იმავე მიზეზით, რომლის გამო პოლიტიკური ეკონომიის არც ერთ პროფესორს, რომელსაც შეუძლია უაღრესად საგულისხმო ნაშრომი მოგვცეს ფაქტიური, სპეციალური გამოკვლევების დარგში, არც ერთი სიტყვაც არ დაეჯერება, როცა ლაპარაკი პოლიტიკური ეკონომიკის ზოგად თეორიაზე ჩამოვარდება. ვინაიდან პოლიტიკური ეკონომიაც ისეთივე პარტიული მეცნიერებაა თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც გნოსეოლოგია“ [1].

ყოველი მეცნიერება, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ კონკრეტულ ობიექტზე ცოდნის მწყობრი სისტემაა. ამ სისტემის შემადგენელი ელემენტებია: უწინარეს ყოვლისა, ფაქტიური მასალა, ისტორიულად დაგროვილი და ექსპერიმენტებით შემოწმებული, შემდეგ, ამ ფაქტებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე გამოყვანილი კანონები, ფორმულები და აქსიომები, ყოველივე ამაზე დაყრდნობით შემუშავებული მეცნიერული ჰიპოთეზები, ვარაუდები, და ბოლოს ზოგადი, თეორიული, ფილოსოფიური დასკვნები, — მსოფლმხედველობრივი ელემენტები.

აქედან გასაგებია, რომ, თუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა პარტიულობას უშუალოდ ამ მეცნიერებათა საგანი — კლასებისა და პარტიების ბრძოლა, მათი შეხედულებების ბრძოლა განსაზღვრავს, ბუნებათმეცნიერებათა პარტიულობას განსაზღვრავს არა საგანთა ბუნება, რაც არავითარ მიმართებაში არ არის კლასებისა და პარტიების ბრძოლასთან, არამედ თვით მკვლევარის მსოფლმხედველობრივი განსაზღვრულობა, მკვლევარის მსოფლმხედველობის პარტიული და კლასობრივი ხასიათი.

მაშასადამე, პარტიულობის შინაარსი მსოფლმხედველობრივი განსაზღვრულობაა, და რამდენადაც არ არსებობს მეცნიერული გარკვეული მსოფლმხედველობის გარეშე, ამდენად არ არსებობს მეცნიერება არაპარტიული. ყოველი მეცნიერება პარტიული ხასიათისაა.

მეცნიერების პარტიულობაზე მსჯელობისას გარკვევით უნდა ვიცოდეთ, რომ მეცნიერების პარტიულობა არ ნიშნავს მისი საგნის პარტიულობას. (გარდა მსოფლმხედველობისა, მორალისა და გემოვნებისა). მსჯელობა მეცნიერების საგნის პარტიულობაზე ლოგიკურად უაზრო და ფაქტიურად გაუმართლებელია, რადგან საზოგადობრივ მეცნიერებათა საგანი თვით პარტიებისა და მათი შეხედულებების ბრძოლაა. ხოლო ბუნებათმეცნიერებათა საგნებს — ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და სხვა პროცესებს არავინ მიაწერს პარტიულ ხასიათს. პარტიული ხასიათი არა აქვს ამ პროცესების შესახებ ცალკეულ ცოდნასაც კი. მაგალითად, არქიმედის, ნიუტონის,

[1] იქვე გვ. 437.

ლომონოსოვის, მენდელეევის და სხვათა კანონებს, ევკლიდესა და ლობაჩევსკის გეომეტრიას თანაბრად იყენებენ, როგორც რეაქციული, ისე პროგრესული კლასის წარმომადგენლები როგორც კაპიტალისტურ, კლასობრივ, ისე სოციალისტურ, უკლასო საზოგადოებაში.

არათუ ბუნებათმეცნიერებათა საგნებს არა აქვს კლასობრივი და პარტიული ხასიათი, არამედ ზოგიერთ ფილოსოფიურ მეცნიერებათა საგნებსაც კი. ავიღოთ, მაგალითად, ლოგიკის მეცნიერება. ლოგიკის საგანს: აზროვნების კანონებს, ცნების, მსჯელობებისა და დასკვნების ფორმებსა და წესებს არაფერი საერთოა არა აქვთ კლასებისა და პარტიების ბრძოლასთან. აზროვნების ლოგიკური ფორმები და კანონები ისევე ემსახურება ექსპლოატატორ კლასს, როგორც ექსპლოატირებულ კლასს. ასე არის ეს დღეს და ასე იყო ისტორიულად, კლასების წარმოშობისა და განვითარების მთელს მანძილზე.

ლოგიკა აზროვნების მსოფლმხედველობრივ გარკვეულობას როდი სწავლობს, რომ მის კლასობრივ და პარტიულ ხასიათზე შეგვეძლოს მსჯელობა. ლოგიკა სწავლობს აზროვნების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლოგიკურ გარკვეულობას, აზროვნების უნარის თავისებურებასა და კანონზომიერებას.

მსოფლმხედველობის განსხვავებას აზროვნების უნარისაგან პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლოგიკის საგნის არაპარტიულობის შესახებ მსჯელობისათვის.

თუ აზროვნების განვითარება საერთოდ წარმოებითა და საზოგადოებრივი ცხოვრებითაა განსაზღვრული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების კვალი ერთნაირად აჩნდეს აზროვნების უნარს და აზროვნების პროდუქტს. თუ საზოგადოების გათიშვა კლასებად და კლასობრივი ბრძოლა უშუალოდ აისახება აზროვნების პროდუქტის იმ ნაწილში, რომელიც მსოფლმხედველობას შეადგენს, კერძოდ, პოლიტიკურ, იურიდიულ, მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებში, სამაგიეროდ, ამ სახით, ასე უშუალოდ არ აისახება კლასობრივი ბრძოლა აზროვნების უნარის განვითარებაში, ცნების, მსჯელობებისა და დასკვნების ახალ-ახალი ფორმების ისტორიულ ჩამოყალიბებაში.

თუ აზროვნების პროდუქტს, მეცნიერული აზრის მიღწევებს კლასობრივ საზოგადოებაში უწინარეს ყოვლისა გაბატონებული კლასი იყენებს მისი ინტერესებისათვის, ასე როდი ითქმის აზროვნების უნარის შესახებაც. აზროვნების უნარი თანაბრად შეუძლია გამოიყენოს, დაჩაგრულმა კლასმაც, რამდენადაც ამ უნარის გამოყენება აზროვნების პროცესითვე ამოიწურება.

სულ სხვა საკითხია ის, რომ დაჩაგრულ კლასს ნაკლები დრო და საშუალებები აქვს აზროვნების უნარის გაშლის, გაღრმავებისა და განვითარებისათვის. მოვიგონოთ მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულება ამ საკითხზე. მეცნიერული სოციალიზმი შეიძლებოდა შექმნილიყო არა სტიქიურად და არა სახარატო დაზგასთან გვასწავლიდნენ ისინი, არამედ განათლებული ინტელიგენტების თავებში, რომლებიც მეცნიერული აზროვნებისათვის საკმაო დროისა და მინიმალური ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში შესძლებდნენ ობიექტურ — ისტორიული ვითარების სწორად ასახვას და საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივის მეცნიერულ წინასწარგანსჭვრეტას.

როგორც ვთქვით, ეს სრულიად სხვა საკითხია, რამდენადაც მეცნიერული მუშაობის პირობების სხვადასხვაობა როდი ჰქმნის სხვადასხვა კლასის მიერ აზროვნების ლოგიკურ ფორმათა სხვადასხვაგვარი გამოყენების შესაძლებლობას. აზროვნების ლო-

ზიკურ კანონებს, ფორმებსა და წესებს ზოგადსაკაცობრიო ხასიათი აქვთ. ისინი საყოველთაო მნიშვნელობის არიან ყველა კლასის ყველა ერისა და ყველა ქვეყნისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ შესაძლებელია აზრთა ურთიერთგაგებინება სხვადასხვა კლასის, სხვადასხვა ერისა და სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს შორის.

თარგმნის შესაძლებლობას ბოლო მოეღებოდა, რომ არ არსებობდეს აზროვნების ერთიანი საყოველთაო კანონები, ცნებების, მსჯელობების და დასკვნების ერთიანი საყოველთაო ფორმები. ამის ნათელი დადასტურებაა იდიომებისა და ანდაზების თარგმნის სიძნელე.

როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში მათ კი არ ვთარგმნით, არამედ შესატყვისს ვუძებნით. ეს იმით აიხსნება, რომ იდიომებსა და ანდაზებში კლასის, ერისა და ქვეყნის ისტორიული განვითარების სპეციფიკური გამოცდილებაა ფიქსირებული, ცნებათა სპეციფიკური შინაარსითა და ზოგჯერ, შეიძლება, სპეციფიკური ლოგიკური ფორმითაც კი. ამ სპეციფიკური ცნებებისა და ლოგიკური ფორმების თარგმნა მეტად ძნელია თუ სხვა ერს არ გააჩნია ასეთივე ან მსგავსი ისტორიული გამოცდილება, ასეთივე ან მსგავს ცნებასა და ლოგიკურ ფორმაში ჩამოყალიბებული (ამ დებულების გაშლა-დასაბუთება ამჟამად შორს წაგვიყვანს).

მაშასადამე, სრულიად ცხადია, რომ ის საგანი, რომელსაც ლოგიკის მეცნიერება შეისწავლის, ეხება საერთოდ ადამიანს და არა რომელიმე კლასისა ან პარტიის წარმომადგენელს. აქედან ცხადია, რომ წარმოუდგენელია ლაპარაკი ლოგიკის საგნის კლასობრივ და პარტიულ ხასიათზე.

მაგრამ როგორაა საქმე ლოგიკის მეცნიერების კლასობრიობისა და პარტიულობის მხრივ? აქ იგივე შეიძლება ითქვას, რაც ითქვა ბუნებათმეცნიერებათა პარტიულობაზე. მეცნიერებაზე მსჯელობა მხოლოდ მის საგანზე მსჯელობას როდი ნიშნავს. მეცნიერებაზე მსჯელობა ნიშნავს მეცნიერთა, ამ შემთხვევაში ლოგიკოსთა, შესახებ მსჯელობას მეცნიერების ისტორიაზე, ამ შემთხვევაში ლოგიკის ისტორიაზე მსჯელობას, მეცნიერების ისტორიაში სხვადასხვა მიმდინარეობებსა და თეორიების, ამ შემთხვევაში ლოგიკის ისტორიაში სხვადასხვა, კერძოდ, იდეალისტური და მატერიალისტური, მეტაფიზიკური და დიალექტიკური შეხედულებებისა და თეორიების ბრძოლაზე მსჯელობას. ყოველივე ეს კი სხვა არაფერია, თუ არა კლასებისა და პარტიების ბრძოლის თავისებური ასახვა.

თუ შესაძლებელია და ფაქტიცაა ბუნებათმეცნიერებათა მიღწევების იდეალისტური და მეტაფიზიკური ინტერპრეტაცია, ბუნებათმეცნიერებისა, რომელიც ორგანულად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევს ყოველგვარ იდეალიზმსა და მეტაფიზიკას, მით უფრო შესაძლებელია და ფაქტიცაა ლოგიკის საგნის იდეალისტური და მეტაფიზიკური ინტერპრეტაცია.

მაშასადამე, ასებითად ერთმანეთს უპირისპირდება არა სხვადასხვა კლასობრივი და პარტიული ლოგიკა, არამედ მეცნიერული და არამეცნიერული ლოგიკა. ერთსადაიმავე საგანზე სწორი, ჭეშმარიტი და არასწორი, არაჭეშმარიტი მოძღვრება.

ამა თუ იმ მეცნიერების ჭეშმარიტება იმით განისაზღვრება თუ რამდენად ეყრდნობა იგი ერთადერთ, მოწინავე, მეცნიერულ მსოფლმხედველობას — დიალექტიკურ მატერიალიზმს. საბჭოთა ლოგიკის მეცნიერება დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზეა

აგებული და ამით აიხსნება მისი ჭეშმარიტი, მეცნიერული ხასიათი.[1] რამდენადაც თანამედროვე ბურჟუაზიული ლოგიკის თეორიები არ ეყრდნობიან დიალექტიკურ მატერიალიზმს, ამდენად ისინი არ არიან მეცნიერულნი.

მდგომარეობა სრულიად ისეთივეა, როგორიც ბუნებათმეცნიერებათა მიმართ. მაგრამ ლოგიკის მეცნიერების შემთხვევაში აღნიშნავენ მთელ რიგ თავისებურებებსა და „სიძნელეებს" დიალექტიკასთან მიმართებაში. სიძნელედ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ როგორც ლოგიკა, ისე დიალექტიკა აზროვნებას სწავლობს, ორივე მეცნიერება აზროვნების თეორიაა.

ძალიან მოკლედ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მოჩვენებითია ყოველგვარი სიძნელე და ობიექტურად უსაფუძვლოა დავა ამ საკითხის გამო.

დიალექტიკისა და ლოგიკის საგნები სრულიადაც არ ემთხვევიან ერთმანეთს, ისევე როგორც არ ემთხვევიან ერთმანეთს ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის საგნები აზროვნების შესწავლისას.

დიალექტიკა სწავლობს აზროვნების მეთოდოლოგიურ - მსოფლმხედველობრივ არსს. ლოგიკა სწავლობს აზროვნების სისწორისა და თანამიმდევრობის სპეციფიკურ კანონებს. დიალექტიკა, დიალექტიკის ცოდნა, დიალექტიკური აზროვნება ისევე აუცილებელია ლოგიკის საგნის სწორი, ჭეშმარიტი ახსნა-დალაგებისათვის, როგორც აუცილებელია იგი ბიოლოგიის მეცნიერებისათვის და პირიქით, ლოგიკა, ლოგიკის ცოდნა, ლოგიკური აზროვნება ისევე საჭიროა დიალექტიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებისა და ახსნა დალაგებისათვის, როგორც საჭიროა იგი ბიოლოგიისათვის.

[1] აქ არ შევჩერდები იმაზე, რომ საბჭოთა ლოგიკის მეცნიერებაშიც, საბჭოთა ლოგიკოსების შრომებშიც ჰქონდათ და აქვს ადგილი მთელ რიგ დამახინჯებებს, შეცდომებს და უთანხმოებებს.

დიალექტიკის და ლოგიკის ერთიანობა [illegible] ლდება არა რაღაც [illegible] ტიკურ ფორმულებსა და დეფინიციებში, არამედ ობიექტური სინამდვილის შემეცნების ცოცხალ პრაქტიკაში, აზროვნების ცოცხალ პრაქტიკაში.

დიალექტიკასთან ასეთი მჭიდრო ორგანული კავშირი სრულიადაც ვერ სცვლის ლოგიკის მეცნიერების კლასობრიობისა და პარტიულობის საკითხს. ამ უკანასკნელზე მსჯელობა შეიძლება ზუსტად იმავე აზრით, როგორც ვმსჯელობდით ბუნებათმეცნიერებათა პარტიულობაზე.

ობიექტური სინამდვილის შესახებ ფაქტობრივი ცოდნის არაპარტიული ხასიათით აიხსნება ის, რომ მეცნიერებათა ისტორიული მემკვიდრეობის ათვისება მეცნიერებათა არსებობისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ფაქტი და როგორც კანონი, რომ წინა თაობის მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნა გამოსავალია ყოველი მომდევნო თაობის მეცნიერებისათვის. ეს ითქმის არა მარტო ბუნებათმეცნიერებათა შესახებ, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესახებაც. ამის თვალსაჩინო მაგალითია მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის დამოკიდებულება მარქსამდელ ფილოსოფიასთან, პოლიტიკურ ეკონომიასთან და სოციალიზმთან. მარქსსა და ენგელსს „მიაჩნდათ, — გვასწავლის დიდი სტალინი, — რომ მათი დიალექტიკური მატერიალიზმი წინაპერიოდის მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის, განვითარების ნაყოფია"[1] მარქსიზმი კრიტიკული გადამუშავება და

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. გვ. 31-32.

შემოქმედებითი ათვისებაა ყოველივე იმ პროგრესულისა და მოწინავესი, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია.

მეცნიერებაში რომ პარტიული და კლასობრივი მომენტების გარდა სხვა არაფერი იყოს, შეუძლებელი იქნებოდა ამ მეცნიერების გაღრმავება და განვითარება ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში. ასეთ შემთხვევაში არ იარსებებდა მეცნიერებათა ისტორია, მეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორია და ამის მაგივრად გვექნებოდა ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი მეცნიერულ - პარტიული თეორიებისა და შეხედულებების მექანიკური ჯამი.

მართალია, ერთნაირი არ არის ჩვენი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ მეცნიერებებთან და ბურჟუაზიულ ბუნებათმეცნიერებებთან, მაგრამ ეს განსხვავება პრინციპს როდი სცვლის. პრინციპი ერთია: მეცნიერული აზრის ყოველი პროგრესული მონაპოვარის გამოყენება და განვითარება. ხოლო სხვადასხვაობა ამ პრინციპის განხორციელებაში იმით არის გაპირობებული, რომ ძველ — საზოგადოებრივ მეცნიერებებიდან ძალიან ბევრი რამ არის . გადასაგდები, როგორც რეაქციული, ხოლო ბუნებათმეცნიერებიდან ბევრი რამ არის მისაღები და გამოსადეგი, როგორც ფაქტობრივი მასალა, როგორც ობიექტური სინამდვილის კონკრეტულ კანონზომიერებათა ასახვა.

ბურჟუაზიული ბუნებათმეცნიერების მიღწევებისადმი დამოკიდებულების შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, რაც წარმოების იარაღების შესახებ. როგორც უაზრო, მავნე და რეაქციული იყო შეხედულება „ტროგლოდიტებისა“, რომლებიც მოითხოვდნენ „კაპიტალისტური“ საწარმოო იარაღების მოსპობას და „სოციალისტური“ საწარმოო იარაღების შექმნას, ისევე უაზრო და მავნეა ტენდენცია ბურჟუაზიულ ბუნებათმეცნიერთა მიღწევების უგულებელყოფისა და იგნორირებისა.

უფრო მეტი შეიძლება ითქვას: დიდი ლენინი ლაპარაკობდა არათუ ბურჟუაზიულ ბუნებათმეცნიერთა მიღწევების გამოყენების აუცილებლობაზე, არამედ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაპოვართა გამოყენების შესაძლებლობაზეც კი. ლაპარაკობდა რა ბურჟუაზიულ ეკონომისტებსა და ფილოსოფოსებზე, ლენინი წერდა: „საერთოდ და მთლიანად პროფესორი-ეკონომისტები კაპიტალისტების კლასის სწავლული ნოქრები, ხოლო ფილოსოფიის პროფესორები— თეოლოგების სწავლული ნოქრები არიან და მეტი არაფერი.

მარქსისტების ამოცანა აქაც და იქაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდა შესძლონ ამ „ნოქრების“ მონაპოვართა შეთვისება და გადამუშავება (მაგ., თქვენ ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ ახალი ეკონომიური მოვლენების შესწავლის სფეროში, თუ ამ ნოქრების შრომები არ გამოიყენეთ), — ამავე დროს უნდა შ ე ს ძ ლ ო ნ მათი რეაქციული ტენდენციის მოკვეთა, შესძლონ თ ა ვ ი ა ნ თ ი ხაზის გატარება და ბრძოლა მტრული ძალებისა და კლასების მ თ ე ლ ხ ა ზ თ ა ნ“.[1]

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება ყოველი მეცნიერების მონაპოვარისადმი საერთოდ. მაგრამ კონკრეტულად ეს დამოკიდებულება ყოველთვის იმითაა განსაზღვრული, თუ როგორი ხასიათისაა ბურჟუაზიულ სწავლულთა „მეცნიერული აზრი“ ყოველ განსაზღვრულ ეტაპზე.

თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერებას უაღრესად რეაქციული, ანტისაზოგადოებრივი, ანტიხალხური ხა-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 14 გვ.437.

სიათი აქვს. თანამედროვე ამერიკასა და ინგლისში მეცნიერება და ტექნიკა მთლიანად ომის გამჩაღებელთა სამსახურშია ჩაყენებული. აღარაფერს ვამბობთ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესახებ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის შესახებ, რომლის ერთ-ერთი დანიშნულებაა მოწამლოს მშრომელი ხალხის შეგნება, მოამზადოს მასები ახალი, გამანადგურებელი ომისათვის, დანერგოს და გააღვივოს ომის ფსიქოზი, დაასაბუთოს მისი „ბუნებრივობა“ და „გარდუვალობა“, კაპიტალიზმის „სიმტკიცე“ და „ყოვლისშემძლეობა“.

ზედმეტიც არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეაქციულობის დასაბუთება. საქმე ეხება არათუ იდეოლოგიის, არამედ ბუნებათმეცნიერების რეაქციულობას. ბურჟუაზიული ბუნებათმეცნიერების რეაქციულობა დღეს არა მარტო იმაში გამოიხატება, რომ ისინი ცდილობენ იდეალიზმისა და რელიგიის, მეტაფიზიკისა და ხუცობის დასაბუთებას ბუნებათმეცნიერული არგუმენტებით, ე. ი. ბურჟუაზიული, რეაქციული იდეოლოგიის გამართლებასა და დაცვას, — არამედ იმაშიც, რომ ისინი იკვლევენ ადამიანთა მასობრივი გაჟლეტისა და საწარმოო ძალების განადგურების საშუალებებს. თანამედროვე ამერიკაში ათასობით სწავლული-ლაქიები მუშაობენ მომაკვდინებელი ბაქტერიების გამრავლების საშუალებებზე, ეპიდემიურ სნეულებათა გავრცელების გზებზე. ხალხი, მშრომელთა მილიონები—ეს მიაჩნიათ ამერიკელ აგრესორებს ყველაზე საშიშ მტრად და სწორედ ამიტომ მიმართავენ ისინი ხალხთა მილიონების ამოწყვეტის ბარბაროსულ საშუალებებს. ამერიკელ იმპერიალისტების ამ დანაშაულებრივ საქმეში ბრალი მიუძღვის ამერიკელ ბუნებათმეცნიერებსაც, რომლებმაც დაჰკარგეს არა მარტო მეცნიერისა და სწავლულის საპატიო ღირსება, არამედ ადამიანის ღირსებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება თავისი ბუნებით, თავისი მოწოდებით ადამიანის შრომის პირობების გაუმჯობესებას, მშრომელი ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოების პროგრესს უნდა ემსახურებოდეს. თანამედროვე ამერიკაში კი მეცნიერება მხოლოდ და მხოლოდ ომის, ხალხთა მასების ამოწყვეტის, ნგრევისა და განადგურების საქმეს ემსახურება. არასოდეს, არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში მეცნიერებას არ ჰქონია ისეთი რეაქციული და ანტისაზოგადოებრივი ხასიათი, როგორიც აქვს დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კაპიტალისტთა ინტერესებისადმი სამსახური განაპირობებს ბურჟუაზიულ ბუნებათმეცნიერთა არა მარტო მსოფლმხედველობრივ რეაქციულობას, არამედ მათი საკვლევო-სამეცნიერო მუშაობის რეაქციულობასაც. ასეთ მჭიდრო, ორგანულ კავშირშია პოლიტიკა მეცნიერებასთან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ცალკეული პროგრესული მოაზროვნეები და ბუნებათმეცნიერები. ისინი დღითიდღე სულ უფრო მეტად იმაღლებენ ხმას მეცნიერების მიღწევების რეაქციული მიზნებისათვის გამოყენების წინააღმდეგ. მაგრამ არადემოკრატიული, რეაქციული რეჟიმი ზღუდავს მათს არა მარტო პოლიტიკურ-პროგრესულ, არამედ წმინდა მეცნიერულ მოღვაწეობასაც კი.

ჭეშმარიტი, პროგრესული მეცნიერების სამშობლო და ნამდვილი თავშესაფარი არის ჩვენი უძლეველი ქვეყანა — დიდი საბჭოთა კავშირი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ვლინდება მეცნიერული აზრის ნამდვილი დანიშნუ-

ლება, მისი ნამდვილი მიზანი — მშრომელი ხალხის კეთილდღეობისადმი სამსახური, საზოგადოების პროგრესისადმი სამსახური. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იშლება მეცნიერების განვითარებისა და აყვავების უსაზღვრო პერსპექტივები, რის ერთ - ერთ მძლავრ ფაქტორს მისი კეთილშობილური მიზანი წარმოადგენს.

საბჭოთა მეცნიერების ერთადერთი დანიშნულებაა ბუნების ძალთა დამორჩილება და ხალხის სამსახურში ჩაყენება, ჩვენი საზოგადოების მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების მაქსიმალური გაუმჯობესება.

საბჭოთა საზოგადოებისადმი სამსახური, მშრომელი ხალხისადმი სამსახური აი, საბჭოთა მეცნიერების პარტიულობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპის არსებითი შინაარსი. ამაში მდგომარეობს არა მარტო მარქსისტული იდეოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა პარტიულობა, არამედ მარქსისტული ბუნებათმეცნიერების პარტიულობაც.

საბჭოთა მეცნიერების პარტიული ხასიათი ნიშნავს ბურჟუაზიული რეაქციული იდეოლოგიისა და მეცნიერების წინააღმდეგ დაუნდობელ შეურიგებელ ბრძოლას. საბჭოთა მეცნიერების პარტიულობა ავალებს ყოველ ჩვენს მკვლევარს, მეცნიერების ყოველ მუშაკს ამხილოს ბურჟუაზიულ იდეოლოგთა და მეცნიერთა თეორიების რეაქციული, ანტიმეცნიერული ხასიათი, დაიცვას და განავითაროს მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი.

საბჭოთა მეცნიერების პარტიულობის ამოცანა, მისი დაცვისა და განვითარებისამოცანა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს დიალექტიკური მატერიალიზმის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებას. დიალექტიკური მატერიალიზმი ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის შემოქმედებითი მოღვაწეობის თეორიული საფუძველია, აზროვნებისა და მოქმედების ერთადერთი მოწინავე ნამდვილი მეცნიერული თეორიაა, და, თავისთავად ცხადია, რომ მეცნიერი არ შეიძლება ეწოდოს იმ მკვლევარს, რომელიც ღრმად და საფუძვლიანად არ ფლობს მეცნიერული კვლევის ამ იარაღს.

საბჭოთა მეცნიერების ამოცანაა, არა მარტო დაუფლება მარქსისტული ფილოსოფიისა, არამედ მისი შემდგომი განვითარებაც. მარქსისტული ფილოსოფიის ერთ-ერთი პრინციპული თავისებურება სწორედ ისაა, რომ მისი გაღრმავება და განვითარება მხოლოდ „ფილოსოფოსთა“ ვიწრო წრის, მხოლოდ იდეოლოგიის მუშაკთა საქმე როდია. მარქსისტული ფილოსოფიის განვითარება ყოველი საბჭოთა მეცნიერის, ყოველი საბჭოთა მუშაკის, ყოველი შეგნებული კომუნისტის ამოცანაა.

საბჭოთა იდეოლოგიის, მეცნიერებისა და სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის გაღრმავებისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა საბჭოთა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, მეცნიერებისა და წარმოების ერთიანობა. მჭიდრო ურთიერთკავშირი და შემოქმედებითი თანამშრომლობა იდეოლოგიის, მეცნიერებისა და სამეურნეო-ორგანიზაციულ დაწესებულებებსა და მუშაკებს შორის, განაპირობებს და ხელს უწყობს თითოეული მათგანის განვითარებას, მთელი ჩვენი საზოგადოების განვითარებას.

შ ე ვ ა ჯ ა მ ო თ დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი:

1. მეცნიერებას, მეცნიერული აზრის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარმოების განვითარების პროცესში, საზოგადოების განვითარების პროცესში; მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ურთიერთკავშირი არის პირობა როგორც ერთის ისე მეორის გაღრმავებისა და განვითარებისა.

2. ბუნებათმეცნიერებათა ძირითადი შინაარსი არის მოძღვრება ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ბუნებრივი პროცესების შესახებ, რაც არ არის განსაზღვრული საზოგადოების ეკონომიური ბაზისით, ამ ბაზისის ცვლილებებით, ამდენად ბუნებათმეცნიერების დარგები არ წარმოადგენენ ზედნაშენურ კატეგორიას. მეცნიერების ამ დარგებს არა აქვთ ზედნაშენური ხასიათი.

3. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ძირითადი შინაარსი არის მოძღვრება კლასებისა და პარტიების ბრძოლის შესახებ, მათი პოლიტიკური, იურიდიული, მხატვრული, რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების ბრძოლის შესახებ, რაც განსაზღვრული და განპირობებულია საზოგადოების ეკონომიური ბაზისით, ამ ბაზისის ცვლილებებით, ამდენად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებს ერთგვარი ზედნაშენური ხასიათი აქვთ. მაგრამ ეს მეცნიერებანი საერთოდ და მთლიანად არ არიან ერთი რომელიმე ეპოქის, ერთი რომელიმე ფორმაციის ნაყოფი. ეს მეცნიერებანიც, ისევე როგორც ბუნებათმეცნიერებანი, მთელი ეპოქებისა და ფორმაციების მანძილზე ყალიბდებოდნენ და ამიტომ ისინი არ შეიძლება ზედნაშენებად გამოვაცხადოთ.

4. პარტიულობა როგორც ნიშანი შეიძლება მიეწეროს არა მეცნიერების საგანს (გარდა მეცნიერებათა ისეთი საგნებისა, როგორიცაა მსოფლმხედველობა. ზნეობა, გემოვნება და სხვა), არამედ თვით მეცნიერებას, საგანზე ცოდნის მთლიან სისტემას, რაშიაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლმხედველობრივ — მეთოდოლოგიურ მომენტებს. მეცნიერების პარტიულობა ეხება სწორედ ამ მსოფლმხედველობრივ მომენტს, და რამდენადაც არ არსებობს მეცნიერება მსოფლმხედველობრივი მომენტის გარეშე, ამდენადვე არ არსებობს მეცნიერება არაპარტიული. ყოველ მეცნიერებას პარტიული ხასიათი აქვს.

5. მეცნიერების პარტიული ხასიათი, მეცნიერების პარტიულობა ნიშნავს მის მიერ ამა თუ იმ კლასის ინტერესებისადმი სამსახურს, მეცნიერების მიერ ცნობიერად თუ არაცნობიერად ამა თუ იმ კლასის ინტერესების დაცვასა და გამართლებას, მეცნიერების მიღწევების ამა თუ იმ კლასის ინტერესებისათვის გამოყენებას.

6. ყოველი მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა მარქსისტული ფილოსოფიის ღრმად დაუფლება და მეცნიერული კვლევაძიების დაფუძნება მარქსისტული ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე.

7. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მეცნიერული აზრის განვითარების ყოველგვარი პირობები. საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისაკენ არის მიმართული მთელი ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი პარტიისა და პირადად დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ყურადღება.

მეცნიერების დიდი კორიფე ბრძენი ბელადი თავის გენიალური შრომებით ჩვენი მეცნიერების წინაშე შლის განვითარების უსაზღვრო პერსპექტივებს. სტალინური სიბრძნით შეიარაღებული ჩვენი მეცნიერება უმაგალითო წარმატებებს აღწევს ცოდნის თითქმის ყოველ დარგში. ამით მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას დიდი წილი შეაქვს მშვიდობისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

სქემატური მოთხრობები

პარმენ ლორია, საბავშვო მოთხრობები. აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1951 წ.

პარმენ ლორიას პროზას ერთი კარგი თვისება აქვს: მწერალი კარგად იცნობს იმ ადამიანებს, ვიზედაც სწერს. მის მოთხრობებში არის ცოცხლად, რეალისტურად დახატული სახეები. მათ აქვთ ჩვენი დროის ადამიანის თვისებები. ბევრი მოთხრობა აქტუალურ, სადღეისო თემაზეა დაწერილი.

ამას ვერ ეტყვით პ. ლორიას საბავშვო მოთხრობებზე. სარეცენზიო წიგნში მოთავსებულ სამ პატარა მოთხრობაში მთავარი მოქმედი გმირები ბავშვებია. მაგრამ მწერლის მიერ დახატული არც ერთი ბავშვი თავისი საქმით, მოქმედებით, აზროვნებითა და მეტყველებით ბავშვს არა ჰგავს. ამ მოთხრობაში ბავშვები ლაპარაკობენ მოზრდილის ენით, მაღალფარდოვნად, პათეტიკურად, ყალბად.

მკითხველს არ აღელვებს მოთხრობის გმირების ბედ-იღბალი, არ ხედავს აქ ისეთ ბავშვის სახეს, რომელსაც მიჰბაძავს, რომელიც შეიძლება მისთვის სამაგალითო იყოს, რომელსაც შეიყვარებს, რომელიც გაიტაცებს, რომლის კარგი გაახარებს. ვერ ნახავთ მოთხრობაში ცოცხალ, ცნობისმოყვარე ბავშვებს, რომლებიც გამსჭვალულნი არიან კეთილი გრძნობებით, რომლებიც წინ ისწრაფვიან, აქვთ თავისი ფიქრები და ოცნებები.

პარმენ ლორიას მოთხრობების ბავშვები იმდენს ტირიან, აფრქვევენ ცრემლებს, სენტიმენტალურად ეხვევიან ერთმანეთს, ოხრავენ და კვნესიან, რომ არ შეიძლება გაკვირვებული არ დარჩეს ნორჩი მკითხველი. განა ასეთი ამხანაგები ჰყავთ მათ? ასე არიან აღზრდილი ჩვენი ბავშვები?

აი, რამდენი ტირილი და ქვითინია ოცდაექვს გვერდიან მოთხრობაში „ჩემი უმცროსი და". დედას ვასო და თალიკო სევასტოპოლში მიყავს მამის სანახავად. ბებია მათ სადგურამდე მიაცილებს. „გამოთხოვებისას ცრემლი ვერ შეიკავა. სიტყვა ყელში გაეჩხირა და ქვითინი დაიწყო. მე და თალიკოც ავტირდით".

რატომ ქვითინებს ბებია. ბავშვებს ორი წლის უნახავ მამასთან ისტუმრებს. აქ სიხარული უნდა იყოს და არა სიტყვის ყელში გაჩხირვა, ქვითინი და ტირილი. მოთხრობის პირველი გვერდიდან დაწყებული ყოველ გვერდზე მეორდება ქვითინი და ცრემლები: „მე ცრემლებით ვპასუხობ"; „და თან ცრემლებს იწმენდს", „როცა ვტირი ან დაღონებული ვარ"; „ცრემლები მახრჩობს"; „მაშინ ტირილი დავიწყე"; „ხან კი ცრემლები წამსკდება და ავქვითინდები"; „მე ყელზე მოვეხვიე და ავქვითინდი"; „ძმებივით მოვეხვიეთ ერთმანეთს და ავტირდით"; „ამოვილაპარაკე და ცრემლები წამსკდა", „ცრემლებს აფრქვევს, როცა მეალერსება"; „ორივეს ცრემლები წაგვსკდა და ქვითინი დავიწყეთ"; „ნატალია პლატონოვნა ხმამაღლა აქვითინდა"; „ვტიროდით, ვკოცნიდით და ვეხვეოდით ერთმანეთს"; „სახეზე ავიფარე ხელი და ხმამაღლა ავქვითინდი"; „ქსენია ანტონოვნა ბავშვივით ქვითინებდა"; „ბევრი ვიფიქრე, ვინაღვლე, ვიტირე და ჩამეძინა"; „რამდენჯერ ერთად გვიტირნია გულამომჯდარი, ბავშვური გრძნობებით".

კიდევ შეიძლებოდა ასეთი ადგილების ამოწერა, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა დღეში ჩააყენა მწერალმა თავისი გმირები. იგი მათ ატირებს, აფრქვევინებს ცრემლებს და აკვნესებს ყოველგვარ მიზეზის გარეშე.

ვასოს და თალიკოს მამა ჯარში მსახურობს. გემი, რომლითაც ბავშვები მგზავრობენ, სევასტოპოლში ღილით ჩადის. ეს ის ღილაა, ჩვენს ქვეყანას ფაშისტური გერმანია რომ დაესხა. იღუპება ვასოს და თალიკოს დედა. მძიმედ დაჭრილი ვასო საავადმყოფოში მოვა გონზე. მას სახე დაზამხინჯია, დაკარგა მეტყველება. იგი საავადმყოფოში მყოფ სხვა ბავშვებთან ერთად ღრმა ზურგში მიყავთ. ვასომ არ იცის, რა დაემართათ დედას და თალიკოს. სწუხს, ხშირად ტირის, მაგრამ მისი პატარა მეგობარი ვალოდია და აღმზრდელი ნატალია პლატონოვნა ანუგეშებენ.

როგორც ავტორი წერს, მტრის თვითმფრინავები ღრმა ზურგშიაც შეიჭრნენ. დაბომბეს უპატრონო ბავშვთა სახლი. დაიჭრა ვალოდია. ვასო მარტო დარჩა, რადგან მისი ტოლები, „როგორც მუნჯთან საერთოს ვერაფერს პოულობდნენ". ვასომ გული არ გაიტეხა, საქმე გაიჩინა. ნატალია პლატონოვნას შეეცალა პატარების მოვლაში.

„ნატალია პლატონოვნას ერთგული თანაშემწე გავხდი, — ჰყვება შვიდი წლის ვასო. — და

მასთან ერთად ვუვლიდი პატარებს. შემიყვარდა პატარები. განსაკუთრებით ერთი პატარა გოგონა გახდა ჩემი სათაყვანებელი. რატომღაც ის თალიკოს მივამსგავსე და მუდამ მასთან ვიყავი. ისიც არ მშორდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მე უენო ვიყავი, ჩემთან ყოფნას არჩევდა.

ასე მიდიოდნენ ზამთრის სუსხიანი დღეები".!!!

ერთ საღამოს პიონერხელმძღვანელი გაზეთს უკითხავს ბავშვებს. გაზეთში დაბეჭდილია ვასოს მამის სურათი. იგი საბჭოთა კავშირის გმირია. მამის სურათის ნახვა ისე კარგად იმოქმედებს ბავშვზე, რომ ერთ თვეში აიდგამს ენას. ვასო მალე თალიკოსაც იპოვის. იგი ვინმე ქსენია ანტონოვნას აღუზრდია თავის შვილთან კოლიასთან ერთად. სოფლიდან ჩამოდის ვასოს ბებია. ვასო, თალიკო და კოლია სოფელში მიყავს. ვასოს სოფელში ჩამოდის კოლიას დედაც და საბავშვო ბაღის გამგედ ეწყობა. ჯარიდან დაბრუნდა ვასოს მამა. მას მთელი ოჯახი სევასტოპოლში მიყავს ცოლის დაღუპვის ადგილის სანახავად. „მეორე დღეს ბებია და ქსენია ანტონოვნა მხიარულად გავაცილეთ. ნავი, რომელშიაც ისინი ისხდნენ, ნელა მისრიალებდა ზღვაში და მოშორებით გაჩერებულ გემისკენ მიიწევდა. იმავე საღამოს მამაჩემი გაემგზავრა სამსახურის ადგილას და ჩვენ მშობლიური სიყვარული და კეთილი სურვილები დაგვიტოვა". ასე მთავრდება მოთხრობა.

მოთხრობებში ყველა ხასიათი მზამზარეულადაა მოცემული. არ ხდება მათი განვითარება. ისინი ერთმანეთთან მექანიკურად არიან დაკავშირებულნი. არც ერთი ეპიზოდი ერთმანეთისაგან არ გამომდინარეობს. რომელი ეპიზოდიც არ უნდა ამოიღო მოთხრობიდან, ამით არაფერი არ შეიცვლება მოთხრობაში. არავითარი გამართლება არა აქვს ქსენია ანტონოვნას ვასოს სოფელში გადასახლებას. რატომ დასჭირდა ეს ავტორს, როცა ქსენია ანტონოვნას მშობლიურ ქალაქს სჭირდება აღდგენა, მუშახელი, რატომ მიდის ამ ქალაქის მკვიდრი სხვაგან სამუშაოდ და არ რჩება თავის ქალაქში? რატომ დაიკარგა თალიკო?

ჩვენ ზემოთ ითქვით, რომ პარმენ ლორიას მოთხრობის ბავშვები თავისი საქმით, მოქმედებით, აზროვნებით და მეტყველებით არ გვანან ბავშვებს. აი როგორ ლაპარაკობს შვიდი წლის ვასო, მოთხრობის მთავარი გმირი.

„ბედნიერი ვიყავი ამ დროს. ჩემს გვერდით იდგნენ თალიკო, მარინა და კოლია. იქვე მახლობლად გაშლილიყვნენ ჩვენი თაობის ადამიანები, ჩვენი ტოლები და მეგობრები. ვიდექი ამაყად, მხნედ, ვიხედებოდი წინ, ხვალინდელი და მომავალი დღეებისაკენ. მშამდა, რომ მალე კიდევ მრავალი ძვირფასი წუთი დამიდგებოდა. ჩვენი საყვარელი სამშობლო მიწა-წყალზე შევხვდებოდი კიდევ მრავალ დასა და ძმას, რომლებთანაც ბევრ ავსა და კარგ დღეებს გავიარ-გამოვიარ. [illegible] ... ეს კიდევ: „ამდენი ბავშვის ერთად დანახვამ წარსული მომაგონა, ჩვენი ბანაკი, ჩვენი ამხანაგები, ნაცნობი სახეები, კარგა ხანია, გადავეჩვიე ისეთ ცხოვრებას, მაგრამ გული რატომღაც მაინც ამხანაგებისაკენ, ერთად ყოფნისა და კოლექტიური ცხოვრებისაკენ მიმიწევდა".

„დიდხანს ვიარეთ და როგორც იქნა, ვიპოვეთ ის ადგილი, სადაც (ასე გვითხრეს იმ შემთხვევის მომსწრეებმა) დედაჩემი უნდა ყოფილიყო დასაფლავებული იმ დღეს დაღუპულებთან ერთად. მაგრამ ღრმა ორმოებისა და საომარი იარაღების ნამსხვრევების გარდა არაფერი დაგვხვდა.

მიცვალებულებისათვისაც დაენგრიათ უკანასკნელი თავშესაფარი.

— აი ომი, აი მისი ნამოქმედარი, — ვამბობდი მე გულში, როცა იმ სურათს ვხედავდი".

ასეთი ენით ყვება პატარა ვასო მთელ მოთხრობას.

სქემატური მოთხრობაა „ბანაკში გატარებული დღეები". ამ მოთხრობასაც მთავარი გმირი გვიამბობს. აჭარელი გოგონა ნინეზა მოგვითხრობს, თუ როგორ გაატარა მან ერთი ზაფხული პიონერთა ბანაკში. ნინეზა მშობლების ერთადერთი შვილია, მას ანებივრებენ. ყოველწელიწადს აგარაკზე მიყავთ. ენატრება ერთი ზაფხული მაინც გაატაროს პიონერთა ბანაკში. „რომ არ დამეკინებია, ჩემი მშობლები წელსაც არ გამიშვებდნენ". ნინეზა ჩამოდის ბანაკში. „მესამე დღეა, ბანაკში ვარ. საუკუნედ მეჩვენება ეს დრო" ჰყვება ნინეზა და განაგრძობს: „ადამიანი ტყვეობასაც ეჩვევაო, ბებიასაგან გამიგონია. ნელ-ნელა ვეჩვევი აქაურ რეჟიმს". „ოჰ, როგორ მომბეზრდა აქაურობა!" მწერალს უნდა დაგვიხატოს განებივრებული, თვითნება, უდისციპლინო ბავშვის სახე. მაგრამ ავტორი ვერ ახერხებს ამას. ეტყობა იგი საკმაოდ კარგად არ იცნობს სკოლისა და პიონერთა ცხოვრებას, თორემ განა შეიძლება საბჭოთა სკოლაში, პიონერთა ორგანიზაციაში აღზრდილ ბავშვს ტყვეობად ეჩვენებოდეს პიონერთა ბანაკში გატარებული პირველი სამი დღე?

მოთხრობა თითქოს კარგად იწყება, თითქოს ნინეზას სახე საინტერესოდ და ცოცხლადაა დახატული. ნინეზა ჯიუტია. არ აპატიებს თუ ვინმე შეეკამათება, არ დაუთმობს სხვას ცამდე მართალიც რომ იყოს. შეიჯავრებს ყველას, ვინც მისი აზრის საწინააღმდეგოს იტყვის. ერთხელ ბანაკში ბავშვები მთების სიმაღლის შესახებ ლაპარაკობდნენ. ნინეზამ თქვა ყაზბეგი იალბუზზე მაღალია. მაგრამ გურამი, რომე-

ლიც მთელს ბანაკში ყველაზე ტკბილმოუბარი და მიმზიდველი ბავშვია, არ დაეთანხმა ნინეზას, იალბუზია ყაზბეგზე მაღალია. ნინეზამ ამის გამო შეიძულა გურამი, იგი მას უზრდელად მოექცა, დასწყევლა. ნინეზას თვითონაც არ მოსწონს თავისი საქციელი. „გადავწყვიტე შევიცვალო ზნეს-მეთქი, შევეცდები სხვაგვარად მოქცევას, მაგრამ ვერ ვახერხებ". იმისათვის, რომ ნინეზამ ეს მოახერხოს, მწერალი მას ბანაკიდან გააპარებს, წაიყვანს მდინარეში საბანაოდ. აქ მორევში მოექცევა, მაგრამ გურამი გადაარჩენს. გურამს ამ „გმირული" თავგანწირვის დროს ფეხი დაუზიანდება. ის თბილისში მიყავთ და საავადმყოფოში აწვენენ. აქ იწყება ნინეზას სინდისის ქენჯნა, იგი ურიგდება გურამს.

ამ მოთხრობის ცოცხალი მარცვალი ვერ განავითარა ავტორმა. ნინეზას ხასიათი ყალბი, არადამაჯერებელია. როგორც პირველ მოთხრობაში ვასო, აქაც არც ნინეზა ჰგავს ბავშვს. დაეუგდოთ მას ყური: „ბავშვობიდანვე ვგრძნობდი უპირატესობას სილამაზით და ერთ-ერთი მიზეზთაგანი ესეც იყო ჩემი ზეიმეტი თავმოყვარეობისა და ამაყობისა. რამდენი მეტი შემაქებდა, რამდენი უცნობი თვალი მოიხიბლებოდა ჩემით, იმდენად იზრდებოდა ჩემში სიამაყე. სწავლის წარმატებაშიაც კი მიშლიდა ხელს ჩემი სილამაზის შეგრძნება, და მიუხედავად კარგი ნიჭისა საშუალოსნობას ვერ ავცდი".

შედარებით უკეთესადაა დაწერილი მესამე მოთხრობა „იმ ხევს იქით". ამ მოთხრობაში მწერალი გვიჩვენებს, თუ რა სიღატაკეში და გაჭირვებაში ცხოვრობენ ოსმალეთის მიწაზე ქართველი მუსულმანები. კარგად აქვს მწერალს დახატული ობოლი ბავშვი ხემიდი, მემამულე სელიმ-აღა და მისი მოჯამაგირე მამუდი.

არც ეს მოთხრობა არის დაზღვეული ნაკლისაგან. მოთხრობის იდეა მისი სიუჟეტის განვითარებისა და მოქმედ პირთა ხასიათიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ პუბლიცისტურ მსჯელობებში და რემარკებში ვლინდება.

მწერალი დაუდევრად ეკიდება ენას. განა შეიძლება ეპატიოს ვინმეს ბავშვისათვის ასე წერა: „მე მერვე წელში გადავდექი. ვალოდია ჩემზე ცოტათი უფროსია. სხვებიც ასე არიან ერთმანეთთან წლოვანებით"; „ძნელი დარჩა ჩვენთვის ერთმანეთის დაშორება"; „მეჯავრება, მაგრამ რატომღაც სამაგიეროს ვერ ვღებულობ მისგან"; „თუმცა ამხანაგები გაგიჟებული არიან მისით".

პარმენ ლორიას შეუძლია წეროს ბავშვებისათვის, მაგრამ მეტი პასუხისმგებლობით და სიყვარულით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს.

გ. ხეთელი.

კარგი თარგმანი და ცუდი ფინასიტყვაობა

გ ო ე თ ე. „ლექსები თარგმნილი ხ. ვ ა რ დ ო შ ვ ი ლ ი ს მიერ. „საბჭოთა მწერალი" 1952 წელი

★

გერმანიის კომუნისტების ბელადი ერნსტ ტელმანი თავის უკანასკნელ წერილში, რომელიც მან ციხიდან გაუგზავნა მეგობარს 1944 წლის იანვარში, წერს: „ხასიათით მტკიცენი და ერთგულნი, დარწმუნებულები გამარჯვებაში, მხოლოდ ასეთებს შეგვიძლია შევატრიალოთ ჩვენი ბედი და შევასრულოთ ჩვენი რევოლუციური მოვალეობა" — და იქვე მოყავს გოეთეს სიტყვები „ფაუსტიდან" — „მხოლოდ ის არის ღირსი სიცოცხლისა და თავისუფლების, ვინც მზადაა ამისათვის ყოველდღე ჩაებას ბრძოლაში".

ტელმანი მოუწოდებს ამხანაგს გამოიჩინოს ისეთი სულიერი სიმტკიცე, როგორსაც მოითხოვდა გოეთე თავისუფლებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

თავისთავად ეს ფაქტი, რომ გერმანიის პროლეტარიატის ბელადს, მრავალწლეს ციხეში გამოკეტილს, გოეთეს სიტყვები საბრძოლველად აღაფრთოვანებდა, მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად ახლოა გოეთე დღესაც თავისი მებრძოლი, ოპტიმისტური განწყობილებებით კაცობრიობის მოწინავე, პროგრესულ ნაწილთან, რამდენად ახლოა იმათთან, ვინც ბნელეთის მოციქულობისა, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ იბრძვის.

თანამედროვე ბურჟუაზიული კრიტიკა არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ გააყალბოს გოეთე. იმპერიალისტური ამერიკის მეხოტბეები ცდილობენ გამოაცხადონ დიდი გერმანელი პოეტი უსამშობლო კოსმოპოლიტად, „ოლიმპიელად", რომელსაც თითქოს რეალური სინამ-

დვილე არ აინტერესებდა და მაღლიდან დასცქეროდა ყოველდღიური ცხოვრების ჭირვარამს. აქედან ცხადია მათი რეაქციული განზრახვა — მოსწყვიტონ გოეთე ხალხს და ნაციონალურ საფუძველს.

მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკა მოწოდებულია იმისათვის, რომ ღირსეული ადგილი მიუჩინოს გოეთეს მსოფლიო ლიტერატურაში და გამანადგურებელი პასუხი გასცეს მწერლის შემოქმედების ყოველგვარ დამახინჯებას. საბჭოთა კრიტიკოსს ამაში უდიდეს დახმარებას უწევს ფ. ენგელსის სახელმძღვანელო შენიშვნები გოეთეს შემოქმედების შესახებ.

სარეცენზიო წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის გ. ნადირაძის ვრცელი წინასიტყვაობა. მის მნიშვნელობას ზრდის ის, რომ ამ საკითხზე ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება. წინასიტყვაობამ უნდა შეუქმნას მკითხველს და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას სწორი წარმოდგენა გოეთეს შემოქმედების შესახებ, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი ამ მოწოდებას ვერ პასუხობს.

ავტორს, მართალია, მოყავს ფ. ენგელსის ციტატა გოეთეს შემოქმედების ორმაგი ხასიათის შესახებ, მაგრამ ვერ გაუგია მისი აზრი. როგორც ცნობილია ენგელსი აღნიშნავს რომ „გოეთე, თავის ნაწარმოებებში, ორმაგად ეპყრობა თავისი დროის გერმანულ საზოგადოებას"; იგი ხან ამბოხებულია ამ საზოგადოების წინააღმდეგ და ცდილობს გაექცეს მას, ხან კი პირიქით, ურიგდება. „ამრიგად, — ამბობს ენგელსი — გოეთე ხან კოლოსალურად დიდია, ხან წვრილმანი, ხან დაუშორჩილებელი, დამცინავი, ქვეყნის მოძულე გენიოსია, ხან კი ფრთხილი, ყველაფრით კმაყოფილი, ვიწრო ფილისტერი"...

ამის მიხედვით გ. ნადირაძე ორად ყოფს გოეთეს შემოქმედებას: პირველი „ქარიშხლისა და შეტევის" პერიოდი და მეორე — „ვაიმარის პერიოდი". ის წერს: „ვაიმარიდან იწყება გარდატეხა გოეთეს მსოფლმხედველობაში: იგი თანდათან შორდება „ქარიშხლისა და შეტევის" რევოლუციურ განწყობილებებს და ურიგდება იმ სინამდვილეს, რომელსაც აქამდე თავს ესხმოდა". (XIV).

აქედან ჩანს, რომ ავტორი „ქარიშხლისა და შეტევის" პერიოდს მაღლა აყენებს შემდგომ პერიოდთან შედარებით.

როცა ენგელსი ლაპარაკობს გოეთეს შემოქმედების ორმაგი ხასიათის შესახებ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გოეთე ერთ პერიოდში გენიოსი იყო, ხოლო მეორეში — ფილისტერი. გოეთე გენიოსი და ფილისტერი იყო ერთ-და-იმავე დროს და ერთ-და-იმავე ნაწარმოებებში. იგი ერთის მხრივ „ამბოხებულია ამ საზოგადოების წინააღმდეგ, როგორც გოცი, პრომეთე და ფაუსტი", — ამბობს ენგელსი. აქ სულ სხვადასხვა პერიოდის ნაწარმოებებს გგია რებია დასახელებული), მეორეს მხრივ. თვით ამ ნაწარმოებებშივე გვხვდება შემარიგებლობისა და ფილისტერობის ნიშნები.

აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ მწერლის შემოქმედება ყოველთვის იყო წინააღმდეგობრივი, მაგრამ იგი არსებულ სინამდვილეს მთლიანად არასოდეს არ შერიგებია, როგორც ჰგონია გ. ნადირაძეს.

გ. ნადირაძეს რომ ამ საკითხზე სწორი წარმოდგენა არა აქვს, ჩანს იქიდანაც, რომ იგი ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს. „ვაიმარის არისტოკრატიული საზოგადოება სულს უხუთავდა გოეთეს" (XVIII) წერს იგი. ამავე დროს სხვა ადგილას აღნიშნავს „ვაიმარში მიღწეული სულიერი სიმშვიდეს" (XVII). თუ „სულს უხუთავდა" სულიერ სიმშვიდეს როგორ მიაღწია?

საბჭოთა კრიტიკოსის მოვალეობაა გვაჩვენოს გოეთეს შემოქმედებაში ის მებრძოლი და პროგრესული, რის შესახებაც ლაპარაკობს ენგელსი. და აგრეთვე ისიც, თუ რაში გამოიხატება მწერლის ფილისტერობა და შემარიგებლობა. მაგრამ პასუხს ამ კითხვებზე ამაოდ დაუწყებთ ძებნას გ. ნადირაძის წერილში.

ნაცვლად იმისა, რომ გაარჩიოს ამათუიმ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული მხარე, გ. ნადირაძე წერს იმის შესახებ, თუ ვინ უყვარდა ან ვინ სძულდა გოეთეს ნაწარმოების დაწერის დროს. აი, ერთ-ერთი მაგალითი: „რომაული ელეგიების" შინაგანი ფორმა სრულიად განსაკუთრებულია მსოფლიო ლირიკაში... საკმარისია ჩავუკვირდეთ სატრფიალო ჰანგს, რომელშიაც ერთმანეთზე გადაჭდობილან რომაელი ფაუსტინას და ქრისტინა ვულპიუსის სახეები. პირველი გოეთეს წუთიერი გატაცების საგანი იყო, მეორე კი — მისი ღრმა სიყვარული, რომელიც ქორწინებით დამთავრდა". (XX).

ეს „რომაული ელეგიების" შინაგანი ფორმის „სრულიად განსაკუთრებული" ახსნაა.

გ. ნადირაძეს სხვა ხასიათის შეცდომაც აქვს. ის წერს: „თანამედროვეობიდან გაქცევის მიუხედავად „რომაული ელეგიებში" მაინც თავს იჩენს პოეტის მისწრაფება ადამიანურისადმი". აქვე გ. ნადირაძე უცნაურ აზრს გამოთქვამს: „რომაული ელეგიები" ხიბლავენ მკითხველს უწინარეს ყოვლისა თავისი წარმართული, ესე იგი ადამიანური შეგრძნობებით". (XIX). გამოდის, რომ ადამიანური ყოფილა მხოლოდ წარმართული და გოეთეც მისკენ მიისწრაფოდა „თავისუფლება ხელოვნებისა რელიგიის არტახებისაგან" (ფ. ენგელსი) სრულიად არ ნიშნავს

წარმართულისაკენ მისწრაფებას. სადაც გოეთეს შემოქმედება რელიგიისაგან თავისუფლდება, იქ თავს იჩენს არა მისი „წარმართობა“, არამედ გოეთეს დიდი ჰუმანიზმი.

კიდევ მეტ შეცდომას შეიცავს შემდეგი მსჯელობა: „ვაიმარი... არ აძლევდა მწერალს სწორედ იმას, რაც ესოდენ აუცილებელია შემოქმედებისათვის — ეროვნულ და საზოგადოებრივ ნიადაგს. ვაიმარში მიღწეული სულიერი სიმშვიდე... სწორედ ამ მაცოცხლებელი ნიადაგიდან განდგომით იქნა მოპოვებული“ (XVII). ეს აზრი არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, რასაც დღეს გაჰყვირიან ბურჟუაზიული კრიტიკოსები გოეთეს კოსმოპოლიტიზმისა და ეროვნული ნიადაგის უქონლობის შესახებ.

გ. ნადირაძეს არ აინტერესებს ნაწარმოების იდეურობისა და აქტუალობის საკითხი. იგი უთავბოლო მსჯელობებით უმასპინძლდება მკითხველს იმის შესახებ, რომ გოეთეს „დაუცხრომელი ძიების სული... მიმართულია ლირიკული პოეზიის საიდუმლოების ამოკითხვისაკენ“. საინტერესოა, რა „საიდუმლოებაა“ ეს?

წინასიტყვაობაში ვერსად ვერ ნახავთ დახასიათებას გერმანიის მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობისას, რომელმაც განსაზღვრა გოეთეს შემოქმედების ორმაგი ხასიათი. არსად არაა დანახული ის კავშირი, რაც არსებობს ნაწარმოებსა და იმ სოციალურ გარემოს შორის, რომელშიაც იგი იქმნება.

რაც შეეხება გოეთეს ლექსების თარგმანებს, აქაც უნდა გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის პირველი გამოცემის გამო „მნათობში“ (1948 წ №4) დაიბეჭდა რეცენზია, სადაც მრავალი, სწორი კრიტიკული შენიშვნა იყო გამოთქმული როგორც წინასიტყვაობის, ისე თარგმანების შესახებ, მაგრამ არც რედაქტორს და არც მთარგმნელს ანგარიში არ გაუწევიათ ამ სამართლიანი კრიტიკისათვის. გასწორებულია მხოლოდ ერთი ადგილი „კორინთოელი დანიშნულიდან“, სადაც Venus Tempel-ის მაგივრად „ღვთის მშობლის ტაძარი“ ეწერა.

გოეთეს ნაწარმოებთა თარგმნა მეტად პასუხსაგები და ძნელი საქმეა. პოეტს. ხ. ვარდოშვილს დიდი შრომა გაუწევია იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მიეცეს გაეცნოს ამ უდიდესი პოეტის შემოქმედებას.

თარგმანები ძირითადად კარგადაა შესრულებული. ზოგიერთი თარგმანი განსაკუთრებით გამოირჩევა, მაგალითად: „ქრისტელ“, „ბელინდასადმი“, „მთვარისადმი“, „კორინთოელი დანიშნული“ და სხვ. აქა-იქ გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამო ადგილი. მაგალითად ლექსში: „განშორება“ ვკითხულობთ: „ცივდება ბაგე ცეცხლით გზნებული“. საიდან გაჩნდა „ცეცხლით გზნებული“? გოეთე სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ განშორების ჟამს შენი ბაგეები ცივი იყო: „Kalt der Kus von deinem Munde“.

ზოგი ლექსის თარგმანში ორიგინალის მხატვრული საღებავები ხშირად იკარგება, გვხვდება გაიოლებული სტრიქონები. მაგ. ლექსში „შეხვედრა და განშორება“ ვკითხულობთ: „ცრემლით აგევსო თვალი ვნებული“. ორიგინალში არც „ცრემლია“ და არც „ვნებული“. ლექსი „მინდვრის ვარდი“ ისეთი პოეტური ქმნილებაა, რომ მის გადმოსათარგმნად დიდი სიფრთხილეა საჭირო. „მოწყვეტა“ არ გადმოსცემს ზმნა Brechen-ის აზრს, რაც მსხვრევას ნიშნავს, ამიტომ სტრიქონი „და მოსწყვიტა ბიჭმა ვარდი“ ვერ გადმოგვცემს ორიგინალს: Und der Wilde Knabe brach“. აქ აღნიშნულია, რომ ბიჭი უხეშად მოექცა ვარდს, ამიტომ არ შეიძლება გამოვტოვოთ სიტყვა wilde.

ლექსში „შორეულისადმი“ ცუდად ისმის „მაშ შენი ბგერა, გულის საამო, მარად რად მესმის შვების მთოველი?“ იქვე, მეორე ტაეპის შინაარსი არაა გასაგები: არ ჩანს, რომელ მომღერალზეა ლაპარაკი, ვის ეძებს მგზავრის მზერა. ან რატომ „ტლუ მგზავრია“.

„მგზავრის ღამეულ სიმღერაში“ — „შავი ბურუსი ტყეს ეფინება“ არ გამოდგება, უფრო ცუდია „დაიცა, მალე დაგეძინება“. „დაძინებას“ გოეთე არსად არ ახსენებს და არც გულისხმობს.

ზოგჯერ შინაარსი მეტად არეულია, მაგალითად, მკითხველი ვერაფერს ვერ გაიგებს შემდეგი სტრიქონებიდან: „მე მაგონდება რიჟრაჟები ფირუზ ზეცისა, სადაც გვალხენდა სპეტაკ თრთოლვით აღსავსე ველი, და შემდეგ, შრომის სიმძიმეში გალეულ დღისა ჩამავალი მზის ელვარება უკანასკნელი“. („ტრილოგია ვნებისა“). ზეცაში რა უნდა ველს? როგორ შეიძლება ველი იყოს თრთოლვით აღსავსე, ან თრთოლვა სპეტაკი? შემდეგ ამავე ლექსში წერია: „როცა ციმციმებდა ნეტარი წუთი“. წუთის ციმციმი როგორღა შეიძლება. ან ასეთი გამოთქმები: „თვითმოთნეობას (?) მყისვე ადნობს“, „თნების მზრახველი“, „ყრმობის სხივთა მფრქვეველი“.

„Mich treibt umherein unbezwinglich“ თარგმნილია „მოუთმენლად მაწრიალებს ოცნება მტკნარი“. ლექსში „მომღერალი“ არის ასეთი სტრიქონი: „ტურფა ქალბატონთ დიდება წრფელი“. დიდება როგორ შეიძლება წრფელი იყოს. იმავე ლექსის შემდეგი სტრიქონები: „Ich singe, wie der Vogel singt, Der in den zweigen wohnet“, ასეა თარგმნილი: „მე ჩემთვის ვიმღერ, როგორც ფრინველი, ნების მსახური მარტოდენ ღმერთის“. საიდან გაჩნდა აქ „ღმერთი“? ლექსში

„მანუგეშებელი ცრემლი„ erleichtern არის შემსუბუქება და არა „განათლება“. ლექსში „ტბაზე“ der kahn — ნავი რატომღაც თარგმნილია ხომალდად და სხვა.

მიუხედავად ამისა, კრებულის მნიშვნელობა მეტად დიდია, რადგან იგი ქართველ მკითხველს აცნობს გოეთეს ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს.

გიორგი გოგოლაური.

საქართველოს არქეოლოგიის პოპულარული ნარკვევები.

გ. ლომთათიძე. წინაპართა ნაკვალევი. საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები. საბლიტგამი. 1952 წ.

★

არქეოლოგ გიორგი ლომთათიძის მეცნიერულ-პოპულარული წიგნი: „წინაპართა ნაკვალევი“ შეიცავს ჩვენი სამშობლოს მიწაწყალზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და აღმოჩენათა მიმოხილვას და, ამას გარდა, ზოგად ცნობებს არქეოლოგიიდან.

ასეთი წიგნის საჭიროება ჩვენში კარგა ხანია იგრძნობოდა. საქართველოს სიძველეთა შესწავლა, რომელიც უკვე XIX ს-ის პირველი ნახევრიდან დაიწყო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა, მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დამკვიდრდა და სისტემატური ხასიათი მიიღო. ამ მუშაობის შედეგებმა ნათელი შუქი მოჰფინა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიას, გადაგვიშალა ბევრი სრულიად უცნობი ფურცელი და ბევრი პრობლემა სრულიად ახლებურად დასვა. თრიალეთისა და მცხეთის შესანიშნავი ნივთების აღმოჩენამ დიდად გააფართოვა ქართული ნივთიერი კულტურის ისტორიის მანამდის ცნობილი ფარგლები და ხელოვნების ისტორიკოსების წინაშეც ახალი ამოცანები წამოჭრა.

დამახასიათებელია, რომ არქეოლოგიური მუშაობა საბჭოთა საქართველოში დიდი სამამულო ომის მძიმე წლებშიაც არ შეწყვეტილა. იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ფაშისტები ხელოვნების უდიდეს ძეგლებს ბარბაროსულად ანადგურებდნენ, არმაზის-ხევსა, ბაგინეთსა და კლდეეთში ჩვენი არქეოლოგები სამშენებლო ხელოვნებისა და ოქრომჭედლობის შესანიშნავ ნიმუშებს ავლენდნენ.

ამ 10 — 15 წლის განმავლობაში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად დიდძალი მასალა დაგროვდა. ამ მასალიდან დღესდღეობით მცირე რამ არის გამოქვეყნებული. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი ფართო საზოგადოებისათვის უმთავრესად პერიოდული პრესის ინფორმაციითაა ცნობილი. არსებობს რამდენიმე სპეციალური გამოკვლევაც. მაგრამ მეტად მცირეა პოპულარული ლიტერატურა ამ საკითხზე. ამავე დროს პოპულარული წიგნები საქართველოს არქეოლოგიის შესახებ აუცილებლად საჭიროა, რადგან არქეოლოგია და საერთოდ, სამშობლო ქვეყნის წარსულის შესწავლა, ისევე როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგი, ჩვენში მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრის საგანი კი აღარაა არამედ საერთო, სახალხო საქმეა.

განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს ისტორიის, ქართული ხელოვნებისა და არქეოლოგიის საკითხებისადმი იჩენს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა. სწორედ ამ ახალგაზრდობისთვისაა განკუთვნილი გ. ლომთათიძის წიგნი, რომელიც ისეა აგებული, რომ მკითხველს მიაწოდოს ძირითადი ცნობები არქეოლოგიიდან და საქართველოს არქეოლოგიის ვითარება დაუხატოს.

პირველი თავი — „შესავლის მაგიერ“ — თავისებური მხატვრული ნარკვევია: აქ მოცემულია ცოცხალი „ჩანახატები“ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა (დევის-ხვრელში, არმაზისხევში, თრიალეთში, კლდეეთში, სამთავროში, ბაგინეთში, თბილისში, რუსთავში, სამგორში).

წიგნის II თავში — „გათხრითი არქეოლოგია და მისი ისტორია“ — ავტორი ჯერ ზოგად ცნობებს აწვდის მკითხველს: რა არის არქეოლოგია, როგორია მისი მეთოდები და შემდეგ ნაჩვენებია გათხრითი არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, ეტაპები დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს არქეოლოგიის მჭიდრო კავშირს ცოცხალ ცხოვრებასთან, მის მნიშვნელობას არა მარტო წარსულის ფაქტების გასაცნობად, არამედ თანამედროვე საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებისთვისაც. იგი მიუთითებს, რომ „იტალიის გაერთიანების შემდეგ (1850 — 1870 წწ.) პომპეის თხრას გარკვეული ეროვნული პროპა-

განდის მნიშვნელობაც მიენიჭა. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა და დიდხანს ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა იტალიის ეროვნული-განმათავისუფლებელი მოძრობის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, მანამდე დიდხანს პატიმრად ნამყოფი ფიორელი. იგი ამ მუშაობას იტალიელთა ეროვნული თვითშეგნებისა და სიამაყის განმტკიცების ამოცანას უქვემდებარებდაო". (გვ. 56). ასევე რუსეთშიაც, XIX ს-ის პირველ ნახევარში, სლავურ-რუსული ყორღანების შესწავლა, რომელმაც საფუძველი გამოაცალა ცრუმეცნიერულ თეორიას რუსული სახელმწიფოს უცხოელთა მიერ შექმნის შესახებ — „იმ დიდი ეროვნული აღფრთოვანების ერთ-ერთი გამოვლინება იყო, რომელიც 1812 წლის სამამულო ომში ისტორიულმა გამარჯვებამ და ნაპოლეონის ურდოების განადგურებამ გამოიწვია» (გვ. 60).

ამ თვალსაზრისით სავსებით მართებულად და დამარწმუნებლადაა გაშუქებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების მნიშვნელობა რევოლუციამდელ საქართველოსათვისაც: „თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე იბრძოდნენ მოწინავე ქართველები იმისათვის, რომ დიდი პოლიტიკური და კულტურული წარსულის მქონე ხალხს გული არ გასტეხოდა და კოლონიური არსებობის დუხჭირ პირობებში დედაენა და ეროვნული თვითშეგნება ნელ-ნელა ხელიდან არ გამოსცლოდა. ცარიზმის მოხელეთა და გადაგვარებულ თანამემამულეთა პირდაპირსა თუ შენიღბულ ბრძოლას ქართველი საზოგადოების მესვეურები უპირისპირებდნენ ეროვნულ პრესას, მწერლობას, თეატრს, ეროვნულ მეცნიერებას და უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მეცნიერულ ისტორიას. ამ უკანასკნელს, მსგავსად სხვა, ასეთსავე დღეში მყოფი, ქვეყნებისა ჩვენშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლისათვის, რაც იმ ვითარებაში ფრიად პროგრესულ მოძრაობას წარმოადგენდა"(გვ.61).

ავტორს მოთხრობილი აქვს XIXს. მანძილზე და XX ს. დასაწყისში საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური მუშაობის ძირითადი ეტაპები, გაშუქებულია ცნობილი ისტორიკოსების დიმიტრი ბაქრაძისა და ე. თაყაიშვილის მოღვაწეობა; ნაჩვენებია მაშინდელი კვლევა-ძიების მძიმე ნივთიერი პირობები, გამომჟღავნებულია კვლევის ხასიათი, კერძოდ ფ. ბაიერნის გათხრათა ნაკლი და ამონათხარის ისტორიული გააზრების შეზღუდულობა. ამის შემდეგ განსაკუთრებით ნათელი ხდება ქართული არქეოლოგიის საბჭოთა ეტაპის პრინციპულად განმასხვავებული თავისებურება: მარქსისტული მოძღვრებით შეიარაღებულმა ქართველმა საბჭოთა მეცნიერებმა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა საფუძველზე შეძლეს საქართველოს ისტორიის ადრინდელ საფეხურთა მეცნიერული გაშუქება.

ავტორს მითითებული აქვს, რომ ნამდვილი გარდატეხა საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის საქმეში „უშუალოდ იყო დაკავშირებული რესპუბლიკის იმ საყოველთაო ძლიერ აღმავლობასთან, რომელსაც სული ჩაუდგა ქართველი ხალხის საამაყო შვილმა, დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა ლავრენტი ბერიამ. მან გადაჭრით დააყენა საქართველოს წარსულის მეცნიერული შესწავლის გადახალისების საკითხი.... დარაზმულ იქნა ჩვენი საუკეთესო მუშაკები, რომელთაც საქართველოში მანამდე არნახული, ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები შეექმნათ შემოქმედებითი შრომისათვის" (გვ. 71 — 72).

მკითხველი ეცნობა მთელ იმ არქეოლოგიურ საქმიანობას, რომელსაც მას შემდეგ დაუცხრომლად აწარმოებენ ჯერ ე.წ. „ენიმკი" (ენის, ისტორიისა და მატ. კულტურის ინსტიტუტი), რუსთაველის მუზეუმი, შემდეგ საქართველოს სსრ მეც. აკადემია და სხვა დაწესებულებები, ეცნობა მცხეთისა და თრიალეთის გათხრებს, რომელთაც განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვეს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ჩვენში. ეცნობა გათხრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

III-VI თავებში თანამიმდევრობითაა მოთხრობილი, როგორ შუქდება საქართველოს წარსული არქეოლოგიური მონაპოვართა საფუძველზე. ქრონოლოგიური მანძილი, რომელსაც ამჟამად მოიცავს არქეოლოგიური კვლევა-ძიება უზარმაზარია; ძველი ქვის ხანიდან — მოწიფული ფეოდალიზმის ხანამდის, ე. ი. რამდენიმე ათეული ათასი წელიწადი. თუ II თავში მკითხველი ეცნობოდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას თვით აღმოჩენების ქრონოლოგიის მიხედვით, ამ თავებში იგივე აღმოჩენები იმ ისტორიული ეტაპების მიხედვითაა განლაგებული, რომელთაც ისინი შუქს ფენენ. და წიგნის ღირსებაც ისაა, რომ მასში ძალიან ნათლად და არასპეციალისტ მკითხველისათვის სავსებით გასაგებადაა ნაჩვენები აღმოჩენილ ნივთთა ცოცხალი კავშირი მათ შემქმნელ გარემოსთან. მკითხველი ხედავს, რომ განათხარ ძეგლს, ან ნივთებს — ჭურჭელს, იარაღს, სამკაულს, ქანდაკებებს — მარტო თავისთავადი ღირებულება კი არა აქვთ, რომ ისინი გვიხატავენ თავისი ეპოქის ისტორიულ სურათს: ეკონომიური განვითარების საფეხურს, სოციალურ წყობას, კულტურის დონეს; მკითხველი ხედავს, რომ არქეოლოგიას აინტერესებს არა ნივთების დაგროვება, არამედ ამ

ნივთების საფუძველზე ერის ცოცხალი ისტორიის გაშუქება, ცოცხალი ადამიანებისა და მათი ურთიერთობის დანახვა. ამის მაგალითები ავტორს ბევრი მოყავს: წალკის უმდიდრესი ყორღანები მკვლევართ საფუძველს აძლევენ იფიქრონ, რომ II ათასწლეულის შუახანებში „გვაროვნულ წყობილებაში უკვე ხდება გარდატეხა, რომელიც საბოლოოდ ამ მხრივ წარმართავს საზოგადოების განვითარებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით უთანასწორობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ტომებს ან ტომთა კავშირებს განაგებენ ამორჩეული მხედართმთავრები, რომელნიც ამრიგად ექცევიან ყოველმხრივ წარჩინებულსა და უპირატეს მდგომარეობაში. საზოგადოებრივი წყობილების მხრივ აქ არქეოლოგები ხედავენ სამხედრო დემოკრატიას, რომელშიც უკვე იწყებს წარმოქმნას გვაროვნული არისტოკრატია» (გვ.105); კოლხიდის ნამოსახლართა შესწავლა ცხადყოფს „ძველისძველი კოლხეთის უკვე დიდ გამოცდილებას ჭაობებთან ბრძოლის, მელიორაციისა და დრენაჟის საქმეში". მოწმობს, რომ კოლხეთში „მიწათმოქმედება დიდად განვითარებული ყოფილა" (გვ. 110). დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ნაპოვნი ხელსაწყო-იარაღებიც ნებას აძლევენ მკვლევართ გარკვეული დასკვნები გამოიტანონ მეურნეობის განვითარების შესახებ (გვ. 120); უფრო გვიანდელი — ბრინჯაოს ხანის სამარხები მკაფიოდ გვიხატავენ მესაქონლეობის მძლავრ განვითარებას (გვ. 122); მცხეთის — არმაზისხევის, ბაგინეთის — ძეგლები გვიჩვენებენ, რომ ორი წელთაღრიცხვის მიჯნაზე „საქართველოში უკვე კლასებად დაყოფილი საზოგადოება ცხოვრობდა და ეს იყო კლასობრივი საზოგადოების პირველი საფეხური — მონათმფლობელობა" (გვ. 164), და სხვ.

III, IV, V თავებში ბევრი საინტერესო ფაქტობრივი ცნობაა აღმოჩენილ ძეგლთა შესახებ (პალეოლითის ძეგლები: საკაჟიას გამოქვაბული მოწამეთასთან, გვარჯილას კლდე ჭიათურის რაიონში, დევისხვრელის გამოქვაბული; ნეოლითის ნაშთები; ბრინჯაოს ხანის ძეგლები: დოლმენები აფხაზეთში, ციკლოპური შენობები, რომლებიც ჩვენში „გმირთა ნაკვეთის", „დევის ნასახლარისა" და სხვა სახელებითაა ცნობილი; თრიალეთის ყორღანული სამარხები, სამგორის ყორღანი „კოხრასგორა" III ათასწლეულის დასასრულისა, რომელშიაც უძველესი ხის შენობის ნაშთი აღმოჩნდა, წალკის უძვირფასესი ნივთები, რომლებიც განვითარებული ხელოსნობის არსებობას მოწმობს; გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხები სამთავროში და სხვ. ახალგაზრდა მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს.

აღნიშნულის გარდა, III-IV თავები შეიცავს მკითხველის საყურადღებო ზოგადი ხასიათის ცნობებსაც (რა არის პალეოლითი, ნეოლითი, ბრინჯაოსა და რკინის ხანები, როგორ ცხოვრობდა ძველი ქვის ხანის ადამიანი, როგორ ისწავლა ადამიანმა ბრინჯაოს გაკეთება, რა შედეგი მოჰყვა ამას მისი შემდგომი განვითარებისათვის და სხვ.). არა ნაკლებ საინტერესოა წიგნის უკანასკნელი თავი — „ფეოდალური საქართველოს ძეგლები". ფეოდალური ხანა, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. ჯერ-ჯერობით გათხრები ჩატარებულია ნოქალაქევში (ძველი არქეოპოლისი, „ციხე-გოჯი"), ვაშნარში (მახარაძის მახლობლად), ბოლნისში, შორაპანში, უჯარმაში, რუსთავში, ნაქალაქარ დმანისში, შიომღვიმეში, გეგუთში, ნამონასტრალ გუდარეხში, თბილისის რამდენსამე პუნქტში და კიდევ ორიოდ ადგილას. კვლევის შედეგები ყველგან მეტად მნიშვნელოვანი იყო. დმანისში აღმოჩნდა სხვადასხვა საქალაქო ნაგებობათა ნაშთი და დიდძალი კერამიკა, უჯარმაში გაიწმინდა ვახტანგ გორგასალის დროინდელი უზარმაზარი ციხე, ბოლნისში აღმოჩენილ იქნა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები (V ს-ისა). მაგრამ თითქმის არც ერთ ხსენებულ პუნქტთაგანში კვლევა-ძიება ჯერ-ჯერობით ბოლომდის არ არის მიყვანილი და, ამას გარდა, ბევრი სხვა, უაღრესად მნიშვნელოვანი ობიექტიც ჯერ კიდევ სრულიად ხელუხლებელია. წიგნის VI თავი კარგად გვიჩვენებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფეოდალური ხანის ძეგლთა არქეოლოგიურ კვლევას და რამდენ ღირსშესანიშნავ აღმოჩენას უნდა მოველოდეთ უახლოეს ხანებშიაც კი, როცა ეს საქმე უფრო მეტად წაიწევს წინ.

კარგია, რომ ამ თავს წამძღვარებული აქვს ფეოდალური საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა. მკითხველს უადვილდება მასალაში ორიენტაცია, აღწერილ ძეგლთა მნიშვნელობისა და ისტორიული ადგილის გათვალისწინება.

წიგნი დაწერილია ცოცხალი, დახვეწილი, ახალგაზრდა მკითხველთა და არასპეციალისტთათვის სავსებით გასაგები ენით. როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, წიგნი, როგორც პირველი ცდა, არ შეიძლება უნაკლო იყოს. მეტად რთულია და დიდი წიგნის საგანი და მეტად მცირეა ჩვენში მეცნიერულ-პოპულარულ წიგნების დაწერის გამოცდილება. შემდეგი გამოცემისათვის ზოგი რამ ალბათ შესავსები იქნება, მაგალითად, ურიგო არ იქნებოდა უკანასკნელი თავის („ფეოდალური საქარ-

თველოს ძეგლები") გაფართოება. ამავე თავში, როცა განვითარებული ფეოდალიზმის ხელოვნებაზეა ლაპარაკი სჯობს აღინიშნოს, რომ ოქრომქანდაკებლობამ ჩვენში, — წინააღმდეგ საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა — ბექა ოპიზარზე გაცილებით ადრე, უკვე XI ს-ში მიაღწია განვითარების მაღალ დონეს. ზოგან ტექსტში შეთანხმება-დაზუსტება აკლია დათარიღებას: მაგ. ბრინჯაოს აღმოჩენის თარიღად მითითებულია ძ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები (გვ. 99), ხოლო ბრინჯაოს ხანის ნიმუშებად დასახელებული ყორღანები (თრიალეთისა, სამგორისა) -III ათასწლეულის დასასრულს მიეკუთვნება (გვ. 104). დასანანია, რომ ავტორმა არ შეიტანა წიგნის ძირითად ნაწილში ცნობები ქართული მკვლევრის დიმ. მეღვინეთხუცესისშვილის გათხრათა შესახებ უფლისციხეში (ეს, როგორც წიგნის წინასიტყვაობაში არის კიდეც აღნიშნული, პირველი არქეოლოგიური გათხრა იყო საქართველოში; მას შემდეგ სრული 100 წელიწადი გავიდა). XI თავში ავტორს გამორჩენია ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებდა თელავის მუზეუმის განსვენებული დირექტორი ალ. მამულაშვილი (მაგ. კახეთის აბანოების შესწავლა და სხვ.).

წიგნს დასკვნითი ნაწილი აკლია. დასკვნა კი — თუნდაც ძალიან მოკლე, რომელშიაც მოთხრობილის შეჯამება და მომავალი მუშაობის პერსპექტივები იქნებოდა ნაჩვენები უთუოდ საჭირო იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ წიგნში.

წიგნში მრავალი ნახატი და ფოტო-სურათია მოთავსებული (ნახატები ე. ნგ — �отиბაძისა და ი. ციციშვილისა — ი. ციციშვილსავე ეკუთვნის წიგნის ყდა, თავფურცელი და ფორზაცი. უკანასკნელისთვის კარგადაა გამოყენებული თრიალეთში ნაპოვნი ბრინჯაოს ქამრის შემამკობელი მოტივი). ერთი ფერადი ტაბულაცაა (ოქროს ნივთები). სურათების უმეტესობა კარგადაა შერჩეული, მაგრამ სურათებით სარგებლობა გაძნელებულია, რადგანაც ტექსტში არ არის ილუსტრაციებზე მითითება. ტექსტში მოხსენებული რომელიმე ნივთის სურათის საპოვნელად საჭირო ხდება წიგნის ბოლოს დართული „სურათების ახსნა-განმარტების" თავიდან ბოლომდის ჩაკითხვა. უთუოდ საჭირო და კარგ ნახატებთან (მაგ. უჯარმის ციხის საერთო სახესთან) ერთად, არის ზოგიერთი სავსებით პირობითი „რეკონსტრუქციებიც", რომლებიც არაფერს მატებს წიგნსა და შეიძლება საზიანოც იყოს.

ორიოდე სიტყვა წიგნის გამოცემაზე. თუ გრაფიკულად შესრულებული ნახატები მასში შედარებით რიგიანადაა დაბეჭდილი, რეპროდუქციები აღმაშფოთებელი წუნის ნიმუშს წარმოადგენს.

გ. ლომთათიძის წიგნი სწორ წარმოდგენას მისცემს ახალგაზრდა მკითხველს არქეოლოგიის რაობაზე და კიდეე უფრო მეტად შეაყვარებს მას ჩვენი სამშობლოს სახელოვან წარსულს, მის დიდ კულტურას.

ვახტანგ გერიძე

საყურადღებო გამოკვლევა XIX-XX ს. ს. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების შესახებ

პროფ. პაატა გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX ს. ს. ტომი I.

★

სარეცენზიო შრომა წარმოადგენს ვრცელ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც საფუძვლიანად აშუქებს ცარიზმის ეკონომიურ პოლიტიკას და საქართველოსა და ამიერკავკასიის პირობებში მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებას.

იგი შედგება ორი ნაწილისაგან, შეიცავს ოთხ მონოგრაფიას, რომლებიც, თუმცა შრომის ცალკე დამოუკიდებელ თავებს წარმოადგენენ, მაგრამ ურთიერთთან ორგანულად დაკავშირებულნი არიან. როგორც საკითხების დამუშავების მეთოდიკის მხრივ, ისე გამოყენებული მდიდარი მასალათა ანალიზისა და დასკვნებით, შრომა მრავალმხრივ საყურადღებოა XIX საუკუნის საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური მდგომარეობის გარკვევისათვის.

შრომის პირველ თავში განხილულია ვაჭრობის განვითარების საკითხები საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801 — 1821 წ. წ. პერიოდში. ისტორიული წყაროებისა და საარქივო მასალების განხილვის საფუძველზე ავტორის მიერ მოცემულია კაპიტალისტური რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის სწორი ანალიზი საშინაო და საგარეო ვაჭრობის სფეროში. ავტორი ეხება რუსეთის საგაჭრო პოლიტიკის განვითარების ისტორიას, ყურადღებას აჩერებს პავლე პირველის მიერ ინგლისის საზღვაო ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებზე, იხილავს

ნაპოლეონის კონტინენტური სისტემისა და ტრიანონის კანონის წინააღმდეგ ალექსანდრე პირველის მიერ 1810 წ. გამოცემულ საბაჟო ტარიფის მნიშვნელობას.

ავტორი ისტორიულ ასპექტში იხილავს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ვაჭრობის განვითარების დარგში მიღებულ ღონისძიებებს, ახასიათებს კაპიტალისტური განვითარების გზაზე გამოსული რუსეთის დაინტერესებას აზიის ქვეყნებთან ვაჭრობით და საქართველოს როლს ამასთან დაკავშირებით.

შრომაში საფუძვლიანადაა გაშუქებული სატრანზიტო ვაჭრობის განვითარების საკითხი და სწორადაა აღნიშნული, რომ კაპიტალისტური რუსეთი „გაშმაგებით მიიწევდა ჩაბმულიყო და ფართო მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო ვაჭრობაში; და რაკი საკუთარი ნაწარმოების გატანით ამის მიღწევა სასურველი სისრულით ვერ ხერხდებოდა, რუსეთი ცდილობდა გამხდარიყო შუამავალი ქვეყანა: ხელში ჩაეგდო ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ტრანზიტული ვაჭრობა“ (გვ. 4).

ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ამიერკავკასია ძველთაგანვე წარმოადგენდა ტრანზიტული ვაჭრობის მნიშვნელოვან ასპარეზს. „ამ მხრივ ანტიკური სახელმწიფოების ინტერესი კავკასიისადმი იმდენად დიდი იყო, რომ პლინიუსის ცნობით კასპიისა და შავი ზღვის არხით შეერთების პროექტიც კი შეუდგენიათ“. (გვ. 21). ავტორს აქ მოჰყავს სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ „ამუდარიითა და კასპიის ზღვით საქონელი შემოჰქონდათ ამიერკავკასიაში, ხოლო აქედან მტკვრითა და რიონით, შემდეგ შავი ზღვით გაჰქონდათ ანტიკურ სახელმწიფოებში ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე, მაგალითად, რომში. ამიერკავკასიის ტრანზიტი მეტოქეობას უწევდა ინდოეთისავე საქონელს, რომელიც სირიით, მეწამული ზღვით და ეგვიპტით მიჰქონდათ რომში“ (გვ. 22).

ცარიზმი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ვაჭრობის განვითარებით ინდოეთთან, ირანთან და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან და ამ საქმეში საქართველოსა და ამიერკავკასიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული გარემოებისათვის არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწია მეფის ხელისუფლებას. შრომის ავტორი სამართლიანად აქცევს ყურადღებას ამ მომენტს და, ეხება რა საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდს, სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ იმ დროს „თითქმის მთელ ამიერკავკასიაში კომერციული საბუთები ჯერ კიდევ იწერებოდა უპირატესად ქართულ ენაზე. მაგალითად, საქართველოსთან მოვაჭრე განჯელი, ყარაბაღელი, ზაქათალელი, ბაქოელი და თვით ერევნელი სომეხი ვაჭრებიც თამასუქს ქართულად სწერდნენ სწორედ ისე, როგორც ერეკლე II დროს“ (გვ. 31). მეტად აღსანიშნავია აქვე წარმოდგენილი შემდეგი ცნობა, რომ ფერლისში 1804 წ. არსდება ზარაფხანა, სადაც 1835 წლამდე ამიერკავკასიისათვის იჭრებოდა ქართული სისტემის ფული, როგორც ადრითგანვე სხვა ადგილობრივ ფულებზე უფრო გავრცელებული და როგორც ამიერკავკასიაში ისე ირან-თურქეთის მეზობელ სამფლობელოებში და კავკასიის მთიელებში მიღებული“ (გვ. 31).

ინდოეთთან ვაჭრობის პირობების შესწავლის მიზნით მეფის ხელისუფლება იყენებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ძველ დროიდანვე სავაჭრო ურთიერთობაში მყოფ ქართველთა და სომეხთა გამოცდილებას. 1816 წელს ირანთან ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებით აქ წარმოდგენილია რუსეთის ფინანსთა მინისტრის შემდეგი შენიშვნა: „ცნობილია, რომ ასტრახანელი ზოგიერთი სომეხი და ქართველი ვაჭარი ნამყოფია ინდოეთის სხვადასხვა ადგილში და კალკუტაშიაც კი, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რაოდენ დიდი იყო მათ მიერ იქ წარმოებული ვაჭრობა; სად როგორი მეგობრობით ხვდებოდნენ მათ; გაგებულ იქნას მათი სავაჭრო ხარჯები, განსაკუთრებით კალკუტაში, და ის, თუ როგორაა განწყობილი იქაური ხალხი ინგლისელებისადმი“ (გვ. 10 — 11).

მეფის რუსეთის ინდოეთთან ვაჭრობის განვითარების დაინტერესებით აიხსნება ის, რომ ერეკლე მეორის მიერ ინდოეთში განსაკუთრებული მისიით გაგზავნილ ქართველ დიდვაჭარს — რაფიელ დანიბეგაშვილს, ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ, აუდიენცია ჰქონია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან. (გვ. 12).

შრომაში წარმოდგენილია ავტორის მიერ ზედმიწევნით შესწავლილი მეტად მდიდარი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარების შესახებ. სიგელგუჯრებისა და სხვა მეტად საყურადღებო ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე ავტორი არკვევს თუ რა გავლენა ჰქონდა ფეოდალიზმის ნაშთებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ვაჭრობის განვითარებაზე. შრომაში საკმაებით სწორადაა განმარტებული ცარიზმის საბაჟო პოლიტიკის არსი. განხილულია საბაჟო ტარიფები და წარმოდგენილია მეტად საინტერესო სტატისტიკური ცნობები თბილისის საბაჟოს შემოსავლის შესახებ 1805 — 1813 წლ. პერიოდში. ავტორის მიერ კარგადაა დასაბუთებული სამთავროებად დანაწილებულ ფეოდალურ საქართველოში ვაჭრობის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზები.

თბილისის იმდროინდელი მდგომარეობის დახასიათებისათვის წარმოდგენილია საფრანგეთის კონსულად ნამყოფ — გამბას ცნობა, სადაც აღამაჰმადხანის მიერ თბილისის უკანასკნელი აოხრების 25 წლის თავზე იგი წერდა: „1820 წელს, როდესაც მე ძველი ქალაქი ვნახე, თითქმის ყველა მისი ქუჩა სავსე იყო ნანგრევებით, რაც სპარსელთა შემოსევის (1795 წ) სამწუხარო მოგონებას წარმოადგენდა“ (გვ. 106). იმდროინდელი საქართველოს მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ლეკთა განუწყვეტელი თარეში, რომლის შესახებაც სხვა საყურადღებო მასალებთან ერთად აქ წარმოდგენილია დავით ბატონიშვილის შემდეგი მეტად დამაფიქრებელი სიტყვები: „ხოლო არაოდეს მოგზსენიების და ვერცა დაიტევს ისტორია ესე თუ ვითარ ოხრობა იყო ლეკთაგან საქართველოსა შინ“. ამას თუ დაუმატებთ ქვეყნის შიგნით, საქართველოს დასუსტების ჟამს თავაშვებულ ფეოდალების თავხედობას და ქიშპობას, ცხადი ხდება, თუ რა მძიმე პირობები იყო მეურნეობრივი თაოსნობისა, კომერციული მოსარეწეობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის იმ პერიოდის საქართველოში.

შრომაში ცალკე თავადაა გამოყოფილი შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის საკითხი 1821 — 1831 წლ. პერიოდისათვის. ცნობილია, რომ მეფის ხელისუფლების მიერ 1821 წლიდან მფარველობითი ბაჟების ნაცვლად, ამიერკავკასიაში შემოსატან-გასატან და ტრანზიტულ საქონელზე დაწესებული იყო შეღავათიანი ტრანზიტი და შეღავათიანი ვაჭრობა. აღნიშნულის საფუძველზე გაიზარდა მეფის რუსეთის საგარეო ვაჭრობა, გაფართოვდა ტრანზიტული ვაჭრობაც და კასპიისა და შავიზღვის დამაკავშირებელი ამიერკავკასიის სავაჭრო გზა გახდა საერთაშორისო მნიშვნელობის თვალსაჩინო მაგისტრალად. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ „1821 — 1831 წწ. შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის საფუძველზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში განვითარებული კომერციული თაოსნობა, საფუძველს უდებდა აქ ე. წ. პირველ დაგროვებას, ამავე დროს იყო თითქმის პირველი და მანამდე ერთერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადაგმული რუსეთის კაპიტალიზმის მიერ ამიერკავკასიის საქონლის მსოფლიო ბრუნვაში ჩათრევისა და ამდენადვე აქ საკუთარი მრეწველობისათვის ბაზრის შექმნისაკენ“. (გვ. 256 — 257).

შრომაში ცალკე საკითხადაა განხილული ტყვეებით ვაჭრობა საქართველოსა და კავკასიაში. მრავალი საისტორიო მასალების განხილვისა და აღნიშნულ საკითხზე არსებულ წყაროების გულდასმით შესწავლის საფუძველზე, ავტორი აქ გვიხატავს ჩვენი წარსულის შემაზრზენ სურათებს. გარეშე და შინაურ მტრებისაგან დაუძლურებულ საქართველოში სპარსელების, თურქების, ლეკების, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 351-ზე ავტორი წერს: „ქართული მხატვრული ლიტერატურის შემოქმედებითმა შრომამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი, მაგრამ ბრწყინვალე ნოველა მიუძღვნა საქართველოში წარტყვევნისა და ტყვეებით ვაჭრობის მრავალმხრივ საყურადღებო თემას — უიარაღოს (თათარიშვილის) „მამელუკების“ სახით“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ქართველთა წარტყვევნის შესახებ კიდევ ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები გვაქვს, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქნა“-ს სახით.

შრომის ძირითადი ნაწილი მიძღვნილია საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციის საკითხისათვის 1801 — 1920 წწ. პერიოდში; აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა ავტორის სადოქტორო დისერტაციის საგანს, რომელსაც თავის დროზე მეტად მაღალი შეფასება მისცა აკად. ივანე ჯავახიშვილმა.

კოლონიზაციის პროცესი საქართველოსა და ამიერკავკასიაში დღემდე შეუსწავლელი იყო. აღნიშნულ საკითხის გარკვევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლისათვის.

თავის ცნობილ შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ვ. ი. ლენინი რუსეთის განაპირა რაიონების კოლონიზაციის პროცესის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ წერს: „კაპიტალიზმისათვის ბაზრის შექმნის პროცესი წარმოადგენს ორ მხარეს, სახელდობრ: კაპიტალიზმის გაღრმავებას, ე. ი. კაპიტალისტური მიწათმოქმედებისა და კაპიტალისტური მრეწველობის შემდგომ ზრდას მოცემულ, განსაზღვრულ და კარჩაკეტილ ტერიტორიაზე, და კაპიტალიზმის გაფართოებას, ე. ი. კაპიტალიზმის ბატონობის სფეროს გავრცელებას ახალ ტერიტორიაზე. ამ ნაშრომის გეგმის თანახმად ჩვენ პროცესის თითქმის მხოლოდ პირველ მხარეს დავჯერდით და ამიტომ განსაკუთრებით საჭიროდ ვთვლით აქ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მის მეორე მხარეს მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. განაპირა მხარეების კოლონიზაციისა და რუსეთის ტერიტორიის გაფართოების პროცესის ცოტად თუ ბევრად სრული შესწავლა, კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ შრომას მოითხოვს“. (ვ. ი. ლენინი. ტომი III, გვ. 705, გამოც. IV).

საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებში ამ საკითხის შესწავლის ამოცანას ემსახურება პროფ. გუგუშვილის ზემოდასახელებული მონოგრაფია.

მრავალი წლების მანძილზე, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების არქივთსაცავებში არსებულ მდიდარი საისტორიო მასალების, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი პირველწყაროების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ავტორი, კაპიტალიზმის განვითარების ზოგად ისტორიულ პროცესთან დაკავშირებით, იძლევა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის კოლონიზაციის პოლიტიკის ფართო ანალიზს. კოლონიზაციის საკითხებზე მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მიერ მოცემულ სახელმძღვანელო დებულებების საფუძველზე ავტორი არკვევს მეფის რუსეთის მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციის პროცესს და მის სოციალ-ეკონომიური შედეგების ანალიზით იძლევა კაპიტალიზმის მტაცებლური ექსპანსიის, განაპირა ქვეყნების უსაზღვრო ჩაგვრის, მცირე ერების სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვის და მეტროპოლიის მიერ კოლონიების გაუგონარი დამონების ამაღელვებელ სურათს. შრომაში ავტორის მიერ წარმოებულ ფრიად საინტერესო გაანგარიშებათა შედეგად, კოლონიზაციასთან დაკავშირებით დადგენილია დემოგრაფიული მონაცემები, სადაც აისნილია მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1800, 1832, 1865, 1873 და 1886 წ.წ. მანძილზე და მისი ნაციონალური და რელიგიური შემადგენლობის ცვალებადობის პროცესი.

პროფ. პ. გუგუშვილის შრომა ჩვენი ეკონომიური ლიტერატურის ფრიად მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა, როგორც პრობლემათა დაყენებისა, ისე მათი გადაწყვეტის მეთოდიკისა, ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზისა და საყურადღებო მეცნიერულ განზოგადოებათა მიხედვით სცილდება საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებს.

სასურველია რომ შრომა ითარგმნოს რუსულად, რათა მას გაეცნოს როგორც ამიერკავკასიის ჩვენი მოძმე რესპუბლიკების, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების დაინტერესებული მკითხველები.

შრომის განსაკუთრებულ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ იგი დაწერილია აკადემიურად გამართული, მაგრამ სადა და ბუნებრივი, კარგი ქართულ ენით.

დოც. **მიხეილ ასათიანი**

საბჭოთა ბიბლიოთეკა — სოციალისტური კულტურის კერაა

ვ. ონიანი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების პროპაგანდა ბიბლიოთეკაში. 1952 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ბიბლიოთეკადმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა გამოსცა ვ. ონიანის ბროშურა „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა პროპაგანდა ბიბლიოთეკაში“.

ბროშურაში ავტორი გვიჩვენებს, რუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ქვეყანაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარებას, კერძოდ ბიბლიოთეკის ქსელის გაფართოებას, მათი წიგნადი ფონდის გადიდებას, მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კომუნისტური აღზრდის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბიბლიოთეკას.

ავტორი წერს: „საბჭოთა ბიბლიოთეკა სოციალისტური კულტურის ნამდვილი კერაა. საბჭოთა ადამიანებში წიგნის ფართო პროპაგანდით ბიბლიოთეკები დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში (გვ.3-4).

ვ. ონიანს მოჰყავს საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება პარტიის ყოველდღიური მზრუნველობით ბიბლიოთეკების რიცხვი და მნიშვნელობა. თუ რევოლუციამდელ რუსეთში ითვლებოდა 120 ათასი ბიბლიოთეკა, ამჟამად სსრ კავშირში ყველა ტიპის 368 ათასი ბიბლიოთეკაა. თავის ღრმა შინაარსიან მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. გ. მალენკოვს მოჰყავს იმისი საინტერესო ფაქტები, რომ პარტიის ყოველდღიური მზრუნველობით განვლილ წლებში ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი ქალაქსა და სოფელში. „ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ყველა ტიპის 368 ათასი ბიბლიოთეკაა. — 1939 წელთან შედარებით ბიბლიოთეკების რიცხვი გაიზარდა 12 ათასით და მეტით. წიგნების წლიურმა ტირაჟმა 800 მილიონ ეგზემპლარს მიაღწია და 1940 წელთან შედარებით 1,8 ჯერ გაიზარდა“

საბჭოთა ბიბლიოთეკები ჩვენი ქვეყნის გმირი ხალხის მზარდი პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. საბჭოთა ადამიანებმა შეიყვარეს წიგნი, ყოველდღიურად მიმართავენ მას, როგორც ცოდნის წყაროს, როგორც თავის მეგობარსა და თანაშემწეს მუშაობაში. საბჭოთა ბიბლიოთეკის კეთილშობილური საქმეა კიდევ უფრო ფართოდ შეიტანოს წიგნი მასებში. საბჭოთა ბიბლიოთეკის მთელი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ამოცანასთან — მშრომელი მასების კომუნისტურ აღზრდასთან, საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების შესასრულებლად. ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკარი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი ქვეყნის ინტერესებთან, მშრომელი მასების ინტერესებთან. საბჭოთა ბიბლიოთეკარი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მონაწილეობს კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

„საბჭოთა ბიბლიოთეკების გადაუდებელი ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ წიგნების მთელი სიმდიდრე, — კითხულობთ ბროშურაში, — მჭიდრო კავშირი დაამყარონ მკითხველებთან, ორგანიზებულად და ზუსტად იმუშაონ, გააჩაღონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა ფართო პროპაგანდა. ბიბლიოთეკარები სისხლხორცეულად უნდა დაუკავშირდნენ მასებს, თავისი წვლილი შეიტანონ კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის საქმეში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწერების მოხერხებული პროპაგანდით ბიბლიოთეკარებს მასებში შეაქვთ მოწინავე სოციალისტური კულტურის დიადი იდეები“ (გვ.5).

კომუნისტური პარტიის შემქმნელები, მსოფლიოს მშრომელი მასების ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გვასწავლიან, რომ მუშათა კლასის პარტიას არ შეუძლია შეასრულოს თავისი კლასის ხელმძღვანელი როლი, თუ იგი არ დაეუფლა მუშათა მოძრაობის მოწინავე თეორიას, თუ იგი არ დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, რომ ოდესმე რომელიმე ქვეყანაში ყოფილიყოს ისეთი მისწრაფება თეორიისადმი, მეცნიერებისა და კულტურისადმი, როგორც ეს საბჭოთა კავშირშია. მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ინტერესით ეწაფება მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების, მეცნიერების დიდი კორიფეების, კაცობრიობის გენიალური მასწავლებლების მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებს.

ვ. ონიანს მოჰყავს საინტერესო მაგალითები, თუ რა მდგომარეობამდე დაეშვნენ ის ადამია-

ნები, რომლებიც დაუფლებული არ იყვნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომლებიც არ იმაღლებდნენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელების მუშაობაში ჩავარდნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მათ დაივიწყეს ამხანაგი სტალინის სწავლება პარტიული და საბჭოთა კადრების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების აუცილებლობის შესახებ.

ვ. ონიანის შრომაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ მშრომელი მასების კულტურული და იდეური დონის ამაღლებას, რომ კომუნისტური პარტია ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით უდიდეს მუშაობას ეწეოდა მასების რევოლუციური აღზრდის საქმეში, მათ დასარაზმავად ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ მასებზე იდეური ზემოქმედებისათვის კომუნისტები ფართოდ იყენებდნენ არა მარტო პრესას, აგიტაციას, ხელოვნებას, არამედ ბიბლიოთეკებსაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყველა დაწესებულებას. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყველა სახიდან ლენინი და სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოებას. ბიბლიოთეკები დიდ ამოცანას ასრულებენ მასების კომუნისტურად აღზრდის და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების პროპაგანდის საქმეში.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბიბლიოთეკების მუშაობას. იგი სისტემატურად ზრუნავდა რათა ბიბლიოთეკები მისაწვდომი ყოფილიყო ფართო მასებისათვის. „საჯარო ბიბლიოთეკის სიამაყედ და სახელად მიჩნევა არა იმისა, თუ რამდენი იშვიათი ეგზემპლარია მასში XVI საუკუნის რამდენი და რა გამოცემაა ან X საუკუნის რა ხელნაწერები მოეპოვება მას, არამედ ის, თუ რამდენად ფართოდ ტრიალებს წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მიზიდული, რამდენად სწრაფად კმაყოფილდება წიგნის ყოველი მოთხოვნა, რამდენი წიგნი გაიცა შინ წასაკითხად, რამდენი ბავშვია მიზიდული, რომ იკითხონ და ისარგებლონ ბიბლიოთეკით“ (ვ. ლენინი, თხზ. ტომი 19, გვ. 325).

წიგნში მოცემულია კრიტიკა ბურჟუაზიული წყობილების დროს არსებულ ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესისა, ძველ საქართველოში ბიბლიოთეკების მდგომარეობისა და სარგებლობის წესისა. ამავე დროს ვ. ონიანი აშუქებს ისტორიას იმ დიდ ღონისძიებათა, რაც კომუნისტურმა პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გაატარა სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებიდანვე ბიბლიოთეკების მუშაობის გარდაქმნისათვის.

ვ. ონიანი აკეთებს მოკლე მიმოხილვას იმისა თუ რა დიდი ღონისძიება გაატარა ჩვენმა პარტიამ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოსაცემად, მათ შესასწავლად. ნაჩვენებია თუ რა დიდი როლი ითამაშა ამ საქმეში საბჭოთა ბიბლიოთეკების ფართო ქსელმა. დასახელებული არის რესპუბლიკის ის ბიბლიოთეკები, რომლებმაც მოწინავე როლი ითამაშეს ამ საქმეში და აღნიშნულია, რომ ბიბლიოთეკა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება პარტიის მასებთან კავშირის დასამყარებლად.

უკანასკნელ თავში გაშუქებულია ის, თუ რა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა ხალხი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას, მის გენიალურ ნაწარმოებს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გაშუქების შემდეგ ვ. ონიანი ასახელებს იმ ღონისძიებებს, რაც უნდა გაატარონ ბიბლიოთეკებმა ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის დროს.

ვ. ონიანის წიგნში „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა პროპაგანდა ბიბლიოთეკაში“ დანმარება გაუწევს საქართველოს ბიბლიოთეკართა მრავალრიცხოვან კოლექტივს. მასში შეჯამებულია საბჭოთა მოწინავე ბიბლიოთეკების გამოცდილება, მოცემულია ბიბლიოთეკების მუშაობის ძირითადი მეთოდები. ეს ბროშურა დაეხმარება ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკარებს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, კონკრეტულ დახმარებას გაუწევს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა პროპაგანდის უკეთ მოწყობის საქმეში.

კ. ალექსიძე

შინაარსი

★

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით — მოწინავე წერილი . . . 3
მიკოლა ნაგნიბედა — ლექსები საქართველოზე, თარგმანი ოთარ ჭელიძისა . 5
ოლეს გონჩარი — მეზობლები, მოთხრობა. თარგმანი გრიგოლ ჩიქვანისა 15
ანტონ შმიგელსკი — სამი ლექსი, თარგმანი ოთარ ჭელიძისა 25
პეტრო კოზლანიუკი — ივანე კლიონის ნაამბობი, მოთხრობა, თარგმანი უკრაინულიდან მ. კინწურაშვილისა . . . 17
ვასილ გლოტოვი — სტუმრები, ლექსი, თარგმანი ალიო მირცხულავასი . 28
ირინა ვილდე — ქათმები, მოთხრობა, თარგმანი უკრაინულიდან მ. კინწურაშვილისა . . . 31
კოსტ დროკი — ვადიდებ ბელადს, ლექსი, თარგმანი გიორგი ხუხაშვილისა 36
იაროსლავ გალანი — მეორე ახალგაზრდობა, ნარკვევი, თარგმანი სერგო კლდიაშვილისა . . . 37
როსტისლავ ბრატუნი — ოთხი ლექსი, თარგმანი გიორგი ხუხაშვილისა 42
იაროსლავ გალანი — მე და პაპი, პამფლეტი, თარგმანი სერგო კლდიაშვილისა . . . 46
პარასკა ამბროსი — სიმღერა კახოვკაზე, ლექსი, თარგმანი უკრაინულიდან მ. კინწურაშვილისა . . . 49
ალექსანდრე გინევსკი — იმიერკარპატის კოლმეურნეობაში, ნარკვევი, თარგმანი უკრაინულიდან მ. კინწურაშვილისა . . . 50
არჩილ ჩაჩიბაია — მთები. მოთხრობა . . . 67
გონდო კეშელავა — მოხუცი მასწავლებელი, ლექსი . . . .
ტარიელ კვანტილაშვილი — ლეო ქიაჩელის რომანების ენა და სტილი, წერილი . . . 108
იური ნაზარენკო — მგზნებარე პოეტი, ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი. წერილი . 121
გელა განძელაძე — მეცნიერებათა პარტიულობის საკითხისათვის, წერილი . . . 125

გ. ხეთელი — სქემატური მოთხრობები, ბიბლიოგრაფია . . . 142
გიორგი გოგოხური — კარგი თარგმანი და ცუდი წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფია . 144
ვახტანგ ბერიძე — საქართველოს არქეოლოგიის პოპულარული ნარკვევები, ბიბლიოგრაფია . . . 147
დოც. მიხეილ ასათიანი — საყურადღებო გამოკვლევა XIX — XX ს.ს. საქართველოსა და ა/კ. ეკონომიური განვითარების შესახებ, ბიბლიოგრაფია . . . 150
ძ. ალექსიძე — საბჭოთა ბიბლიოთეკა — სოციალისტური კულტურის კერაა, ბიბლიოგრაფია . . . 154
ახალი წიგნები . . . . . გარეკანის მე 3 83

СССР Библиотека

რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უე 16750. შეკვეთის № 783. ტირაჟი 5500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5. ტელეფონის № 3-23-42